

ა ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИС

Сборник центра исследования историй, этнографии и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

№5

ვანი
Vani
Vani
2016 წ.

სარჩევი

ამირან ინკოლეიშვილი	3
ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან	
მარან ვაშაყაძე	27
„კოლხური თეთრი“ და ძველი ვანი	
თორია ეფრემიძე	34
ისტორიული ცნობები ქვაბულიძეთა შესახებ	
გურამ ყიზიანი, მოთა მამულაძე, მაღონა მშვილდაძე	41
აღმოსავლეთ ჭანეთის რამდენიმე ქართული ეკლესია	
იონერვიუ ქველმოქმედან – პატონი ზაურ თათვიძე	49
ომარ კაპანაძე	52
1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში და ვანელთა მონაწილეობა	
რევოლუციურ პროცესებში	
ილირა გოგოძე	69
შოთა რუსთაველი მსოფლიო რენესანსული აზროვნების მესაძირკულე	
ნანა გოჯილაშვილი	71
„გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია“	
აკაკი თევზაძე	85
ვანის საყოფაცხოვრებო პოეზია	
კოპა არაგული	93
ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა გადაჯაჭვულია	
შალვა შარაშვილი	96
სამედიცინო დარგის განვითარების ტენდენციები „ვანის“ სოფლების მიხედვით	
გურამ ჟელთაძე	101
თამაშთა თეორია – მათემატიკის დარგი, რომელიც ყველას გვჭირდება ცხოვრებაში	
ქრისტინა მექალიძა	108
საარქივო საქმის ვითარება საქართველოში 1937-1939 წლებში	
ომარ გაგუნია	114
ზოგი რამ ვანელ ახვლედიანთა წარმომავლობის შესახებ	

ამინაციური განვითარების მინისტრის

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ესროვალთა წარმომავლობის სამავალიან

ვაგრძელებთ რა საუბარს ცალკეული პროექტთული ხალხების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მოკლედ შევეხოთ მათი განსახლების გეოგრაფიას კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით.

როგორც ცნობილი მეცნიერი ბ. გრეინშპოლე (და ბევრი სხვაც) წერს, დასავლეთ ევროპის პირველი ამთვისებლები პროტოეართველები იყვნენ, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი, მხოლოდ დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდნენ. მათი განსახლების არეალი ძალიან დიდი იყო და, როგორც ებრაელი მეცნიერი ლ. ვრანი წერს, კოლხ-იბერთა პირველი განსახლების ადგილი მთელ ევრაზიას მოიცავდა.

პროტოეართველები ცხოვრობდნენ – დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში, შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებზე, ჩრდილოეთ აფრიკაში სუდანის ჩათვლით, ირანის ზაგროსის მთიანეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში და აღესტინისა და ყალმუხეთის ჩათვლით, სამხრეთ რუსეთში ყაზანამდე და რიაზანამდე, ყირიმში, მთელს ამიერკავკასიაში კასპიის ზღვამდე, მცირე აზიაში, ახლო აღმოსავლეთში მენამულ ზღვამდე, მესოპოტამიაში (შუა მდინარეთში), ინდოეთსა და შრილანკაში (ეს ყველაფერი რაც მსოფლიოს მეცნიერების მიერ უკვე აღიარებული და დამტკიცებულია) და ჰიპოთეზის დონემდე იაპონიისა და აღდგომის კუნძულებზე და სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკაში.

მსოფლიო სახელის მქონე XIX საუკუნის დიდი გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტი თვლიდა, რომ ევროპის გვიანდელი მოსახლეობა პროტოიბერიული რასიდან მოდის, რომელთაგან, მხოლოდ ბასკები და ქართველები გადარჩნენ.

შოტლანდიელმა მეცნიერმა დ. მაკლეოდიმ კიდევ უფრო დააკონკრეტა ყოველივე ეს და წერს, რომ ინდოევროპელთა მოსვლამდე ევროპაში ბატონობდა იბერიული რასა – კავკასიაში ქართველები, საბერძნეთში პელაზგები, იტალიაში ეტრუსკები, ესპანეთში იბერები და ბრიტანეთში პიქტები.

ამ მოსაზრების სისწორეს ციურიხის გენეალოგიული კვლევის ცენტრის დირექტორის რ. შოლცის კვლევებიც ადასტურებს, რომელმაც დნმ კვლევის საფუძველზე სენსაციური აღმოჩენები გააკეთა: გაირკვა, რომ ესპანელთა 80%, ბრიტანელთა და ფრანგთა 70%, შვეიცარიელთა 45% და გერმანელთა 50% ქართული გენები აქვთ, უფრო მეტიც, თვით ეგვიპტის ფარაონ თუთანპამონსაც კი ქართული გენები აღმოაჩნდა. რ. შოლცის აზრით, ეს იმიტომ, რომ ევროპელთა წინაპრები 9 500 წლის წინათ ჯერ კიდევ კავკასიაში ცხოვრობდნენ და ისინი, მხოლოდ 7 000 წლის წინათ გადავიდნენ ევროპაში საცხოვრებლად, როგორც მისი პირველამთვისებლები. 4 800 წლის წინათ კი ქართველებმა, პირველებმა, ცხენიც მოიშინაურეს და ავსტრიის ტერიტორიაზე ბადენური კულტურაც შექმნეს.

ეხებოდა რა კაცობრიობის მიერ წარღვნის შემდგომ განვლილ გზას. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ნიკო მარი წერდა, რომ ეს გზა ასეთი იყო: ნიუ + მისი ძე + იაფეტური (პროტოიბერიული) კაცობრიობა. იაფეტი ნოესთან ერთად გადაურჩა წარღვნას და ქართველთა წინაპრად, სწორედ, იაფეტის შვილიშვილი თარგამოსი (იაფეტის შვილ თარაშის ძე) არის მიჩნეული. აი, ამ თარგამოსის მეორე შვილი იყო ქართლოსი. რა თქმა უნდა, ეს უფრო ლეგენდას ჩამოჰვავს, რადგან მეცნიერული თვალსაზრისით ნ. მარი მხარს იმ მოსაზრებას უჭერდა, რომ პროტოქართული ტომები მცირე აზიდან გაიფანტნენ და მათ მჭიდრო ნათესაობა აკავშირებდათ ბასკებსა და ურარტუელებთან.

პროტოქართველების სალაპარაკო ენა

მოკლედ შევეხოთ პროტოქართველების სალაპარაკო ენის საკითხებაც, რადგან უფრო კონკრეტულად მას, ცალკეული ტომის საკითხის განხილვის დროს შევეხები.

ზოგადად, მეტყველების განვითარებამ ასეთი გზა განვლო: ა) ჰომოერექტუსის დროს (200 000 წლამდე) გაჩნდა დანაწევრებული მეტყველება; ბ) ნეანდერტალების დროს (200 000 – 40 000 წ.) უკვე მეტყველება პრიმიტიული იყო და თან სხვადასხვა ენაზე მეტყველებაც დაიწყო; გ) კრომანიონები ადამიანის დროს (40 000 – 6 000 წლებში) ადამიანთა მეტყველება ახალ დონეზე განვითარდა და ფართოდ დამკვიდრდა სხვადასხვა ენებზე მეტყველება, ამავე პერიოდში 8 500 – 8 000 წლების წინათ კი ენობრივი ჯგუფებიც ჩამოყალიბდა.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კაცობრიობის პირველი ენა იყო კოლხური (იბერიული) – პელაზგური ენა, როგორც აშშ ერთ-ერთი ტელევიზიის არხმა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ სპეციალურ სამეცნიერო გადაცემაში აღნიშნა, 15 000 წლის წინ (ე. ი. ატლანტისის ჩაძირვამდე, წარლვნამდე) მთელი ევრაზია პროტოქართულ ენაზე ლაპარაკობდა. თითქმის, იგივე აზრის იყო ჰუმბოლდტიც, რომელიც თვლიდა, რომ დასავლთ ევროპაში იბერიული (კოლხური) ენა ბატონობდა. (მკითხველს შევახსენებ, რომ პროტოქართველთა თავდაპირველი სახელწოდება იბერები იყო და მათ შემდეგში ენოდათ კოლხები).

გამოჩენილი ენათმეცნიერი ი. ბრაუნი კი თვლის, რომ მსოფლიოში უძველესია ქართველური ენები და მათი წინამორბედი იყო 7 600 წლის წინათ გაჩენილი საერთო ქართველური ფუძე ენა, რომელმაც დაშლა 4700 წლის წინათ დაიწყო და პირველი მას ბასკური ენა გამოეყო, შემდეგ კი თანმიმდევრობით – სვანური, ზანური და ქართული ენებიც.

რაც შეეხება დამწერლობას, აქ საქმე ცოტა უფრო სხვაგვარად არის, რადგან არსებობს რამდენიმე მკვეთრად განსხვავებული პოზიცია. საქმეს ართულებს ისიც, რომ ესა თუ ის მეცნიერი თავისი პოზიციისაგან განსხვავებულ პოზიციას ან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყოფს, ანდა დუმილით უვლის მას გვერდს, რაც სულაც არ შევლის ჭეშმარიტებასთან მიახლოებას. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ყველაზე უძველესი დამწერლობა კოლხმა-იბერებმა, ჯერ კიდევ 40 000 წლის წინათ შექმნეს კირბების სახით, რისი მატერიალური დადასტურებაც (წარწერებიანი ქვები) არსებობს.

მაგრამ, რატომდაც ყველა დუმილით უვლის გვერდს 2006 წელს ტამირზე (ხატანგასთან) აღმოჩენილ 17 000 წლის წინანდელ 15 მ სიდიდის უამრავ წიგნს (რომლის შექმნის თარიღი ეჭვს არ იწვევს) და რომელიც გაუშიფრავია. არავინ იცის რა ენაზე (ენებზე), ან რომელი ხალხის (ხალხების) მიერ არის შექმნილი ეს წიგნები. საინტერესოა ისიც, რომ ეს წიგნები იქ, ტამირზეა შექმნილი თუ არა? თუ იქ არის შექმნილი, მაშინ ალბათ, დასტურდება ის, რომ დედამიწაზე 11 000 წლის წინ მომხდარმა კატასტროფამ მართლაც შეცვალა პოლუსის მდებარეობა.

ასევე ბურუსითაა მოცული და წაუკითხავია ჩინეთში ნაპოვნი წარწერებიანი ქვაც, რომლის შექმნის თარიღი 10 000 წლით თარიღდება.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ დასტურდება – დამწერლობა უკვე იცოდნენ ატლანტისზე, სადაც ჩვენი შორეული წინაპრები – კოლხუა-იბერები ცხოვრობდნენ. ამ აზრისაა ამერიკელი მეცნიერი ე. მატფორდიც, რომელიც წერს, რომ ალფავიტი წარლვნამდეც არსებობდა.

ფაქტიურად, იგივეს ადასტურებს პ. სმიტიც (აშშ), რომელიც წერს, რომ ადამია შეადგინა მცნებათა წიგნი. ე. ი. რაკი წიგნი შეადგინა, არსებობდა დამწერლობაც, დამწერლობა რომ არ ყოფილიყო, ისე წიგნს როგორ შეადგენდა?

ადამიანებმა დამწერლობათა შექმნის რამდენიმე საფეხური გაიარეს. პირველად ის გვაროვნულ წყობილებაში შეიქმნა პიეტორაფიული (ხატოვანი) დამწერლობის სახით. შეიძლება ითქვას, რომ ის ფაქტიურად არც იყო დამწერლობა, რადგან ნახატს წარმოადგენდა და მხოლოდ შემახსენებელ ფუნქციას ასრულებდა. გავრცელებული იყო ჩრდილოეთ ამერიკაში, მელანეზიაში, აფრიკასა და რუსეთის ჩრდილოეთში.

მეორე ეტაპი იყო იდეოგრაფია, რომელიც გავრცელებული იყო შუმერში (III ათასწლეულში), ინდიელებში, აღდგომის კუნძულსა და ჩუკოტკაზე.

მესამე იყო ლოგოგრაფიულ-სილაბური, ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი, რომელიც იყო ძველ

ეგვიპტური (IV ათასწლეული) და შუმერული (III ათასწლეული), თუმცა ჰქონდა სახეობები (სოლისებრი ანუ აქადური), პროტოელამური იეროგლიფური (III ათასწლეული), პროტოინდური (III ათასწლეული), კრეტული (II ათასწლეული), ჩინური (II ათასწლეული), ხეთური (II ათასწლეული) და მაიას (ახ.წ. I ათასწლეული).

მეოთხე იყო სილაბური ანუ მარცვლოვანი, რომელსაც 5 ჯგუფი აქვს:

- სოლისებრი სილაბური (ელამური და ძველი ორანული).
- დასავლეთ სემიტური სილაბური (სინაური და პროტოპალესტინური).
- ბიბლოსის, კვიპროსისა და ფესტოსის სილაბური, რომელიც კრეტული ლოგოგრაფიულ-სილაბურიდან მოდის).

დ) იაპონური და კორეული, რომელიც ჩინურის გამარტივებითაა მიღებული.

ე) ინდური და ეთიოპური სილაბური.

გაანბანურების გზას ყველაზე ადრე დაადგა ძველი ორანული სოლისებრი (ძვ. წ. VI-IV საუკუნიდან), თუმცა, ვერ მოასწრო ნამდვილ ანბანად ქცეულიყო. მარცვლოვანი დამწერლობები უფრო ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გავრცელდა.

მეხუთე იყო ანბანური სისტემები, რომელიც II ათასწლეულიდან იღებს სათავეს ძველი სემიტურიდან, ფინიკიიდან, სირიიდან და პალესტინიდან. ფინიკიური საფუძვლად დაედო წინააზიურ და ბერძნულ დამწერლობებს, რითაც საფუძველი ჩაეყარა დასავლურ ანბანურ სისტემებს. ფინიკიური, აგრეთვე დაედო საფუძვლად არამეულსაც, რამაც მთელს შუა და ახლო აღმოსავლეთში დაუდო სათავე ანბანებს. არამეულის ერთ შტოს წარმოადგენდა არმაზული დამწერლობაც.

არამეულის და ბერძნულის პრინციპებით ჩამოყალიბდა ქართული დამწერლობაც, რომლის სამი სახეობა არსებობს: მრგლოვანი ანუ ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. ფინიკიურის საფუძველზე შეიქმნა ბერძნული დამწერლობაც (არქაული ბერძნული IX-V ს), დასავლეთ ბერძნულის საფუძველზე კი VII საუკუნეში შეიქმნა ეტრუსკული, ლათინური (VI ს) და გერმანული რუნული (III ს) დამწერლობებიც.

სოლისებრი (ლურსმული) დამწერლობა III ათასწლეულში შუმერებმა შექმნეს და გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში. თავიდან, მისი წერის მიმართულება იყო ვერტიკალური და მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო შემდეგ პორიზონტალური და მარცხნიდან მარჯვნივ.

III ათასწლეულშივე გადაიღეს ის აქადელებმა, ასურელებმა, ელამელებმა, ხეთებმა, ხურითებმა, ლუვიელებმა, ურარტუელებმა და სპარსელებმა, მაგრამ I ათასწლეულის შუა ხანებიდან ის გამოვიდა მასიური ხმარებიდან და, მხოლოდ იურიდიული და რელიგიური ტექსტები-სათვის იყენებდნენ აქადურსა და შუმერულზე.

თავისებური იყო II ათასწლეულში უგარიტში შექმნილი სოლისებრი დამწერლობაც, სადაც ის გამოიყენეს, როგორც ანბანური დამწერლობა. გაანბანურების გზას დაადგა ის ძველ სპარსულ ენაშიც, მაგრამ მისი განვითარება შეწყდა ძვ. წ. IV ს. და დარჩა, მხოლოდ მარცვლოვან დამწერლობად.

IV ათასწლეულის ბოლოდან გაჩნდა იეროგლიფური დამწერლობის ეგვიპტური ხატოვანი ნიშნები, II ათასწლეულიდან კი ჩინური და ხეთური.

ძალზე საინტერესოა ისიც, რომ ერთმანეთს ჰგავს კანარელი გუანჩების, ამერიკელ ინდიელთა, შუმერთა, ეგვიპტელთა და ოკეანის კუნძულთა დამწერლობები. საიდან ეს მსგავსება? ხომ არა აქვთ ყველას ამათ ერთი საფუძველი და ერთი წყარო? და ეს წყარო და საფუძველი ხომ არ არის ატლანტისელი კოლხ-იბერები, რომლებიც მისი ჩაძირვის შემდეგ მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ? (გუანჩების გარდა, რადგან ისინი თვლიან, რომ დარჩნენ ჩაძირულნი ატლანტისის გადარჩენილ ნაწილზე).

მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირველი ლურსმული დამწერლობა IV ათასწლეულში (ე.ი. 6000 წლის წინათ) მესოპოტამიაში გაჩნდა და ის, ჩვენმა კოლხმა (იბერიელმა) წინაპრებმა შექმნეს, ოღონდ მას განაწყენებულმა ოპერეტმა შუმერული უწოდა, რომელშიც ის ნამდვილ შუმერებს კი არა, შავთავიან შუმერებს გულისხმობდა.

სხვაგვარად არის „გილგამეშიანში,“ თუ მისი მიხედვით ვიმსჯელებთ, მზის შეილმა ენმერ-ქარმა – ურუქის მეფემ, დამწერლობა თიხის ფირფიტაზე 4 000 ნლის წინათ შექმნა, რასაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ფესტოსის დისკოს შექმნის თარიღიც, რომელიც კოლხურ (მი-სონურ-პელაზგურ) უძველეს წერით ნიმუშს წარმოადგენს. ეს დამთხვევა სულაც არ არის, შემთხვევითია, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს კოლხი-იბერების მიერ დამწერლობის შექმნასთან. ალბათ, ფინიკიურ ალფავიტისაც პელაზგურს, ე. ი. კოლხურს, იმიტომ უნოდებენ, რომ ის სათავეს სწორედ მისგან იღებს?

III ათასწლეულში იეროგლიფური (ხატოვანი და ლურსმული) დამწერლობა ჩვენმა წინაპარმა სუბარებმა და ხეთელებმაც შექმნეს. ნუთუ, აქაც შემთხვევითია ქრონოლოგიური დამთხვევა? IV ათასწლეულში პირველი ლურსმული დამწერლობა იქმნება მესოპოტამიაში კოლხი-იბერების მიერ და III ათასწლეულში იმავეს ქმნიან ასევე ჩვენი წინაპრები — სუბარები და ხეთები, ოღონდ მცირე აზიაში. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მცდარია მოსაზრება პირველი ან-ბანური დამწერლობის ძვ. წ. 1750 წ. უგარიტში შექმნის შესახებ, რადგან სხვას ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ ტაიმირის 17 000 ნლის წინანდელ წიგნებს და 10 000 ნლის ჩინურ გაუშიფრავ ქვას?

გადასახედია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ, როგორც ამას პროფესორი რ. პატარიძე ასაბუთებს თავის კარგ წიგნში „ქართული ასომთავრული.“ ქართული ასომთავრული დამწერლობა გაჩნდა ძვ. წ. V ს. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ რა ვუყოთ დღემდე გაუშიფრავ 7 000 ნლის წინანდელ ქვებზე შესრულებულ უამრავ ხევსურულ წარწერას, რომლებიც გვინდა თუ არ გვინდა არსებობენ, დროდადრო თავს გვახსენებენ და პასუხის გაცემას ითხოვენ? ანდა დავათის სტელას, რომელზეც 37 ქართული ასომთავრული ანბანი და ციფრი 5 320 არის გამოსახული, რაც მისი (ამ ანბანის) შექმნის თარიღად ძვ. წ. 680 წ. მიგვანიშნებს? ყოველივე ამას მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა უნდა.

ეტრუსკები

მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხს ეტრუსკებს (ტირენებს) ძველ ავტორთა გარკვეული ნაწილი ატლანტისიდან მოსულებად თვლიდნენ. მაგალითად, დ. პალიკარნასელი მათ ატლანტისელთა შთამომავლებად და აპენინის ნახევარკუნძულის ავტოქთონებად მიიჩნევდა, ხოლო პლატონი თვლიდა, რომ ეტრუსკები (ტირენები) წარღვნამდელი, ჰერაკლეს დროინდელი ხალხი იყო და ესპანეთის ქ. გადირის (კადისის) ახლოს მდებარე ქ. ტარტესის მოსახლეობაც ეტრუსკები (ტირენები) იყვნენ.

ჰეროდოტე და ტაციტუსი კი თვლიდნენ, რომ ტირენია ანუ ეტრურია ლიდიის მეფე ტირენ ატირის ძემ დაარსა.

საერთოდ, ეტრუსკების წარმოშობაზე ოთხი ჰიპოთეზა არსებობს. 1. არიან ჩრდილოეთიდან მოსულები, 2. არიან ავტოქთონები 3. არიან მცირე აზიიდან მოსულები (ჰეროდოტე), 4. არიან კოლხეთიდან მისულები და 6 000 ნლის წინ გადავიდნენ აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე, ხმელთაშუა ზღვის აუზსა და სანაპიროებზე, ევროპასა და აფრიკაში. მაშინ ისინი კუნძულ ლემნოსზეც დამკვიდრდნენ, საიდანაც ბერძნების მისვლის შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდნენ და იქ საფუძველი ჩაუყარეს რომაულ ცივილიზაციას (რომელიც მესამე იყო დედამინაზე არსებულ ცივილიზაციათა შორის) და მედიტერიანულ კულტურას.

ეტრუსკებს კოლხეთიდან მისულებად თვლიდნენ ე. დემოლინსი და ბ. კუფტინიც. უფრო მეტიც, თვლიან, რომ იტალია დააპარსა ცირას შეილმა (აიეტის დისშვილმა) იტალმა, ხოლო ლათინი – ლათინებისა და ლათინური ენის შემქმნელი იყო, კოლხი ქალღმერთის კირკეს (ცირცეს, ცირას) შვილი (აიეტის დისშვილი), რითაც აიხსნება ლათინურ ენაში ასობით ქართული სიტყვის შესვლა. მაგალითად, გუგუიუს – გუგული, ოფოფი – ოფოფი, სკამი – სკამი, ფუფუ – ფუფუ (ცუდი), ფაზანი – ხოხობი (ფაზისიდან) და ა. შ.

ეტრუსკებმა 753 წელს ააგეს ქ. რომი, რომელსაც 600-500 ნლებში ეტრუსკი ტარკვინიუსების დინასტია მართავდა.

ჰეროდოტე იმასაც წერდა, რომ განსაკუთრებულ სიძლიერეს ეტრუსკებმა ძვ. წ. VIII-I საუ-

კუნებში მიაღწიეს და მათი მოხარკე კორსიკაც კი იყო. ისინი მცირე აზიდან (ზოგი ვარაუდით ლიდიდან) მეფე ტირენის მეთაურობით მივიღნენ და შექმნეს 12 ქალაქი, სახელმწიფო. მცირე აზიდან მისულობის მომხრეების პოზიციებს უთუოდ ამყარებს ის, რომ ეტრუსკთა სკულპტურები მრავლად შეიცავენ ხეთურ ელემენტებს.

ეტრუსკები ანთროპოლოგიურად ორად იყოფოდნენ: პირველი იყო აბორიგენული და მეორე აღმოსავლურ-მედიტერიანული ტიპი (თვითონ თვლიდნენ, რომ ეთნიკურად აღმოსავლელები იყვნენ).

ეტრუსკები პროტოქართველებად მიაჩნდა ჰემილტონსაც, რომელიც თვლიდა, რომ ლაზები, ეტრუსკები და ტროელები ერთნი იყვნენ.

ეტრუსკების კოლხეთიდან დასავლეთისაკენ წასვლის გამოძახილი უთუოდ არის რუსი უურ-ნალისტის ო. სოლოვიოვას მიერ 2006 წ. კუნძულ სარდინიაზე ნახული ქართული ცეკვა, რომელსაც იქაურთა გადმოცემით ძველი ფესვები აქვს და სათავეს იღებს იბერიელთა დასავლეთისაკენ მიგრაციის დროიდანო. ჩვენ კი, აქ გავლილი იბერიელების (კოლხების) შთამომავლები ვართო.

ეტრუსკებს 40 ლმერთი ჰყავდათ, რომელთაგან მთავარი მამრი ტინი და მდედრები მენევრა და უნი იყვნენ. მათ VI საუკუნეში შექმნეს 12 ქალაქის ფედერაცია, დააარსეს ქ. ბოლონია და რავენა, დაიპყრეს კორსიკა და ვოლსკები, დაამარცხეს რომი და ა. შ.

ამ 12 ქალაქ-სახელმწიფოს თავთავიანთი მეფეები ჰყავდათ და ისინი მხოლოდ რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისით ერთიანდებოდნენ და ირჩევდნენ მეფე-ქურუმს, რომელიც ქ. ვოლსინში იჯდა. მათში ძლიერი იყო მატრიარქატის გადმონაშთები და იყო ქალის, დედის კულტი. ქალი თავისი უფლებებით მამაკაცს უთანასწორდებოდა.

ამ ყველაფრის შესახებ მოთხრობილი იყო მათ წმინდა წიგნ „დისციპლინა ეტრუსკაში.“ ცალკე ფენომენს წარმოადგენს ეტრუსკული ენა, რომელიც ლემნოსური ნაწერების ენას ჰგავს და ჭარბად შეიცავს ეგეოსურ-მცირე აზიურ ელემენტებს. ეტრუსკული ენა საერთო ქართველური ენის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა. ეტყობა მის შექმნაში მონაწილეობდნენ ავტოქთონი მედიტერიანები, პელაზგები, დასავლეთ მცირე აზიელები და ანატოლიელები. დღეისათვის დაუდგენელია ენის სტრუქტურა. ბევრი მას ხეთურს, კავკასიურს, (ქართულს) ბასკურს, ალბანურს, დრავიდულს და ა. შ. უკავშირებს.

ეტრუსკული ენა არც ერთ სხვა ენას არ ჰგავს და დღემდე გაუგებარია. ის ტიპოლოგიურად (გრამატიკა და ლექსიკა) უფრო ქართველურ ენებს ჰგავს. საყურადღებოა ისიც, რომ ხევსურეთში მიკვლეული 7000 წ. წინანდელი ქვების წარწერები ვიზუალურად ძალიან ჰგავს ეტრუსკულს.

ჩვენამდე მოაღწია 11 000-მდე ეტრუსკულმა წარწერამ, ძირითადად, ბერძნული ანბანით. თუმცა, გვხვდება ორენოვანიც – ეტრუსკულ-ბერძნული და ეტრუსკულ-ლათინური, რომელთაგან, მხოლოდ 300-ის გაშიფვრა მოხერხდა, ისიც გამიფრულია მხოლოდ რელიგიური ტექსტები, საფლავის ქვებისა და ყოფითი წარწერები და ბილინგვები (ორენოვანი)წარწერები. დანარჩენები კი მომავალ მკვლევარებს ელოდებიან.

ეტრუსკული დამწერლობა ძვ. წ. VIII საუკუნიდან დასავლურ ბერძნული დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა. თუმცა, მეორე მოსაზრებით ეტრუსკებმა საკუთარი დამწერლობა კუნძულ ლემნოსზე პელაზგური ენის გამოყენებით შექმნეს (სხვათა შორის იტალიაშიც ანბანური დამწერლობა მათ გაავრცელეს).

საინტერესო იყო ეტრუსკული წერის წესებიც. ისინი სიტყვებს არ აცილებდნენ და ასეთ ნაირად წერდნენ:

- I სტრიქონი —————> იწყებოდა მარცხნიდან
- II სტრიქონი <———— იწყებოდა მარჯვნიდან
- III სტრიქონი —————> იწყებოდა მარცხნიდან
- IV სრტიქონი <———— იწყებოდა მარჯვნიდან და ა. შ.

ვფიქრობ, წერის ასეთი რთული სისტემის არსებობამ ვერ გახადა შესაძლებელი ეტრუსკული ენის გაშიფვრა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მსოფლიოს უამრავი მეცნიერი 1800 წელია

გულმოდგინედ მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ეტრუსკების განსაკუთრებული კულტურული აღმავლობა VIII ს. (მათი უძველესი ძეგლები VIII–VII ს.მიეკუთვნება) დაიწყო და აყვავებას VI-V და III ს. მიაღწია. მათ კულტურას ბევრი საერთო ჰქონდა ბერძნულსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველ ხალხთა კულტურებთან, ხოლო შემდეგ ის ელინურის გავლენის ქვეშ მოექცა. საბოლოოდ, ეტრუსკების კულტურული მონაპოვარი რომს გადაეცა (სპორტული თამაშები, გლადიატორობა და ა. შ.).

509 წელს რომაელებმა მოახერხეს და ტარკვინიუსები რომიდან განდევნეს, რამაც დასაბამი მისცა ეტრუსკების დასუსტებას. მისი მიწების ნაწილი კელტებმაც დაიპყრეს. III საუკუნეში ეტრუსკები რომმა წელში საბოლოოდ გადატეხა, დაიწყო მათი დაქვეითება და დაჩქარებული ასიმილაცია – რომის ხელში გადასვლა, რაც კიდევ უფრო დაჩქარდა ძველი და ახალი წელ-თაღრიცხვის მიჯნაზე.

ახალი წელთაღრიცხვის 20-იანი წლებიდან კი ეტრუსკული ენა და დამწერლობა კი, მხოლოდ საკულტო წესების შესასრულებლად შემორჩა ახ. წ. II საუკუნემდე.

ეგვიპტე

ქართული კვალი შემორჩენილია ეგვიპტეშიც, სადაც ცივილიზაცია, როგორც ამას ცნობილი ებრაელი მეცნიერი ი. მოსენსკისი წერს წიგნში „პირველ ცივილიზაციათა ქართული კვალი,“ IV ათასწლეულში ეგვიპტეში პროტოქართველების მისვლის შემდეგ პროტოქართულ ცივილიზაციაზე დაყრდნობით შეიქმნა. ეს მოსაზრება ახალი არ არის და როგორც ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიერ 1948 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორია“ წერდა, ხეთურ-იბერიული მოდგმის ხალხი ეგვიპტეში (ქიმეთში) და სუდანში ჯერ კიდევ 6000 წლის წინათ ცხოვრობდა.

გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ეგვიპტეში ასტროლოგის, ასტრონომიის (ეგვიპტეში, სწორედ, აიეტის ძმა აქციუსმა დაარსა ქ. ჰელიოპოლია, სადაც ასტრონომიასა და ასტროლოგიას ასწავლიდნენ, რაც შემდეგში მთელმა მსოფლიომ გაიცნო), მათემატიკის, დროის ანგარიშის, ციფრების, იეროგლიფების, კალენდრის, პირამიდების აგების (პირველი ხეოფსის პირამიდა იქ 2600 წ. აიგო, მაშინ როცა კოლხებმა ის 6000 წ. წინ ააგეს), წყლისა და მზის საათები, მზის კულტი, მუმიების კეთება (პირველი მუმია III ათასწლეულში დედოფალ ხეტემი ხერესისა იყო), ლითონის, ოქროსა და ვერცხლის დამუშავების წესები, მინის, მაღალი დონის მედიცინის, გამჭირვალე ქსოვილების, მხატვრობის შექმნა და ა.შ. პროტოქართველებთან არის დაკავშირებული და სწორედ, მათ შეიტანეს ეს ყველაფერი იქ. ეგვიპტელთა კულტურაზე კოლხურმა კულტურამ სხვა მხრივაც მოახდინა დიდი გავლენა, რადგან გერმანელი მეცნიერის შ. შრენგელის აზრით, სწორედ კოლხებისაგან ისწავლეს მათ მიწათმოქმედება, წამალთმცოდნეობა, ღვთაებები და ა. შ.

ჯერ კიდევ ჰეროდოტე წერდა, რომ ეგვიპტელები და კოლხები ერთნი იყვნენ, ჰქონდათ მსგავსი ენები და ცხოვრების წესი, ფარაონებიც გენეტიკურად იბერიელები იყვნენ, რასაც თუთანკამინის დნმ ანალიზიც ადასტურებს, რომელსაც ქართული დნმ აღმოაჩნდა და ეს კი რ. შოლცმა შეისწავლა. მისი აზრით ეგვიპტეში 7 000 წ. წინ გადავიდნენ.

ეგვიპტელ ფარაონთა კოლხებთან მჭიდრო კავშირზე ისიც მიუთითებს, რომ ფარაონთა სამარხებში კოლხური ოქროულობაც მრავლად არის ნაპოვნი.

საინტერესო გამოდგა ვლ. ალფენიძის მიერ შედგენილი კოლხურ-ეგვიპტური ლექსიკონიც, რომელშიც ბევრი ენობრივი მსგავსება აღმოჩნდა. მაგალითად, ეგვიპტელებისათვის მთვარისა და ცოდნის ღმერთი იყო თოთი, რაც კოლხებისათვის (მათი ღღევანდელი შთამომავალი მეგრელებისთვისაც) თუთა არის, ეგვიპტურად შენება არის კედ, ქართულად – კედელი,

ეგვიპტურად პური არის ბერი, ქართულად – პური,

ეგვიპტურად უფალი არის უბენი, ქართულად – უფალი,

ეგვიპტურად სამეფო ტიტული არის ბატ, ქართულად – ბატონი და ა. შ.

ქართულ-ეგვიპტური მჭიდრო ურთიერთობების შესახებ მრავლის მეტყველია სხვა კავშირებიც. მაგალითად, XIV ს. ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის (II ვარიანტით უნაჩინას) ცოლი გახლდა

მითანის ქართული სამეფოს, მეფის, რატის და – ნეფერტიტი (თათუ) (სხვათა შორის ნეფერტიტი ტი უცხოეთიდან ჩამოსულ ლამაზ ქალბატონს ნიშნავს). მაგრამ ეხნატონი მალე გარდაიცვალა და ნეფერტიტი (თათუ) თვითონ გახდა მთელი 10 წელი ფარაონი, რომელსაც ოთხი წელი თანა-მოსაყდრედ თავისი ქალიშვილი ათენა ჰყავდა. რაც შეეხება მცირებლოვან თუთანპამონს, ის, ფარაონი, მხოლოდ ნეფერტიტის (თათუს) სიკვდილის შემდეგ გახდა და ქვეყანას დედის ძმის, აიეს დახმარებით მართავდა, რომელიც ეგვიპტის უმაღლესი ქურუმი და ქვეყნის ფაქტიური მმართველიც იყო, ხოლო თუთანპამონის გარდაცვალების შემდეგ მთელი 10 წელი ფარაონიც იყო. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ცნობილი ეპრაელი მეცნიერის ი. მოსენსკისის შესანიშნავი წიგნი „ქართველები ძველების ტური კულ-ტურის შემქმნელები“.

პელაზგები

ა. როდოსელის აზრით, პელაზგები ზღვის ხალხი იყო და ისინი არკადიაში ჯერ კიდევ წარ-ლვნამდე ცხოვრობდნენ. მათ ელინებამდე იქ მაშინ უცხოვრიათ, როცა ყველა ციური სხეული ჯერაც არ ბრწყინავდა ცარგვალზე (გვაისხენოთ ე. ი. დედამიწის მიერ მთვარის მიტაცე-ბამდე); დანახლთა რასა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი და პელაზგთა ქვეყანას დევგალიონის შვილნი ჯერაც არ განაგებდნენ.

პელაზგებს თავიდან იბერები ერქვათ და ქვეყანასაც იბერია ეწოდებოდა. მეორე ვარაუდით, ისინი თავიდან კავკასიაში, მცირე აზიასა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე ცხოვ-რობდნენ, ხოლო მოგვიანებით, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კუნძულ კრეტასა და კუნძულ ლემნოსზე და ტროაშიც დამკვიდრდნენ (ტროელებიც ქართველები, კოლხები, პელაზგები იყვნენ). ყოველივე ამას ნაწილობრივ გერმანელი არქეოლოგის შმიდტის მიერ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მიკვლეული 11 000 ტაძარიც ადასტურებს, რომლებიც შმიდტის აზრით ქართული წარმომავლობისანი უნდა იყვნენ და მათზე მოცემული წარწერის მაგვარი ნიშნებიც ძველ-კოლხურ-იბერიულ ნაწერებს მიაგავს.

პელაზგი (პელაგონი) კოლხური სიტყვა და ის ლრმას, ჩქარს, საშიშ მდინარეს, დაუოკებელ ძალას ნიშნავს.

სტრაბონის აზრით პელაზგები უძველესი ხალხი და ყველა ტომის მამამთავრები იყვნენ.

პლუტარქე, ა. როდოსელი, იგივე სტრაბონი, ჰეროდოტე და ჰესიოდეც თვლიდნენ, რომ დე-დამიწის პირველი ადამიანი პელაზგი იყო და სწორედ მათ შექმნეს ღმერთების კულტები.

ჰეროდოტე უფრო შორსაც წავიდა და პირდაპირ განაცხადა, რომ კოლხები, რომლებიც მთელ საქართველოში იყვნენ განფენილნი და სავარაუდოდ, ატლანტისიდან მოვიდნენ, წინაპრები პელაზგები იყვნენ. ისინი საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველაზე უძველესი კოლხ-ური ტომი იყო და სწორედ მათ შემოიღეს იქ ღმერთების კულტი.

გერმანელი მეცნიერის ე. კორციუსის აზრითაც, ისტორიის დასაწყისში ელადის ცენტრში სწორედ პელაზგები იდგნენ.

პელაზგები რომ კოლხები იყვნენ, პირველებმა შექმნეს მედიტერიანული კულტურა და კოლხეთიდან გადავიდნენ საცხოვრებლად ბალკანეთისა და აპენინის ნახევარკუნძულებზე და ხმელთაშუა ზღვის აუზში, რაც ფრანგი მეცნიერის ე. დემოლინისა და პოლანდიელი ენათ-მეცნიერის ფურნიეს კვლევებმაც დაადასტურეს. მაგალითად, ფურნიემ ამ რეგიონში უძველეს პერიოდში 5000-მდე ქართული პელაზგური სიტყვის არსებობას (გავრცელებას) მიაკვლია.

რუსი აკადმიკოსის ა. ნოგოვიცინის აზრით კი, ბერძნების პირველი მასწავლებლები ღვ-თაებრივი წარმოშობის ხალხი – პელაზგები იყვნენ და მათ ცივილიზაცია და დამწერლობაც პელაზგებისაგან მიიღეს. სწორედ, ამიტომ, როგორც ავსტრიელი მეცნიერი კრეჩმერი წერს, ბერძნულში ბევრი არის პელაზგურიდან შესული სიტყვები.

XV საუკუნიდან ბერძნებმა ბალკანეთიდან კუნძულებზეც მოიკიდეს ფეხი და განსაკუთრებით დაინტერეს კრეტაზე მცხოვრებ კოლხ-პელაზგთა განადგურება, სადაც XX-XV საუკუნეებში პროტოქართველები დომინანტობდნენ და ბუნებრივია, ენაც და კულტურაც მინოსური, ე. ი. პელაზგური იყო. პელაზგური ენა კი, როგორც მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, ქართული

სტრუქტურისა და კაცობრიობის პირველ ენას წამოადგენდა და ეს ყველაფერი XIII-XII ს. კოლხ-პელაზგთა და მათი ცივილიზაციის განადგურებითა და VII ს. ასიმილაციით დასრულდა.

XIII ს. ბერძნებმა ტროას კოლხურ-პელაზგური ცივილიზაციაც მოსპეს, რომელიც კუნძულების კოლხურ-პელაზგურ ცივილიზაციასთან ერთად ბერძნული ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენდა.

ამიტომ იყო სწორი ზ. გამსახურდია, როცა წერდა, რომ პელაზგური კულტურა ელინურ პერიოდში დაკინიდა და განადგურდაო.

გადარჩენილი პელაზგები ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, კუნძულ კრეტადან, კუნძულ ლემნოსიდან და ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა კუნძულებიდან ბერძნების მოსვლის შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე (შუა იტალიაში) გადავიდნენ, სადაც, როგორც გერმანელი მეცნიერი ოიეგერი წერს, იბერიული წარმოშობის ოსქები და საბელები ცხოვრობდნენ და იქ საფუძველი რომაულ ცივილიზაციას ჩაუყარეს, ხოლო 753 წელს ააგეს რომი (რომულუსი, ისევე როგორც აქილევსი, ზევსი და პრომეთე პელაზგები იყვნენ).

ის კი არადა ტ. ჰეიერდალის თქმით, აცტეკებში, ინკებსა და მაიაშიც ცივილიზაცია თავის დროზე პელაზგებს შეუტანიათ.

ბრიტანეთი

პროტოიბერთა კვალი შესამჩნევად ჩანს დიდი ბრიტანეთის კუნძულებზეც, რომელსაც, როგორც მსოფლიო ისტორიული ენციკლოპედია წერს, ბრიტანეთის იბერნია ატლანტელი ტიტანის, იბერის პატივსაცემად ეწოდა (თავის დროზე ატლანტისის ხალხსაც, ამიტომ ეწოდა იბერები). იბერი კი ტიტან ატლანტის ძმა იყო.

პროტოიბერები ბრიტანეთის კუნძულებზე V ათასწლეულიდან XV საუკუნემდე ცხოვრობდნენ და როგორც ტაციტუსი წერს, სწორედ, მათ მოახდინეს ამ კუნძულების პირველი კოლონიზაცია.

იგივეს ასაბუთებს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი მორტონიც, რომელიც ინგლისის ისტორიის პირველ თავს მთლიანად იბერებს უთმობს და წერს, რომ დასავლეთ ინგლისის, შოტლანდიის, უელსის, კორნუელის და ჩრდილოეთ სატერლენდის პირველი მაცხოვრებლები იბერიელები იყვნენ და ისინი იქედან სკანდინავიაშიც ხმირად გადადიოდნენ.

ფაქტიურად იგივე აზრისაა მეორე გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ი. არაკიანიც (თუმცა ის ცოტათი განსხვავებულ თარიღებს იძლევა), რომელიც წერს, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე იბერიელები III ათასწლეულის ბოლოს მოვიდნენ და იქ ძვ.წ. აღ. VIII საუკუნემდე სწორედ ისინი იყვნენ წამყვანები, შემდეგ კი კუნძულებზე გელები შეიჭრნენ. და რაკი კუნძულების პირველი მაცხოვრებლები იბერიელები იყვნენ, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ბრიტანელთა 70%-ს ქართული გენები აღმოაჩნდათ.

ებრაელი მეცნიერის ლ. ვრანის აზრით კი, იბერიელთა პირველი განსახლების ადგილი ევრაზია რომ იყო, ამას შოტლანდიური სახელწოდების ჰიბერნიანის (იბერიის) არსებობაც ადასტურებს.

მეორე ებრაელი მეცნიერის ბ. გრეინბეკლკის აზრითაც დასავლეთ ევროპის, მათ შორის ბრიტანეთისაც, პირველი ამთვისებლები ქართველების წინაპრები იყვნენ და ისინი, როგორც მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია წერს, კუნძულებზე 8500 წლის წინათ მისული იბერიული წარმოშობის პიტტები გახლდნენ, რომელთა მიერ არის აგებული ცნობილი სტინპეჯებიც (მათი ანალოგიური ნაგებობანი მხოლოდ სამხრეთ საქართველოში არსებობენ). 6000 წლის წინ კი, ბრიტანეთში დაევანდელი ესპანეთის მდინარე გვადიანის ნაპირებიდან კელტები შეიჭრნენ და პიქტები დაიმორჩილეს.

კელტებზე დამატებით ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისინი პირველ ათასწლეულში ცხოვრობდნენ მდინარეების ლუარის, რაინის და სენის აუზებში, დუნაის სათავეებში, პოს ველზე გალიაში, უფრო გვიან ბელგიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ავსტრიის მიწებზე, გვრ სამხრეთში, ჩრდილოეთ იტალიაში, ესპანეთის დასავლეთსა და ჩრდილოეთში, ბრიტანეთში, უნგრეთსა და ჩეხიაში. მათ რომაელები გალებს უწოდებდნენ. ძვ.წ. აღ. III ს. ისინი მცირე აზიაშიც შევიდნენ და გალატები ეწოდათ.

რაც შეეხება კელტურ ენებს, მას მიეკუთვნება გალური, კელტიბერიული, ბრეტონული, კორნული, უელსური, შოტლანდიური, ირლანდიური და მენური ენები, რომელთაგან გალური და კელტიბერიული მკვდარი ენებია. ყოველი მათგანი ჰგავს ხეთურ ენას.

ასევე კელტური ტომია ბრიტებიც, რომელიც ძვ.წ.აღ VIII ს-დან ცხოვრობდნენ ბრიტანეთში.

იბერიული – პროტოქართული კვალი ბრიტანეთში სხვა მხრივაც ჩანს. მაგალითად, სახელწოდება ალბიონი მოდის ხალბიონიდან (ხალბებიდან), ბრიტანეთის იბერნია – იბერიიდან, ბოდი – ბოძიდან, ბოიშ – ბიჭი, ბავშვი, ბოვში, ბოშიდან, ჰიბერნიანი – იბერიიდან და ა. შ.

შოტლანდიელი მცნიერის დ. მაკლეოდის აზრით, კელტური პოეზია ძველი იბერების სულიერებას უკავშირდება. საინტერესოა ისიც, რომ ესპანეთში აღმოჩენილ კელტურ ბარელიეფზე (მოტრონის აზრით კელტები თავიდან ჰირენეის ნახევარკუნძულზე, მდინარე გვადიანის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ) გამოსახულია ბორჯლალი, რომელიც ქართველთა ერთ-ერთ სიმბოლოს დღესაც წარმოადგენს. ამ ფაქტს ესპანელი მეცნიერები იმით ხსნიან, რომ გალისის ტერიტორიაზე 5000 წ. წინათ იბერიელი კელტ-იბერები ცხოვრობდნენ და სწორედ მათი შექმნილი იყო ეს ბარელიეფი. კელტიბერების დედაქალაქი იყო ტარტესი, სადაც ასევე აღმოჩენილი არის პექტორალი, რომელიც ჩვენს „ოქროს საწმისს“ ჩამოჰვავს.

ხეთები

ერთ-ერთი უძველესი ხალხი, რომელთა წარმომავლობა IV ათასწლეულიდან (ე.ი. 6000 წლის წინ) იღებს სათავეს, იყო მცირე აზიული პროტოხეთური წარმოშობის ხათები, რომლებმაც 2000 წელს ამავე სახელწოდების სამეფოც შექმნეს. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე მცირე აზიაში ხეთებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც, ხეთურ (ნესიტურ) ენაზე ლაპარაკობდნენ და ხათის მექვიდრეებს წამოადგენდნენ (ხეთური ეთნოსი შეიქმნა XVII საუკუნის ხათების ნესიტებთან შერევით. ხეთური (ნესური) ენა ძვ.წ.აღ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა ანატოლიაში და წერისათვის იყენებდნენ აქადურ და სირიულ სოლოსებრ დამწერლობას, რომელიც აქადურის ერთ-ერთი სახეობიდან მოდის. დედაქალაქი იყო ხათუსა (ხათუშა), რომელიც დღევანდელი ანკარის სიახლოეს მდებარეობდა.

ინგლისელი მეცნიერი ჯ. ტომსონი თვლიდა, რომ ხეთები მცირე აზიაში კავკასიიდან მივიდნენ და შექმნეს საკუთარი სამეფო. ისინი საკუთარ თავს იევუსებს უწოდებდნენ. ხეთების კავკასიელობას (კოლხობას) როგორც რუსი აკადემიკოსი პ. კუფტინი წერდა, ისიც ადასტურებს, რომ ხეთურ ცილინდრებზე ქურუმებს ხელში კოლხური ცულები უჭირავთ.

როგორც 1948 წელს გამოცემული ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“ წერდა. ხეთურ-იბერიული მოდგმის ხალხები მცირე აზიაში, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჯერ კიდევ 6000-5000 წლის წინ ცხოვრობდნენ. დედაქალაქი III ათასწლეულიდან იყო ხათუსა და ქვეყანას ერქვა ქალხეთი ე. ი. ქალდებისა და ხეთების ქვეყანა, რაც ბერძნების მოსვლის შემდეგ კოლხეთად შეიცვალა.

ხეთების საცხოვრისი არეალი ვრცელი იყო და მოიცავდა მცირე აზიას, სადაც ბოლაზქოიში 1906 წელს აღმოაჩინეს ხეთურ ენაზე (ლურმნულად) შესრულებული მრავალი ტექსტი, რაც ადასტურებს, რომ იქ, სწორედ, ხეთები ცხოვრობდნენ, ამასვე ადასტურებს ანატოლიაში მდინარე ლალისის არსებობაც. (საქართველოში არის მდინარე ლალიძეა და ორთავეს ფუძე ლალწყალი არის). ლალისის სათავეში, პარიადრეს მთიანეთში კი მდებარეობდა იბერიის ოლქი და ა. შ. დასავლეთ საქართველოს, სადაც ახლაც არის სოფელი ხეთა, დღევანდელ ისრაელს, სადაც ისინი ებრაელების მისვლამდე ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ 5000 წლის წინ იქ დააარსეს ქალაქი იერუსალიმი. გვიან ისინი ებრაელთა მეფემ დავითმა დაიპყრო და დედაქალაქი იერუსალიმი სიონის მთაზე გადაიტანა (მოგვიანებით იქაური ხეთელები (იევუსები) ებრაელებს შეერწყნენ) ასე, რომ ებრაელთა ძარღვებში ჩვენი წინაპრების სისხლიც ჩქეფს.

XIV-XIII საუკუნეებში ხეთა იმდენად გაძლიერდა, რომ 1278 წელს მეფე ხატუშილ III ეგვიპტე და სირიაც კი დაამარცხა და იქ ცხენი და ორთვალიანი საომარი ეტლიც შეიყვანა. გამარჯვებულმა მეფემ ლოცვა ასე დაიწყო: „ჩემმა მზემ“, რასაც ჩვენთან ახლაც ასე ამბობენ და

ეს იმიტომ, რომ ხეთების (ე.ი. ჩვენი წინაპრების) მთავარი ღვთაება ქალდმერთი მზე იყო. ამ გამარჯვების შემდეგ, იმავე წელს, ხატუშილ III ეგვიპტის ფარაონთან დადო სამუდამო მეგობრობის ხელშეკრულება, რაც მსოფლიო ისტორიაში ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის პირველი ხელშეკრულებაა.

ხეთა კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისითაც ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა და მათ ჯერ კიდევ III ათასწლეულში შექმნეს საკუთარი იეროგლიფური (ხატოვანი და ლურსმული დამწერლობები), პირველი იურიდიული ტექსტები, „გილგამეშიანი“ და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ხეთების (და სუბარების) მთავარი ღვთაება იყო ქალდმერთი მზე, რომლის მეუღლე იყო ავდრის ღმერთი, ხოლო შვილი ტელეფინუ – ნაყოფიერებისა და მცენარეების ღმერთი.

XIII საუკუნის ბოლოს (1200 წ. ხეთა დაიშალა, მაგრამ IX საუკუნის დასაწყისში ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხმა ბაიანმა მაინც შესძლო სხვა ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხის (მათ შორის არახეთურ-სუბარული მანასაც) დამორჩილება და შექმნა ურარტუს (ხალდის) ქვეყანა, რომლებიც თავიანთ თავს სუბარს უწოდებდნენ.

ბასკები

ბასკები (ბასკურად ეუსკადია ჰეკვია და ბისკაის ყურის სანაპროზე ცხოვრობდნენ) თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ხალხია თავიანთი უძველესი ენითა და კულტურით. რა თქმა უნდა ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ამ სტატიაში მათი ისტორია განვიხილო, არც ქართველებთან მათი ისტორიული კავშირების შესახებ ვისაუბრო ვრცლად, რადგან ამაზე იმდენი დაწერილა ქართველი თუ უცხოელი ავტორების მიერ, ოდნავ საფუძვლიანად მაინც რომ ვისაუბრო, ამას წიგნებიც კი არ ეყოფა. მინდა მხოლოდ იმაზე მივანიშნო, ჩვენ და ბასკები დასაბამიდან ერთნი რომ ვიყავით და ამის მაგალითები მოვიტანო.

პირენეის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე, უძველესი მოსახლეობა იბერები (ბასკების წინაპრები) იყვნენ, რომლებიც გვადიანის ნაპირზე ცხოვრობდნენ, იქვე ცხოვრობდნენ კელტებიც, რომელთაგან, მხოლოდ ბასკები გადარჩნენ.

პირენეის ნახევარკუნძულზე ბასკების დამკვიდრების 4 ძირითადი ვარიანტი არსებობს: პირველი ვარიანტით ესპანეთის უძველესი მცხოვრებლები იბერები (ბასკების წინაპრები) იქ ატლანტისიდან მივიდნენ და დარჩნენ კიდევ ნახევარკუნძულის სანაპიროზე (იბერიად იწოდებოდა ნახევარკუნძულის ის ნაწილი სადაც მდინარე იბერუსი (ებრო) ოკეანეს ერთვის). პლატონი, მაგალითად, იმასაც კი წერდა, რომ ესპანეთის ქალაქი გადისი (კადისი) ატლანტთა პროვინციას წარმოადგენდა, ხოლო რუსი მეცნიერი ს. იშვესკი თვლიდა, რომ ძველი იბერიელებისგან (ატლანტისელებისაგან) მხოლოდ ბასკები და ქართველები გადარჩნენ.

მეორე ვარიანტით, ბასკები პირენეის იბერიული ტომის გასკონების (ვასკონების) შთამომავლები არიან, რომლებიც, როგორც თვითონ ბასკები თვლიან, იქ III ათასწლეულში აღმოსავლეთიდან სპილენძის ძიებაში მივიდნენ იქ და ძვ.წ.აღ XV საუკუნეში დიდი იმპერიაც შექმნეს.

მესამე ვარიანტით, რომელიც ერთ-ერთ უძველეს წერილობით ძეგლ „იბერიულ ტაბულაში“ არის მოცემული (ტაბულა 1975 წელს გაშიფრა შ.ხვედელიძემ) წერია, რომ ძვ.წ.აღ XV საუკუნეში საქართველოში მომხდარა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც ქართველთა ბელად როის უწინასწარმეტყველებია. მისი მოწოდებით მიწისძვრამდე თავის გადარჩნის მიზნით, საქართველოდან 400 000 კაცი დასავლეთისაკენ წასულა და მათი ნაწილი ბასკეთში, პირენეის მთებსა და ბასკეთის უურის სანაპიროზე დამკვიდრებულა.

მეოთხე ვარიანტით ბასკები პირენეის ნახევარკუნძულზე აფრიკიდან მისულან და შემდეგ იქედან დიდ ბრიტანეთშიც გადასულან.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ბასკურ ენასაც, რომელიც ჯერ კიდევ 4700 წლის წინ გამოეყო ერთიან პროტოქართულ (კოლხურ, შუმერულ) ენას და ის ქართულის გარდა არცერთ სხვა ენას არ ჰეგავს. ქართულთან კი მას საოცარი მსგავსება გააჩნია. უფრო მეტიც, ბასკურ-ქართული 1700 სიტყვა ერთნაირია, მათაც აქვთ მრგლოვანი ასოები და ენებს შორის არის დიდი მორფოლოგიური მსგავსება.

პირენელი იბერები (ბასკების წინაპრები) ყველაზე განათლებული და კულტურული ხალხი იყო და ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, ლიტერატურული ძეგლები, თხზულებები, პოემები, 6000 წლის წინათ ლექსად დაწერილი სჯულდებანი, სიმღერები და ა. შ. განსაკუთრებით, განათლებულები იყვნენ ტრუდიტანის (სამხრეთის) იბერები.

ბასკებსა და ქართველებს შორის სხვა უამრავი მსგავსებაც არის. მაგალითად, ბასკური გვარების უმრავლესობა ქართული გვარების იდენტურია. მათი გვარებია: ალანია, ბედია, ბერია, ბადიაური, ბოკერია, გაშირია, გიგაური, დანელია, ერისთავი, ემხვარი, კორშია, ლამაური, ლოლუა, ლორია, მელია, მეუნარგია, ნარსია, ოჩიაური, ურიდია, ფილია, ტებოგარი და ა. შ.

გვაქვს ერთი და იგივე დასახელების დასახლებული პუნქტებიც. მაგალითად: არიანო (ჩვენთან ვარიანი), ბედია, გურგუგარენი (ჩვენთან გუგარენი), ვანა (ჩვენთან ვანი), თელავი, ლენტეხი, მესტია, ონართე (ჩვენთან ონარა) და ა. შ. მდინარეები რიო (ჩვენთან რიონი) და არაგვი და ა. შ.

არის სხვა მსგავსებებიც. მაგალითად, ბასკურ „იავნანაში“ არის ლუა, რაც მეგრულად დაიძინეს ნიშნავს და სკუა, რაც ასევე მეგრულად შვილს ნიშნავს. გვაქვს ერთნაირი ტრადიციები, რიტუალები, თვლის სისტემა, მრავალხმიანი სიმღერები, ფიცხი ხასიათი, ვართ შავგრემანები და საგრძნობი ნაწილი ხვეულთმიანები და ბოლოს, როგორც 6. ბრაუნი წერს, იბერიული ცეკვის კვალი ასევე ძლიერია მსოფლიო საცეკვაო ეთნოკულტურაში, განსაკუთრებით, კი ესპანურშიო.

ქალდები

როგორც ი. ჯავახიშვილი წერდა, ხალდე ანუ ქართუ, კარდუ, კარდუხი ჩვენს თავდაპირველ სამშობლოს წარმოადგენდა და მას ქალდეა ჰქვიოდა. ქალდები ცხოვრობდნენ შუამდინარეთში (I ათასწლეულის დასაწყისიდან), მცირე აზიაში (ვანის ტბის ირგვლივ), დასავლეთ საქართველოში, ქიმეთში (ეგვიპტე), ერაყსა და სუდანში. ქალდეა კოლხურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ისინი პირველად დან. აღ IX ს. მოიხსენიებიან, როცა ბაბილონის სამხრეთით დამკვიდრდნენ და IX საუკუნეშივე ის დაიპყრეს.

ქალდები რომ ვანის ტბის (კოლა) ირგვლივ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ამას ადასტურებს ვანის ტბის ირგვლივ 1827 წელს ნახული ქალდეურ ენაზე შესრულებული უამრავი ლურსმული ნაწერებიც.

როგორც მკვლევარი ბ. სართანია თვლის, ქალდები ქართველთა წინაპრები იყვნენ და მათგან წარმოიშვნენ სპერები, რომელთაგან შემდეგ გაჩნდნენ ზანები, მესხები და სვანები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები – ქორთუ, სპერი კოლხებისაგან წარმოიშვნენ.

ქალდეა ურარტული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა (ურარტუ მას ჩვენ შევარქვით) და ბერძნები მას გორდის, ხალდეს, ხალიბს ეძახდნენ. ქალდები კი უფრო კრებითი სახელია და მასში გორდის, ხალდეს და ხალიბის გარდა აგოროველები, არამელები, ასირიელები, აქაქედი, კარდუხები, მესხები (მუსკები), ტაბალები, ტამალები, ტიბრები, ქასქები, შუმერები და ჰენიოხებიც იგულისხმებიან. ხალდეს, ხალიბს უწოდებდნენ ურარტუს ჰ. მილეთელი და ქსენოფონტეც.

როგორც უკვე ვწერდი, მცირე აზიასა და დასავლეთ საქართველოში, ქალდები და ხეთები ცხოვრობდნენ, რის გამოც ქვეყანას ქალხეთი – ქალდებისა და ხეთების ქვეყანა ჰქვიოდა, რაც იქ ბერძნების მისვლის შემდეგ კალხეთად – კოლხეთად გადაიქცა. ეს, რომ, სწორედ, ასე იყო, ამას ადასტურებს საქართველოში დღესაც არსებული სოფლები ზალდე და ხეთა, გვარი ქალდანი, ციხე ქალდეა, მდინარე კინტრიში (იქ მდინარე კინტრიტი) და ა. შ.

ქალდები და ზანები რომ ერთი იყვნენ, ამას სტრაბონიც წერდა. ფაქტიურად იგივეს წერენ სომხური წყაროებიც, რომ ქალდები ჭანები (ზანები) იყვნენ.

ქალდები (კარდუხები) ბანანურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ისინი ზანების, მესხებისა და სვანების წინაპრები იყვნენ. სწორედ, მათ ტერიტორიაზე დარსდა 3200 წ. ქ. კოლხა, რომელიც რამდენიმეჯერ „ყურანშიც“ კი არის მოხსენიებული. კოლხთა დედაქალაქი ქართველი ნაბუქოდონოსორის დროსაც იყო. გვიან კი მას იუდეველებმა ნიმროდი დაარქვეს.

ქალდეური ენა იყო ხეთურ-იბერიული (განსაკუთრებით ქართული) აგებულებისა, ხოლო მათ მიერ შექმნილი კულტურა (მათ საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ) ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდა.

საინტერესოა ისიც, რომ იესო ქრისტეს სალაპარაკო ენა ქალდეური პროტოქართული ენა ყოფილა. ამ აზრის არიან ლევინსონი, ლიმენი, ფრიდრიხი, ცებიში, პომელო, სომხური წყაროები და ა.შ. ცებიში იმასაც კი წერდა, რომ ლმერთების ენა იბერიულ-ქართულ ენაშია დავანებული.

იესო რომ ქალდეურად ლაპარაკობდა, ამას ადასტურებს ნაბუქოდონოსორის სასახლის კედელზე იესოს ხელით გაეთებული ქალდეური წარწერაც, რაც, მხოლოდ ქალდეველმა დანიელ წინასწარმეტყველმა გაიგო და ნიშნავდა „ლმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“ („ელი, ელი ლამა საბაქთან“).

რადგან იესო ქალდეურ (ე. ი. პროტოქართულ) ენაზე ლაპარაკობდა, სწორედ, ამიტომ დაწერა იოანე ზოსიმე, რომ იესო ქრისტე მეორედ მოსვლისას ყველას ქართულ (ე.ი. ქალდეურ) ენაზე განიკითხავსო.

როგორც ზემოთ ვწერდით, IX საუკუნეში ქალდები სამხრეთ მესოპოტამიაში შევიდნენ, ხოლო მოგვიანებით (იმავე საუკუნეში) მთელი ბაბილონიც დაიპყრეს. VIII საუკუნეში კი შექმნეს ხალდიას სამეფო, რომლის ცენტრს ტრაპეზუნი წარმოადგენდა. VII საუკუნეში ბაბილონი აუჯანყდა ასურეთს. აჯანყებას ქალდელი ნაბუფალასარი ხელმძღვანელობდა, რომელიც გამეფდა კიდეც ბაბილონში და საფუძველი ჩაეყარა ახალი ბაბილონის ქალდეურ დინასტიას (ნაბუქოდონოსორ II) და ბაბილონი გახდა ასურეთიდან დამოუკიდებელი. თვითონ ქალდეველები კი იერუსალიმსა და პალესტინაში VIII-V საუკუნეში ბატონობდნენ, ხოლო ძ.წ.აღ 540 წელს კიდევ უფრო გაძლიერებულმა ქალდეამ ბაბილონი და სირიაც დაიპყრო და შექმნა დიდი იმპერია, სადაც ჰქონდათ საკუთარი ტაძარი, ენგური და დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება, რისთვისაც ისინი პალესტინიდან განდევნეს. განდევნილებმა ევფრატის სათავეებთან ააგეს ციხესიმაგრე ჯიბერი (მეგრულად მტკიცე), რომელსაც ისინი X საუკუნემდე ინარჩუნებდნენ.

კრეტა და კრეტელები

კუნძულ კრეტას (კარიეთს) რომელიც ცენტრს, შემოფარგლულ მიწას ნიშნავს, ბიბლიის მიხედვით ქართი ჰქვიდა, ხოლო ერთ მხარე კუნძულზე დღესაც ლაზეთი ჰქვია.

უნდა ითქვას, რომ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზების პირველი ამთვისებლები კოლხები იყვნენ, რომლებიც იქ 8500-8000 წლის წინათ მივიდნენ ბერძნების გამოჩენამდე, XV საუკუნემდე დომინანტობდნენ კიდეც და იქ, ენაც და კულტურაც, ბუნებრივია, კოლხური, ე.ი. იბერიულ-პროტოქართული იყო. ბერძენი მეცნიერი კაფანტარისიც წერს, რომ კრეტაზე კოლხები ცხოვრობდნენ და ისინი ბატონობდნენ (ჰეგემონები იყვნენ) კიდეც მთელს ხმელთაშუა ზღვაზე (კუნძულ ევპეაზეც კოლხური სახელმწიფო არსებობდა).

საინტერესოა, რომ ერთმანეთს ჰგავს კრეტული, ინდიელთა, შუმერთა, ეგვიპტელთა, ძველევროპელთა და ოკეანის კუნძულთა დამწერლობები – იდიოგრამები, ხოლო ლემნოსური და მინოსური დამწერლობები, რომლებიც კოლხებმა შექმნეს, უნებლიერ აჩენს საფუძვლიან ეჭვს. კრეტის პირველ ამთვისებელთა წარმომავლობით კავშირზე ატლანტისელებთან (გუანჩები ხომ ატლანტისელთა გადარჩენილ ნაწილად მოისაზრებიან).

სტრაბონი ხაზგასმით წერს, რომ კრეტაზე, ევპეაზე, სამოთრაკეზე, სხვა კუნძულებსა და ფრეგიაში მეტალურგიის ღვთაებები, კორიბანტები, ჰელიოსის ვაჟები და აიეტის ნახევარძმები კოლხეთიდან იყვნენ მისულები. წინა ბერძნული, კოლხური სახელმწიფოები კი, იქ, 2000 წ. შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისათვის დღეს სადავო აღარა, რომ მინოსურ ეპოქაში კუნძულ კრეტაზე კოლხები ცხოვრობდნენ და მათი მეფეც კოლხი მინოსი იყო, რომლის ცოლიც აიეტის და, ასევე კოლხი პასიფეა იყო და ასევე კოლხები ცხოვრობდნენ ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულებზეც. „კულტუროლოგიის“ სახელმძღვანელოში 333 გვერდზე მაინც დაუნიებით წერია, რომ იქაური წინა ბერძნული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა დაუდგენელიაო, რაც, რა თქმა უნდა, მტკიცნარი სიცრუეა.

კი მაგრამ ის რაც სტრაბონიდან მოყოლებული მეცნიერების დიდი ნაწილის ჩათვლით თუკი გასაგებია (რომ წინა ბერძნული მოსახლეობა კუნძულებზე და სხვაგანაც პროტოქართული-კოლხური-იბერიული იყო), რატომ ვერ გახდა გასაგები და სარწმუნო ეს ამ სახელმძღვანელოს შესაბამისი თავის ავტორისათვის? ამას, ხომ სერიოზული დასაბუთება უნდა, რაც მასში არ ჩანს.

ტრაგიკული მოვლენები კრეტელებისათვის ძვ.წ.აღ 1500 წელს დაიწყო, როცა კუნძულ თერაზე ვულკანმა ამოხეთქა, მან კრეტამდეც მიაღწია და იქ ბევრი რამ გაანადგურა. ამით ისარგებლეს აქაველებმა და კრეტაზე ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. XIV საუკუნეში კი აქაველებმა კუნძული მთლიანად ჩაიგდეს ხელში და იქ ბერძნული ენა, კულტურა და მიკენური (ბერძნული) ცივილიზაცია გაპატონდა. სწორედ, აქედან დაიწყო ბერძნული ცივილიზაცია, რომელიც მინოსურის (ე. ი. კოლხურის) დიდ გავლენას განიცდიდა.

სუბარები

6000 წლის წინ, მთელ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ასურეთის ჩათვლით, ტიგროსის ზემო დინების აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში, ევფრატის ზემო დინებაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიასა და კავკასიაში ცხოვრობდა სუბარების (სუბართუ) იბერიული ტომის ხალხი, რომლებმაც IV ათასწლეულში უკვე შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, ხოლო II ათას-წლეულში იეროგლიფური (ხატოვანი) და ლურსმნული დამწერლობები. მათი ენა ენათესავებოდა თანამედროვე ქართულს, თუმცა სუბარული სიტყვების დიდი ნაწილი ხურიტულია (საგრძნობი ნაწილი კი ზაგროს-ელამურიდან არის) და ეს, არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან სუბართუ ხომ ხურიტული ტომებისაგან შედგებოდა.

სუბარების საცხოვრისის სამხრეთ ნაწილს ჰარის უწოდებდნენ. II ათასწლეულში სუბართუ ხურიტებით იყო დასახლებული და მალე საკუთარი სამეფო შექმნეს, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ შექმნეს საბრძოლო ეტლები, რკინის იარაღები და დაიპყრო ასურეთი და სირია, ხოლო ეგვიპტეს წარმატებით ებრძოდა და იქ თავისი გამოგონილი საბრძოლო ეტლები შეიტანა.

XIV საუკუნეში სუბართის დედაქალაქი იყო ფაზისურა, ფაზისყანა (ვენახოვანი), ხოლო ერთერთ ქალაქს ბაბილოვანი (ვაზის ლერნი, ტოტი) ერქვა. მოგვიანებით, ეს სახელი ქალაქ ბაბილონსა და ქვეყანა ბაბილონსაც დაერქვა. ამ ქართული სამეფოს მეფე იყო რატი, ხოლო მთავარსარდალი მეფის ძმა ართაშური. მეფის შვილი, ნეფერტიტი (თათუ), კი ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის ან უნაჩანის ცოლი იყო (ნეფერტიტი ნიშნავს უცხოეთიდან ჩამოსულ ლამაზ ქალბატონს).

ნეფერტიტის (თათუს) სიკვდილის შემდეგ ქვეყანას ათი წლის ნეფერტიტის შვილი თუთქან-ქი-ათენა მართავდა, რომლის მრჩეველი კოლხი უმაღლესი ქურუმი აიე იყო. თუთანპამონის დედის ბიძა რატის ძმა აიე იყო ქვეყნის ფაქტიური მმართველი და ის თუთანპამონის შემდეგ მთელი 10 წელი მართავდა ქვეყანას. ნეფერტიტის შვილი ათენა კი შემდეგში ქართველი მეფის ქადაშმანის ცოლი გახდა ერაყში.

II ათასწლეულის ბოლოს სამეფი წვრილ-წვრილ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მაგალითად, სუბართის (XI ს.), მუსკების (X ს.), თუბალების (IX ს.) და A. შ. თავის მხრივ, თუბალთი იმდენად დიდი იყო, რომ მასში 24 სამეფო-სამთავრო შედიოდა. მისი ერთ-ერთი დიდი ქალაქი იყო მელითი. „ბიბლიაშიც“ კი წერია, რომ თუბალ-კაინის ქვეყანა იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა (კაინი მჭედელს ნიშნავს). სუბარებმა რკინის გამოყენება II ათასწლეულის შუა ხანებიდან დაიწყეს, ხოლო „გილგამეშიანი“ და პირველი იურიდიული ტექსტები უფრო ადრე შექმნეს.

IX საუკუნის დასაწყისში ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხმა, ბაინმა, დაიმორჩილა სხვა ხეთურ-სუბარული მოდგმის (არა ხეთურ-სუბარული მანაც) ხალხი და შექმნა ურარტუს (ხალდეს) ქვეყანა, რომლის მაცხოვრებლები თავიანთ თავს სუბარებს უნოდებდნენ.

ვაგრძელებთ საუბარს პროტოქართული წარმომავლობის ხალხების შესახებ და ამჯერად, იმ კვალის შესახებ მოგითხოვთ, რაც მათ საბერძნეთის ტერიტორიაზე დატოვეს.

ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კუნძულებზე შეიძლება

ითქვას ყველაზე მძლავრად ჩანს ქართული კვალი, რადგან მათი პირველამთვისებლები ხომ პროტოიბერები (კოლხები, პელაზგები) იყვნენ.

პირველი ბერძნები ბალკანეთზე ძვ.წ.აღ 2500-1600 წლებში გამოჩნდნენ და სწორედ აქედან გადავიდნენ შემდეგ ისინი კუნძულებზეც, მათ შორის ეგეოსის აუზშიც და დაინტეს პროტო-ქართველი აქაველების, იონიელებისა და პელაზგების განადგურება, რაც ძვ.წ.აღ XII საუკუნეში დაასრულეს კიდეც, მათთან ასიმილაცია კი ძვ.წ.აღ. VII საუკუნეში დამთავრდა.

როგორც სტრაბონი წერდა, კუნძულ ევბეაზე, კრეტაზე, სამოთრაკზე, სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში აუეტის ნახევარძმები, კორიბანტები, მეტალურგის ლვთაებები და ჰელიოსის ვაჟები კოლხეთიდან იყვნენ მისულები, ხოლო ბერძენი – იბერთ ძენს ნიშნავს.

მცდარია ყველა ის მოსაზრება, რომელშიც ხაზს უსვამენ, რომ თითქოს და კაცობრიობის პირველი ცივილიზაცია ბერძნებმა შექმნეს. არაბერძნული (ელინური) ცივილიზაცია კაცობრიობის მხოლოდ რიგით მეორე ცივილიზაცია იყო და ის კოლხურ-იბერიულ, ანუ პელაზგურ და ტროას ცივილიზაციებზე დაყრდნობით აღმოცენდა.

ინგლისელი მეცნიერი ჩედვიყი საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ ძვ.წ.აღ XX საუკუნეში ბერძნული ენა არც კი არსებობდა და ის მხოლოდ ბერძნების მიერ იმ მიწების დაპყრობის შემდეგ შეიქმნა, ადგილობრივ მკვიდრთა (ე.ი. კოლხ-იბერთა, პელაზგთა) ენასთან შერევით. სწორედ ამიტომ არის როგორც ავსტრიელი მეცნიერი კრეჩმერი წერს ბერძნულ ენაში პელაზგურიდან და წინა ბერძნულიდან (ე.ი. პროტოქართულიდან ვინც იქ ცხოვრობდა) შესული სიტყვებია მრავლად. უფრო კატეგორიულები არიან იგივე კრეჩმერი, მეი (საფრანგეთი), შაშენმაიერი (ავსტრია) და შვიცერი (შვეიცარია), როცა წერენ, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენების გასაცნობად აუცილებლად ქართველურ ენებს უნდა მივმართოთ.

ასე, რომ ძველი ბერძნული ენა სულაც არ არის დამოუკიდებელი და ორიგინალური წარმოშობის, ხოლო რაც შეეხება ბერძნულ დამწერლობას ის უფრო ეგვიპტურის საფუძველზე არის შექმნილი.

იბერები

მეცნიერებისათვის იბერების განსახლების სამი ძირითადი არეალი არის ცნობილი: პირველი – ატლანტისი, მეორე – პირენეის ნახევარკუნძული და მესამე – კავკასია.

ატლანტისზე რომ იბერები (კოლხი, კოლხუა იბერები) ცხოვრობდნენ და მისი ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილები მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ, ამის თაობაზე ზემოთ არაერთგზის ვწერდით. ამჯერად კი უფრო დაწვრილებით ესპანეთისა და კავკასიის იბერებზე მოგითხოვთ.

ყველაზე უძველესი ხალხი, რომლებიც პირენეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ იყვნენ იბერიელი პიქტები, რომლებიც 8500 წლის წინათ საცხოვრებლად ბრიტანეთის კუნძულებზე გადავიდნენ. აქ თუ გავიხსენებთ ატლანტისის ჩაძირვის თარიღსაც (11 000 წლის წინათ მოხდა), მაშინ გამოდის, რომ ატლანტისიდან გადარჩენილი იბერები იგივე პიქტები ხომ არ იყვნენ?

რაც შეეხება თავად ესპანეთის იბერებს ისინი თავდაპირველად 5000 წლის წინათ გალისიაში ცხოვრობდნენ და ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს მოსახლეობად ითვლებიან იბერიული პიქტების შემდეგ. ძვ.წ.აღ VII-III საუკუნეებში კი ისინი უკვე მთელს პირენეისზე ცხოვრობდნენ. ერთი ვარაუდით იბერები პირენეიზე ჩრდილოეთ აფრიკიდან მივიდნენ, მაგრამ გასარკვევია აფრიკაში საიდან მოხვდნენ და ხომ არ არის ესენი გადარჩენილი ატლანტისელი იბერების მემკვიდრეები?

ესპანეთის იბერთა ერთ-ერთი მოწინავე ტომი იყო ტრუდედანტები, რომლებიც ანდალუსიასა და მურსიაში ცხოვრობდნენ და სადაც ძვ.წ.აღ 1100 წლიდან ტარტესის სახელმწიფო არსებობდა.

ძვ.წ.აღ VI-III საუკუნეებში პირენელი იბერები და ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები კელტები ერთმანეთს შეერწყმნენ და ჩამოყალიბდა ახალი კელტ-იბერთა ტომი.

ესპანელი იბერები მაღალი განვითარების ხალხს წარმოადგენდა, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ მათ საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ. მოგვიანებით ისინი ჯერ კართაგენელებმა, ხოლო ძვ.წ.აღ III-II საუკუნეებში რომაელებმა დაიპყრეს და მოხდა იბერიის რომანიზაცია.

რაც შეეხება იბერიულ ენებს მათში პირენეის და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ტერი-

ტორიების ენები შედიან და მათი წარწერების უმრავლესობა ფინიკიურ დამწერლობას, ხოლო ზოგიც კრეტულს უახლოვდება და დღემდე არ არის გაშიფრული. მეცნიერები ამ ენებს ბასკურის წინაპარ ენებად მიიჩნევენ.

კავკასიელი იბერები, იბერ-ივერიელები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ხალხი იყო და მათ იქ საკუთარი სახელმწიფოც ჰქონდათ. ივერია კი მთელს საქართველოს ჰქონიდა (დასავლეთს – ქვემო ივერია და აღმოსავლეთს – ზემო ივერია ენოდებოდა) ეს სახელი მას ელინისტურ ხანაში შეერქვა.

გამოცენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის მოსაზრებით, ქართველი იბერიელები მცირე აზიდან არიან მოსულები და ბასკებისა და ურარტუელების ნათესავები იყვნენ, მაგრამ ის უფრო შორს აღარ მიდის და არ ან ვერ აკონკრეტებს თუ საიდან მოხვდნენ ისინი მცირე აზიაში.

მოგვიანებით ბერძნები ივერიას ქართლსაც უწოდებდნენ, მასში დიდი როლს მესხები თამაშობდნენ, რომლებიც მცირე აზიაში, ხეთურ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტში ცხოვრობდნენ.

ურარტუ

ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ქვეყანა იყო ურარტუ, რომელსაც ბერძნები გორდის, ხალიბს, ხალდის უწოდებდნენ. ხალიბს, ხალდის უწოდებდნენ მას პ. მილეთელი და ქსენოფონტეც, სადაც ხალიბი – ძველი, ხოლო ხალდი – უფრო გვიანდელი ტერმინია.

ურარტუ ასურული სახელია და ის ჩვენ შევარქვით მას. ურარტუს ხალხი კი თავიანთ თავს ბიანოლის ეძახდნენ.

ურარტუ (ბიანოლი) ძვ.წ.აღ Ⅱ ათასწლულში მითანის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ძვ.წ.აღ XIII ს. დამოუკიდებლობის მოპოვება შესძლო, ხოლო ძვ.წ.აღ IX ს. შექმნა დიდი და მძლავრი სამეფო, რომლის დედაქალაქი ტუშფა (ვანი) გახდა. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში მდებარე ქ. ვანის სახელწოდებაც ურარტული წარმოშობის არის.

ურარტუ იმდენად მძლავრი ქვეყანა გახდა, რომ მან IX საუკუნეშივე შეავინწოდა ასურეთი, დაიპყრო ვანის ტბასთან მდებარე მხარე ხუბუშქია, მუსასირი, ურმის ტბასთან მდებარე მანა, ამიერკავკასიის მიწების ნაწილი, დიაოხი, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე არმავირი და წარმატებით ეპრძოდა კოლხასაც, მაგრამ ასეთი წარმატებები დიდხანს არ გაგრძელებულა და ძვ.წ.აღ VII ს. ურარტუ და კიმერიელები ისევ დაახლოვდნენ და მათ ერთობლივად ილაშქრეს მცირე აზიაში და გაანადგურეს ფრიგია (მუშქები). ძვ.წ.აღ VII ს. ურარტუ ისე დასუსტდა, რომ ის იოლად დაიპყრეს ბაბილონმა და მიდიამ. მისი ჩრდილოეთი ნაწილი კი ამიერკავკასიელებმა და სკვითებმა დაიპყრეს.

ჰეროდოტეს აზრით, ურარტუელთა შთამომავლები არიან ალაროდიელები, მატიენები და სასპერები.

ურარტუს მაღალი განვითარებული კულტურა ჰქონდა და მან საკუთარი ლურსმნული (სოლისებრი) დამწერლობაც კი შექმნა(გადიოდა ასურეთისაგან), რომელზედაც შესრულებული პირველი ტექსტები ძვ.წ.აღ IX ს. მიეკუთვნება. ურარტული ენა ხურიტულს ენათესავებოდა (რომელიც მითანელთა ენას წარმოადგენდა) და ჰგავდა ქართველურ ენებს. ურარტული ენის ცალკეული სიტყვები დღესაც არის შემორჩენილი ქართულ ენაში.

ბაბილონი

ბაბილონი III ათასწლეულში, ევფრატის სანაპიროებზე დააარსეს შუმერებმა. მისი მეფეებიდან განსაკუთრებით ცნობილია ძვ.წ.აღ XVIII ს. მოღვანე ჰამურაბი, თავისი ლეგენდარული კანონებით. ბაბილონი ძვ.წ.აღ III საუკუნეში ძველი აღმოსავლეთის ცენტრს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს მისი აღება მოახერხეს კიროს II, ალექსანდრე მაკედონელმა და სელევკე I.

ბაბილონურ-ასურული კულტურა წარმოადგენდა IV-I ათასწლეულებში შუმერების, აქადების, ასურელებისა და ბაბილონელების მიერ შექმნილ კულტურას და იყო ძალიან მაღალი დონის. ისინი ჯერ კიდევ III ათასწლეულიდან ფლობდნენ მეტალურგიას, ოქროსა და ვერცხლის

დამუშავების ტექნოლოგიებს, იცოდნენ საომარი ეტლების აგება, ჯაჭვის პერანგისა და ხმლის გამოყენება, უკვე || ათასწლეულში ჰქონდათ რკინა, ალმასის ბურღი, წყლის ამოსაქაჩი ბორბალი (|| ათასწლეულის ბოლოს), ფლობდნენ მეცნიერულ ცოდნას, ანგარიშს, იცოდნენ მათემატიკური რიცხვები და მათი გამრავლება, გაყოფა, ფესვის ამოლება, განტოლებათა ამოხსნა, სხვადასხვა მათემატიკური ცხრილების შედგენა, პითაგორას თეორემა პითაგორამდე 1000 წ. ადრე, ხაზვა, ქიმია (|| ათასწლეულში ჰქონდათ ბრინჯაო), ადგენდნენ მსოფლიოს რუკებს, ჰქონდათ მაღალი დონის მედიცინა (მათ შორის ვეტერინარიაც, ქირურგია, ასტროლოგია, ასტრონომია, იცოდნენ მაღალი დონის ზუსტი კალენდრების შედგენა, მაღალ დონეზე იყო ისტორია, ფილოლოგია, რელიგია, მითოლოგია, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება და მრავალი სხვა, და ეს ყველაფერი მათ მიიღეს ჩვენი წინაპარი შუმერებისაგან.

ერთი სიტყვით, ბაბილონური ცივილიზაცია წარმოადგენდა შუმერული ცივილიზაციის ბოლო ფაზას.

ბაბილონი IX ს. დაიპყრეს ქალდებმა, VI ს. აქემენიდურმა ირანმა, IV ს. სელევკიდებმა და მისი კულტურა მოექცა სპარსული და გვიანდელი ელინისტური კულტურის გავლენის სფეროში.

აფრიკა

რა გინდ გასაკვირი უნდა იყოს, პროტოაფრიკული კულტურა იბერიულ კულტურად ითვლება, რასაც საფუძველი შორეულ წარსულში ჩაეყარა (აქ ჩვენ უკვე აღარ შევეხებით ქიმეთსა (ეგვიპტე) და სუდანს, რადგან ზემოთ მათზე ცალ-ცალკე უკვე ვისაუბრეთ).

პროტოერთველთა აფრიკის კონტინენტზე მოხვედრა უძველეს „იბერიულ ტაბულაში“ არის გადმოცემული, რომელიც შ. ხვედელიძემ 1975 წ. გაშიფრა. ძვ.წ.აღ XV ს. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც ქართველთა მაშინდელ ბელადს როის უზინასწარმეტყველებია და ხალხისათვის თავის გადარჩენის მიზნით ქვეყნის დატოვება ურჩევია. ხალხს როისათვის დაუჯერებია და დასავლეთისაკენ დაძრულა. მათი დიდი ნაწილი ჩრდილოეთ აფრიკაშიც შესულა და საცხოვრებლად დღევანდელი ტუნისისა და ლიბიის ტერიტორიაზე დარჩენილა. სწორედ ასე გაჩნდა ჩრდილოეთ აფრიკაში კართაგენი – ქართა გენი, აია (ტრიპოლის ჰეკვიოდა), მთა მაღალია (კართაგენთან დღესაც ასე უწოდებენ მას) და ა.შ.

ლიბია-ტუნისის მთიელები კი თავიანთ თავს დღესაც ქართებს ეძახიან, ხოლო ტუნისელები თავიანთ წინაპრებად საერთოდაც იბერიელებს მიიჩნევენ, ამიტომ არც ისაა გასაკვირი, კართაგენის ერთ-ერთი ლიდერი ქართალონი რომ იყო, ხოლო ბერბერული ენა, რომელიც მთელი ჩრდილოეთ აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე არის გავრცელებული და მასზე მრავალი მილიონი ადამიანი ლაპარაკობს, ჰგავს კოლხურს (დღევანდელ მეგრულს).

ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ჩანაწერები გააკეთა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა ელისეევმა მაროკოს ქ. ურგალაში, სადაც ის გადააწყდა იქაურ შავკანიან ქართველებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ენა, გვარები, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი. მათი კულინარია კი ჰგავს მეგრულ კულინარიას და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

საფრანგეთი

პირველ ქართველთა (პროტოპერთა) კვალი დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე არის შემორჩენილი, რომლის პირველი ამთვისებლები ცნობილი მეცნიერის ბ. გრეიინშპოლკის აზრით პროტოერთველები იყვნენ.

იგივე აზრისაა ე. დემოლინსიც, რომელიც თვლის, რომ იბერების საფრანგეთში ცხოვრების კვალი შემონახულია და ეს კვალი არის ფრანგულ ენაში არსებული ადგილებისა და მდინარეების სახელწოდებებში.

პლუტარქეს კი მიაჩნდა, რომ ფრანგთა წინაპარი გალები (გელები) კოლხები იყვნენ. კიდევ უფრო ღრმა არის ეს კვალი კორსიკაზე, სადაც ჰუმბოლდტის აზრით, დასაბამიდან იბერიული ენა ბატონობდა.

კორსიკელები თავიანთ კუნძულსა და ენას დღესაც ქართს უწოდებენ და თავიანთ წარმოავლობას ასეთნაირად ხსნიან: ძვ.წ.აღ VI ს. საქართველოში ძლიერ მიწისძვრა მომხდარა, რაც ქართველთა მაშინდელ ბელადს როის ნაადრევად უწინასწარმეტყველებია და ხალხისათვის თავის გადარჩენის მიზნით, ქვეყნის დატოვება მოუწოდებია. მისი მონადებით 400 000 კაცს მართლა დაუტოვებია ქვეყანა და დასავლეთისაკენ წასულა. აი, სწორედ, ამ 400 000 კაცის ნაწილი დარჩენილა და დასახლებულა კირსიკაზე, როგორც მისი პირველამთვისებლები. ყველაფერი ეს კი წერია „იბერიულ ტაბულაში“, რომელიც 1975 წ. წაიკითხა და გაშიფრა შ. ხევდელიძემ.

საინტერესოა, რომ კორსიკელებმა დღემდე შემოინახეს ჩვენნაირი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, სამზარეულო (ძირითადად მეგრული კულინარია) მრავალხმიანი სიმღერები, ცეკვები და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის კომპლექსური შესწავლა მომავლის საქმეა და ის უფრო მრავალფეროვან მასალას მოგვცემს აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად.

ფრიგია (მუშქები)

IV-III ათასწლეულებში მთელს მცირე აზიაში მხოლოდ ფრიგელები (მუშქები) არ იყვნენ ინდოევროპელები, რომლებმაც ძვ.წ.აღ XII ს. შუამდინარეთში საკუთარი სახლემნიფოს შექმნაც კი მოახერხეს.

როგორც სტრაბონი წერდა, ფრიგიაში აიეტის ნახევარძმებში, კორიბანტები, მეტალურგიის ღვთაებები და ჰელიოსის ვაჟები კოლხეთიდან იყვნენ მისულები. თავიდან ფრიგიელები ბალკანეთში (თრაკიაში) ცხოვრობდნენ და მცირე აზიაში ძვ.წ.აღ IX ს. გადმოვიდნენ. VIII ს. კი შექმნეს საკუთარი სამეფო, თუმცა VIII საუკუნეშივე მათ კიმერიელები შეესივნენ, ხოლო VII ს. ის ლიდიის ქვეშევრდომი გახდა.

ფრიგია ძალიან მაღალი განვითარების ქვეყანა იყო, რომელსაც ჰქონდა საკუთარი წარმოების ბრინჯაო და რკინა, მოიპოვებდნენ ოქროს და ამუშავებდნენ მას ძალიან დიდი ოსტატობით, ფლობდნენ ქსოვის უმაღლესი დონისა და ხის დამუშავების ოსტატობას, შექმნეს ანბანური დამწერლობა (ჩვენამდე არის მოღწეული ძვ.წ.აღ VIII-V ს. ფრიგიულ ენაზე შესრულებული ტექსტები), სალამური, ფლეიტა და მრავალი სხვა.

ფრიგიელებმა ძვ.წ.აღ VII ს. მსოფლიოში პირველებმა მოჭრეს ფულის ერთეული – მონეტაც.

ფრიგიის დედაქალაქი იყო გორდიონი, სადაც არქეოლოგებმა გათხრებისას ძვ.წ.აღ VIII ს. ძეგლებს მოაკვლიერა. გორდიონი ძვ.წ.აღ. VII ს. კიმერიელებმა დაანგრიეს.

ირანი

ქართული კვალი (თუმცა მკრთალი) შემორჩენილი არის ირანშიც, სადაც ზაგროსის მთიანეთში (სამხრეთ-დასავლეთით) ძალზე მაღალგანვითარებული ხალხი ცხოვრობდა და სავარაუდოდ ისინი კოლხი-იბერები უნდა ყოფილიყვნენ.

გვიან, III ათასწლეულიდან კი, ირანში ელამური ხანა დაიწყო და იქ შუმერიდან აქადური ლურსმული დამწერლობაც გავრცელდა, რომელმაც სათავე შუმერული პიქტოგრაფიიდან აიღო. ეს დამწერლობა ფართოდ გამოიყენებოდა, რადგან ელამში ძირითადად აქადურად წერდნენ. ძვ.წ.აღ VII ს. ელამი მიდიაში შევიდა.

ძვ.წ.აღ I ათასწლეულის ბოლოს კი მიდიაში არიელებიც შეიქრნენ. შეიძლება ითქვას, რომ მიდიელები და არიელები ერთი იყვნენ და ამიტომ მათი ენებიც ერთმანეთის მსგავსი არიან. სწორედ, იქ მოხდა კიროს II დროს (550-530წ.) ლურსმული დამწერლობის ფორმირება, სადაც ასევე იყენებდნენ აქადურ (ბაბილონურ), ელამურ და ძველ სპარსულ ენებსაც. ყოველივე ამის თაობაზე ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობს ცნობილი მეცნიერი ბ. გრეინშპოლკი თავის წიგნში „არიელები და იბერიელები“.

მიდია ირანის ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობდა და მისი დაარსება მედესა და მის ვაჟს მიენერება. წერილობით წყაროებში ის პირველად IX ს. იხსენიება, ხოლო VII ს. შექმნილი

სამეცნიერო იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან მალევე დაიპყრო მანა, ასურეთი, ურარტუ და მცირე აზია, მაგრამ ამ წარმატებებს წერტილი კიროსმა დაუსვა, რომელმაც მიღია დაიპყრო.

რაც შეეხება მიღიურ დამწერლობას, ის ურარტუდან განვითარდა.

აინები

აინები ძირითადად იაპონიის კ. ჰოკაიდაზე ცხოვორბენ, თუმცა მცირე ნაწილი სხვა ახლომდებარე კუნძულებზეც არიან და მათი საერთო რაოდენობა სულ რაღაც 20000-მდეა. მართალია, მათი წარმომავლობა უცნობია, თუმცა ზოგი მეცნიერი მაინც ფიქრობს, რომ ისინი გაფანტულ ატლანტისელთა შთამომავლებში უნდა იყენებ და აქედან გამომდინარე, კავშირი აქვთ კოლხუა-იბერებთან.

საინტერესოა ისიც, რომ მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აინები, ერთადერთნი არიან, რომლებიც არ ჰგვანან აზიელებს არც ფიზიკურად (დიდები არიან), არც კანის ფერით (თეთრები არიან) და სახეზე ამოსდით წვერი.

თავი რომ დავანებოთ სხვა ლიტერატურას, თვით ქართულ ენციკლოპედიაშიც კი, არაფერი არ წერია თუნდაც ჰიპოთეზის დონეზე, რომ ამ ხალხს შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდათ ატლანტისელ კოლხუა-იბერებთან (იბერებთან). მაშინ, როცა რუსი აკადემიკოსი რ. შჩენკი, ხაზგასმით წერს, რომ კოლხებმა იალონიამდეც კი მიაღწიესო, ხომ შეიძლება ასეთი ვერსიის დაშვება, რომ აინები იყვნენ აინები აიადან და იქნებ სწორედ, ამიტომ ჰქვიათ მათ აინები (ე.ი. აინები აიადან), მითუმეტეს, რომ მათ დღემდე აქვთ შემორჩენილი ტირიფის ტოტზე ლოცვა (ხომ არ გაგონებთ ეს პროცესი ჩვენში გავრცელებულ ტირიფობასა და გურული ჩიჩილაკის ტრადიციას?)

კიდევ უფრო მეტი ბურუსითაა მოცული, თუ რას უნდა გამოეწვია აინური და ბასკური (ე.ი. პროტოქართული) ენების მსგავსებაც.

ინდოელები

ქართულ კვალს IV ათასწლეულში ინდოეთშიც მივყავართ, სადაც ჩრდილოეთ ინდოეთში II ათასწლეულის შუა ხანებამდე ავტოქთონებს პროტოიბერიელები წარმოადგენდნენ და ყველანი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ.

3 200 წ. ინდოეთში სწორედ პროტოერთველებმა, დრავიდებმა შექმნეს ჰარაპის ცივილიზაცია, რომელსაც თავისი ენა და დამწერლობა ჰქონდა. ისინი (დრავიდები – თამილები) იქ ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მოვიდნენ და პირველი ათასწლეულის დასაწყისში შრილანკაზეც გადავიდნენ, სადაც ახლა მათი ორი ჯგუფი ცხოვორობს. პირველი – უძველესი ლანკიები თამილები (დრავიდები) და მეორე – გვიან მისული ინდოელი თამილები (დრავიდები).

ამერიკა

მსოფლიოს მრავალი მეცნიერისათვის უტყუარი და დადასტურებული ფაქტია, რომ ქართველებმა (კოლხმა-იბერებმა) ამერიკის კონტინენტამდეც მიაღწიეს და ეს მოხდა ატლანტისის ტრაგედიის შემდეგ.

მაგალითად, ი. დონელი წერდა, რომ მაია იყო ატლანტისიდან მისული კოლხუას კულტურული მემკვიდრე და მათში ცივილიზაცია ატლანტისიდან შევიდა.

იგივეს წერდა ტ. ჰეირდალიც, აცტეკებსა და მაიაში ცივილიზაცია კოლხებმა შეიტანესო.

ხოლო დ. ბურბური, ი. დონელი და დ. ლანდა მიიჩნევდნენ, რომ ამერიკა კოლხუამ აღმოაჩინა, მაიას შეუქმნა ანბანი და ცენტრალურ ამერიკაში დაამკვიდრა ცივილიზაცია თავისი ბრნეინვალე არქიტექტურითა და ხელოვნებით, შეუქმნა კალენდარი, გადასცა ასტრონომიული ცოდნა, ასწავლა ოცობითი თვლა, იეროგლიფური და იდეოგრაფიული დამწერლობები, რომელიც დღესაც გაუშიფრავია, ჩამოჰვავს ეგვიპტურს და საფუძვლიანად გვაფიქრებს, რომ მათ საერთო წარმოავლობა გააჩინათ.

XVI ს. მოღვაწე და მკვლევარი დ. ლანდა ჯერ კიდევ მაშინ წერდა, რომ მაიას დამწერლობა, როგორც ამას ფიქრობდნენ, მათმა ღმერთმა იცამნამ კი არა, კოლხუამ შეუქმნა.

ისრაელი

ქართული კვალი დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზეც ჩანს, სადაც ჯერ კიდევ 5000 წ. წინათ ხეთებმა ქ. იერუსალიმი დააარსეს. მეცნიერების ნაწილი სახელწოდება ებრაელის გაჩენას ასეთნაირად ხსნის – იბერიელი – იბერაელი – ებრაელი. მათი აზრით, მდინარე იორდანეს სახელწოდებაც კი იორის დინებას უნდა უკავშირდებოდეს.

ძვ.წ.აღ VIII ს. ჩევნმა წინაპრებმა ქალდებმა იერუსალიმი და პალესტინაც დაიპყრეს და ეს ტერიტორიები ძვ.წ.აღ 540 წელს შექმნილ თავიანთ მძღავრ იმპერიაში შეიყვანეს. იქ ააგეს ტაძარი ენგური და მოგვიანებით დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელებაც, რისთვისაც ისინი იქედან განდევნეს. განდევნილებმა მდინარე ევფრატის სათავეებთან ააგეს ციხე ჯიბერი, რაც მეგრულად მტკიცეს ნიშნავს და მას მე-10 საუკუნეში ვაფლობდით.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის უცნაური პოზიცია აქაც გამოიხატა, რადგან ისინი თვლიან, რომ თვალი უნდა დახუჭონ ქართველთა უძველეს წარმომავლობაზე და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს ქართული „კულტუროლოგიის“ სახელმძღვანელოში (გვ. 300), რომ მსოფლიოს უძველესი ხალხი ებრაელები არიან. ეს, ხომ აშკარად ტყუილია და სწორი იქნებოდა, თუ დაწერდნენ „ერთ-ერთი უძველესი ხალხი“.

ქასქები (ქაშქები, აბეშლა)

ცხოვრობდნენ პონტოს მთებში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, კავკასიაში და ლაზიკაში. ისინი წინახეთური კოლხური მოდგმის ხალხი იყო და პირველად ძველი წელთაღრიცხვის XVII-XIII საუკუნეებით იხსენიებიან წერილობით წყაროებში. მათ ძვ.წ.აღ XV საუკუნეში დაარბიერეს ხეთების დედაქალაქი ხათუსა. XII საუკუნეში კი ისინი თუბალებისა და მუშქების მეზობლად გადავიდნენ საცხოვრებლად. ქასქებს მეგრულის მსგავსი გვარები ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ XV ს. ჰერიდათ და განასხვავებდნენ კაცისა და ქალის გვარებს, ისევე, როგორც მეგრულში. მაგალითად, ადამია – ადამხე, შონია – შონხე, გოგოხია – გოგოხე და ა. შ.

ქასქური ენა, სიტყვები და დღის სახელებიც ძალიან ჰგავდა მეგრულს. მაგალითად, კვირის დღეების სახელები ქასქურად ასეათნაირად წარმოითქმებოდა: ორშაბათი – თუთაშხა (მთვარე), სამშაბათი – თახაშხა, ოთხშაბათი – ჯუმაშხა, ხუთშაბათი – ცაშხა(ცა), პარასკევი – ობიშხა, შაბათი – საბატუნი (ღმერთების დღე), როცა არ შეიძლებოდა სახლიდან გასვლა და ცეცხლის დანთება და კვირა – შაშხა(მზე).

ირლანდია

ქართული კვალი არის ირლანდიაშიც, სადაც იბერები III ათასწლეულის ბოლოს მივიდნენ და იქ ძვ. წ. აღ. VIII საუკუნემდე, გელების (გალების) შექრამდე ცხოვრობდნენ. ამას ბევრი რამ ადასტურებს, მათ შორის მათი ამპარული ანბანი, რომელიც ჰგავს ქართულს, არიან ტემპერა-მენტიანები, აღმერთებენ მუსიკასა და პოეზიას, აქვთ საგუნდო და მრავალხმიანი სიმღერები, წმინდა გიორგისა და სტუმრის კულტი, მათი ზღაპრები ჰგავს ქართულ ზღაპრებს. მაგალითად, ძროხის წიგნი და ჩვენი წიქარა, ზღაპარი ჯადოსნურ ყანწზე (ამ ძროს ვენახი საერთოდ არ ხარობს ირლანდიაში), ზღაპარი ზარმაც ჯეკზე და ჩვენი ნაცარქექია, ზღაპარი ხუროთმოძღვარ გობზე და ჩვენი არსაკიძე, ზღაპარი სახალხო გმირ კუპულანოზე და ჩვენი არსენა და ა. შ.

ხოლო, რაც შეეხება მსოფლიო საცეკვაო ეთნოკულტურას, რომელშიც ირლანდიური ცეკვებიც გამოიჩინა, როგორც ებრაელი მეცნიერი ნ. ვრანი წერს თავის წიგნში „ობ იბერიისკომ რასსელენიი,“ მასში განსაკუთრებით კი ირლანდიურში, ძალიან ძლიერია იბერიული ცეკვის კვალი.

არიელები

მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არიელები პროტოეართველები იყვნენ და ისინი მეორე ათასწლეულის შუა ხანებში მივიდნენ ინდოეთში ავლანეთიდან და შუა აზიდან, სადაც ისინი ინდოარიელებად ჩამოყალიბდნენ.

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის ბოლოს ევროპელი არიელები მიდიაშიც შეიჭრნენ (მიდიელები

და არიელები ერთნი იყვნენ და მათი ენებიც ამიტომაა მსგავსი). სწორედ, იქ მოხდა კიროს II დროს ლურსმული დამწერლობის ფორმირება (550-530 წწ), თუმცა მიდიაში ასევე იყენებდნენ აქადურ (ბაბილონურ), ელამურ და ძველ სპარსულ ენებსაც. თუ მკითხველს ეს საკითხები უფრო საფუძვლიანად დააინტერესებს, შეუძლია წაიკითხოს ცნობილი მეცნიერის პ. გრეინ-შპოლკის წიგნი „არიელები და იბერიელები.“

აქადები

აქადები III ათასწლეულიდან ჯერ მესოპოტამიის ჩრდილოეთით, ხოლო მოგვიანებით სამხრეთითაც ცხოვრობდნენ. მათ II ათასწლეულში შუმერების შევიწროება დაიწყეს, რაც მათი ურთიერთშერწყმით დასრულდა. ამას შედეგად შუმერული ენის სიკვდილი მოჰყვა, ხოლო აქადური ენა ლურსმულ დამწერლობასთან ერთად მთელს ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა და მას თვით ფარაონებიც კი იყენებდნენ.

აქადებმა შესძლეს და მესოპოტამური ცივილიზაცია კიდევ უფრო განავითარეს, რამაც გვიან ბაბილონური კულტურის სახელი მიიღო. ასე, რომ ბაბილონის ცივილიზაცია შუმერული კულტურის ბოლო ფაზას წარმოადგენდა.

აქადურ ენას ორი დიალექტი ჰქონდა – ასურული და ბაბილონური და ორთავე შუმერულის ძლიერ გავლენას განიცდიდა, მაგრამ შემდეგში აქადების შევიწროებაც დაიწყო და ძვ. წ აღ VI ს. აქადური ენა მესოპოტამიის მხოლოდ ქალაქებში შემორჩა. სახელმწიფო ენა კი მთელს მესოპოტამიაში არამეული ენა გახდა.

ხურიტები (ურარტულები)

III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ურარტუს ტომის ხალხს, ხურიტებს, ეკავათ ტერიტორიები ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან ცენტრალურ ამიერკავკასიამდე, ხოლო II ათასწლეულში ისინი იყვნენ მითანის მცხოვრებნი და წარმოადგენდნენ არმენის ავტოქთონებს.

II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ არაბეთიდან იქ შევიდნენ არამელები და მოახდინეს ხურიტების ასიმილაცია, რომლებიც იმდენად მაღალი განვითარებისანი იყვნენ, რომ საკუთარი ლურსმული დამწერლობაც კი გააჩნდათ.

რაკი ხურიტები ურარტუს ტომის ხალხს წარმოადგენდნენ, ხოლო ურარტულები თავის მხრივ ერთ-ერთი პროტოქართული ტომის ხალხი იყო, ამიტომ ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ ხურიტებიც ძველი პროტოქართული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდნენ.

ტროა

ტროა მცირე აზის ჩრდილო-დასავლეთით არსებული ქალაქი-სახელმწიფო იყო, რომელ-საც ილიონიც ჰქვიოდა. პირველი ვერსიით ის ფრიგიის (მუშქების) მეფის ვაჟმა ტროსმა, ხოლო მეორე ვერსიით ტროსის ვაჟმა ილიოსმა დაარსა. (ტროსის ცოლო და ილიოსის დედა სავარაუდოდ მედეა იყო) ტროას ადგილზე უძველესი ნამოსახლარი ძვ.წ.აღ 3 000 წლით თარიღდება.

მეცნიერების დიდი ნაწილისათვის უკვე საეჭვო აღარ არის, რომ ტროელები ხეთურ-იბერიული (პელაზგური) მოდგმის ხალხს წარმოადგენდნენ და როგორც ცნობილი მეცნიერი პ. გრეინშპოლკი წერს თავის წიგნში „ტროელები და იბერიელები“ ქართველები იყვნენ. სწორედ, ამიტომ იყვნენ ტროელთა მოკავშირეები ლალისელი ხალიზონები (ხალიბები) „ილიადაში“ აღნერილ ბრძოლაში.

ტროელთა ქართველობას (პელაზგობას) ადასტურებენ სტრაბონი და პერიდოტეც. ტროა 1200 წელს დაანგრიეს ბერძნებმა და მის ნანგრევებზე შექმნეს თავისი კულტურა, ისტორია კი გააყალბეს.

ბაიანი

ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხი ბაიანიც, რომელმაც ძვ. წ აღ. IX საუკუნის დასაწყისში დაიმორჩილა სხვა ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხები (მათ შორის არა ხეთურ-სუბარული მანაც) და შექმნა ურარტუს (ხალდეს) ქვეყანა, რომლებიც თავიანთ თავს სუბარს უწოდებდნენ.

მიღეთი

ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი მიღეთელები იყვნენ, რომლებიც მცირე აზიაში, დღევანდელი თურქეთის უკიდურეს დასავლეთში – იონიაში ცხოვრობდნენ. სწორედ ამ მიღეთელებმა (და არა ბერძნებმა) შექმნეს საქართველოს შავი ზღვისპირეთში ე. წ. ბერძნული ახალშენები. გერმანელი მეცნიერი ე. კორციუსი აძლევს რა შეფასებას იონიელებს. წერს, რომ ისტორიის დასაწყისში ელადის ცენტრში სწორედ იონიელები იდგნენ.

გერმანია

როგორც ცნობილი მეცნიერი ე. დემოლინსი წერს, ქართული კვალი გერმანიაშიც არის შემორჩენილი, რაც უპირველესად გერმანულ ენაში არსებული ადგილებისა და მდინარეების პროტოქართული სახელწოდებების არსებობაში გამოიხატება.

არის მეორე უფრო მნიშვნელოვანი კვალიც, რაც იმით დასტურდება, რომ სამხრეთ გერმანიაში ცხოვრობდნენ უძველესი იბერები გერმანული ტომის ებორონების სახელით. ებორონების სახელწოდებას მეცნიერთა ნაწილი ასეთნაირად ხსნის: ებორონები-იბერონები-იბერები.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამხრეთ გერმანული (ავსტრიული) ბადენური კულტურა, რომელიც 4800 წლის წინათ ჩამოყალიბდა, პროტოქართველების მიერ არის შექმნილი.

აქაველები

პროტოქართველები იყვნენ აქაველებიც, რომლებიც ძვ. წ. აღ პირველ ათასწლეულში ჩრდილოეთ საბერძნეთში ცხოვრობდნენ. მათ ძვ. წ. აღ XV საუკუნეში შექმნეს მიკენის კულტურა, მაგრამ XIII საუკუნეში მათი ძლიერება დაეცა. XII საუკუნეში კი დორიელების იქ შეჭრის შემდეგ იძულებული გახდნენ დასავლეთ მცირე აზიაში და ეგეოსის კუნძულებზე გადასულიყვნენ. VIII საუკუნეში კი იტალიაშიც შექმნეს კოლონიები და დასახლდნენ კორინთოს სრუტესთანაც.

VII საუკუნეში ბერძნებმა აქაველების ასიმილაცია დაასრულეს.

აქაველების წარმომავლობასთან დაკავშირებით მეორე მოსაზრებაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ისინი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მოსახლე ხალხი იყო, რომლებიც ჯერ კიდევ XIV-XIII საუკუნეში ჰქონდათ ახიავას გაერთიანება – აქიავაშა.

არამელები

არამელები თავიდან ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ, სადაც ისინი II ათასწლეულის შუა ხანებში ჩრდილოეთ არაბეთიდან შევიდნენ და XIII საუკუნეში უკვე პატარ-პატარა სახელმწიფოებიც შექმნეს. ძვ. წ. აღ X საუკუნეში კი ისინი სირია-მესოპოტამიაშიც დამკვიდრდნენ. ბერძნებმა მათ სირიელები შეარქვეს, რაც დღემდე მოჰყვებათ კიდეც.

ძვ. წ. აღ VIII საუკუნეში კი მთელი სირია უკვე არამეულ ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო კიროს II ზეობის დროს (550-530წწ) არამეული ენა უკვე მთელს მესოპოტამიაში (დასავლეთ ირანამდე) სახელმწიფო ენა გახდა, რომელშიც უკვე ანბანურს იყენებდნენ და არა ლურსმულს.

ახ. წ. აღ I საუკუნეში არამელები ბაბილონელებსა და ქალდეველებს შეერწყნენ.

ალბანელები

ალბანელები ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო, რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ და კოლხურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ამ აზრის თავის დროზე არა მხოლოდ ჰეროდოტე და ჰ. ბიზანტიელი იყვნენ, არამედ ასე ფიქრობს დღევანდელი მეცნიერების მრავალი წარმომადგენელიც, ოლონდ, რა თქმა უნდა, არა აზერბაიჯანელები, რომლებისთვისაც ალბანელთა წარმომავლობის არააზერბაიჯანული ვერსია მტკიცნეული და მიუღებელია. ამას ემატება სომები ისტორიკოსების დიდი ნაწილიც, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ (თუმცა წარუმატებლად) ალბანელთა სომხური წარმომავლობა.

კოლხები

კოლხუების, კოლხი-იბერების შესახებ ჩვენ დეტალურად წინა სტატიებში ვწერდით. ამჯერად ჩვენ აქ კოლხების მხოლოდ იმ ნაწილს შევეხებით ორიოდე სიტყვით, რომლებიც ტრადიციული გაგებით ჩვენებურ კოლხებს მიეკუთვნებიან.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები კოლხები ერთ-ერთი უძველესი ხალხია და ისინი ძვ.წ. აღ. XII საუკუნის კოლხის (კოლხის) სახელით მოიხსენიებიან, რომლებმაც მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე შექმნეს თვითმყოფადი კოლხური კულტურა, რაც სხვა ქართული ტომების – მაკრონების, მოსინიკების, სასპერების, ტიბარენებისა და სხვათა ტერიტორიებზეც იყო გავრცელებული. მათ ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე საკუთარი სამეფოც ჰქონდათ შექმნილი, რაზეც ჩვენ ზემოთ ვრცლად უკვე ვისაუბრეთ.

მუშები (მოსხები-მესხები-მუსკები) = პირველად ძვ. წ. აღ. პირველ ათასწლეულში მოიხსენიებიან. მოსხები არიან მუშების შთამომავლები და მესხების წინაპრები. ძვ.წ. აღ. X საუკუნეში შექმნეს საკუთარი სამეფო მუსკებმაც. მუშების (ფრიგის) სამეფოს დაცემის შემდეგ ძვ. წ. აღ. VII საუკუნეში ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადასახლდნენ.

რაც შეეხებათ მესხებს, ისინი ძვ.წ. აღ. I საუკუნიდან „მოსხიკედაც“ მოიხსენიებიან და ცხოვრობდნენ აჭარაში, კლარჯეთში, ტაოში, სპერსა და შავშეთში.

მითანი = ძვ. წ. აღ. XVI საუკუნეში შეიქმნა მითანის სამეფო, რომელიც ჩრდილოეთ შუამდინარეთში მდებარეობდა. მითანში სახელმწიფო ენა ხურიტული იყო. მითანი მეორე სახელით ხურითაც (ხური-მითანი) მოიხსენიება. II ათასწლეულის პირველ ნახევარში იქ არიელები შევიდნენ. მითანელები (იგივე ხურიტები) სხვადასხვა დროს წარმატებით ებრძნოდნენ სირიას, ეგვიპტეს, ხეთას და ასურეთს, მაგრამ ბოლოს ჯერ ხეთამ გაანადგურა, ხოლო შემდეგ ასურეთმაც დაიპყრო.

XIV საუკუნის ბოლოს მას არამელები დაეპატრონნენ. როგორც ჰეროდოტე წერს, მითანის სამეფოსა და ხალხისაგან ბოლოს მხოლოდ სახელი მაითანი შემორჩა. შესაძლოა აქედან მოდიოდეს ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომის — მატიენთა სახელიც.

ხალიბები = ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო. მათ ხალდებადაც მოიხსენიებდნენ და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ხალიბებმა უკვე დაიწყეს რკინის გამოდნობა, რომლითაც სახელი მთელს მსოფლიოში გაითქვეს. მათ ლითონის დამუშავებასთან ერთად შექმნეს ოქროსა და ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგიებიც. ძვ.წ. აღ. VIII საუკუნეში კი საკუთარი სამეფოც ჩამოაყალიბეს, რომლის ცენტრი დღევანდელი ტრაპიზონი იყო. სამეფო იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალიბებმა ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში ბაბილონი და სირიაც კი დაიპყრეს.

იონელები = მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ პროტოქართველები იყვნენ იონილებიც, რომლებიც ძვ.წ. აღ. XI-X საუკუნეებში დასახლდნენ იონიის არქიპელაგის კუნძულებზე, სადაც მანამდე, მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აქაველები ცხოვრობდნენ. კუნძულებიდან იონიელები დორიელებმა განდევნეს და ისინი მცირე აზიაში, შავი და მარმარილოს ზღვების სანაპიროებზე გადავიდნენ საცხოვრებლად.

ზანები (სანები, სანიგები, ჭანები, ლაზები) = უძველეს ქართულ ტომს წარმოადგენდნენ და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ტრაპიზონამდე) და ჭოროხის ზედა წელში ცხოვრობდნენ. ისინი ზანურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ჯერ კიდევ 1 800 წლის წინათ ზანური ენის ლაზური და მეგრული დიალექტები მოსაზღვრე ენები იყვნენ, მაგრამ შემდეგ მათი შეხება გათიშა იქ მისულმა და დამკვიდრებულმა სხვა ქართულმა ტომმა.

პროტოქართველებად მიიჩნევიან დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე მცხოვრები იტალიურ-ეტრუსკული ტომის ხალხი – ოსკები, რომელთა შესახებ მაინცადამაინც ბევრი არაფერი ვიცით. ჩვენამდე მოღწეულია ძვ. წ. აღ. V-I საუკუნეებში ბერძნულ-ლათინური ანბანით შერულებული 300 ოსკური წარწერა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე წაკითხული.

ასევე პროტოქართულ ტომად არიან მიჩნეულები მეორე იტალიური ტომი — საბელებიც, რომლებიც აპენინის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ და საბოლოოდ ძვ. წ. აღ. III საუკუნეში რომმა დაიპყრო.

კიბერიელები = უძველესი ქართული ტომია კიმერიელებიც, რომლებიც VIII-VII საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თრაკიამდე ცხოვრობდნენ. მათ ეს სახელი ასურელებმა შეარქვეს. გაძლიერებულმა კიმერიელებმა VII საუკუნეში დაიპყრეს კაპადოკია, ლიდია და ფრიგია და საბოლოოდ კაპადოკიელებს შეერივნენ. სხვათა შორის არის ისეთი ქართული სიტყვები, რომელთა წარმოშობა და ახსნა ბოლომდე ვერ ხერხდება. ერთ-ერთ-ასეთი სიტყვა გახლავთ გმირი, რომელიც შესაძლოა კიმერიელს უკავშირდებოდეს. კიმერები იმდენად მებრძოლი და მამაცი ხალხი ყოფილან, რომ იქნებ მართლაც და ასეთნაირად ავხსნათ სიტყვა „გმირი“ – კიმერი, გიმერი – გმირი. ამ პრინციპით შეიძლება ავხსნათ იმერიც (იმერელი) – კიმერი – იმერი.

სარმატები (ჩერქეზები) = ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა საერთო სახელწოდებას წარმოადგენდა, რომლებმაც ძვ.წ. აღ III-II საუკუნეში აითვისეს ჩრდილოეთ კავკასია და ბოსფორი და ახ. წ. I საუკუნეში უკვე დუნაის სანაპიროებამდეც და ამიერკავკასიაშიც ილაშქრეს და დასახლდნენ რომის იმპერიის საზღვრებთან, საიდანაც ისინი მოგვიანებით გუთებმა და ჰუნებმა გამოაძევეს.

ტიპარენები (ტიპართები, ტიპარანი) = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ.

ასირიელები = ერთ-ერთი უძველესი ხალხია და პროტოქართველებად მოისაზრებიან. ისინი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ და მეორე სახელით ასურებადაც მოიხსენიებიან. მათ პროტოქართველობას ცნობილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი ბ.კუფტინიც მიანიშნებდა, როცა წერდა, რომ ასირიულ ცილინდრებზე იქაურ ქურუმებს ხელში კოლხური ცულები ეჭირათ ე.ი ამით იმისი თქმა შეიძლება, რომ როგორც მინიმუმი ასირიელებსა და კოლხებს ერთიანი კულტურული სივრცე გააჩნდათ. თვითონ ასურული ხელოვნება კი მეორე ათასწლეულში აქადისა და ხეთების კულტურათა ზეგავლენით არის შექმნილი.

სპერები (სასპერ-იბერები) = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო და ისინი სამხრეთ დასავლეთ საქართველოში შავ ზღვამდე, ჭოროხის ზემო აუზში და აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ. ისინი აღმოსავლელი ქართველები იყვნენ და მათ ჰეროდოტე სასპერებს უწოდებდა. ცნობილია რომ მათზე ლაშქრობა ბერძენმა იაზონმა თავისი ცნობილი არგონავტების ლაშქრობის დროს განახორციელა.

არსებობდა სპერების მეორე ჯგუფიც – სპერი-კოლხები, რომელთაგან შემდეგში აღმოსავლელი ქართველები – ქორთუები წარმოიშვნენ.

აბარნები = ერთ-ერთ უძველეს პროტოქართულ ტომად მიიჩნევა აღტაელი აბარნებიც (იბერნები-იბერები), რომელთა შესახებ მაინცადამაინც ბევრი რამ არ არის ცნობილი და ეს უფრო მომავალი კვლევის საქმეს წარმოადგენს.

კასიტები = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართული ტომის ხალხი იყო, როგორც ამას ცნობილი ებრაელი მეცნიერი ი. მოსენსკისი წერს. მათი ენაც კოლხური იყო და სწორედ ამ ენაზე მართავდნენ ისინი ბაბილონს ძვ. წ. აღ XVIII-XII საუკუნეებში.

გორდიები = ერთ-ერთი უძველესი პროტოქართველები იყვნენ, რომლებიც ჩინებული იარაღის მკეთებლები და სახელგანთქმული ხუროთმოძღვრები ყოფილან.

აქაიები = ერთ-ერთი უძველესი ტომი იყო და კერკეტების, ჯიქეშისა და ჰენიოხების მეზობლად ცხოვრობდნენ.

მინოსელები = მეცნიერების მიერ პროტოქართველებად და პროტოქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხად არიან მიჩნეულნი მინოსელებიც.

პროტოქართული მოდგმის ხალხებად ასევე მიჩნეულნი არიან: აგოროველები, ალაროდები (ურარტულთა შთამომავლები იყვნენ), ახიაველები (აქიავაშა), გალები, გარეში, გელები, გორდიები, გუგარები, დიახელები, ეგეოსელები, ებორონები, თუბალები, კართაგენელები, კარიელები, კელტ-იბერები, კერკეტები, ლელეგები, ლიკიელები, მაკრონები, მარგველები, მატიენები, მინოსელები, მისიმიანელები, მოსინიკები, სკვითები (სკვითინები), ტრუდედანტები (ესპანელი იბერების ერთ-ერთი ტომი), შავშ-კლარჯები ჯიქები, ჰენიოხები და კიდევ შესაძლოა სხვებიც.

დაკვირვებული მკითხველისათვის ძნელი არ იქნება მიახლოებით მაინც დაითვალის პრო-ტოქართული მოდგმის ხალხთა რაოდენობა (ჩვენი გამოთვლით მათი რიცხვი 80-მდე აღწევს) ამათგან ბევრის შესახებ საკმაო მონაცემები უკვე არსებობს, ხოლო გარკვეულ ნაწილზე მონაცემები იმდენად მნირი და მცირეა, რომ ყველაფერი თავიდან არის საკეთებელი.

ვფიქრობთ, ყველაფერს ამას უნდა მიეცეს ორგანიზებული სახე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ცალკე ერთეულად შექმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც საგულდაგულოდ შეისწავლის ზემოთ ჩამოთვლილი პროტოქართული მოდგმის ხალხების ისტორიას, ეთნოლოგიას, ენებს, ნარმომავლობას, განსახლების გეოგრაფიას, ანთროპოლოგიას და ყველაფერს იმას, რაც მათი ქართულ სამყაროსთან შესაძლო კავშირების დადასტურებას შეუწყობდა ხელს. რა თქმა უნდა ეს ჩვენ, ქართველებმა უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა, რომ ამ შესწავლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღოს, რადგან მას რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ამერიკელი და ა.შ. სხვა არ გააკეთებს, რადგან მას რუსი იმიტომ არ გააკეთებს რომ მან ხაზი არ გაუსვას ჩვენს უძველეს ნარმომავლობას (აյ ცალკეულ რუს მეცნიერებზე არ არის საუბარი, რადგან ასეთები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან); სომეხი იმიტომ, რომ მას თვითონ აქვს ამბიცია ყველაფერი სომხურად გაასაღოს და მონათლოს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ამისი საფუძველი და სულაც არ დახარჯავს ფულს იმ საქმეზე, სადაც ქართველის პირველობა იქნება ხაზგასმული; აზერბაიჯანელი იმიტომ, რომ ის ვერ იქნება ობიექტური (მათ ხომ დავით გარეჯიც კი აზერბაიჯანული კულტურის ძეგლად, ხოლო ინგილოები არაქართველებად მიაჩნიათ), ამერიკელი იმიტომ, რომ მათ სულაც არ სურთ ჩვენი უძველესი ისტორიისა და ნარსულის ფონზე თავიანთ უნარსულობას გაუსვან ხაზი. დიახ, დიახ, უნარსულობას და ისტორიის უქონლობას, რადგან მათ რომ ისტორია გააჩნიათ (250 წლისაც კი არა) იმ ასაკის ხეები ან ოდა სახლები უდგათ ძირძველ ქართულ ოჯახებს ეზოებში.

ამ გზაზე უპირველესი ნაბიჯი ვფიქრობ სპეციალური ბიბლიოთეკის შექმნა უნდა გახდეს, სადაც თავი მოეყრება პრობლემის ირგვლივ დაწერილ და გამოქვეყნებულ წიგნებსა და სტატიებს (განსაკუთრებით უცხოეთში გამოცემულს, რადგან მათზე ხელის მიწვდომა თითქმის შეუძლებელა).

მე, რა თქმა უნდა მესმის, რომ ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია, მაგრამ ოდესლაც ხომ უნდა დაიწყოს ვინმერ და რაკი ეს აუცილებლად მოსახდენია, მოდით ჩვენ დავიწყოთ და თანაც ახლა და შემდგომი თაობები მას აუცილებლად გააგრძელებენ. მითუმეტეს, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ და კარგი ახალგაზრდობაც გვეზრდება.

გადასაწყვეტი დარჩა მხოლოდ ორი „მარტივი“ საკითხი: პირველი – ფსიქოლოგიური მზადყოფნა საქმის დასაწყებად (რაც მიღწევადია) და მეორე – ცენტრის შექმნისათვის დაფინანსების გამოყოფა რაც ეროვნული მთავრობის სურვილისა და მონდომების გარეშე არ იქნება. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რომ ეროვნულია და თანაც ამ საქმის მოგვარების სურვილიც გაუჩინდება, განა ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება? ალბათ არც ის უნდა იყოს კითხვის ნიშნის ქვეშ დასასმელი, რომ იმაზე უკეთესი განა რა უნდა გავაკეთოთ, ვიდრე ეს ჩვენი ეროვნული წარმომავლობის სათავეების კვლევა არის.

მანანა ვაშაყაბაძე

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი

„კოლხური თეთრი“ და ძველი ვანი

ისტორიული მეცნიერების იმ დარგს, რომელიც ძველი ფულების, ანუ მონეტებისა და აგრეთვე, მედლების შესწავლას ემსახურება – „ნუმიზმატიკას“ უწოდებენ. სახელწოდება „ნუ-მიზმატიკა“ – წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან და კანონიერი ანგარიშსწორების საშუალებას, ანუ ფულს აღნიშვნას. იგი ლათინური სიტყვა – მონეტა-სგან წარმოდგება და ფულის, ფასეულობის საზომს ნიშნავს. მრავალ მიზეზთა გამო, არქეოლოგის მეცნიერებაში ნუმიზმატიკამ ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა. მონეტის ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით (ზომა, წონა, ფორმა, ტიპი, გამოსახულება ან წარწერა, ლითონის ხარისხი, დამზადების ტექნიკა, მხატვრული გაფორმება), შორეული წარსულის აღდგენა, თარიღის დადგენა და სხვა უამრავი ინფორმაციის მიღება ხერხდება – მონეტა ამ მხრივ უტყუარი და ფასდაუდებელი ძეგლია.

მონეტაზე შემოჩენილი სხვადასხვა ნიშნებით და ამ დეტალების ზედმინევნითი შესწავლის შედეგად დარწმუნებით შეიძლება მსჯელობა მრავალი მოვლენის შესახებ, როგორიცაა სახელმწიფოს პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერება, ხალხის კულტურული განვითარება, ეკონომიკური მდგომარეობა და ა. შ.

ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები არსებით ცნობას იძლევა. ჩვენი ქვეყნის წარსულისა და კულტურული განვითარების ყველა საფეხურის შესახებ საქართველოს მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები რომ უარვყოთ და მხოლოდ ჩვენს მიწა-წყალზე მოჭრილ მონეტებს მივენდოთ, თვალინ წარმოგვიდგება ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრების ნათელი და ზუსტი სურათი. ირკვევა, რომ თანამედროვე მონეტის ის სახე და გარეგნობა, რაც მას დღეს აქვს, ყოველთვის არ ჰქონია. მეცნიერული კვლევა-ძიებით დადგინდა, თუ რაგვარი აღებ-მიცემობა არსებობდა სამი-ოთხი ათასი წლის წინათ და რა ღირებულების საზომი ყოფილა მონეტა იმ დროს, გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის განვითარების რა საფეხურები გაიარა სხვადასხვა ხალხმა.

ირკვევა, რომ ფულის ნიშნების დანიშნულებას თავდაპირველად სხვადასხვა საგანი ას-რულებდა. მაგალითად, საწარმოო ან საომარი იარაღი, ტყავ-ბეწვეული, რქიანი საქონელი. ცნობილია, რომ ლითონის ფულის გამოჩენამდე, განვითარებულ ხალხებში მის მაგივრობას რქიანი საქონელი ასრულებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ძველი რომაული ტერმინი „pecunia“ (ფულისა და პირუტყვის მნიშვნელობით) ძველი ქართული ტერმინის „ხვასტაგის“ მს-გავსი ყოფილა, რადგან ეს უკანასკნელიც ფულს, დოვლათს, და ამავე დროს, რქიან საქონელს ნიშნავდა. დასავლეთ საქართველოში ახლაც იხმარება სიტყვა „ხვადაგი“, შინაური, მსხვილ-ფეხა, რქიანი პირუტყვის აღსანიშნავად.

მთავარი საქონელი, რომელსაც მეჯოგე ტომები თავიანთ მეზობლებს უცვლიდნენ, შინაური პირუტყვი იყო. პირუტყვი „საქონელი“ გახდა, რომლითაც სხვა „საქონელს“ აფასებდნენ და რომელსაც სიამოვნებით ღებულობდნენ აღება-მიცემობაში. ამიტომ, შემთხვევითიც შეიძლება არ იყოს ის გარემოება, რომ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ფულზე ე. წ. „კოლხურ თეთრზე“, სწორედ, ხარის თავია გამოსახული.

ფასეულობის ყველა ზემოაღნიშნული საზომი, რა თქმა უნდა, თავის პირდაპირ დანიშნულებას კარგად ვერ ასრულებდა. მათი დიდი ნაწილი ბუნების დაუმუშავებელ ნაწარმს წარმოადგენდა, ადვილად ზიანდებოდა, გადასატან-გადმოსატანად ძნელი გახლდათ და ამიტომ, მათი ღირებულებაც ძალიან მერყეობდა. მიუხედავად ამისა, უნდა ალინიშნოს, რომ ფულის ევოლუცია ძალიან ძნელი იყო და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. თავდაპირველად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დიდი ხნით ადრე, ოქრო გაჩნდა, მერე ვერცხლისა და სხვა ლითონების გაჩენისა და წარმოების ათვისებისთანავე ოქრომ, როგორც ძვირფასმა და კეთილშობილმა ლითონმა თავისი შესაფერისი ადგილი დაიმკვიდრა.

ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილების მიხედვით, დაუმუშავებელი და უხეში სახით გამოშვებული ლითონის ზოდებიდან განსაზღვრული ფორმის, ზომისა და წონის ნაკეთობანი

მზადდებოდა. ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში საფასურს, მაგალითად, ოქროს ბეჭდებით იხდიდნენ, სპარტაში რკინის წკეპლებით, რუსეთში – მონეტების შემოღებამდე ვერცხლის მოგრძო ზოდებს ე. წ. „გრივნებს“ ხმარობდნენ, ჩვენი წინაპრები კი ბრინჯაოს სამაჯურებს იყენებდნენ.

ანგარიშსწორების დროს ასეთი „ფულის ნიშნები“ წონით საღდებოდა და აუცილებელი ხდებოდა მათი დანაწილებაც. რაც ცხადია, უხერხულ პროცედურებთან იყო დაკავშირებული. ამის შემდეგ ფულის ერთეულის გარდაქმნა-გაუმჯობესების შესანიშნავი აზრი დაიბადა. ლითონის ნანარმთა გამოშვება, ხელისუფლებამ იკისრა, ხოლო წონისა და ხარისხის აუცილებელი გარანტიის აღსანიშნავად კანონით დაწესებული დამატა შემოილო.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი არ არის, თუ სად, სახელდობრ, რომელ ქვეყანაში, ვისი მეფობის დროს გაჩნდა ასეთნაირად მოჭრილი პირველი ფული. წყაროები ამის შესახებ განსხვავებულ ვერსიებს იძლევიან. თუმცა, ცნობილია, რომ ფასეულობათა ეს ახალი საზომები სწრაფად გავრცელდა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებში და უპირველეს ყოვლისა, ფეხი მოიკიდა ხმელთაშუა და შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქებსა და სახელმწიფოებში. საერთოდ, გავრცელებული აზრით ბოსფორის სამეფოში მაგალითად, მონეტები ძვ. წ. VI საუკუნის დამლევს შემოუღიათ. ძვ. ირანში დარიოს I (521-484წ.) დროს, ეგვიპტესა და ინდოეთში ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს, კართაგენებულებს არა უგვიანეს 400 წლისა, რაც შეეხება ძველ რომს, აქ IV საუკუნეზე ადრე არ გაჩენილა.

ძველ კოლხეთში კი საკუთარი მონეტა ადრე გაჩენილა. კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა, უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით, ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება, ამიტომ სრული უფლება გვაქვს ვალიაროთ, რომ კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მონეტას წარმოადგენს და თავისი ტექნიკურ-მხატვრული თვისებებითაც იმდროინდელ საუკეთესო ნიმუშებს არაფრით არ ჩამოუვარდება.

გათვალისწინებული იყო, რომ მონეტათა განსაზღვრული რაოდენობა ლითონის განსაზღვრულივე წონის ერთეულიდან უნდა მოჭრილიყო. ანგარიშსწორების ძირითად საშუალებას ჩვეულებრივ ერთ-ერთი რომელიმე ლითონი წარმოადგენდა. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ლითონი იყო დაკანონებული და შემოღებული. ბრუნვაში დამკვიდრებულ ფულის სისტემასაც სათანადო სახელი აქვს – ოქროსი, ვერცხლის თუ სპილენძის მონომეტალიზმი. ამა თუ იმ მონომეტალიზმის დროს სხვა ლითონებსაც ხმარობდნენ, მაგრამ მცირე რაოდენობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალასი ოქროსა და ვერცხლისაგან მოჭრილი მონეტები, ამ ლითონების სირბილის გამო, მალე ცვდება, ამიტომ ამ კეთილშობილ რბილ ლითონებს სიმტკიცისათვის სხვა ლითონებს ურევდნენ (ჩვეულებრივ სპილენძს).

დაკანონებული პროპორციების ზუსტი დაცვა ტექნიკურად საკმაოდ ძნელი იყო. შედეგად, ლითონის სინჯადობა, ისევე როგორც მოჭრილი მონეტის წონა, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში მერყეობას განიცდიდა, ამიტომ ფინანსური ღონისძიებების ჩასატარებლად ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ასეთ მეთოდს მიმართავდნენ დაკანონებულ ნორმებთან შედარებით, მონეტას ან წონას აკლებდნენ, ან სინჯს, ანდა ზოგჯერ ორივეს ერთად.

ჩვენი წინაპრები ძალიან ადრე გაეცვნენ მონეტის ფასეული გაფუჭების ხერხებს, მას განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ, ანუ სათანადო დამუშავების შემდეგ, სპილენძის გულას მთლიანად ვერცხლის თხელ ფირფიტას აკრავდნენ, ეს ე. წ. ს უ ბ ე რ ა ტ უ ლ ი მონეტა დამახასიათებელია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-II სს კოლხური თეთრის ზოგიერთი ნიმუშისათვის.

მონეტის მოჭრა, ძირითადად, სახელმწიფოს ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების, უპირატესობაა და ამრიგად, ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს გარეგან ნიშანს წარმოადგენს, რასაც სახელმწიფო ს ა მ თ ნ ე ტ ო რ ე გ ა ლ ი ა ენოდება.

მონეტებზე არსებული წარწერები გვაუწყებენ მფლობელების სახელებს, სამფლობელოთა სახელწოდებებს, გვამცნობებს ქალაქებსა და ქვეყნებს, დინასტიური ხასიათის ცნობებს და ამით ძვირფას მასალას გვაწვდიან ქრონოლოგიისა და პოლიტიკური გეოგრაფიისათვის.

მონეტაზე აღბეჭდილი თარიღები ყველგან და ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ყველა კულტურულ ერს, ან სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული ხანა ჰქონდა და ამიტომ, მონეტებზე სხვადასხვანაირ თარიღებს შევხვდებით. ზოგს, ამა თუ იმ წელთაღრიცხვის მიმდინარე წლის თარიღი აზის, ზოგს სახელმწიფოს მმართველობის მიმდინარე წლიწადი, ან ე. წ. „ინიციალ-

ური“, ანუ ტახტზე ასვლის თარიღი და სხვა მისთ.

მონეტები, რომლებზეც, მხოლოდ ქართული წარწერებია, ქართულ ნუმიზმატიკაში შედარებით იშვიათი მოვლენაა. მონეტები უმთავრესად ორენოვანია, ე. ი. წარწერა ორ ენაზეა. გარდა ქართული წარწერებისა, ჩვენს მონეტებზე არის სხვა წარწერებიც – არაბული, ან სპარსული. არის ისეთი მონეტებიც, რომლებზეც, მხოლოდ გამოსახულებებს ათავსებდნენ, ასეთ ნიმუშებზე ვერავითარ წარწერებს ვერ ნახავთ, რის გამოც, მათ ჩვეულებრივ მუნჯ მონეტებს უწოდებენ. ასეთი მონეტები ქართულ ნუმიზმატიკაში შედარებით, იშვიათი მოვლენაა.

ყველა მონეტას აუცილებლად ორი მხარე აქვს.

შ უ ბ ი ანუ AVERS – (რაზეც ჩვეულებრივ თავსდება გამოსახულებათა ან წარწერათა მნიშვნელოვანი და საყურადლებო ნაწილი).

ზ უ რ გ ი ანუ REVERS (სადაც უკვე მეორეხარისხოვანი წარწერები და გამოსახულებებია) ქართული მონეტები მეცნიერული კვლევის საფუძველით შემდეგ პერიოდებად გაჰყვეს, რომლებსაც ასევე თავისი სერიები აქვს:

1. ანტიკური პერიოდის მონეტები.

სერია – ძვ. წ. VI-II სს. კოლხური თეთრი.

სერია – ძვ. წ. III და ჩვ. წ. III სხვა მონეტები

2. ადრეული ფეოდალური ხანა.

3. გაერთიანების ხანა.

4. მთლიანობის დაშლის ხანა.

5. გვიანთეოდალური ხანა.

მეცნიერულად დადგენილია, რომ დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნეში, ძველი დასახლების სამთო რაიონებში ქართული ტომების კულტურული ცენტრების მოშლის გვერდით წარმოიშვა (აღმოცენდა) ამიერკავკასიის კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოები. დადასტურებულია, რომ ქართველი ტომები ამ ტერიტორიაზე დასახელებულ სახელმწიფოთა წარმოქმნამდე დიდი ხნით ადრე ბინადრობდნენ. იბერთა ტერიტორია კავკასიონიდან მოყოლებული ტავრის ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო მეორე ქართული სახელმწიფო – კოლხეთი ტიბარანის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა და ისევე როგორც იბერია, წინა აზიის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოდ ითვლებოდა იმ დროს არსებულ ოთხ დიდ სახელმწიფოთაგან.

6. ბერძენიშვილი კოლხეთის სამეფოს კოლხთა მეთაურობით შექმნილ ტომთა დიდ გაერთიანებად განსაზღვრვდა: „კოლხეთის სამეფო რიონის ქვემო და ზემო წელს შორის მცხოვრები ძლიერი კოლხური ტომის მიერ ისეთ მცირე ეთნო-ტერიტორიული ერთეულების შემომტკიცების შედეგად ჩამოყალიბდა, რომლებიც გაერთიანების მიუხედავად „ერთმანეთში არ გათქვეფილან“ და შენარჩუნებული ჰქონდათ მმართველობის საკუთარი, ავტონომიური ორგანიზაცია“.

ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ელინისტური ხანის ადრეულ ეტაპზე ქალაქთმშენებლობის გაფართოებაში და ახალი სავაჭრო, სახელოსნო ცენტრების აღმოცენდაში აისახა.

„ახვლედიანების გორაზე“ დღეისათვის გათხრებით გამოვლენილია წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანის ფენები და ელინისტური ნაქალაქარი. ნაქალაქარის ნაშთები ძირითადად ბორცვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობების ზედა, ცენტრალურ და ქვედა ტერასებზეა განლაგებული. კედლებით შემოსაზღვრულ ფერდობზე საკულტო, თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობები, საკურთხევლები და სამარხებია გამოვლენილი.

სამარხები, რომლებიც ძირითადად ბორცვის თავზე იქნა გამოვლენილი, პროფესორმა ოთარ ლორთქიფანიძემ ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულითა და ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრით დაათარილა. მისივე ვარაუდით ნაქალაქარის აღნიშნული ტერიტორია ბორცვის განაშენიანებამდე, ანუ ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებამდე, სამაროვანად იყო გამოყენებული. ამგვარად, ზედა ტერასის ტერიტორია უშუალოდ ნაგებობა-მშენებლობის წინამორბედ ხანში მეომართა, ქურუმთა და რიტუალური ქანდაკებების სამაროვანად ჩანს გამოყენებული.

კოლხეთის ისტორიაში ელინისტური ხანა ცალკე ეტაპად მოგვიანებით გამოიყო და მის კვლევას საფუძველი გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩაეყარა. სიმონ ჯანაშიამ პირველმა წარმოადგინა კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის პერიოდიზაცია, გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები ადგილობრივი ქალაქების აღმოცენების, ადგილობრივი მონეტებისა და ფულადი მიმოქცევის შესახებ.

ამავე პერიოდს უკავშირდება დავით კაპანაძის მიერ კოლხეთის სამონეტო სისტემის სპეციალური კვლევის დაწყებაც. ცხადია, ლომის წილი ამ კვლევა-ძიებაში პროფესორ-აკადემიკოს ოთარ ლორთქითანიძეს მიუძღვის, რომელმაც არა ერთი სტატია, ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი უძღვნა ვანის ნაქალაქარის შესწავლის საკითხებს.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო ყოველთვის იმყოფებოდა კულტურულ სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ამბების თანამონაწილეთა საერთო რიცხვში და ეს დასტურდება იმ ისტორიული, ნუმიზმატიკური ძეგლებითაც, რომელებითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

კოლხური თეთრის ზოგიერთი ვარიანტი ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში მოიჭრა და იგი სავსებით მართებულად ჩაითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მონეტად. ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ამით ჩაგვაყენეს პირველ რიგში იმ კულტურულ ხალხთა შორის, რომელთაც პირველყოფილი ფული, (ფული – საქონელი,) ფულის ახალი ნიშნებით, თანამედროვე გაგებით, მონეტებით შეცვალეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ჩვენში მოჭრილი უკანასკნელი ლითონის მონეტა 1833 წლით არის დათარიღებული და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე საკუთარი ფულის მოჭრა საქართველოში თითქმის არ შეწყვეტილა, სრული უფლება გვეძლევა ვთქვათ, რომ მონეტის მოჭრის ხანგრძლივობაში, ჩვენს ქვეყანას უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავს.

ალბათ, გეოგრაფიული მდებარეობით თუ აიხსნება, რომ იმ შორეული პერიოდის მონეტები ცნობილი არ არის, ხოლო კოლხურმა მონეტებმა დიდი რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. კოლხური ნახევარდრაქმების მსოფლიო მარაგი დღეისათვის დახალოებით 5 500 ცალით განისაზღვრება. მათი აპსოლუტური უმრავლესობა ან ეპიგრაფიკულია, მაგრამ უმნიშვნელო ნაწილზე ბერძნული ასო-ნიშნებიც გვხვდება.

მონეტათა გავრცელების ძირითადი რაიონი ერთი მხრივ – ტრაპიზონისა და სოხუმის, ხოლო მეორე მხრივ – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ლიხის მთებამდე განისაზღვრება. ამით მართლდება მონეტისადმი მიკუთვნებული სახელწოდება „კოლხური თეთრი“ („KOLX-IDKA“), როგორც მას დღესაც უწოდებენ.

ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება კოლხური თეთრის ერთ-ერთი მსხვილი ნომინალი – დიდრაქმა (ორდრაქმიანი), ცოტა უფრო გვიან, ალბათ, ძვ. წ. V საუკუნეში ჩნდება, მეორე ტიპის დიდრაქმა. მაღალი ხარისხის ვერცხლისაგან მოჭრილი ამ ორი დიდრაქმის ნონა 8-10 გრ-ის ფარგლებში მერყეობს. დაახლოებით, ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში კოლხური თეთრის უფრო წვრილი და უნიკალური ნომინალი – დრაქმა, ასევე თარიღდება კოლხური თეთრის ნახევარდრაქმიანიც ტრიობოლი, იშვიათი მონეტების ზურგზე მოთავსებულია ჩაჭდებული კვადრატი, რომელსაც ნუმიზმატიკაში პუადრატუმ ინცუზუმ-ს უწოდებენ და უძველესი პერიოდის ნუმიზმატიკაში ძეგლების მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

შემდგომ, უფრო გვიან, ეს მახასიათებელი ნიშანი უკვე აღარ ჩანს, არც მსხვილი ნომინალებია ცნობილი, მაგრამ გამოსახულებათა სტილისა და ფაქტურის იგივეობით ეს გვიანდელი ნიმუშები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ასეთი ნახევარდრაქმიანი კოლხური თეთრის სახეობა შემდეგნაირია:

შ უ ბ ლ ი – გამოსახულია ადამიანის თავისი პროფილი და იგი დიდ დრაქმაზე მოთავსებული გამოსახულების სრულ მსგავსებას წარმოადგენს.

ზ უ რ გ ზ ე – გამოსახული ხარის თავიც არაფრით განსხვავდება დრაქმაზე მოთავსებული გამოსახულებისაგან, ხოლო ჩაჭდებული კვადრატი უკვე აღარ არის.

კოლხური მონეტებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეობას II ტიპის ნახევარდრაქმა წარმოადგენს. იგი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ტერმინი „კოლხური თეთრი“ თავდაპირველად სწორედ ამ მონეტებს აღნიშნავდა.

ამ სახეობის მონეტებმა ჩვენამდე არაჩვეულებრივი რაოდენობით მოაღწია. იგი ხშირად აღმოჩენილია (ჩნდებოდა) ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, როგორც სამარხებში, ისე შენობა-ნაგებობების კვლევა-ძიებისას, განსაკუთრებით, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სოფელ სულორში. სადაც, 1990 წელს სამუშაოებისას შემთხვევით მიაკვლიერ კოლხური თეთრის მონეტების განძს, ლითონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მონეტების გროვა, რომელიც თიხის ჭურჭელში უნდა ყოფილიყო შენახული ერთ მთლიან მასად იყო ქცეული. სამწუხაროდ, სანამ

გაირკვეოდა რასთან ჰქონდათ საქმე, გარკვეული ნაწილი დაიკარგა, ხოლო განმენდის შემდეგ საერთო რაოდენობამ 700 ცალამდე მიაღწია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველი რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა არსებულზე.

იკონოგრაფიასთან მიმართებით ძნელია (თუ შეუძლებელი არა) იმის ზუსტი დეფინიცია, მონეტაზე ქალის თავია გამოსახული, თუ მამაკაცის. არის მონეტები, რომლებზეც ქალის ხატია მოცემული, სადაც გაშლილი თმები და სახის ნაკვთები თვალში საცემია, მაგრამ არის ისე უხეშად შესრულებული ეგზემპლიარებიც, რომ ძნელდება იმის გარკვევა, თუ ვისი გამოსახვა სურდა ოსტატს – ქალისა თუ მამაკაცის. მიუხედავად ამისა, სრულებით უდავოა რომ II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმები საუკუნეების მანძილზე ერთი შემუშავებული სქემის მიხედვით იქრებოდა.

მონეტათა ეს ტიპი იქრებოდა უამრავი ვარიანტული სახეცვლილებით. ქართული ნუმიზ-მატიკის ერთ-ერთი შესანიშნავი სპეციალისტი, ე. პახომოვი, ამასთან დაკავშირებით წერდა: „ვარიანტების არაჩვეულებრივი სიმრავლე გვაძლევს ყველა საფეხურს მშვენივრად დამზადებულ ცალებიდან, უხეშად შესრულებულ ტიპებამდე. ამავე დროს ისინი მოჭრილია სხვადასხვა სინჯის ვერცხლისაგან, რაც მიუთითებს მათი ემისიის ხანგრძლივობაზე“.

ასეთ მონეტებზე ზოგჯერ სხვადასხვა ასოებიც ჩნდება, რომელთა მნიშვნელობა ჯერ და-ნამდვილებით გარკვეული არ არის. ცნობილია, მაგალითად ცალები, რომლებზეც მონეტის შუბლზე ადამიანის თავის გამოსახულების უკან მოთავსებულია ასო O, ან მონეტის ზურგზე ხარის თავის გამოსახულებასთან ასო A და φ, E, Π სულ შვიდი ასო-ნიშანი და მათში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა შინაარსია ჩადებული.

ასეებითი მნიშვნელობა კი იმას აქვს, რომ ასოები მოთავსებულია კოლხური თეთრის გვიან-დელ ცალებზე, რომლებიც ძვ.წ.აღ IV საუკუნის მიწურულითა და შესაძლებელია III საუკუნის დასაწყისითაც თარიღდებიან. კოლხურ თეთრზე ასოთა მნიშვნელობის ამოცნობასთან დაკავ-შირებით ძირითადად ორი ტენდენცია დაისახა: 1. ასოები აღნიშნავენ კოლხეთის ზარაფხანებს, ან 2. მაგისტრანტების სახელებს. (ნახევარდრაქმებზე მოთავსებულ ასოთა მნიშვნელობის გახ-სნით, რამდენადმე წყდება კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემა საზოგადოდ). სამწუხარ-ოდ, მეცნიერების განკარგულებაში არ მოიპოვება მზამზარეული კრიტერიუმები მის უყოფმან-ოდ გადასაჭრელად, მაგრამ არსებობს ლოგიკა: რეალურია თუ არა სინქრონულად კოლხეთის ტერიტორიაზე შვიდი ზარაფხანის მოქმედება? რა იქნება თუ ტრიობოლებზე ამოკვეთილი ბერძნულ ასოთა რიცხვი გაიზარდა (ცხადია, მომავალში ასეთი შემთხვევა არაა გამორიცხუ-ლი), მაშინ კოლხეთი ხომ ზარაფხანების ქსელით დაიფარება?

და ეს მაშინ, როცა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ადრეანტიკურ ხანაში სამეფო ხე-ლისუფლება ყოველნაირად ცდილობს სამონეტო საქმისა და ქალაქებისთვის მონეტის მოჭრის უფლების წარმმედვინვებას.

ასევე გამორიცხულია ასოები ოსტატთა სახელებს დავუკავშიროთ. მონეტებზე მათი მოთ-ავსების შემთხვევები ადრეანტიკურ ხანაში ძალიან იშვიათია, თანაც კოლხური ნახევარდ-რაქმები ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული სქემის მიხედვით იქრებოდა, სულ ცოტა, ერთი საუკუნის განმავლობაში. ვფიქრობთ, ყველაზე რეალურია კოლხურ ნახევარდრაქმებზე ამოკვეთილ ასოებში მაგისტრანტების სახელები დავინახოთ.

ამ ნახევარდრაქმების წონითი მერყეობა მეტად საგრძნობ გადახრებს იძლევა (1,5-2,5), ხოლო ერთნაირ გამოსახულებათა სხვაობა ხშირად ძალიან მკვეთრია. მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულებათა არქაული სტილი ყველგან შერჩენილია, სხვადასხვა ვარიანტის და ცალკე შტამპების რიცხვი მრავალია. ამ ვარიანტების ასეთი მრავალფეროვნება დაწყებული ფაქტიზად და მხატვრულად შესრულებული ცალებიდან, ვიდრე გამოსახულებათა უხეშად გადმოცემულ სქემამდე, გვაფიქრებინებს, რომ მონეტების მოჭრა ხანგრძლივი ყოფილა და საუკუნობით გრ-ძელდებოდა (ალბათ IV-II სს. ძვ.წ.) ამ მოსაზრებას ამაგრებს ვერცხლის სინჯის სხვაობაც, თუმცა, მონეტათა უმრავლესობა მაღალი ხარისხის ვერცხლისგან იქრებოდა, მაგრამ ზოგჯერ დაბალხარისხოვანი ლითონიც გვხვდება. აღნუსხულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც უკა-ნასკნელი ტიპის კოლხური თეთრი სუბერატულია. ე. ი. სპილენძის გულას ვერცხლის თხელი ფირფიტა ჰქონდა გადაკრული.

ქართულ ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში „კოლხური თეთრის“ პრობლემა თავისებურ „გორ-

დიას კვანძს” წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონეტების შესახებ ძალიან ბევრი დაწერილა, მათი შესწავლის არც ერთი საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს. პირველ რიგში ეს აიხსნება მონეტების ეპიგრაფიული ხასიათით და არც რაიმე წერილობითი წყარო მოგვეპოვება, რომელიც კოლხური მონეტიზაციის შესახებ მოგვაწვდიდა ცნობებს.

იქრებოდა თუ არა მონეტა ვანში? ამჟამინდელი მონაცემებით ამის არც ზუსტი დადასტურება შეგვიძლია და ვერც ხელალებით უარყოფთ. ორივე ვერსიას თანაბარი უფლებები გააჩნია და ალბათ მომავლის აღმოჩენები დაამტკიცებენ ჭეშმარიტებას. მაგრამ კოლხური თეთრის წარმოებასა და ემისიაზე პრეტენზია ერთდროულად შეუძლიათ განაცხადონ პირველ რიგში კოლხეთის სამეფომ და მის აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ბერძნულმა კოლონიებმა (მაგ. ფაზისი). ზემოთქმულიდან გამომდინარე კოლხური თეთრის შესწავლის პრობლემა აშკარად ვერ თავსდება მონეტათა ერთი ჯგუფის ატრიბუციის ჩარჩოებში და მჭიდროდ არის გადაჯაჭვული კოლხეთის სამეფოსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ბერძნული კოლონიზაციის ცენტრების კონსოლიდაციის საკითხებთან.

განსაკუთრებით, აძნელებს საკითხს ფაქტიური მასალების და მათში კონკრეტული წერილობითი ცნობების ნაკლებობა (არ ქონა). რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ არსებულ მონეტებზე მყარი დასკვნები გაკეთდეს, რომელიც კამათს არ გამოიწვევდა. აქედან გამომდინარე, კოლხურ თეთრზე ჩამოყალიბებული დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები და ჰიპოთეზები ერთმანეთის გვერდით თანაბარი უფლებებით თანაარსებობენ, არც ერთი მათგანი სრულად არ შეიძლება უარყოთ, ან დავადასტუროთ.

როგორც უკვე აღვნიშვნეთ, კოლხური თეთრის პრობლემის ყველა ასპექტის ძირფესვიანად კვლევა ცნობების სიმწირის გამო სრულად ვერ ხერხდება, თუმცა, რთული და სადაო საკითხი, მონეტების გენეზისის შესახებ, რომელიც ღრმა შესწავლის პროცესშია.

კოლხური თეთრის ნომინალების ტიპოგრაფიამ არ შეიძლება გადაჭრას მისი გენეზისის საკითხი. მონეტები აღმოჩენილია, არა მარტო სანაპირო ზოლის პუნქტებში, არამედ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებშიც. ამასთანავე სტატისტიკა დღეისათვის, აშკარად, შიდა რაიონების სასარგებლოდა.

განსაკუთრებით, კოლხური თეთრის განძები მრავლად მდინარე რიონის აუზშია დადასტურებული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კოლხური თეთრი აქტიურად მიიკვლევდა გზას დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებისაკენ. ჩვენი აზრით, იგი ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასა და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ექვივალენტის როლსაც. კიდევ ერთი მომენტის მოტანაც შეგვიძლია: დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე (სწორედ ამ ხანიდან ივარაუდება კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა) თითქმის არაა ცნობილი უცხოური მონეტები.

საკითხი, თუ ვის უჭრია ეს მონეტები, ძველი კოლხეთის მეფებს, თუ რომელიმე ცალკეულ ქალაქებს, ან ცალკეულ ტომებს, ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, (ჩვენ ამაზე უკვე შევთანხმდით), მაგრამ უდავოდ დადგენილია, მონეტის წარმოშობა და გადაწყვეტილია ძირითადი პრინციპი სად და სახელდობრ, რომელი მოსახლეობისათვის არის მოჭრილი ეს მონეტები.

მოპოვებული მონეტების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ის გარემოება, რომ მათი სამონეტო ტიპების და ვარიანტების მრავალ სახეს ვხვდებით, სრულ უფლებას გვაძლევს ეს მონეტები ანტიკური მონეტებისაგან საესებით დამოუკუდებელი და ცალკეული მონეტების სერიად გამოვყოთ. კავკასიაში მოპოვებული ანტიკური მონეტებისადმი მიძღვნილ უკანასკნელი წლების შრომებში, კოლხური მონეტების სხვადასხვა ტიპის წარმოშობის მეტ-ნაკლებად ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები უკვე დადგენილია და მათი ბრუნვის ხანგრძლივობაც ვარაუდით გამოკვლეული არის.

კოლხური ნახევარდრაქმები: ბაბელონმა, ვ. ვროსმა, პახომოვმა, დ. კაპანაძემ ძვ. წ. IV ॥ სს დაათარილა. გამოიყენეს რა კოლხური ნახევარდრაქმების აღმოჩენის შემთხვევები, კარგად დათარიღებულ უცხოურ მონეტებთან და არქეოლოგიურ მასალებთან ერთად გოლენკომ, გ. დუნდუამ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში მიიჩნიეს, ხოლო კოლხური თეთრის მიმოქცევიდან გასვლის დროდ, ერთხმად დაადგინეს ძვ. წ. II საუკუნის ბოლო. ასეთივე აზრი გამოთქვა ვანის არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ექსპედიციის წევრმა, ქალბატონ, ნანა მათიაშვილმაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლხური თეთრის შესწავლას მრავალი ასპექტი აქვს. აქედან უყელაზე რთული და მნიშვნელოვანი ემიტენტის¹ დადგენაა. ზემოთ აღნერილ მონეტებს მეცნიერთა უმრავლესობა კოლხეთის სამეფოს უკავშირებს, ამ დებულების სასარგებლოდ მრავალი საბუთი მოჰყავთ და მათ შორის უმთავრესია კოლხეთის მონეტების გავრცელების არეალი. ეს მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში და უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა არ გადის მის ფარგლებს გარეთ.

ეს, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტია. არსებობს მეორე მოსაზრებაც. ცნობილი ნუმიზმატი და მეცნიერი გ. დუნდუა წერს, „რომ ამ სამონეტო ჯგუფის ემიტეტი ქ. ფაზისია“. თავდაპირველად ამ დებულებას კატეგორიულად ენინააღმდეგებოდა პროფესორი, ოთარ ლორთქიფანიძე, თუმცა მოგვიანებით მან გამოთქვა ვარაუდი, რომ „ფაზისში ასე თუ ისე მოსალოდნელია (შესაძლებელია) მონეტათა | ტიპის მოჭრა“.

კოლხეთი, ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრისა და განსაკუთრებით, ძვ. წ. II საუკუნეში, ანუ მითრიდატე ევპატორის მიერ მისი პონტოს სამეფოში გაერთიანებამდე, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ ქვეყანას ნარმოადგენდა.

კოლხეთის სამეფოს ნარმატებული შიდა ეკონომიკის არსებობა, ფულადი მიმოქცევითაც დასტურდება. ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. III-II სს. პირველი ნახევრის მონეტები, რომელთა უმეტესობა სამარხებიდან მომდინარეობს, ძირითადად, კოლხურ ნახევარდრაქმებით, აგრეთვე, ლისიმაქეს, ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელის სტატერებითა ნარმოდგენილი. კოლხეთის დანარჩენ პუნქტებში (ქობულეთ-ფიჭვნარში, სოხუმში) აღმოჩენილ მონეტებში პირველი ადგილი კოლხურ თეთრს უჭირავს. უცხოური ვალუტა კი, სინოპური ვერცხლითა ნარმოდგენილი.

მიუხედავად მითრიდატეს სამონეტო პოლიტიკისა, რომელიც პონტოს მონეტის მონპოლიზაციას ისახავდა მიზნად, კოლხური თეთრი შიდა ბაზარზე, მაინც მთელი ელინისტური ხანის მანძილზე მიმოქცეოდა. ვანის ნაქალაქარის მონაცემებით კი, სავარაუდოა, რომ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მითრიდატეს შემდგომ ხანაში, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება გარე სამყაროსთან ურთიერთობათა გაცხოველება, ნარმოებისა და სასაქონლო მეურნეობის აღმავლობა, ახალი საწარმოო ცენტრების აღმოცენება. აგრეთვე, ვერცხლისა და ოქროს, მათ შორის მეფის სახელით მოჭრილი მონეტების ემისია.

ამრიგად, არსებობს უამრავი ვარაუდი, არგუმენტები, მოსაზრებები „კოლხური თეთრის“ შესახებ, მის გენეზისზე, ემისიაზე, ბრუნვის ხანგრძლივობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებამდე ჯერ კიდევ ბევრი კვლევა-ძეება იქნება საჭირო... მაგრამ უდავოა, რომ უანგმოკიდებული და გარეგნობით ცივი და მუნჯი, მაგრამ ჩვენი განვლილი ცხოვრების ეს უტყუარი მოწმენი – ნუმიზმატიკური ძეგლები, რომლებიც განსაკუთრებული პირუთვნელობითა და სიმძლავრით მეტყველებენ ჩვენი დიადი ნარსულის შესახებ, ჭეშმარიტად ქართული ნარმოშობისაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანი III.
2. დ. კაპანაძე – „ქართული ნუმიზმატიკა“, თბილისი, 1950 წ.
3. Г. Ф. ДУНДУА „НУМИЗМАТИКА АНТИЧНОЙ ГРУЗИИ“, ТВ. 1987 Г.
4. „იბერია-კოლხეთი“ (საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული) თბილისი, 2003 წ. №1.
5. „ძიებანი“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უურნალი, თბილისი, 1999 წ. №3.
6. 6. მათიაშვილი – „ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი 2005 წ.
7. „მაცნე“ — (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი 1978 წ. №4.
8. „მაცნე“ — 1979 წ. №2.

¹ ემიტენტი —

რედაქციისაგან

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ კრებულ „მატიანეს“ საშუალებით თავის მკითხველს თანამიმდევრულად სთავაზობს მასალებს რაიონის ისტორიის დღემდე უცნობ, ან ნაკლებად ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებზე, რომლებიც, ძირითადად, დაფუძნებულია დოკუმენტურ, საარქივო მასალებზე, იშვიათ შემთხვევაში, ინდივიდუალურ გადმოცემებზე. თუმცა, შეჯერებულს შესაბამის სანდო წყაროებთან, რითაც ვცდილობთ დაინტერესებულ საზოგადოებას შევუქმნათ ობიექტური წარმოდგენა იმ მოვლენებსა და განვითარების მიზეზშედეგობრივ კავშირებზე, რომლებმაც თავიანთი კვალი დატოვეს ვანის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების ტენდენციებზე.

ცხადია, კვლევის ცენტრი განუზომლად მადლიერია გამოჩენილ მეცნიერთა ჯგუფისა და ყველა იმ პიროვნებისა, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ და ჩართული არიან, როგორც „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაში, ასევე ცენტრის კრებულ, „მატიანეს“, სრულქმნასა და მისი აკადემიური დონის ამაღლებაში.

ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს ბატონ თორნიკე ეფრემიძეზე, ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორზე, არაერთი მონოგრაფიის, გამოკვლევების, ლამაზი ესეების ავტორზე, რომელიც დღიდან „კვლევის ცენტრის“ დაფუძნებისა, ენერგიულად დადგა ჩვენს გვერდით, როგორც ვანელი კაცი, როგორც თანადამფუძნებელი, იგი აქტიურად იყო ჩართული ასევე კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო საქმიანობაში, გვაწვდიდა მასალებს კრებულისათვის.

შეიძლება ბევრისთვის ცნობილი არ არის, რომ ბატონი თორნიკე საფუძვლიანად იკვლევდა ვანის რაიონის წარსულს, ცალკეულ, გამოჩენილ პიროვნებათა შემხებლობას მშობლიურ რაიონთან, მათ წვლილს ვანსა და ზოგადქართულ სივრცეში, იგი სხვებთან ერთად აქტიურად დაუდგა გვერდით „კვლევის ცენტრს“, როდესაც გადაწყდა შექმნილიყო ბიბლიოთეკა, რომელიც შეივსებოდა იმ მეცნიერთა შრომებით, რომლებიც წარმოშობით ვანელები არიან და გადმოგვცა არა მარტო გამოქვეყნებული ფუნდამენტური შრომები, არამედ ცალკეული სტატიებიც კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნების უფლებით. ამის საფუძველზეც კვლევის ცენტრში შექმნილია ბატონი თორნიკე ეფრემიძის ფონდიც, რომელშიდაც დაცულ შესაბამის მასალათა გასაჯაროება, კრებულ „მატიანეში“, მოხდება გზადაგზა.

ამჟამად, გთავაზობთ ბატონი პროფესორის ნარკვევს რიონის მარცხენა მხარის (რომელშიდაც შედის ვანის ტერიტორიაც) დიდი ფეოდალების, ქვაბულიძეთა შესახებ. მასალა ფასდაუდებელია ვანის ისტორიის შესაბამისი პერიოდის დასადგენად, იმავდროულად სტატიის გამოქვეყნებით. „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი, კრებულ „მატიანეს“ რედაქცია პატივს მიაგებს ან განსვენებული პროფესორის ხსოვნას.

თორილი ეფუძნების

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ისტორიული ცნობები ქვაბულიძეთა შესახებ

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ქვაბულიძენი XI-XII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს, რიონის მარცხენა მხარის, მძლავრი ფეოდალები იყვნენ, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ ბალვაშ-ლიპარიტის ძებს. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით მტკიცებულებანი მოაქვთ დიდ ქართველ ისტორიკოსებს ივანე ჯავახიშვილსა და ნიკო ბერძენიშვილს. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერი ისტორიის“ მეორე ტომში წერს ვინმე „ქვაბულელ ჭაჭას ძე უთალოს შესახებ, რომელიც მეფე ბაგრატ IV (1027-1072) ანაკოფის ციხის ალყის დროს 1046 წ. „თავის მაგიერ მიუყენა და თვითონ კი საჩქაროდ გადმოვიდა ქართლს“ [1, გვ. 144]. ცხადია, პიროვნება, რომელიც ბაგრატ IV წინააღმდეგ ტახტის მოცილე-მეამბოხე ძმის, დემეტრე გიორგის ძე ბაგრატიონის (1017-1047) წინააღმდეგ, მეფე ბაგრატ IV გიორგის ძე ბაგრატიონის ასეთი ნდობით სარგებლობდა, დიდი ფეოდალი და სახელმწიფო მოხელე, ან არა და სპასალარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საეჭვოა ეს ქვაბულელი უთალო ჭაჭას ძე დღევანდელი ვანის მხარის ფეოდალი იყოს. სავარაუდოდ, იგი მესხეთ-ჯავახეთის ქვაბისხევის მიდამოს დიდაზნაური იყო. კიდევ ერთ ქვაბულისძეს ასახელებს ბატონი ივანე, დაახლოებით, იმავე ხანებში, საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული მომენტის აღწერისას. მთელ რიგ ვითარებათა გამო, რომლის შესახებ იგი ქვემოთ წერს, დემეტრე უფისნულის გარდაცვალების (1047წ)1 შემდეგაც, ბაგრატ IV და ერისთავთ-ერისთავ ლიპარიტ ბალვაშს შორის მტრობა და დაპირისპირება კვლავ გაგრძელდა, რადგან ბაგრატ მეფეს არ შეეძლო თავისი ძლიერი და ურჩი ფეოდალის დამარცხება პირისპირ შებმით. როცა ლიპარიტის აღზევებით განაწყენებულმა ფეოდალებმა, სულა კელმახელის მეთაურობით, იგი ღალატით შეიძყრეს და ბაგრატ მეფეს გადასცეს, მან კი ლიპარიტი აიძულა ბერად აღკვეცილიყო „ანტონის“ სახელით ბიზანტიაში (ივერიის მონასტერში), შემდეგ ბაგრატ მეფეს და მის ფეოდალებს შორის ასეთი დაპირისპირება აღარ მომხდარა. ბაგრატ მეფის გარდაცვალების (1072წ) შემდეგ, ახალგაზრდა უნებისყოფო მეფე გიორგი II (1072-1097) აუჯანყდა მძლავრი ფეოდალები. ამის შესახებ ბატონი ივანე მოგვითხრობს: „1073 წლის ზაფხული იყო, რომ დიდგვარიანი მოხელეები ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი განუდგნენ ყრმა მეფეს და „აუშალეს ქვეყანა“. ნიანია ქვაბულის ძე ამასთან იმდენად გაკადნიერდა, რომ „წაილო ქუთასისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა, ვარდანმა სვანები ააჯანყა, დაარბია და აიკლო საეგრო, ხოლო ივანე ლიპარიტის ძემ კახნი მოიშველია და ქსნის პირი დაიპყრო. თუმცა, გიორგი მეფემ განმდგარნი დაიმორჩილა, მაგრამ, როგორც მემატიანე ამბობს, „სიკეთითა სიბრძნითა“ დასჯის მაგიერ, მეფემ ლიპარიტის ძეს უბოძა სამშვილდე, ხოლო მის შვილს ლიპარიტს რუსთავის ნაცვლად, რომელიც მეფემ კახთ მისცა, ლოწობანი უწყალობა: „ნიანიამ თმოგვი და სხუანი საქონელი რჩეულნი“ მიიღო. ვარდანს კი ასკალანა უწყალობა“ [1, გვ. 159].

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ქუაბულელი და ქვაბულის ძე განსხვავებული გვარებია. თუმცა ორივე „ქვაბული – ქუაბულისგან“ წარმოდგება, რომელიც საკუთარ სახელ „ქვაბულიდან“ ან გეოგრაფიულ (კარსტული ან ჩაღრმავებული) ადგილთან უნდა იყოს დაკავშირებული.

1261 წელს კიდევ ჩნდება ასპარეზზე ქუაბულისძენი. ამ დროს, გიორგი ლაშას ძე დავით ულუმ, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილი წარუმატებელი აჯანყების გამო თავი შეაფარა დასავლეთ საქართველოში მონღოლთაგან მეფედ დასმულ დავით ნარინის სამეფოს, ჩნდება შეთქმულების იდეა ერთმეფობის აღდგენისა, დავით ულუს სასარგებლოდ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერს: „შეთქმულების

¹ თ. უორდანია, თავის „ქრონიკებში“ I ტ. [2, გვ. 189] ვარაუდობს, რომ „დემეტრე მოკვდა 1053 წლის ახლო ხანს,“ რომ მას 1047-1052 წლებში ორჯერ უცდია ბერძენის დახმარებით გამეფება, მას შემდეგ 1035-1040 წლებში ლიპარიტ ბალვაშისა და სხვა ფეოდალების დახმარებით ბევრჯერ ეცადა გამეფებას.

თაოსნობა დავით გიორგი-ლაშას ძის ამაღლას უნდა ჰქუთვნებოდა, მაგრამ ამის თანამგრძნობნი ლიხთიმერეთის ზოგი დიდებულთაგანიც იყვნენ, როგორც, მაგალითად, რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე, ქუაბულისძენი და ფარჯანიანნი. მაგრამ დასავლეთ საქართველოს ყველაზე გავლენიანი დიდებულები, მათ შორის, ისეთი სახელმომხვეჭელი პირი, როგორც ბედიანი ჯუანშერის ძე იყო, დავით ნარინს იცავდნენ“ [3, გვ. 73].

აյ, არ გვაინტერესებს შეთქმულების წარუმატებლობის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების ჯავახიშვილისეული ანალიზი. აღვნიშვნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ, იმ დროს, კახაბერ კახაბერის ძე რაჭის ერისთავია, ხოლო ქუაბულისძენი იმერელი ფეოდალები თუ ერისთავინი, რომელთა უფლებები შესაძლებელია გურიაზეც ვრცელდებოდა – ცხადია, სამეგრელო-საეგროზე მას უფლებები არ ექნებოდა, რადგან ამ მხარის გამორჩეული დიდებული – ბედიანი ჯუანშერის ძეა. აյ შეფარვით, დიდ ისტორიკოსს ისიც აქვს ნათქვამი – დასავლეთ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეებში, რომელი ერისთავები მბრძანებლობს XIII საუკუნის მეორე ნახევარში; სამეგრელოში – ბედიანი ჯუანშერის ძეა, სვანეთში – ფარჯანიანნი, ხოლო არგვეთის საერისთაოს და ქუთაისის ქვეყანაზე თავად დავით ნარინს და მისი ორიენტაციის დიდებულებს ექნებოდათ ზეგავლენა. რჩება ვრცელი ტერიტორია, ყვირილა-რიონის მარცხენა მხარისა, დაწყებული ლიხი-ფერსათის მხრიდან გურია-შავშეთის მთების გასწვრივ, რომლის გამგებელი ქვაბულისძენი უნდა იგულისხმებოდეს. ცხადია რომ, ამ დროისათვის, არგვეთის ერისთავთერისთავები ბალვაშები (ლიპარიტისძენი) ან მთლიანად ძალაუფლება წარმოეულნი არიან, ან ფალავებად საეგროში უუფლებო აზნაურებად არიან დაქვეითებულნი.

„საქართველოს ისტორიის“ (საკითხავი წიგნი), 1073 წ. მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ წერს: „გიორგი მეორის ხასიათის სისუსტით ყველაზე ადრე საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს. უკვე, 1073 წელს ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი გადაუდგნენ მეფეს და ქვეყანა არიეს. ნიანიამ ქუთაისიც კი დაიპყრო და სახელმწიფო საჭურჭლე (ე.ი. საგანძური, ხაზინა) ჩაიგდო ხელში. ვარდანმა სვანები ააჯანყა, მათთან ერთად ეგრისს შეესია და რბევას შეუდგა. გიორგი თავის ურჩ ყრმებთან სხვას ვერაფერს გახდა გარდა იმისა, რომ მათ წყალობა და მამულები გაუმრავლდა. დიდგვაროვანთა ურჩობა და მოლალატეობა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით, თავი ისახელა ამ მხრივ კლდეკარის ერისთავმა ივანემ, იმ ლიპარიტის შვილმა, რომელმაც სული გაუმწარა ბაგრატ IV [4, გვ. 93].

ისევ ვუბრუნდებით რა, ივანე ჯავახიშვილის ცნობას იმის შესახებ, რომ ნიანია ქვაბულიძის შთამომავალი 1261 წლის შეთქმულების დროს დავით- ულუს დასის მხარეზე იბრძოდა საქართველოში ერთმეფობის აღდგენისათვის, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რა ვითარება შეიქმნა 1073 წლის შემდეგ. გიორგი მეორესთან შერიგების საფასურად ნიანია ქვაბულისძემ მიიღო ჯავახეთში თმოგვის ციხე და ალბათ მიმდებარე ტერიტორიებიც, რომლებიც არ ესაზღვრებოდა დღევანდელი ბალდათი-ვანის ტერიტორიის მთიანეთს და ეს, ბუნებრივიც იყო. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის რისხვა, არსებითად ლიპარიტ-ივანე-რატის ძეებმა იწვნიეს XII საუკუნის დასაწყისში, ხოლო ქვაბულისძენი შედარებით იოლად გადარჩენილან სასჯელს, რადგანაც XIII საუკუნის მეორე ნახევარშიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალები არიან.

უფრო შორს მიდის თავის დასკვნებში აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, რომელიც წერს: „ქართული წერილობითი მასალებით შესაძლებელია ადრეფეოდალური ხანის არა ერთი „სახელი“ იქნეს დასახელებული, არაერთი „დიდი აზნაური“ იქნეს მიგნებული და ჩვენ, არავითარი საბუთი არა გვაქვს იმისა, რომ ეს დიდი აზნაურები თავისი ქვეყნის მკვიდრი არ არიან. ვარსექნ და არმუშა პიტიახშები, ფავნელები, ევაგრე ციხედიდელი, ჩორჩანელნი, სამძივრის ქალი, ტბელელი, ფხვენელნი, ბალვაში, მირიან სამცხელი, ბაჰლაუნნი, დონაური, მარუშიანნი და სხვები („ილარიონ ქართველის ცხოვრება“, „დავით გარეჯალის ცხოვრება“, გიორგი III სიგელი), ყველა ესენი მეფე ქვაბულიძეებია (ვანელი შარაშენიძის თქმით) ან შაროელი ხელმწიფებია და არა მეფის ისეთი მოხელეები, როგორც ეს ჩვენს ავტორებს ესახებათ (ლეონტის, ჯუანშერს) ფარნავაზის დროიდანვე...

ერთში აუცილებლად მართლები არიან ჩვენი ავტორები. „ფარნავაზის დროიდან „ დაისახა ტეხილი ხევების როლი ქვეყნის განვითარებაში, სეფესახლი გადაჭრით ცდილობს მიიტაცოს ამ

ხელისუფალთა („ქვეყნის განვითარებაში მეთაურთა, ერისთავთა) უფლებები“.[5. გვ.162].

ამ სტრიქონების მკითხველი, სულ სხვა თვალით შეხედავს ცენტრალური ხელისუფლების ზოგჯერ განუსჯელ ქცევას, ქვეყნის ერისთავთა (ლიპარიტ ბაღვაშის მიმართ ბაგრატ Ⅳ-ის უსამართლო ქმედებებს) უფლებების შეზღუდვისაკენ მიმართულს, რომელზედაც ბიზანტიელი და სომები მემატიანები წერდნენ [1,გვ.145-146].

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი განსაკუთრებით ჩერდება გამონათქვამის, „მეფე ქვაბულისძის“ გაშინაარსებაზე და წერს – „ვანელი მოხუცის გამოთქმა ფრიად საინტერესოა, იქ, თურმე, მეფე ქვაბულისძე ცხოვრობდა, შემდეგ ამ მეფე ქვაბულისძეს დაესიძენ ასვლედი-ანებიო“.

გარდა იმისა, რომ აქედანვე ვიტყვით თუ ვინ იყვნენ შემდეგდროინდელ ჩიჯავაძეთა წინაპარნი (შეიძლება სისხლით და პირდაპირი მემკვიდრეობით არა, მაგრამ სოციალური უფლებებით კი), აქ საინტერესოა თვით გამოთქმა „მეფე ქვაბულიძე“ – ბუნებრივად გვაგონდება „მეფეთა ბაღვაშთა“ გამოთქმა ლიპარიტ-რატების შესახებ. ის ხომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახელო იყო. ამ ქვაბულიძებმა (და სხვებმაც), ხომ არ მიიღეს მეფის სახელწოდება VII – VIII საუკუნეებში, როცა ლაზიკაში და იბერიაში „უმეფობა“ იყო? ბაღვაშებისა და ქვაბულიძეთა ტიპის, უნდა ვიფიქროთ იყო „ბაგრატ შაროელი ხელმწიფე“, ადარნასე კურაპალატის სიმარი (იხ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ის იყო არა აფხაზეთიდან, არამედ რაჭიდან (წიგნი 4, ფურც. 18) [5, გვ.651].

არკვევს რა, ქვაბულიძეთა სამფლობელოს გეოგრაფიულ საზღვრებს, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს მოაქვს ანაკოფიის ციხის 1046 ნ. ალყის დროს მემატიანის ჩანაწერი: „ბაგრატმა ანაკოფიას დასტოვა ქუაბულელ ჭაჭას ძე უთალო, აფხაზეთისა ლაშქარითა ამოიარა, მოვიდა ქუთაისს და მოიყენა ქუთაისისა სამოქალაქოსა ლაშქარი და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყანა (ხაზი ნ. ბერძენიშვილისაა – თ. ე.) ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკანნი და ბრძოდეს და ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს“ [5, გვ. 529].

ამ ხაზგასმული სტრიქონებიდან, ჩვენს ავტორს გამოაქვს დასკვნები: ჯერ ერთი არსებობდა „ქუთაისის სამოქალაქოს“ ლაშქარი, ცალკე კი – გურიელ აზნაურთა და ლომსიანთა. მეორეც, ეს ორი დამოუკიდებელი ლაშქარი (გურიელ აზნაურთა და ლომსიანთა) მიუყენებია ხუფათს, როგორც დასამხარნი. ცხადია, ხუფათის ციხე – ყვირილა-რიონის მარცხენა მხარეს, შავი ზღვის პირას მდებარე ციხეა და ამ ციხის ასაღებად მას არ გამოუყენებია ოდიშის, სვანეთის, რაჭისა და არგვეთის სადროშოების ლაშქარი. აქედან ისიც ირკვევა, რომ რიონის გამოღმა მხარის ზღვის სანაპირო ციხე – ხუფათი და მიმდებარე ტერიტორიის სახელწოდება „ლომსიასთან“ უნდა იყოს გაიგივებული. საკითხი იმის შესახებ, თუ სანამდე ვრცელდებოდა ყვირილის ხეობის მარჯვენა მხარეს – არგვეთის ერისთავთ-ერისთავთა სამფლობელოს საზღვრები, მოგვცემს იმის განსაზღვრის საშუალებას, დავადგინოთ „მეფე ქვაბულისძეთა“ სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც ჩვენი ვარაუდით „ლომსია ქედის“ დასავლეთის მხარესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ტერმინი „ლომსიანნი“ და „ლომსია“ ქართულ ტოპონომიკაში და გვარსახელების ონომასტიკონში ფართოდაა დამკვიდრებული. ამ სიტყვის ფუძე „ლომსი“-სთან დაკავშირებულია გვარ-სახელი ლომსაძე, ლომსიძე, ლომსიანიძე და ტოპონიმები: „ლომსიას მთა“, „ლომსია მთა“, „ლომსია ქედი“ და სხვა. აქედან ლომსია მთა ეწოდება მთას მესხეთის ქედზე, მდინარეების – ქვაბისხევისა (მტკვრის მარცხენა შენაკადი) და ბჟოლისხევის (ჩხერიმელის მარცხენა შენაკადი) ზემო დინებათა წყალგამყოფზე 2187 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ცხადია, აქედან უნდა იყოს მესხური გვარ-სახელი ლომსაძე წარმომდგარი. საინტერესოა, რომ გვარ-სახელ ქვაბულიძეთა ერთი შტო (ჭაჭას ძე უთალო) აქედან უნდა იყოს, როგორც ამის შესახებ ზემოთ ვწერდით.

გამორიცხულია, რომ ღვთაება „ლომისი“-სთან იყოს დაკავშირებული კრებითი ტერმინი „ლომსიანნი“, ვინადან პირველი ტერმინი ფშავ-ხეესურული წარმართული ღვთაების სახელია. „ლომსიას მთა“, რომელიც მდებარეობს ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ალევის ქედის ჩრდილოეთ ნანილში ზღვის დონიდან 2452 მ. სიმაღლეზე, არავითარ კავშირში არ უნდა იყოს ტერმინ „ლომსიან“-თან. ამრიგად, ჯერჯერობით, მისაღებია თვალსაზრისი, რომელიც მინიშნებულია აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, სადაც ის წერს: „ისიც

დგინდება, რომ გალმა მხარი (რიონისა და ყვირილას გალმა მხარი) ქუთაისის სამოქალაქოში არ შედის, მით უფრო არ შედის გურია (ეს ისედაც ცხადი იყო). გურიის მოსაზღვრეთ აქ ლომსიანი არის დასახელებული. უნდა ვიფიქროთ, აქედან არის შემორჩენილი ლომსიანთ ხევი იქნებ სალომინაოსაც კავშირი აქვთ ამ ლომსიანთან... დამახასიათებელია – ყვირილა-რიონის გალმა მხარე, მარცხენა მხარე, გურიაც ხომ რიონის მარცხენაა, ერთ რაღაც ერთეულად (ძველი მონაგონარი) არის ნაგულისხმევი... მაინცდამაინც ქუთაისის სამოქალაქოში ის არ იგულისხმება“ (ხაზგასმა ავტორისეულია თ. ე.) [5, გვ.529].

ამრიგად, დგინდება, რომ „ლომსიანი“ მესხთაგან-იმერელთაგან დასახლებული ის გეოგრაფიული კუთხეა, რომელიც მდებარეობს ლიხის მთის (მდ. ჩხერიმელას და ყვირილას შესართავიდან) კალთებიდან (შორაპნის ზემოთ) დაწყებული ყვირილა-რიონის მარცხენა მხარეზე, ვიდრე დღევანდელი საჯავახო-საჭილაოს ტერიტორია, მთიანი (ჩოხატაურის) გურიის სანახებამდე. სამხრეთით – საირმე-გურია-აჭარის (ფერსათის ქედის) გასწვრივ.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ისევ უბრუნდება ნიანია ქვაბულიძის მიერ ქუთაისის-აფხაზეთის სამეფოს სატახტო ქალაქის, 1073 წ. „დაპყრობის“ საკითხს და წერს: „ნიანია ქვაბულიძე სხვა მთავრებთან ერთად (იგულისხმება ივანე ლიპარიტის ძე და სვანთა ერისთავი ვარდანის ძე – თ. ე.) გიორგი მეფეს განუდგა. ნიანიამ წარუდო ქუთაისის საჭურჭლე და შედგა ქუთაისისა შიგა“. მეფის საჭურჭლე ქუთაისშია (იგულისხმება ციხეა იქ), აქ კი, ქალაქი იგულისხმება. ნიანია სხვებზე უფროა ქუთაისის დასამხარზე, შეიძლება რაღაც პრეტეზიებითაც („მეფე ქვაბულიძე?“) [5, გვ. 530].

რა „დასამხარზე შეიძლება აქ საუბარი? თუ ქუთაისის სატახტო ქალაქის დაპყრობაში კონკურენტებად ივანე ბალვაშს და ნიანია ქვაბულისძეს იმ დროს იმდენად დასუსტებული ჩანს, რომ სვანთა ერისთავმა ვარდანმა მისი დამორჩილებაც კი შეძლო. გურიელი აზნაური კი არ ჩანან, მაშინ „უფლებაზეც“ უნდა ყოფილიყო პრეტეზია, 1073 წელს ქუთაისის დაპყრობისა და მეფის საჭურჭლის დაუფლების განზრახვის შესრულებისას, „მეფე ქვაბულიძის“ მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არგვეთის ერისთავთ-ერისთავის ივანე ბალვაშისეული კაცხის ციხე-სასახლიდან ქუთაისამდე, დაახლოებით, ისეთივე მანძილია, როგორიც დღევანდელი ბალდათი – ვანი „ლომსიანეთი“-დან ქუთაისამდე, რიონზე გადმოსასვლელ სანაოზე - მხედრობის გადმოსაყვანად საჭირო დროის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნიანია ქვაბულისძის მხრიდან ჩადენილი ქმედება შეფასებული იქნა დიდ კადნიერებად, ივანე ბალვაშის ქმედებებთან შედარებით, ახალგაზრდა მეფემ გიორგი მეორემ და შემდეგ მისმა შვილმა - დავით მეოთხემ აღმაშენებელმა, ნიანიასა და მის შთამომავალს აპატია ეს ქმედება მაშინ, როცა ივანე ლიპარიტის ძეს, ლიპარიტ ივანეს ძეს და შვილიშვილ რატი ლიპარიტის ძეს, ძვირად დაუჯდა წაჯერ-უკუჯერბანი. საბოლოოდ კი, ბალვაშების გვარის შესახებ ასეთი აზრი დადგინდა, როგორც „კუდი ძაღლისა არ განიმართების“ და „არცა კირჩხიბი მართლად არა ვალს, ესე იგი თავისას არ მოიშლიდა“. მიუხედავად იმისა, რომ (1021 წ.) გიორგი პირველის დროს რატი ბალვაში (ლიპარიტის ძე) და ერისთავი ხურსი (აქედან ხურსის ძენი ანუ ხურციძენი) ტაოს მხარის საქართველოსთან შემომტკიცებას შეენირა, ხოლო ბაგრატ მეოთხესთან ურთიერთობის გაუარესებამდე, ლიპარიტ რატის ძე საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე იყო. ან თუნდაც, ბაგრატ IV-ის და ივანე ლიპარიტის ძის ურთიერთობა ლიპარიტის ბერად აღკვეცის შემდეგ, როცა „ბაგრატ მეფემ შეიტყო, რომ ფალდონმა „არბივნა ქართლისა ნაპირინი“, ერისთავი ივანე, ძე ლიპარიტისა და ნიანია ძე ქვაბულისი და ერისთავი ყუელისა მურვან ჯაყელი და სხვანი აზნაური რჩეულის ლაშქარითურთ ფალდონს უკან დაედევნა“. [1, გვ.155].

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ „ნიანია ძე ქვაბულისი“, გიორგი I და ბაგრატ IV-ის დროიდან, საქართველოს ძლიერებისათვის იბრძვის ბაგრატიონ-დავითიანების მხარდამხარ. გამონაკლისია, ალბათ, დიმიტრი გიორგის ძის მხარეზე, ნიანია ქვაბულიძის ბრძოლა ლიპარიტ რატის ძეს და მის შვილებთან – ივანესა და ნიანიასთან ერთად. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამა თუ იმ ადგილას ქვაბულისძენი, დიდაზნაურებად, არა ერისთავებად მოიხსენებიან, განსხვავებით კლდეკარის და არგვეთის ერისთავთ-ერისთავის ბალვაშების, სვანთა ერისთავ ვარდანისა, გურიის ერისთავისა, რაჭა-თაკვერის ერისთავთ-ერისთავ მიქელის და კახაბერის, არტანუჯის ერისთავის აბუსერისა, ყუელის ერისთავი მურვან ჯაყელისა და

სხვა დიდებულებისა. როგორც ჩანს, „დიდმა მოხელემ“ ნიანია ქვაბულისძემ, ქუთაისის დედა ციხის და სამეფო საგანძურის ხელში ჩაგდების შემდეგ, დროზე შეწყვიტა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობა და განსხვავებით, ბალვაშთა „გაუტეხელი“ გვარისა, დავით აღმაშენებლის რისხვას გადაურჩა.

ცხადია, ნიანია ქვაბულიძის, როგორც „ლომსიანეთის“ მხარის დიდაზნაურის ციხე-სასახლეზე, ისტორიულ საპუთებში უნდა იყოს არა პირდაპირ მინიშნებული. ყვირილა-რიონის მარცხენა მხარეზე ორად ორი ძველი და ცნობილი ციხეა. „ვარციხე-ვარდციხე“, რომელიც ანტიკური ხანიდან „როდოპოლისად“ იწოდებოდა და დღევანდელი დიმის ტერიტორიაზე ციხე „დიმნა“, მაგრამ საეჭვოა, რომ აქ ყოფილიყო ქვაბულიძეთა საერისთავო ციხე-ქალაქი. მდინარე ხანის წყლის ხეობის, ფერსათის მთის კალთებიდან დაწყებული, ძველი ციხის არსებობა „თხმელის“ ციხის მიდამოებში შესაძლებელი იყო. რაც შეეხება სალომინაოდან დაწყებული დუცხუნამდე, სამხრეთ კავკასიონის მთაგრეხილის გასწვრივ გადაჭიმული დღევანდელ მაღალმთიან სოფლებში არსებული ძველი ციხე-სიმაგრეებიდან: ბაბოთი, ბაგინეთი, (სალომინაო), მელოური (ძულუხი), თამარის ციხე და გორმალლის კოშკი (ინაშაური), ციხისუბანი (დიხაშხო), გადიდი (ზენობანი) (X ს.). მთავარანგელოზის ეკლესია XI ს. (ზედა ვანი), საპატარის ეკლესიებიდან და კოშკებიდან, ერთ-ერთი იქნებოდა. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით „ჯვარისერზე“, ან მის კალთებზე აშენებულ ქვაჯვარებისა და კოშკების (მაგალითად, სათვალთვალო კოშკი „ციხია“ სოფელ ისრითის მიდამოებში ჩრდილოეთის მხარეს) შესახებ, რაც უძველეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ციხე-სასახლესთან. უპირველეს ყოვლისა, ქვაბულიძეთა რეზიდენცია (საზაფხულო ან საზამთრო) უნდა ვეძებოთ იმ ადგილებშიც, სადაც ამ ფეოდალური გვარის მემკვიდრე ახვლედიანები სახლობდნენ, ან XV საუკუნიდან საჩინოში დამკვიდრებულ ჩიჯავაძეების თავადური სასახლეების მიდამოებში. [6, გვ. 28-29].

ჩვენი ვარაუდით ქვაბულიძეთა სასახლის არსებობა ნაკლები ალბათობითაა საგულვებელი დღევანდელი ვანის მაღალმთიანი სოფლების პარალელურად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით გადაჭიმული სოფლების: ზეინდარი-ამალლება-ქვედა ბზვანი-ისრითი-დიხაშხო-სალხინო-(საჩინო)-ვანი (საბეკე)-ციხესულორი შუამთა-მთისძირი-გომის მიდამოებში. თუმცა, X საუკუნიდან, ამ მიდამოებში და განსაკუთრებით, „ჯვარის სერის“ მთიანი ზოლის რამდენიმე უბანში (ქვედა ბზვანი-ისრითი-დიხაშხო-სალხინო-ვანის გასწვრივ), დიდი და მცირე ციხე-სიმაგრეების და ეკლესიების ნანგრევების არსებობა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში არაა გამორიცხული.

აქევე, ყურადსალებია „ნიკორწმინდის იადგარის“ (1071-1080 წწ.) ცნობა იმის შესახებ, რომ „სამთა ჯუართაში“, ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარს, ეფრემისძისაგან, ლომსაისაგან, იალმაგისაგან და სხვა მინისმფლობელთაგან უყიდია საყანე მინა. აქ, მოხსენიებული ტოპონიმი „სამთა ჯვართა“, ნიკორწმინდის ახლომახლოს, რაჭა-ლეჩხეუმის და არგვეთა-ოკრიბის სანახებში ამჟამად არ ფიქსირდება, მაგრამ იგი აუცილებლად მდებარეობს „იმერთ“ მხარეში. ისმის ბუნებრივი კითხვა, ხომ არ არის ეს „იმერთ“ მხარე დაკავშირებული ლომსიანეთთან, მით უფრო, რომ ერთ-ერთი მინის ნაკვეთი ნიკორწმინდის მონასტრის მღვდელმთავარს „ლომსაიდისაგან“ შეუძენია [6, გვ. 31], ხოლო მეორე მინის მფლობელ ეფრემისძის საყანეს, რომელშიც შემსყიდველს მდიდრული ჩასაცმელი - „სტავრის ლაფაჩი“ (მელის ტყავის სარჩულით) გადაუხდია, „ჯვარის სერის“ მიმდებარე ტერიტორიაზე XV-XIX საუკუნეებში მოიხსენიება, როგორც, „ეფრემისძისეულად“ [6, გვ. 4-8]

ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებიდან, ქვაბულიძეთა ციხის ლოკალიზაციის განსაზღვრის მიზნით, ჩვენ განვიხილავთ ორ შესაძლო ვარიანტს. პირველი ეს არის სალხინო-დიხაშხო-ზენობნის საზღვარზე არსებული ციხისუბნის ტერიტორია. ციხისუბნის ტერიტორიაზე, „სამჭიქიის“ - სამი გადმობრუნებული ჭიქის მსგავსი მთით შექმნილი ქვაბულის აღმოსავლეთის მთის კალთაზე, არსებობს ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლის ვულკანური ნარმონაქმნი მინისძვრით (შესაძლოა 1088 წ. დამანგრეველი მინისძვრით) უნდა იყოს დაქცეული. ამ მთების ძირში - ქვაბულიდან გამოედინება, ამჟამად მცირე მდინარე, რომელსაც „ქვაბის ღელე“ ეწოდება. ქვაბის ღელე უერთდება მდინარე სულორს მარცხენა მხრიდან და ბუნებრივი გამყოფი საზღვარია ამჟამინდელი სალხინოსი და დიხაშხოსი. სოფელ დიხაშხოს ის უბანი კი, სადაც ციხის ნანგრევებია, ბოლო სამი საუკუნე თავადები - ლორთქიფანიძეები და აგიაშვილები სახლობდნენ.

ისმის ბუნებრივი კითხვა: ხომ არ წარმოდგა ვანელ ქვაბულიძეთა გვარი ქვაბის ღელედან? ამ შემთხვევაში ცხადია, რომ ისრითი (XIV-XV სს) და საჩინო-საბეკე-ზედა ვანი და გადიდი (XI ს), ძველი ეკლესიებითა და კოშკით რჩებიან ქვაბულიძეთა რეზიდენციის შესაძლო ადგილებად.

მაგრამ, უფრო მეტი ალბათობით, მოსალოდნელია ეს ადგილი იყოს რომანეთ-ინაშაური, სა-დაც ამჟამად, შემორჩენილია თამარ მეფის სახელობის ციხე, თამარის წყარო. რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობა (ზედა ბზვანელ ოტია საკანდელიძის სახით) მიანიშნებს, რომ სოფელ ინაშაურში „კანკრეთას გორას“ მარჯვნივ (ბზვანის მხარეზე) გადაშლილია „როდინად“ სახელდებული ტაფობი, ხოლო მარცხნივ (გორა-საპრასია-რომანეთი-სალომინაოს მხრიდან) – „თამარის ნაციხარი“, „თამარის წყარო“ და კიდევ უფრო მარცხნივ „სათავადოს ველი“.

ჩვენის აზრით, ეს მიდამო შეიძლებოდა ყოფილიყო ქვაბულიძეთა საზაფხულო, სათავა-დო ადგილი. ცხადია, თამარ მეფის შემდეგ ყველა ციხე, სასახლე, ხიდი, წყარო, მის სახელს ატარებდა. მაგრამ, ალბათ, ტოპონიმი „სათავადო“ გადაურჩა თამარ მეფის ავტორიტეტის ზე-ნოლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, „სათავადოს“ ნაცვლად იგი უნდა შემონახულიყო „სამეფო“ – სახელწოდებით. ტრადიცია კი, ამ მიდამოებში სხვა დიდაზნაურის არსებობას ალბათ გამორ-იცხავს თუ არა, ჯერ კიდევ XI საუკუნეში ამ კუთხის „მეფე“ წოდებულ დიდ ფეოდალს – ნიანია ქვაბული ძეს.

ამჟამად, გამორკვეულია, რომელი საუკუნიდან გაჩნდა საქართველოში სათავადოები და ცნება „თავადი“. ერთიანი და მთლიანი საქართველოს დროს (XI–XIII სს), საქართველო სა-ერისთავოებად იყო დაყოფილი, რომელთა ადმინისტრატორებს ერისთავები ეწოდებოდათ. XV საუკუნიდან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის შემდეგ, საერისთაოებზე ზოგჯერ მცირე მასშტაბის ერთეულები სათავადოებად იწოდებოდნენ. დასავლეთ საქართველოს შე-მადგენლობაში მოქცეულ ყვირილა-რიონგალმა მხარეში, თავიდან ორი სათავადო არსებობდა: საჩხეტიანო (საჩხეიძეო ლომისიაქედ-ხანისნებულიდან-კვინისნებულის ხეობებს შორის ტერიტორია) და საჩიჯავაძო (სალომინაოდან-დაფნარამდე). საჩიჯავაძოს XVII საუკუნეში ჩამოეჭრა სალომი-ნაოს (კორისნებულისა და კვინისნებულის ხეობებს შორის მხარე) და ტობანიერ-საჯავახოს მხარე. სალომინაოს მხარე ებოძა რაჭის ერისთავების გვერდით შტოს, რომლებსაც „ნიკორწმინდის იადგარი“ ზნაკველ ერისთავთ-ერისთავ მიქელად მოიხსენიებს და ამ მხარეს ეწოდა „საერ-ისთო“ (საერისთავო), რომელთა რეზიდენცია ქვედა ბზვანის (დღევანდელი ამაღლება) ტერი-ტორიაზეა სავარაუდო (ინაშაურის გზაზე), მდინარე კორისნებულის მარჯვენა მხარეს. ცხადია, თუ კანკრეთას მთის მარცხნივ ან მარჯვნივ განლაგებული ციხე-კოშკები და ნასახლარები ერისთავებს ეკუთვნოდათ, მაშინ ისინი „საერისთოს“ სახელწოდებით უნდა შემორჩენილიყო ტოპონიმიკაში და არა „სათავადოს“სახით.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ი. ჯავახიშვილი – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1980 წ.
2. თ. უორდანია – ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 1892 წ.
3. ი. ჯავახიშვილი – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1984 წ.
4. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი – საქართველოს ისტორია გ. მელიქიშვი-ლის რედაქციით, თბილისი, 1980 წ.
5. ნ. ბერძენიშვილი – საქართველოს ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1980 წ.
6. „ნიკორწმინდის იადგარი“, ქართული სამართლის ძეგლები, აკადემიკოს ი. დოლიძის რედაქციით, ტ. III, აკად. გამომც. თბილისი, 1970.
7. თ. ბერაძე, ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. კრებული „ვანი“, ტ. III.

- გურამ ყიფიანი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
შოთა გამულაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მაღონა გვალიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აღმოსავლეთი ქანეთის რამდენიმე ძართული ეკლესია

პროექტი, რომლის მცირე ნაწილსაც ვთავაზობთ სამეცნიერო უურნალ „მატიანე“-ს, შედგა 2012-2013 წლებში და დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. პროექტის ენოდებოდა „ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“ (საფორთიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები). კონკურსში დაფინანსება მოიპოვა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტიმა. „ძირითად შემსრულებლებად“ მიწვეულნი იყვნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, გურამ ყიფიანი და ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი მადონა მშვილდაძე.

ჩვენს ბათუმელ კოლეგებთან ერთად არაერთი ძეგლის აღწერა და შესწავლა მოხერხდა. ამჯერად გთავაზობთ შესრულებული სამუშაოს მცირე ნაწილს.

არდაშენის ეკლესია

ეს ეკლესია ცნობილია „ჯიბისთასი“-ს სახელით. მისი შიდა სივრცის სიგრძე ცენტრალური აბსიდის შიდა კედლამდე – 14,30 მ-ია, ხოლო სიგანე – 8,00 მ.

ეკლესის კედლები დუღაბით შეკავშირებული რიყის ქვითა ნაგები და მოპირკეთებული ყოფილა ქვიშაქვის მოყვითალო ფილებით. კედლების სიგანე საშუალოდ – 50 სმ-ია. ნაგებობა აღმართულია სამსაფეხურიან სტერეობატზე. მისი ნაშთები შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აბსიდის ქვედა სტრუქტურაში. იგი ამოყვანილია საგანგებოდ დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით. აბსიდათა არეში, მათ გეგმაში აბსიდების მრუდის შესაბამისად, ლეკალური მოყვანილობა აქვთ. ტაძრის დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძი თითქმის აბსოლუტურია. ეკლესია აღმოსავლეთის მხრიდან სამი შევრილი აბსიდითაა აღჭურვილი. ცენტრალური აბსიდა საგრძნობლადაა წინ გამოზიდული და მრავალწენაგაა (ხუთწახნაგოვანი).

ეკლესის ჩრდილოეთით ორსართულიანი „ეკუდერი“ დასტურდება. მისი სიგრძე – 11,70 მ-ია. ზედა სართულის იატაკის დონე თვით ეკლესის დონეს უსწორდებოდა. მისი ქვედა სართული კი შესაძლოა კრიპტა ყოფილიყო. მისი სიმაღლე – 1,55 მ-ია, სიგანე – 2,50 მ, სიგრძე კი – 4 მ. მისი კედლის სიგრძე – 80 სმ-ია და თაღოვან გადახურვას შეიცავს. შიდა სივრცე მთლიანად გადათხრილია მძარცველების მიერ. მას კარი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს, ცენტრალურ არეში მისი წირთხლები წინგამოზიდულ პილონებსაც შეიცავს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათში ქვის ფილა იყო ჩამჯდარი და კარის ღიობი იგმანებოდა. ღიობს არქიტავრული გადახურვა აქვს. თვით „კრიპტას“ კედლები განსხვავებული სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები, მოზრდილი, შუაზე გადატეხილი რიყის ქვების რეგულარული წყობით. მათ როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ნაკერებში კირხსნარია გამოყენებული.

სავარაუდოა, რომ „კრიპტაში“ აღწერილი კარის ღიობის გარდა, შესვლა (ჩასვლა) მეორე სართულის დონიდანაც უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ამის დადგენა ახლა შეუძლებელია, რადგან მისთვის რაღაც რესტავრაციის (რემონტის) მაგვარი ჩაუტარებით და მისი ზედა სტრუქტურა ცემენტის ხსნარით შეუვსიათ.

ნაგებობა თითქმის მთლიანადაა დაფარული ხეებით და სხვა ხვიარა მცენარეებით, ამდენად ძეგლის დეტალებზე მსჯელობა ჭირს. ამას გარდა მას დასავლეთის მხრიდან თანამედროვე სახლი ედგმის და თანაც ისე, რომ ტაძრის შიდა სივრცე ამ სახლის ეზოს წააგავს. ამიტომაც გაურკვეველი რჩება ეკლესია დასავლეთის მხრიდან შეიცავდა თუ არა ნართექსს. სავარაუდო კი ნამდვილადაა.

ტაძრის შიდა სივრცის აღქმას ართულებს ის, რომ იქ თითქმის ტყეა, ათეულობით ხის დათვლა შეიძლება.

კარის ღიობებს ეკლესია შეიცავდა როგორც დასავლეთის, ასევე სამხრეთის მხრიდან. ჩრდილოეთის კარით „ეკვდერს“ ვუკავშირებთ.

ორ-ორი სარკმელი დასტურდება როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის მხრიდან. სარკმლის ქვედა დონეები ერთ ხაზზეა გასწორებული და ამასთანავე ისინი (მოპირდაპირე სარკმლები) ერთმანეთს უსწორდება.

ჩრდილოეთის მხრის სარკმლები მიუთითებს ნაწილობრივ მაინც იმას, რომ „ეკვდერი“ გვიანდელი დანამატია ეკლესიისა და არა თავდაპირველი. ამაზე ეკლესიის სამშენებლო წყობაც მიანიშნებს.

არ ჩანს შვერილი აბსიდები სარკმელთა რა რაოდენობას შეიცავდა, მაგრამ ამ ტიპის ძეგლთა კანონიკურობიდან გამომდინარე, თითქმის სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცენტრალური აბსიდა სამი სარკმლით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი, ხოლო გვერდითნი თითო-თითოთი.

სამხრეთის კარი ახლა თაღოვანად გამოიყურება, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კარის ღიობი თავიდან თაღოვან (ცრულუნებული შეიცავდა და თუ ის თაღოვან ღიობს წარმოადგენდა, როგორც ახლა გამოიყურება, მაშინ ტაძარი მინაშენს (კარიბჭე) სამხრეთის მხრიდანაც შეიცავდა. მისი კვალი (თუ იგი არსებობდა) ახლა არც გამოჩენდება, რადგან ტაძრის სამხრეთის მხარე უშეუალოდ კედლიდანვე ჩაის პლანტაციას უკავია.

რისი დადგენაც შესაძლებელი გახდა ისაა, რომ გეგმარებითი სქემის მიხედვით ეკლესია ჯვარგუმბათოვან ნაგებობას განეკუთვნება. ამჟამად, გუმბათის საყრდენი, თავისუფლად მდგომი ბურჯების ნაშთები არ იყოთხება, რადგან იატაკის დონის დასადგენად აქ საკმაოდ მასშტაბური არქეოლოგიური გათხრების ჩატარებაა აუცილებელი. მიუხედავად ამისა გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთ ბურჯებს ეკლესია ნამდვილად შეიცავდა. ამაზე ძეგლის მთელი სტრუქტურა მიუთითებს. სხვა თუ არაფერი, ამაზე მიგვანიშნებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებიდან გამოზიდული ნახევარბურჯები. ვფიქრობთ, რომ არ შევცდებით თუ ცენტრალურ ბურჯებს გეგმაში ჯვრის ფორმისად აღვადგენთ. ასეთი ბურჯები საბჯენ თაღთა დატვირთვებს თანაბარზომიერად ანანილებს.


თავისი გეგმარებით ეს ძეგლი ბიზანტიის იმპერიის პერიფერულ არქიტექტურულ სკოლას განეკუთვნება, XI-XIV საუკუნეებში თანაბრად მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რეგიონებს. იგივე სქემას ეფუძნება უმეტესად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ჯვარგუმბათოვანი არქიტექტურაც (მაგ. ი. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ქერჩში, X-XIII სს, იხ. Aceeb: 1966, 510-511, სურ. 7-2) მაგრამ თუ დასავლეთით გუმბათი (ყელი) უმეტესად ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს (გეგმაში წრიული მოყვანილობის) ეყრდნობა (იხ. ძველი პრესლავის ეკლესიები XI ს-ისაა ვრადაკის ბორცვზე და „ბიალ-ბრიაგში“-ში. ქაიბიი 1987: 110, სურ. 35). აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში გუმბათის ყელი თავისუფლად მდგომ, გეგმაში ჯვრული მოყვანილობის ბურჯებს ეფუძნება (Alla I. Romnčuk, 2005: სურ. 18-16, 17; სურ. 28; სურ. 33-3, 4, 5).

ასეთივე სურათი ჩანს აფხაზეთის ტერიტორიაზე. აქ ჯვარგუმბათოვანი არქიტექტურის ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ ჯვრული მოყვანილობის ბურჯებზე დაფუძნებული გუმბათებია. ეს ჩანს თუნდაც ბზიფის (IX ს.), ანაკოფიის (ალბათ X ს.) და ლიხნის ჯვარგუმბათოვან ტაძრებში (ზოგადად XI-XII ს.) (РЧЕУЛИШВИЛИ, 1988: 6 და შმდ.; 31 და შმდ).

საყურდღებოა ის ფაქტიც, რომ მსგავსი გეგმარებითი სქემების მქონე (წინ გაზიდული და გარე მასებში მკვეთრად გამოხატული სამი აბსიდა) ჯვარგუმბათოვანი ტაძრები წინარე მონღლოურ რუსეთშიც ჯვრის ფორმის მქონე (გუმბათის ყელის საყრდენი) ბურჯებითაა აღჭურვილი. განსაკუთრებით ეს კიევის რუსეთის არქიტექტურაში შეინიშნება XI-XII-საუკუნეების ძეგლებში (Aceeb, Максимов, 1966: 552 და შმდ). არ შეიძლება ჩვენი ძეგლისათვის პარალელად არ მოვიყვანოთ თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი პასანდალში ჭანლიქილისეს სახელით ცნობილი კომპლექსების სამხრეთის (თავდაპირველი) ეკლესია. იგიც ანალოგიურ სქემას დაფუძნებული ჯვარგუმბათოვანი ეკლესიაა, სამი შვერილი აბსიდითა და გუმბათის საყრდენი ოთხი, გეგმით კვადრატული მოყვანილობის ბურჯებით (ეს ეკლესია, ზოგადად შეუა ბიზანტიური ხანით თარიღდება, კრაუტჰეიმერ 1979: 423-424, სურ. 361-362). ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ ჯიბისთასისა და პასანდალის ეკლესიები შესაძლოა ერთგვარ ცენტრალურ, გადამცემ პუნქტებსაც ქმნიდა იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ პროვინციებისათვის.

ძეგლის თარიღებზე დაზუსტებით რაიმეს თქმა ძეგლის დეტალური ანალიზის გარეშე

გაჭირდება, მაგრამ თუ მას აფხაზეთის ჯვარგუმბათოვან არქიტექტურულ ძეგლებს ზოგადად მაინც შევუჯერებთ, ალბათ შესაძლებელი იქნება მისი აგების დრო X-XI საუკუნეებით განვსაზღვროთ.



არდაშენის ეკლესიის სქემატური გეგმა. შეასრულა გ. ყიფიანმა

არქაპის ეკლესია

არქაპისი (არხავი, არხავესი, ჰაჯილ-მახალესი. ახლანდელი სახელწოდება აარხავეს თავზე). ამ ტერიტორიას რაკანსაც ეძახიან, რაც შემაღლებულ ადგილს ნიშნავს.

ეკლესია მდებარეობს დაბა არხავეს და სახლების აღმოსავლეთ ნაწილში (GPS კოორდინატები №41 21.594, E41 19.085), იქ სადაც ჭანეთის მთებიდან ზღვისპირეთისაკენ დაშვებული ერთ-ერთი ქედი, ზღვაში საკმაოდ ღრმად იჭრება და ქმნის ნახევარკუნძულისებრ კონცხს. ეკლესია სწორედ ამ კონცხის ყველაზე შემაღლებულ ადგილასაა აშენებული. აქედან შესანიშნავად მოსჩანს უზარმაზარი სივრცე ოთხივე მხრივ. ზემოდან დაჰყურებს არხავეს მთლიან დასახლებას, მდინარის ორივე მხარის გაყოლებით არსებულ სოფლებს, ქ. ხოფასა და მის შემოგარენს, მთის კალთებზე შეფენილ სოფლებს არხავეს ციხემდე, ზღვას თვალუწვდენელ მანძილზე და ა.შ. ტერიტორიას სადაც ეკლესიაა აშენებული ადგილობრივი მოსახლეობა „რაკანას“ (შემაღლებულ ადგილს) უწოდებს. ეკლესიის ქვემოთ, კლდოვან ქანძი გაჭრილია შავი ზღვისპირა ცენტრალური ტრასისათვის განკუთვნილი გვირაბი. ძეგლს პირველად 2012 წლის შემოდგომაზე დიდი ძებნის შემდეგ მივაკვლიერ. მაშინ მისი შესწავლის შესაძლებლობა არ მოგვეცა. ამჯერად როგორც იქნა მოვახერხეთ ძეგლის ტერიტორიაზე შესვლა.

ეკლესია – მიმართული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. გადახრა 5 გრადუსი, სამხრეთის მიმართულებით.

ძეგლი სავარაუდოდ წარმოადგენს დარბაზული ტიპის, შვერილაპსიდიან ეკლესიას. სამწუხაროდ აბსიდის კონტური, არც შიდა და არც გარე მხრიდან არ იყითხება მძლავრი მცენარეული საფარის გამო. სამხრეთიდან, ამჟამად მხოლოდ ორი სარკმელი ჩანს ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი სარკმლის პარალელური კედლებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში შემორჩენილია თაღოვანი კარის დასავლეთის მხარე, კარის თაღი პლინტუსებითაა ნაგები დუღაბზე. კარის პილონების სისქე – 60სმ-ია, ხოლო კედლების სისქე – 80 სმ-ს უახლოვდება.

ნაგებობას კარი დასავლეთის მხრიდანაც უნდა ჰქონოდა ცენტრალურ არეში, რომლის ზომებიც ახლა ვეღარ დგინდება. შიდა სივრცის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა რომაული ბეტონის ფრაგმენტი, რომელშიც ბიზანტიური ხანის ამფინიათა ოთხი ეგზემპლარის ტანის ქვედა ნაწილია ჩართული. ჩვეულებრივ, ასეთი დეტალები კამარისათვის იქმნებოდა. კერამიკული ჭურჭელი კამარათა დატვირთვას ანეიტრალებდა (Durm, 1905:297, ფიგ. 320). შიდა სივრცეშივე აღმოჩნდა გვერდებაკეცილი, დაბალ ბორტიანი კრამიტის ფრაგმენტები. მათი სრული ზომები ვერ დაფიქსირდა, რასაც შეეძლო ზუსტად მიენიშნებია ძეგლის თარიღზე. კედლები ძირითადად ნაგებია რიყის ქვით, დუღაბის გამოყენებით. სამხრეთ ფასადზე შეიმჩნევა, რომ ვერტიკალური კედლის მასა ამოყვანილია ყალიბით. სამხრეთის, შემორჩენილი თაღოვანი კარის თაღის ქუსლის მიხედვით ისე ჩანს, რომ თითქოს ტენდენციას ავლენს ნალისებურობისაკენ. შიდა სივრცეში იატაკის დონე ვერ ფიქსირდება. კარის თაღის ქუსლი მინის დონიდან -1,30 სმ-ზე დასტურდება (ნალისებურობა ხაზს უსვამს მის ადრეულობაზე).

სარკმლის სიმაღლე – 85 სმ., სიგანე (რაც ჩანს) – 55 სმ. იატაკის დონის დაუზუსტებლობის გამო მისი სრული ზომების განსაზღვრაც ვერ ხერხდება. ამ ნაგებობას, რაიმე სერიოზული გადაკეთების კვალი არ ეტყობა. წინასწარული მონაცემებით (კარის თაღის მოყვანილობა, სამშენებლო წყობა, ბიზანტიური ხანის ამფორები) მიგვანიშნებს, რომ ძეგლის თარიღი VI ს-ით უნდა განისაზღვროს.

ძეგლის გარე მასების სავარაუდო ზომებია (აბსიდის ჩათვლით): სიგრძე – 11,50 მ., სიგანე – 7, 10 მ. შიდა მხრიდან სარკმლის ღიობის მოჩარჩოება არ იკითხება, ხოლო გარე მხრიდან იგი წარმოადგენს სიმაღლეში ოდნავ შევიწროვებულ ღიობს. მისი სიმაღლეა – 70 სმ., ქვედა ნაწილის სიგანე – 18 სმ. აგრაფად რიყის ქვაა გამოყენებული. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ არეში ერთი სარკმელიც ფიქსირდება.


პირონითის ეკლესია

ეკლესია მდებარეობს არხავის სოფელ პირონითში (GPS კოორდინატები №41 22.548, E41 22.948). იგი სოფლის თავში ზღვისკენ წინ წამოზიდული ქედის ბოლო შემაღლებულ ბორცვზეა აშენებული. აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთელი შემოგარენი ოთხივე მხრივ, განსაკუთრებით ზღვისპირეთი მთელს სიგრძე-სიგანეზე. ნაგებობა დარბაზული შვერილაფსიდიანი ეკლესიაა. მისი სიგანე 5,80 მ-ია, ხოლო სიგრძე – 10 მ. იგი სამ საფეხურიან ცოკოლზეა აღმართული. გამოირჩევა იშვიათი, დახვეწილი პროპორციებითა და „კლასიკური“ სამშენებლო საქმით. კამარა ჩაქცეულია, ამას გარდა, არ იკითხება, ჩრდილოეთის კარის გარდა, შეიცავდა თუ არა იგი ღიობს სამხრეთიდანაც, დასავლეთის მხრიდან კარი არ შეინიშნება, კედლელი ყრუა.

ჩრდილოეთის კარი 3 მ. სიმაღლის ღიობია. მის წირთხლებზე შეინიშნება, რომ კარი ლუნეტს შეიცავდა, მისი სიგანე 1,35 მ-ია და ფუძიდან მისი ზღურბლი 50 სმ-ის სიმაღლეზეა გამართული. კარის (თუ ლუნეტის) თაღოვანი ნაწილი პლიტუსებითაა (30X30 სმ.) შედგენილი.

კედლების წყობის ხასიათი ყველაზე უკეთ ჩრდილოეთის ფასადზე იკითხება. დუღაბით ამოყვანილი კედლები მოპირკეთებულია მცირე ზომისკვადრებით (და არ ფილებით, როგორც ეს თითქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო). აქ არ გვხვდება არც ერთი ისეთი დეტალი, რომელიც მის მეორად გამოყენებაზე მიგვანიშნებდა. კვადრების სიმაღლე საშუალოდ 20 სმ-ია და იგი ძალიან მოგვაგონებს ისოდომური წყობის ბოლო, უკანასკნელ სახეს (ისოდომური წყობა იმით ხასიათდება, რომ კვადრებით განყობილი რიგების სიმაღლე მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე განზომილებისაა). ამას გარდა, წყობაში, შესაძლოა გამომსახველობის, თუ დეკორატიულობის მიზნით, ვიწრო ჩანართებიც გვხვდება, როგორც ე.წ. „ენპლექტონის“ გვიანდელი ანასახი. კედლები მასიურია, მისი სიგანე 70 სმ-ს უტოლდება.

ეკლესია ამჟამად მთლიანადაა დაფარული ეკალ-ბარდებითა და ხვიარა მცენარეებით (სურო და ა.შ.) და მისი პროპორციების შეფასება ძირითადად სტატისტიკური მონაცემების შეჯერების შედეგად ხდება. მაგ. სიგანე 5,80 მ. შეფარდებული სიგრძესთან (10 მ.) ძალიან უახლოვდება ოქროს კვეთის პროპორციას.



პირონითის ეკლესიის სქემატური გეგმა. შეასრულა გ. ყიფიანმა

ამას გარდა, კარის სიგანე (1,35მ) შეფარდებული მანძილს კედლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან კარის წირთხლამდე (2,30მ) დიდი სიზუსტით შეესაბამება ასევე, ოქროს კვეთის პროპორციას ($1,35 : 2,30 = 0,6136\dots$) და ა.შ.

ჰარმონიულია ტაძრის შიდა სივრცეც. მიუხედავად იმისა, რომ შიდა სივრცე გაუვალი და მაღალი ჯაგნარითაა დაფარული მანც შეიგრძნობა.

ეკლესიის დარბაზი, კედლის სიბრტყიდან 28 სმ-ით გამოზიდული, გეგმაში ორსაფეხურიანი და 75სმ-ის სიგანის პილასტრებით ორ არათანაბარნანილად იყოფა. გრძივ – დასავლეთის ნაწილად და მოკლე – აღმოსავლეთის ნაწილად. ეს ნაწილი ქმნის კიდევაც საკურთხევლის აბსიდის წინ „ბემას“. სწორედ ბემა ნათდება ურთიერთმოპირდაპირე სარკმლებით.

ჩრდილოეთის კედელი ორ ერთმანეთის თავზე გამართულ სარკმელს შეიცავდა. სარკმლები თაღლოვანია და მისი ზედა სტრუქტურა პლინტუსებითაა გაწყობილი. ქვედა სარკმელი „იატ-აკიდან“ (ამჟამინდელი დონე იგულისხმება) 1,10 მ-ის სიმაღლეზეა გამართული, მისი სიმაღლე 90სმ-ია, ხოლო სიგანე – 70 სმ. ზედა სარკმელი კი ამჟამინდელი დონიდან 3,40 მ-ის სიმაღლეზეა „გაჭრილი“, მისი სიმაღლე 1,4 მ-ია, ხოლო სიგანე – 50 სმ.

ეკლესია ტიპიური „კაპელაა“, რომელიმე საეპისკოპოს (რიზიონის?) კუთვნილი და ცხადია ტრაპიზონის, ანუ ახალი, ლაზიკის მეტროპოლიაში შემავალის.

ამ კაპელის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მკვეთრად წინ გაზიდული აბსიდაა. საერთო მასიდან იგი 2 მ-ის სიგრძეზეა გაზიდული, ხოლო სატრიუმფო თაღიდან მისი სიღრმე 2,30 მ-ს უტოლდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავი კაპელაში შემდეგი კატეგორიებია:

1. უზადოდ და დიდი ხელოვნებით ნაგები სამსაფეხურიანი სტერეობატი (მისი ყოველი საფეხურის სიგანე 15 სმ-ია, ხოლო სიმაღლე საშუალოდ – 16 სმ.), კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ფილა-კვადრებისგან ნაგები საფეხურები, რომელიც თავის მხრივ, ასევე, ქვიშაქვის ბლოკადებისგან შედგენილ სუბსტრუქციას ეყრდნობა.

2. კედლის არქაული წყობა, ისოდომური წყობის ანასახი.

3. სარკმლები. ერთ-ერთი მეტყველი დეტალი ეკლესიის აგების ზოგადი თარიღისთვის. სარკმლები აქ პარალელურკედლებიანია, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს (ანუ არაუგვიანეს VII საუკუნისა).

4. საყურედლებოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ კაპელა დასავლეთიდან კარს არ შეიცავდა.

მისი კართა ღიობები გრძივ კედლებშია შექმნილი და ერთგვარი ქართული ადრექრისტიანული არქიტექტურული სინამდვილის გამოძახილია .

ეს კაპელა თავისი არქიტექტურული კატეგორიებით მკვეთრად გამოირჩევა აღმოსავლეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ და აჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ანალოგიური (ცალნავიანი და შვერილაბსიდიანი) კაპელებისგან. მისი თარიღი ზოგადად VI-VII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

გულთვათის ეკლესია

გულთვათის ციხის ცენტრალურ მონაკვეთში დარბაზული ტიპის ეკლესის ნაშთები (GPS კოორდინატები N41 06.254, E40 54.027). ნაგებობის დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ნაშთების მიხედვით შეიძლება მის გეგმაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, შვერილი აბსიდით. გეგმარებით და სამშენებლო წყობით ესადაგება ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციის სახელოვნებო ფორმას (ყირიმის ტერიტორია).

ციხის კედლები და ეკლესია, როგორც ჩანს ერთი და იგივე პერიოდისაა. მოხილვისა და ფოტოფიქსაციის დონეზე, კომპლექსი შეიძლება VIIს-ის II ნახევრითა და VIIIს. დათარიღდეს.

რაც შეეხება კარიბჭის თავდაცვით ნაწილს, კოშკებს შორის მოქცეული კარი (N3) ის სავსებით შეესაბამება ადრე ბიზანტიური ფორტიფიკაციის ლოგიკას (Biernacka-Lubanska, 1982, სურ. 74:101;114 და სხვ.).

ეკლესია დარბაზული ტიპისაა შვერილი აბსიდით, თუმცა გარე ბმაში დარბაზის აბსიდასთან შეუღლების არე გამოყოფილი არაა და ამით ძალიან წააგავს ადრეულ სირიულ დარბაზულ ეკლესიებსა და ბაზილიკებს, ეგრეთწოდებულ რეგიონალურ ტიპებს (Boyer, 1925:12).

მისი ძირითადი მახასიათებელია რიყის ქვით მოპირკეთებული ნახევარწრიული აბსიდა. ეს წყობა ძალიან გვაგონებს რომაულ, რიყის ქვით ამოყვანილ სტილს (Шуази, 1938:42, სურ. 19). ისევე როგორც ეკლესის აბსიდის კეხი, ცენტრალური სარკმელი და აბსიდის შიდა სივრცეში 40 სმ-ის სიგანის პრესპიტერიუმის მოდელი.

ეკლესის სიგრძე 10 მ-ია, ხოლო სიგანე 4,10 მ-ი. მისი კედლები საშუალოდ 80 სმ-ი სიგანისაა.

ოჯაქ-ქოის (საფოს) ეკლესია

ამ ეკლესის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მოვიძიეთ ინგლისელი მკვლევარების ბრაიერისა და ვინფილდის ნაშრომში. გადავწყვიტეთ ჩვენც მისი მონახულება. ნავედით ფაზარისაკენ (ძვ.ათინა), გავცილდით ქალაქს და კითხვა-კითხვით თავი ამოყვავით ფორტუნას ხეობაში. არდაშენში ამ ეკლესის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. უკან დავბრუნდით არდაშენისა და ფაზარის ძველი დამაკავშირებელი გზით. გავიარეთ სოფ. ჰამიდიე, სადაც ცხოვრობდნენ მოჰაჯირი ქართველები (40 ოჯახი) და მივადექით პოლიციის ქვეგანყოფილებას. მათ ჩვენი თხოვნით, დააზუსტეს ეკლესის ადგილმდებარეობა და გაგვაყოლეს ერთი აქაური ლაზი, რომელმაც იცოდა ეს ადგილი. პოლიციის განყოფილებიდან 1,5 კმ-ში გზა უხვევს მარცხნივ, რომელსაც ქვია ნურ-სოქაქის გზა. აქედან 300 მეტრის გავლის შემდეგ მივადექით ეკლესის ნანგრევებს (ჩვეულები N41 10.447, E40 55.781). აქაური ტერიტორია და შემოგარენიც სიმინდის ყანებითაა დაფარული. ადგილს სადაც ეკლესის ნანგრევებია, ქვია ოჯაქ-ქოი (ძველისაფო). ეკლესია თავის დროზე აშენებული ყოფილა ერთ-ერთ ყველაზე შემაღლებულ მოვაკებულ ტერიტორიაზე. აქედან შესანიშნავად მოსჩანს მთელი შემოგარენი. თავის დროზე ვინფილდსა და ბრაიერს ეკლესია შედარებით კარგ მდგომარეობაში დახვედრიათ (Bryer, Winfield, 1985:315). ამჟამად იგი თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული. აქა-იქ ჩანს საძირკვლების ფრაგმენტები. მთლიანი ტერიტორია ეკალ-ბარდითაა დაფარული. როგორც ჩვენმა მეგზურმა გადმოგვცა, რამდენიმე წლის წინ ეკლესია შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო. შემდეგ ერთ-ერთმა აქაურმა მცხოვრებმა, მიწის მეპატრონებმ იგი დაანგრია და ამ ტერიტორიაზე მაღლივი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა გადაწყვიტა. ამბავი პოლიციამდე მივიდა

და მათი სამუშაოები შეაჩერეს. ამჟამად არსებული მონაცემების მიხედვით ეკლესიის გეგმაზე საუბარი ჭირს. ინგლისელი მკვლევარების მიხედვით, იგი არდაშენის ეკლესიის თანადროული ნაგებობა უნდა იყოს. იქვე ჩვენს მიერ ზედაპირულად შეგროვილი კერამიკული ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ არაა გამორიცხული ეს ეკლესია შედარებით უფრო ადრე ყოფილიყო აშენებული, ხოლო შემდეგ მოგვიანებით მომხდარიყო მისი განახლება ან აღდგენა.

პუმბულას (ოვუნდუს) ეკლესია

ეს ნაგებობა მთლიანად არქაულ იერს ატარებს. სამწუხაროდ, მისი სქემატური ანაზომის შექმნის საშუალებაც არ მოგვეცა, ადგილობრივი მოსახლეობის, ჩვენს მიმართ გამოჩენილი უკიდურესი გალიზიანების გამო. ამიტომ მხოლოდ ფოტოსახულობით ვკავშირილდებით, თუმცა არც ეს აღმოჩნდა იოლი. ამდენად ძეგლის საფუძვლანი დათვალიერებაც ვერ შევძლით.

ეს ძეგლი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, როგორც უადრეს კაბადოკიურ ხუროთმოძღვრებასთან, ასევე ქართულთან.

მიუხედავად იმისა, რომ მას გადაკეთების არაერთი ეტაპი აქვს განცდილი, მის სტრუქტურაში „არქაულობაც“ კარგად შეიმჩნევა. კედლებს ეტყობათ, რომ რამდენჯერმეა გადაწყობილი. მოგვიანებით ძირითადი სივრცისათვის სამხრეთის მხრიდან აბსიდიანი ფართო ტალანი მიუშენებიათ. ამ, ორ სამშენებლო პერიოდს შორის, დიდი ქრონოლოგიური ზღვარი არ შეინიშნება. საბოლოოდ ორნავიანი ეკლესია მივიღეთ, ესოდენ პოპულარული ქართული ქრისტიანული არქიტექტურისათვის (ელიზ-ბარაშვილი, 1994: 2 და შმდ.).

ფაქტიურად კი, აქ ორი ერთმანეთს მიდგმული ეკლესია გვაქვს. თავდაპირველად, როგორც პირველი, ასევე მეორეცმერილაბსიდიანი უნდა ყოფილიყო.

პირველი ეკლესის სამხრეთის კარი (ეს ერთადერთი კარი არსებობდა როგორც ჩანს) ლუნეტიანია და არქაულობის ყველა ნიშანს ამჟღავნებს. ეს კედელი თავდაპირველად საფასადე სიბრტყეს წარმოადგენდა. ლუნეტის თაღი ამდაგვარი სტრუქტურების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, იგი ამაღლებულია და ნალისებური მოყვანილობისაა. თაღი შირიმის დამუშავებული ქვებითაა აწყობილი. აგრაფი თაღის აბსოლუტურ ცენტრს იკავებს და სწორი ტრაპეციის ფორმისაა.

შიდა მხრიდან, რაღაც სარემონტო სამუშაოებისას (შესაძლოა ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შემდგომში ეკლესიები მოიხატა?) კარის ღია ლუნეტი სანახევროდ ცრუ-ლუნეტად უქცევიათ. კარის არქიტრავის, არცთუ მთლად ცენტრში, ე.წ. ბოლნური ჯვარი (იმპერატორ კონსტანტინეს ძლევის ჯვარი) იკითხება. თავის დროზე იგი საკმაოდ რელიეფური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცდილან მის წაშლას. ესაა ფარგლის შესაძლებლობებზე დაფუძნებული გეომეტრიული სახე ჯვარი – ვარდული, მსგავსი ნიმუშები მრავლად გვხვდება მთელს ადრექრისტიანულ აღმოსავლეთში, (ყიფიანი, 2010: 727) ისევე, როგორც ზოგადად საკარე არქიტრავების ჯვრებით შემკობა. ამ ტიპის შემკობის მოტივები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება კაბადოკის ადრექრისტიანულ ძეგლებშიც (Restle, 1979, სურ. 36 და სხვ).

ამ ელემენტების გარდა ძეგლის არქაულობაზე მეტყველებს სარკმლებიც. ყველა მათგანი პარალელურკედლიანია.

ეკლესიები ნაგებია სხვადასხვა ჯიშის ქვებით, მოვარდისფრო დუღაბის გამოყენებით. ვიზუალური დაკვირვებით კირი კერამიკულ ფხვნილს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ კედლის წყობაში რიყის ქვაცაა გამოყენებული, ქვიშაქვაცაა და შირიმის ფრაგმენტებიც, რიგებითითქმის თანაბარი სიმაღლისაა და ჰორიზონტალური. წყობაში ზოგიერთ ადგილას კერამიკული პლინტუსებიცაა ჩართული.

ვფიქრობთ, რომ ძეგლის თარიღი ზოგადად ადრე ქრისტიანული ხანა (ეს მხოლოდ წინასარული მოსაზრებაა) და V ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

ძეგლის ინტერიერში უხვადაა შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები. იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მოხატვისას იკონოგრაფიული მოდელები და პროგრამები არ იკითხება (ძეგლის შიდა სივრცე მთლიანად მცენარეულ საფარს უკავია)

დასკვნა

დასკვნის სახით, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას როგორც პირონითის შვერილაბსიდიან დარბაზულ ეკლესიაზე ე.წ. „კაპელაზე“, აგრეთვე არდაშენის ჯვარგუმბათოვან ტაძარზეც.

დარბაზულ ეკლესიაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან ანალოგიური მცირე ზომის კაპელები, მეტნაკლებად დახვეწილი პროპორციებითა და განვითარებული შიდა სივრცით, თან სდევს მთელს შუა საუკუნეებს. აქ, როგორც ზემოთაც იყო ნახსენები, ეს კაპელა არქაულ ელემენტებს საკმაოდ შეიცავს, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მისი კარის ღიობის ორიენტაცია. კარი აქ, ჩრდილოეთის კედელშია გაჭრილი. ჩრდილოეთის კარი საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, როგორც ბიზანტიური, ასევე ქართული არქიტექტურისათვის. მაგრამ აქ პრინციპია განსხვავებული. სივრცის აღქმა ხდება არა გრძივი ღერძის მიხედვით, როგორც ამას ცალნავიანი და ბაზილიკური გეგმარებითი სქემები მოითხოვენ, არამედ განივ კედელში შექმნილი კარის ღიობიდან, რაც ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების, თითქმის მთელს მანძილზე თან სდევდა ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას კი არდაშენის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი იპყრობს. მართალია, ამჟამად შიდა სივრცეში ჰუმუსური ფენის დიდი სიმაღლის გამო ცენტრალურ ბურჯთა ნაშთები არ იყითხება, მაგრამ სქემა ტაძრისა, რომელიც დავადასტურეთ ასეთი ვარაუდის სრულ უფლებას გვაძლევს.

ტაძრის ამ ტიპის ჩამოყალიბება ბიზანტიის იმპერიის პერიფერიულ აღმოსავლურ სკოლას მიენერება. (Krautheimer, 1979: 392-393). მოიცავს თითქმის მთელს შავიზღვისპირეთს აფხაზეთის ჩათვლით. აქ ეს არქიტექტურა (შვერილი აბსიდები, ცენტრალურ ოთხ, გეგმაში ჯვრულ ბურჯებზე დაყრდნობილი გუმბათი და ზოგჯერ ნართექსიანი ტაძრები, VIII საუკუნიდან მაინც დადასტურებული ფაქტია), მაგ. ანალოგიურ სქემაზე დაფუძნებული ტაძრები ლიხნესა და ანაკოფიაში (РЧეУЛИШВИЛИ, 1978: 26).

ამდენად ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ეს სახეობა ნაწილობრივ ძველქართულ სამყაროსაც მოიცავდა.

ინდირა გოგოძე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის
თანამშრომელი, უურნალისტი

ინტერვიუ ქველმოქმედთან – პატონი ზაურ თათვიძე

ამქვეყნად, ყოველ ადამიანს უფლისგან თავ-თავისი ჯვრის ტარება აქვს დავალებული. ზოგს მსუბუქი- ნიავივით, ზოგს კი-მძიმედ სატარებელი. მნიშვნელობა იმას აქვს, თუ, ვინ როგორ აიღებს ამა თუ იმ მოვალეობას თავის თავზე, ატარებს თუ არა ყველა ღირსეულად თავის ჯვარს...

საზოგადოების ყველა ფენას თავისებური პრობლემა აქვს, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარის გარდა, სხვის გაჭირვებაზეც ფიქრობენ, შინაგანი ხმა ეძახით სიკეთის გასაკეთებლად – რაც აპადიათ, სხვებისთვის გასანაწილებლად.... ესაა სპეციფიური ნიჭი და ეს ნიჭი ქველმოქმედებაა... მოწყალების გაცემაა...

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ მომენტთან, როდესაც თითოეული სიტყვა, საქმე და მატერიალური დახმარება, უანგარობაზეა აღმოცენებული. საფუძველი კი, მხოლოდ და მხოლოდ, სუფთა გულია და ამ გულიდან წამოსული იდეების, კეთილ საქმეებად ქცევაა...

– ბატონო ზაურ, როდესაც კრებულ „მატიანეში“, თქვენი სოფლის, „სულორის“, ისტორიის გამოქვეყნებაზე ვმუშაობდით და სოფლის გამოჩენილ შვილებს შევეხეთ, ალბათ, იშვიათად, თუ გვსმენია იმდენი საქებარი სიტყვები, რაც თქვენზე ითქვა. თუ შეიძლება გაგვაცნოთ თქვენი ბიოგრაფია და ის, საქველმოქმედო საქმიანობანი, რომელსაც ამჟამად, ვანის მუნიციპალიტეტში ენერგიით და ენევით.

– დავიბადე სოფელ სულორში. აქვე გავატარე ჩემი ბავშვობა, დავამთავრე სულორის საშუალო სკოლა. მისაღები გამოცდები ჩავაბარე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, აქვე დავამთავრე ასპირანტურა და დავიცავი საკანდიდატო დისერტაციაც. მონიქებული მაქვს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

წლების განმავლობაში ვმუშაობდი ჯერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემდეგ მაშინდელ მინისტრთა საბჭოში, ბოლოს კვლავ ფინანსთა სამინისტროში. მეჭირა საკმაოდ მაღალი საპასუხისმგებლო პოსტები. ეს რაც შეეხება სახელმწიფოს მაღალი რანგის სტრუქტურებში მუშაობას. ხოლო 1995 წლიდან ვეწევი კერძო ბიზნესს. 1998 წელს დავაფუძნე სამშენებლო კომპანია „განი-ჯგუფი“, რომლის გენერალური დირექტორი ვარ ამჟამად. პარალელურად მაქვს ბიზნესი აგრარულ სექტორშიც, მათ შორის ვანშიც. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს – ქველმოქმედებას, არ ჩამომერთმევა მკრეხელობაში თუ ვიტყვი- ჩემში ამ სფეროს შინაგანი მოთხოვნილების სახე აქვს მიღებული. ვანში ჩემი საქმიანობაც, ძირითადად ქველმოქმედებამ განსაზღვრა. სიმართლე გითხრათ, მიუხედავად რიგი წამოწყებებისა, აქედან (ვანიდან) მე არ ველოდები ისეთ მოგებას, რომელიც მნიშვნელოვნად იმოქმედებს ჩემი ბიზნესის საერთო პოტენციალზე, მაგრამ ვდგავარ ჩემი ვანელების, მეზობლების გვერდით და რამდენადაც შევძლებ ბოლომდე ვიქნები მათთან ერთად და ამის განმსაზღვრელია ის დიდი სიყვარული და მონატრებაც, რომელსაც მე მშობლიური ვანის რაიონის სიყვარულს დავარქმევდი. ვფიქრობ, ამ საქმის კეთებაში, თანადგომაში, ქართული ქრისტიანული კოდიც დევს. ეს კი ბევრ რამეს განაპირობებს. ეს იყო ბიძგი, როდესაც სულორის თემში თათვიძეების (ჩემს) უბანში, ქაშვეთის¹ ეკლესიის მშენებლობა დავიწყე და დავასრულე კიდევაც. ეს პროცესი საერთო საქმედ იქცა და უნდა გენახათ, როგორ იყვნენ ჩართულნი მშენებლობაში, არა მარტო ჩემი საბიძაშვილო – თათვიძეების უბანი, არამედ თითქმის, მთლიანად სულორის მოსახლეობა, სოფელ ძულუხის მეზობელი უბნის მცხოვრებნიც. პროცესი სახალხო საქმედ

¹ქაშვეთი — სოფელ სულორში კონკრეტული ადგილმდებარეობის სახელწოდებაა - უძველესი ტოპონიმია. (რედ)

იქცა და იმ მომენტში ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არც მეგულებოდა. ჩემივე ფინანსური დახმარებით აშენდა სოფელ სულორის ცენტრში სამების ეკლესიაც.

ვწუხვარ იმაზე, რომ ჩვენი ოჯახი ვერ გადაურჩა ტრაგიკულ შემთხვევას, ჩემი ძმის, რომანის, რომელიც ჩემი საქმიანობის გვერდით მდგომია, ორი ვაჟკაცი ერთდროულად ემსხვერპლა ტრაგიკულ შემთხვევას. ეს ჩვენი მოუშებელი ტკივილია, მაგრამ რას იზამ – ცხოვრება გრძელდება და გულხელდაკრეფილი დგომაც ვერაფრის მომტანია. ის რასაც, მე და ჩემი ძმა, რომანი, დღეს ვაკეთებთ, ქვეცნობიერად უკავშირდება ამ ორი ვაჟკაცის ხსოვნას.

ჩვენს საქმიანობასთანაა კავშირში ქალაქ ვანის ცენტრში, ჯვრის მოედანზე, ჯვრის აღმართვაც, რომლის არქიტექტორებიც არიან მამუკა ჩხეიძე და არჩილ რაზმაძე. იგი სპეციფიურად, განსაკუთრებული პროექტითაა შექმნილი.

ჩემს ქველმოქმედებას უკავშირდება და შემიძლია ვთქვა, რომ ჩემივე საქველმოქმედო წილი დევს ვანის საკათედრო ტაძრის მშენებლობაშიც.

ასევე, ვანის ცენტრში ჩემს მიერ იქნა შესყიდული, მოუვლელობით დანგრევის პირას მისული საქართველოს მედიცინის პროფესიონელების მუშაკთა ყოფილი კულტურის სახლი. დღეს მას სხვა დანიშნულება აქვს მიცემული, მაგრამ სრულიად სახეცვლილი და რეაბილიტირებულია და ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო შენობაა ქალაქში, სადაც შეიძლება ნებისმიერი კულტურული ღონისძიებების ჩატარებაც. ახლა მიმდინარეობს მისი ეზოს მოწყობა-გამშვენიერება.

ჩემი და ჩემი ძმის ყურადღება გადატანილია ქალაქის ცენტრში არსებულ საკოლმეურნეო ბაზარზეც, რომლის რეკონსტრუქციაც დავიწყეთ და ახლო მომავალში დავასარულებთ კიდევაც. ეს ისეთი ობიექტია, რომლის სავაჭრო სარეალიზაციო დატვირთვა მნიშვნელოვან განზომილებას არ წარმოადგენს. მაგრამ სამაგიეროდ დიდი სურვილი მაქვს, ვანის ცენტრს შევძინო ერთ-ერთი თანამედროვე ობიექტი, რომელიც მოქმედი ქალაქსაც და სოფლებსაც. აღარაფერს ვამბობ აგრარულ ბიზნესსა და საერთოდ, დასაქმებულ ადამიანებზე. დღევანდელ სიტუაციაში, რამდენიმე კაცისთვისაც რომ შევქმნათ დასაქმების ადგილი, ესეც მიღწევაა და ეს პროცესი გაგრძელდება უწყვეტად. აღარ გავაგრძელებ საუბარს ინდივიდებისათვის განეულ დახმარებებზე და ა. შ. აქვე დავამატებ ერთს – განზრახული მაქვს, ვანშივე, ხის გადამამუშავებელი საწარმოს აშენება, რომელიც საკმაოდ ძვირადლირებული დანადგარების მეშვეობით იმუშავებს მრავალფუნქციური დატვირთვით. ვფიქრობდი და კვლავ ვფიქრობ მინი საკონსერვო ქარხნის შექმნაზეც. არის რიგი სხვა ჩანაფიქრებიც და მათზე უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

– ბატონო ზაურ, ვანს დღეს არაერთი მეცენატი გამოუჩნდა, ვანელებიც და არავანელიც, როგორიცაა ცნობილი ბიზნესმენი ბეჭან წაქაძე. მისი სამსახურეობრივი კარიერის გზაც ვანში დაიწყო და ვთვლით, რომ იგი ვანელია. გვაინტერესებს, უბრალოდ, რა პროცესია ეს, როდესაც მეცენატობით მუნიციპალიტეტს გვერდით უდგახარო და საშვილიშვილო საქმიანობას ეწევით. ეს აზარტია თუ როგორც ქართული ანდაზა გვეუბნება - „მადლი ქენი ქვაზე დადე, გაივლი და ნინ დაგხვდება“...

– თქვენი „კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელისაგან მე მსმენია „ზესტაფონელი ვანელის“, ბატონ ბეჭან წაქაძისა და ზოგიერთ სხვათა ქველმოქმედების შესახებაც. დიდებულ საქმეს აკეთებენ. მათი დიდი კაცობაც ამ საზომით განისაზღვრება და მინდა წარმატება ვუსურვო მათ. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს – ცხადია, რადგან რაკი ჩვენი საქმიანობის შეხების წერტილები ჩემს მშობლიურ რაიონს დაუკავშირდა, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ხელმძღვანელობასთან გვერდით დგომა ჩვეულებრივი ამბავია. მე ვიცი მათი საქმიანობის შესახებ. მათ მიერ ბევრი რამაა გაკეთებული ამ მცირე დროში და საქმის კეთების პროცესში, რომ მათ გვერდით ვიდგე და საკუთარი შესაძლებლობაც გამოვიყენო, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. უნდა ჩავთვალოთ, რომ ესაა მოვალეობის რანგში აყვანილი ურთიერთთანადგომა. საკითხზე კარგი და ფრთიანი ანდაზა გაქვს გამოყენებული და მინდა დარწმუნებით გითხრა, რომ საქმის კეთების პროცესი ნამდვილადაა სიკეთით დატვირთული აზარტიც. აკეთე საქმე და ნულარ განიკითხავ. მჯერა რომ „ქვაზე დადებული მადლიც“

არასდროს იკარგება და კეთილი საქმის შემოქმედს იგი ყოველთვის წინ ხვდება. ეს გამოთქმა ვრცელდება ყველაზე და არა მარტო ინდივიდუალურად.

– ბატონი ზაურ, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ და თქვენი ძმა, რომანი, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი – ომარ კაპანაძე, მეგობრები ხართ. თქვენ, როგორიციც მეცნიერებთან ერთად, დღეს გვერდით უდგახართ ამ სამსახურს, ეხმარებით მას სამუშაო პროცესების გამართვაში. ხართ ზემოხსენებული კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. როგორ უნდა შევაფასოთ ეს – მხოლოდ მეგობრობის გრძნობამ გიბიძგათ კვლევის ცენტრთან თანამშრომლობა, თუ იმ საქმის კეთების სურვილმაც, რომელსაც „კვლევის ცენტრი“ ახორციელებს „საგამომცემლო საქმიანობასთან“ ერთად და საერთოდ, როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– რაც შეეხება ჩემი, ჩემი ძმისა და ბატონი ომარ კაპანაძის მეგობრობას, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ჩვენი მშობლები იყვნენ მეგობრები. მადლობა უფალს, რომ ეს მეგობრობა გრძელდება წარმატებულად საქმიან ურთიერთობებშიც. მე ვცდილობდი და ახლაც ვცდილობ გვერდით დავუდგე მას იმ დიდ საქმეში, რასაც ცენტრის საქმიანობა ითვალისწინებს და კრებული „მატიანეს“ გამოშვება ჰქვია. უნდა ავლიშნო, რომ როდესაც ერთ-ერთ მეგობრულ შეხვედრაზე ეს კრებული მაჩუქა, ეს ის ჩვეულებრივი გამოცემა მეგონა, რაც დღესდღეობით გამოდის ხოლმე რაიონებში, მაგრამ, როდესაც შინაარს გავეცანი მივედი დასკვნამდე, რომ ამით კეთდება ძალიან დიდი საქმე. ვფიქრობ, რამოდენა საგანძურს უტოვებთ თქვენ ვანის მომავალს. ამაზე დიდი და განსაკუთრებული სიკეთე რა უნდა გაკეთებულიყო ვანში, მითუმეტეს, როდესაც ურთიერთობა გაქვს ისეთ ინტელექტ ჯგუფთან, როგორიც აქედან წასული მეცნიერთა ჯგუფია. ამას დავარქმევდი უანგაროდ გაკეთებულ საქმე-სიკეთეს, რომელსაც დაფასება სჭირდება. როგორი შეგნების უნდა იყო, მითუმეტეს ვანელი, რომ, როდესაც ამ კრებულს წახავ, გვერდით არ დაუდგე ადამიანს, და რაც მთავარია, მეგობარს. ასე რომ, ეს თანადგომა არა მარტო მისმა მეგობრობამ, არამედ ამ საშვილიშვილო საქმემ გადამაწყვეტინა. მე მინდა წარმატებები ვუსურვო მას, ამ რთულ გზაზე, თანამშრომლებთან ერთად.

– ჩვენც გვინდა წარმატებები გისურვოთ, ბატონი ზაურ, თქვენს დიდ საქველმოქმედო საქმიანობაში. დაუ, არასოდეს გაგინელდეთ ის შემართება და სურვილი სიკეთის კეთებისა, რაც თქვენს ცხოვრებას ასე ავსებს, ამშვენებს და ასულდგმულებს.

ომარ კაპანაძე

1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში და ვანელთა მონაცილეობა რევოლუციურ პროცესებში

– პროცესს, რომელიც ჩვენ განხილვაში შემოგვაქვს გვაშორებს საუკუნეზე ოდნავ მეტი.

– ეს პროცესი ვანის ისტორიის შემადგენელი ნაწილია და აისახა მაშინდელი ვანის თემ-საზოგადოებრივის მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, მასების განწყობაზე და ფსიქიკაზეც. თუმცა, თვით პროცესსა და მის გამომწვევ მიზეზებზე, აქედან შედეგებზე, დღეისათვის ნაკლებადაა ცნობილი.

საერთოდ, ამდაგვარი პროცესები ქვეყანაში არსებული ეკონომიკურად, სოციალურად, სა-მართლებრივად უთანასწორო ცხოვრების თანამდევია, რომელიც მოქმედების სივრცეში ხშირ-ად იხრება დისკრიმინაციურ ძალმომრეობისაკენ. ამ ნიადაგზე გაჩენილი უზომოდ გამდიდრებულთა და უზომოდ გაღატაკებულთა ანტაგონიზმი იძლევა ბიძგს, მთავრდება საზოგადოების ურთიერთშეჯახებით, ხშირად სისხლიანი დაპირისპირებით, ერის მთლიანობის დარღვევითა და ცხოვრებას ძალიან დიდხანს მიჰყვება უარყოფითი ფორმით.

ვანის ისტორიაში არის ფაქტები იმისა, როდესაც 1905-1907 წლების მოვლენებამდეც სო-ციალურ-ეკონომიკური დისკრიმინაცია მივიდა კლასობრივ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე. თუმცა, ამ შემთხვევაში გადარჩენენ სისხლისმდვრელი შეჯახებისგან. სამაგიეროდ, „დაბალ ფენათა“ წარმომადგენლები, რომლებმაც პროტესტი გამოხატეს ვანელ თავადაზნაურთა ერთი ნაწილის წინააღმდეგ, ვერ ასცდნენ გაციმბირებას და ეს განხორციელდა იმპერიულ ძალებთან ერთად ვანელ ე. წ. „წარჩინებულთა“ თანამონანილეობით 1857 წელს, როდესაც უხუთელ ჯაშინიკა და მურზაყან ხურციძეების წინამძღოლობით მოხდა დაპირისპირება ამაღლება-სა-ლომინაოს მხარის მფლობელ ფეოდალთა ზოგიერთ წარმომადგენელს შორის და პროტესტს მხარდაჭერა გამოუცხადა ვანის დასახლებების სოლიდურმა ნაწილმა, როდესაც შეიარაღებულ გლეხთა რიცხვმა 400-ს გადააჭარბა და საბრძოლო მდგომარეობაში განლაგდნენ უხუთის ტერ-იტორიაზე. ეს უბრალოდ, ერთი მაგალითი, მაგრამ სერიოზული საზოგადოებისათვის შესწავლისა და დაფიქრების საგანი.

ამდენად, არცერთი აჯანყება, არცერთი რევოლუციური მოძრაობა არ ხდება უმიზეზოდ და უმიზნოდ.

მართვაში დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე, დროში თავმოყრილი გადაუჭრელი პრობლემები წარმოშობენ ამგვარ შეჯახებებს.

XX საუკუნის დასაწყისისათვის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა გამნვავდა რუსეთის იმპერიის მასშტაბით. სიტუაციები გამწვავდა და დაიძაბა საქართველოშიც, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ მხარეში. რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ამის ახსნა, მაგრამ გამოვყოთ ზოგიერთი მათგანი: 1. მეფის რუსეთის იმპერიული რეჟიმის აქტიური ნგრევის დაწყება, რომლის ერთ-ერთ ბიძგად იქცა რევოლუციამდე 40 წლის წინ, (1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში) გატარებული რეფორმების შემდეგაც სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებულობის, აქედან ძალმომრეობითი ინსტიტუტების შენარჩუნება. რეფორმამ მდგომარეობა რამდენადმე შეამსუბუქა, მაგრამ მასიური მისაღებობის თვალსაზრისით ვერ გააკეთილშობილა იგი და არც ამის მიზანი გააჩნდა. პირიქით, კლასობრივი დაპირისპირებულობა ფარული და ღია ანტაგონიზმი მოქმედების სიბრტყეზე მოექცა, ასპარეზი გამოინთავისუფლა. 2. ამ ფონზე რადიკალური, სოციალურ-ეკონომიკური დიფერენცირება თავის მხრივ ჩააღრმავა ასპარეზზე შემოსულმა ბურუუზიამ, ხოლო პარალელურად, სოფლად, გამდიდრებულ გლეხთა ფენების კულაკობის და ასევე ვაჭართ-მევახშეთა წარმომადგენლების მოქმედებამ. სწორედ, აქ იკვეთება დაპირისპირება სიღარიბე-სიღატაკის, ექსპლოატაციით მოპოვებულ სიმდიდრესა და ამ გზით მიღწეულ განდიდებას შორის. ამ სიახლემ არა მარტო დაძაბა სიტუაცია, არამედ განაპირობა კიდევაც დაპირისპირებულ ფენებში შეჯახების გარდაუვალობა.

აქედან, პრაქტიკულად ეს უკიდურესობანი, რომელსაც პროცესთა განვითარება მოჰყვა ჩაისახა 1861-1864-1865 წლებში გატარებულ ნახევრად რეფორმებში, რასაც გაჰყვა სოფლად

მწარმოებლური კლასის, გლეხობის ჩამოშორების მცდელობა მიწისაგან, წარმოების ძირითადი საშუალებებისაგან, რადგანაც იმ დროისათვის მიწა, არსებობის უმთავრესი საშუალება, დიდწლად კვლავ ძველ და ახლად გაბატონებულთა ხელში მოექცა. რეფორმამ თავის დროზე იზრუნა იმისათვის იგი ასეთად დარჩენილიყო და ხანგრძლივადაც დარჩებოდა, რომ არა 1905-1907 წლების რევოლუცია.

ამ მხრივ ვანის მაგალითზე შეიძლება ითქვას: 1886 წლის აღწერის მიხედვით ვანის ხუთივე თემსაზოგადოებაში ცხოვრობდა 4 197 კომლი 22 580 მცხოვრებით. აქედან თავადური გვარისაა – 140, აზნაურია – 2 265, სასულიერო წოდება – 502, ვაჭარი – 59, გლეხი – 19 214 კაცი. როგორც ქუთაისის გუბერნიაში, ასევე ვანის დასახლებებშიც მიწის ფონდის 86,7% ფლობდა უმცირესობა, თავადთა და აზნაურთა წარმომადგენლები. გლეხთა საკუთრებაში ირიცხებოდა 14, 3%.

3- იმპერიისათვის დამახასიათებელი ბუნება, სამართლისა და კანონის მონოპოლიზება, ინდიფერენტული დამოკიდებულება ქვედა ფენებისადმი. კოლონიურ-პერიფერიული მხარეების შევიწროება, ეროვნულ ინტერესთა იგნორირება და ა. შ. და ა. შ., რის გამოც, ურთიერთწინააღმდეგობრივი დამოკიდებულება სახელმწიფოში არსებულ გაბატონებულთა და თითქმის უპრივილეგიონ მასებს შორის 1900-იანი წლების დასაწყისიდან მიუახლოვდა პიკს. პროცესში ჩართული აღმოჩნდა საქართველოც. უმძაფრესი ფორმით იწყო მოვლენებმა განვითარება ქუთაისის გუბერნიაშიც. მის თითქმის ყველა მაზრასა და მაზრების სოფლებში, მათ შორის „ვანის“ თემსაზოგადოებებში. 1905 წლის დასაწყისიდან რევოლუციური მოძრაობა იღებს შეუქცევად ხასიათს და პროცესი „ვანის“ სინამდვილეშიც მივიდა სისხლიან ანგარიშსწორებამდე. ამის მაგალითებიც არის და თხრობისას ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით შევეხებით მას.

ქუთაისის მაზრაშიც ისე, როგორც გურია-სამეგრელოს რეგიონებსა და შორაპნის მაზრაში, სოფლების გლეხობამ მოძრაობა გაშალა ორი მიმართულებით: 1. ადგილობრივ თავადაზნაურულ და ახლად აღმოცენებულ კლასთა-ბურჟუაზისა და კულაკობის საწინააღმდეგოდ. 2. იმპერიულ და ადგილზე გაბატონებული უსამართლობისაგან თავის დასაღწევად. ამ მხრივ მდგომარეობა საერთოა სრულიად საქართველოსათვის, მაგრამ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების ნაირსახეობით, მიმაჩნია, რომ იგი განსაკუთრებულია ქუთაისის გუბერნიის – ქუთაისის, ოზურგეთის, ლეჩხუმის, შორაპნის მაზრებისათვის. დასკვნით ეტაპზე სახელისუფლო შეტევებმა და სისასტიკემ არისტოკრატიის მცირე ნაწილშიც გააღვიძა ქართველობის გრძნობა, ხოლო საუბრები იმაზე, რომ ქართველ გლეხობასა და გაბატონებულ კლასს შორის არსებობდა პატრონულური (კეთილ) დამოკიდებულება რეალობას მოწყვეტილია.

ქუთაისის გუბერნიაში მოძრაობამ მიიღო აგრარული რევოლუციის სახე. ფაქტებს ადასტურებს კავკასიის მთავარმართებლისა და უმაღლეს ინსტანციებში გაგზავნილი დოკუმენტური მასალები, ინფორმაციები, მოხსენებითი ბარათები, შეტყობინებები და ა. შ.

1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობის აქტიურობა დიდად იყო დაკავშირებული სოფლად და დასახლებული პუნქტების მიხედვით მასების შეგნების დონესთან, მათი ღირსების გრძნობის გაღვივებასთან, რომლის გაგებაც ქართულ გაბატონებულ კლასს არც სურდა და არც აღიარებდა. ამაზე დასტურს იძლევა მსჯელობები და მტკიცებულებანი, რომელიც საგლეხო რეფორმების გატარების პროცესში მოჰქონდათ ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლებს. მხოლოდ ერთი მაგალითი ამ სფეროდან: „გლეხთა განთავისუფლება არ უნდა იქნას დაშვებული... ეს იქნება უკანონობა და უსვინდისობა, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია, არც სხვაგან მოჯამაგირედ დადგომა, რომელთაგანაც უცხონი ვართ და უცოდინარნი, აღარ გვეყოლება აღარც მიწისა და ვენახის დამტუშავებელი, აღარც საქონლის მწყემსი, აღარც შვილების გამზრდელი ძნდა“, ხოლო გლეხი მარად მზად არის ყოველთა ამა საგანთა ტვირთად და არც არვისგან დაიზრახება, რადგან შობილია ამგვარი მდაბიო ცხოვრებისათვის და სიყრმიდანვე გაზრდილია ამისთანა ცხოვრებაში“. ეს და ზოგიერთი მსგავსი შეხედულებანი ხელმოწერილია თავადაზნაურთა სოლიდური ჯგუფების მიერ და მძაფრად ამჟღავნებს დისკრიმინაციურ- ძალმომრეობით სუნს.

აქედან, მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების, ქვეყნის შიგა პრობლემებისა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაცნობიერება უკავშირდება, იმ ადამიანების საქმიანობას,

რომლებმაც მუშაობა გაშალეს მასებში, განუმარტავდნენ მათ ჩამოყალიბებულ სიტუაციებს, უბიძებდნენ კიდევაც არსებული მდგომარეობისა და რეუიმის შეცვლისაკენ.

საწყის ეტაპზე ამ მისიას ასრულებდნენ ხალხოსნები, შემდეგ რიგ სხვა მიმდინარეობებთან ერთად „მესამე დასი“, რომლისგანაც პრაქტიკულად ჩამოყალიბდა საქართველოში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტია. მანამდე კი ამ საქმეს რამდენადმე ბიძგს აძლევდნენ ქართველი „თერგდალეულები“.

XX საუკუნის მიჯნასთან რადიკალურად გამოიკვეთა ქართული პრესის გააქტიურებაც, განსაკუთრებულად, სოციალ-დემოკრატიული და რიგ სხვა პარტიათა პერიოდივა სისტემატურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ეკონომიკურ-სოციალურ სირთულეებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს, რაც გამოყენებული ხდებოდა იმ აგიტატორთა მიერ, რომელთაც შეგნებულად მიჰყავდათ ახსნა-განმარტებითი საქმიანობა მასებში.

ამდენად, ქუთაისის გუბერნიაში 1905-1907 წლების პროცესებში მონაწილეობისათვის გლეხთა მასების შემზადებაში გადამწყვეტი სიტყვა სთქვეს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აგიტატორებმა, რომლებმაც საქმიანობა გაშალეს გლეხობაში, ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრასა და მის დასახლებებში, მათ შორის „ვანის სოფლებშიც“. ამ ადამიანებმა, როგორც ჩანს იყისრეს საერთო საგანმანათლებლო ფუნქციაც.

„ვანის“ დასახლებანი მოექცა სამი უძლიერესი – ქუთაისის, ოზურგეთისა და შორაპნის მაზრების რევოლუციური კომიტეტების მოქმედების არეალში. აშკარად ჩანს დღეგანდელი „ვანის“ რაიონის დასავლეთი ზონა: შუამთა, ტობანიერი, ჭყვიში განიცდიდა სამტრედიასა და შორაპნში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გავლენას, საპაიჭაო გურიისას, ხოლო დღევანდელი ქალაქ ვანის მიმდებარე, ასევე მაღალმთიანი სოფლები – ქუთაისისა და გურიის რევენტებისას. ამ საკითხებზე არსებობს მაშინდელი სახელმწიფოებრივი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ არამარტო სააგიტაციო პროპაგანდისტულ საქმიანობას, არამედ მათ მაკორდინირებელ როლსაც.¹

არსებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებული სიძლიერით ვლინდება ქუთაისის გუბერნიის ქალაქებისა და სავაჭრო სამრეწველო დაბებთან ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაში, სადაც მოძრაობის სიმძიმეს კისრულობს მუშათა კლასი, რომელსაც ეს ტალღა გააქვს მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში. ვანის სოფლების გეოგრაფიული განლაგება ამ მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

1903 წლის მაისის დამდეგს ქუთაისში მოწვეული დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციამ მიიღო გადამწყვეტილება ორი კომიტეტის შექმნის შესახებ: 1. ქუთაისის კომიტეტი, რომელიც კოორდინირებდა ქალაქ ქუთაისის, ჭიათურა-ტყიბულის მუშათა მოძრაობებს და 2. იმერეთის სოფლის მუშათა კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია იმერეთის სოფლების გლეხთა მოძრაობისათვის. ამ საქმიანობის საფუძველზე 1904 წლის ბოლოსათვის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების სამოქმედო არეალში უკვე 600-მდე სპეციალური წრე მუშაობდა. ამასთან, კომიტეტმა მოახდინა მთელი თავისი აქტივის მობილიზაცია ყველაზე მომზადებულ პიროვნებათა შერჩევით და სამოქმედო უბნებზე გაგზავნით. რომელთა საქმიანობაში რიგ სხვა ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად წითელი რაზმების ჩამოყალიბებაც შედიოდა.

ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობდა „ვანის“ თემსაზოგადოებებშიც. ცხადია, თუ რომელ საზოგადოებებში რომელი წრე ვისი ხელმძღვანელობით მუშაობდა. გარდა გამონაკლისისა მტკიცება ძნელია, მათი მოქმედების კონსპირაციულობის გამო, მაგრამ განვითარებული მოვლენები აშკარად მიუთითებენ რომ, ის გამოსვლები არალეგალური შეკრებები და საბოლოოდ შეჯახებანი იმპერიის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან, რომლებიც „ვანის“ სხვადასხვა სოფლებში 1905-1907 წლების მოვლენებისას დაფიქსირდა, აშკარად ატარებს წინასწარ მომზადებისა და კოორდინაციის კვალს, რომელიც აისახა კიდევაც ქუთაისის გუბერნიაში გაშლილი გლეხთა მოძრაობის სიმძლავრეში, მაგრამ, შეუპოვრობით, გაბედულობით, ორგანიზებულობით და ურთიერთგატანით იგი განსაკუთრებულადა გამოკვეთილი გურიაში. ეს დაფიქსირებულია გუბერნიის თითქმის ყველა დონის ხელმძღვანელთა მიერ (ვისაც კი საკითხი

1. საქართველოს შსს სამინისტროს მთავარი საარქივო სამმართველოს მასალები.

ეხებოდა) კავკასიის მეფისნაცვლის აპარატში გაგზავნილი ოპერატიული ინფორმაციებით,¹ იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი კავკასიის მეფისნაცვლის აპარატიდან მიწოდებული ინფორმაციებითა და შეტყობინებებით.²

რევოლუციურ მოძრაობაში სოფლებში, ჩართული აღმოჩნდა რიგი სამრევლო სკოლების საერო პედაგოგიური ინტელიგენციის ნაწილიც, ყოფილი დემობილიზებული ან ჯარიდან გაქცეული ჯარისკაცები, საწარმოებიდან გაგდებული მუშები, ქალაქების სასწავლებლებიდან რევოლუციურ მოძრაობაში შენიშნული და გარიცხული უფროსკლასელები, რომლებიც სოფლებს დაუბრუნდნენ და ზოგიერთი სასულიერო პირიც კი, რომლებიც იზიარებდნენ ხალხოსნურ, სოციალ-დემოკრატიის მოძრაობის იდეებსა და პრინციპებს და ა. შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით ნიშანდობლივია კავკასიის პოლიციის შეფის გენერალ შირინკინის 1905 წლის 8 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი კავკასიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელშიც იგი ეხება პოლიტიკურ მდგომარეობას დასავლეთ საქართველოში და წერს: – „ქუთაისის გუბერნიაში 1902 წელს დაწყებული რევოლუციური პროპაგანდა-აგიტაცია, დღეისათვის აღწევს იმ დონეს, რომ ხელისუფლებას აყენებს უმძიმესი ამოცანის წინაშე, რათა შეიმუშაოს რაიმეგვარი საშუალებანი გუბერნიის მოსახლეობის დასამშვიდებლად“³ ამის გაკეთება შეუძლებლად მიაჩნია ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე, თუმცა, ჩანს, რომ ოფიციალური ჩინები დაფიქრებულან სახელისუფლო შტოების მიერ მოსახლეობასთან მიმართებაში გადახრებსა და შეცდომებზეც. ამის მაგალითად გამოდგება პოლიციისა და უანდარმერის ქუთაისის განყოფილების უფროსის 1905 წლის 24 ივნისის მოხსენებითი ბარათი,⁴ რომელიც აქვე მოგვყავს, საიდანაც ცხადი ხდება საერთო სიტუაცია და ზოგიერთი კონკრეტული მიზეზთაგანიც, რამაც, როგორც მოხსენებითი ბარათის ავტორი აღნიშნავს ეს – „რაინდული განწყობისა და მომთმენი, ერთგული ადამიანები მიიყვანა ამ ზომამდე“.

... „რას შეიძლება შევადაროთ დღეისათვის – სვამს კითხვას ბარათის ავტორი – პოლიტიკური მდგომარეობით ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა? ჩემი აზრით, წერს იგი, წყლით ავსებულ დიდ ქვაბს, რომელიც გერმეტულადაა დახურული და უზარმაზარი ცეცხლი აქვს შენთებული. ცხადია, როდესაც ბოლოსა და ბოლოს ქვაბის კედლები ვერ გაუძლებენ ორთქლის წინააღმდეგობას სხვა გასასვლელი აღარ დარჩებათ, გაიფრქვევიან დამანგრეველი აფეთქებით. შემდეგ... რამ ჩააყენა ასეთი დიდი მოცულობის გუბერნიაში ეს ადამიანები ამ მდგომარეობაში? კითხულობს იგი და პასუხობს.

– „განა ქუთაისის გუბერნიის რომელიმე გუბერნატორი, მაზრის უფროსი ან პრისტავი ადგილებზე საფუძვლიანად ეცნობა თავისი გუბერნიის რაიონებს, მის საჭირბოროფო საკითხებს?

არცერთი და არასდროს.

– „რას აკეთებენ თავადაზნაურთა წინამდლოლები და მომრიგებელი შუამავლები? ესენი უფრო ნაკლებად არიან დაკავებულნი სამსახურეობრივი საქმიანობით, თავისუფლად ცხოვრობენ საგუბერნიო ქალაქებში, ერთობიან სმითა და კარტის თამაშით“.

„როგორი არიან მღვდელმსახურები? მათ თავიანთი სიძუნნით, მომხვეჭელობით დაიმსახურეს გარემოცვის სიძულვილი“ და ა. შ.

ცხადია, ამით მოხსენებითი ბარათის ავტორი სუბორდინაციის ხრის არა უბრალო ადამიანების მისამართით, არამედ შეშფოთებულია იმით, რომ ამ განუკითხაობის შედეგს, რომელსაც ხალხის მრისხანება მოჰყვა ან მოჰყვება, საფრთხეს უქმნის იმპერიას და მიუხედავად იმისა, როგორც ინფორმაციის ტექსტიდან ჩანს, რომ იგი ქართველია, ითხოვს პოზიციის კიდევ უფრო გამკაცრებას.

1. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. საქართველოს შსს საარქივო სამმართველოს მასალები, 1956 წელი, რუსულ ენაზე.
2. პირველი რუსული რევოლუციის დასაწყისი. მთავარი საარქივო სამმართველოს მასალების კრებული. რუსულ ენაზე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955 წელი.
შენიშვნა: შემდეგში თხრობისას ზემოთ მინიშნებული გამოცემების დამოწმებისას მითითებები გაკეთებული იქნება შემოკლებულად – „დოკუმენტების კრებული“.
3. „დოკუმენტების კრებული“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956 წელი
4. „დოკუმენტების კრებული“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, დოკუმენტი №209, 1905 წლის 24 ივნისი.

ცნობილი ფაქტია, ქუთაისის გუბერნიაში მძაფრ რევოლუციურ მოძრაობას თან გაჰყვა სისხლიანი შეტაკებები სახელისუფლო და რევოლუციურ ძალებს შორის. აჯანყებულებმა დროებით, მაგრამ მაინც შეძლეს მეფის ჩინოვნიკების, სამღვდელოების რეაქციული წარმომადგენლებისა და თავადაზნაურთა განდევნაც და კონტროლი დააწესეს არამარტო სოფლების თვითმმართველობაზე, აკონტროლებდნენ გუბერნიის რეინიგზასაც, რასაც მოჰყვა მხარეში საგანგებო რეჟიმის შემოღებაც, რომელსაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის¹ დავალებით ახორციელებდა გენერალ-მაიორი ალიხანოვ ავარსკი. მაგრამ აქამდეც სადამსჯელო ექსპედიციის მოქმედება გუბერნიაში დაწყებულია და პიკსაც აღწევს. ალბათ, ამის გამოც მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების თავიდან ასაცილებლად კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების დავალებით ქუთაისის გუბერნიაში, კონკრეტულად გურიაში, მდგომარეობის ადგილზე შესწავლისა და შეფასების მიზნით მივლინებული იქნა კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და საიდუმლო მრჩეველი სულთან კრიმ გირეი. მისივე მოთხოვნით იგი 1905 წლის 24 თებერვალს შეხვდა სოფლების საზოგადოებების წარმომადგენლებს. სხვათა შორის თითოეული სოფლიდან ასეთ შეხვედრებს ესწრებოდა გლეხთა 12-12 წარმომადგენელი და გლეხებისავე კატეგორიული მოთხოვნით შეხვედრებში მონაწილეობა არ მიაღებინეს სოფლის საზოგადოების მამასახლისებს, მწერლებს, სასულიერო პირებს. მათ უნდობლობა გამოუცხადეს და შეკრება დაატოვებინეს.

დიალოგი, რომელიც დაურიდებლად გაიმართა მეფისნაცვლის საბჭოს წევრსა და გლეხთა წარმომადგენლებს შორის არის დასტური იმისა, თუ როგორ დღეშია მოსახლეობის დაბალი ფენები „ჩვენ გვინდა პური, სამართლიანობა და თავისუფლება“, რომ გლეხთათვის არ არსებობს არცერთი მათგანი, ხალხი მიჰყავთ მონურ მორჩილებამდე, რომ გამკითხველი არავინაა, რომ გლეხთა სამართლიან მოთხოვნებს პასუხობენ პოლიციით, ჯარით და მოსახლეობის დარბევით“ და ა. შ.²

გურიაში კრიმ გირეის მოგზაურობამ და ვერც გუბერნატორ სტარისელსკის შუამდგომლობამ, რომ გუბერნიაში საგანგებო წესების შემოღებისაგან თავი შეეკავებინათ ვერ უშველა ქუთაისის გუბერნიაში საგანგებო-სამხედრო წესების შემოღებას. ეს მაინც განხორციელდა და მისი სისასტიკე იწვნია გუბერნიის ყველა მაზრის მცხოვრებმა, მათ შორის „ვანის“ სოფლებშიც. კრიმ გირეის თავის წინასწარ ანგარიშში ხაზგასმით აქვს აღნიშნული: „გენერალმა ალიხანოვმა მიიღო რწმუნება, რომ ჯარის ჩამოყვანით დამაწყნარებლად ემოქმედა მაზრის მაცხოვრებლებზე... მე არ შემიძლია გავიზიარო ეს მოსაზრება და შემიძლია ვთქვა – მოსახლეობის მღელვარება მოჰყვა ზოგიერთ არასწორ მოქმედებებს, რაც განსაკუთრებულად სავალალოა გართულებულ მდგომარეობაში. მითუმეტეს, გლეხთა და თავადაზნაურთა დაპირისპირების დროს. მეორეს მხრივ სასულიერო პირთა და გლეხების დაპირისპირებისას. ამის შედეგი იყო გაუმართლებელი დაპირისპირები და გადასახლებები“³ და ა. შ.

დავუბრუნდეთ საკითხს „ვანთან“ მიმართებაში და წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობის განხილვა მოგვიწევს ასევე, ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის მაზრაში არსებული ვითარების საერთო ფონზე როგორც ზემოქმედების ძირითად და სოციალურ მიმართულებათა განმსაზღვრელ ფაქტორებზე.

ითქვა, რომ „ვანის“ მშრომელი მასების გააქტიურებას პირი მისცა მოვლენათა და ფაქტორთა ჯგუფმა ფერდალურ-თავადაზნაურული პრიორიტეტის კვლავ ძალაში დატოვებამ, ასპარეზზე შემოსულ ახლად გაბატონებულთა მოქმედებამ და კლასობრივი დიფერენცირების მაქსიმალურად ჩაღრმავების პროცესებმა.

გლეხთა ფენების გააქტიურებასა და პროცესის დაძვრას ხელი შეუწყო იმ ადამიანებმაც ან ჯგუფებმაც, რომლებმაც გაიზრეს, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება შეუძლებელია და იგი უნდა დამთავრდეს. 1900-იანი წლებიდან ამ მისიას ჩვენს ქვეყანაში თავის თავზე იღებენ პოლიტიკური ორგანიზაციები, მაგრამ უკომპრომისობისა და საერთო ორგანიზებულობის

1. ვორონცოვ-დაშკოვი.

2. „დოკუმენტების კრებული“ – საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

3. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. დოკუმენტების კრებული. შსს საარქივო სამმართველოს მასალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956 წელი.

თვალსაზრისით გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატები. მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს ასეა და მათ ეს ბრძოლა ახალ თეორიულ და პრაქტიკულ სიმაღლეზე აჰყავთ. ქალაქი ქუთაისი იქცა (ბათუმთან ერთად) გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის კოორდინირების უმძლავრეს ცენტრად, სადაც მოხდა ახალგაზრდა რევოლუციონერ ხელმძღვანელთა კონცენტრირება და არაერთი მათგანი შემდგომში წარმოჩნდა, როგორც სერიოზული სახელმწიფო მოღვაწე ხოლო გუბერნიის დაყოფამ რევოლუციური მოძრაობის რაიონებად: ჭიათურა-ბალდათი, ხონი, სამტრედია, რაჭა-ლეჩხუმი, გურია და ა. შ. მუშაობის გაძლიერების თვალსაზრისით ახალი ბიძგი მისცა მითითებულ საქმიანობას. დღევანდელი ვანის სოფლები, იმ დროისათვის ქუთაისის მაზრის სამტრედია-ბალდათის საბოქაულოს შემადგენლობაში შემავალი დასახლებანია და ცხადია წინა რევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდა აქაც მნიშვნელოვანი ძალით იქნა გაშლილი და განსაკუთრებული აქტიურობა გამოჩნდა მას შემდეგ, რაც იმერეთ-სამეგრელო-გურიის კომიტეტიმა მიიღეს გადაწყვეტილება მოსახლეობაში რევოლუციური პროპაგანდის გაძლიერების შესახებ. ამ მოქმედებას მოჰყვა სათანადო შედეგიც და მასზე დააფიქრა ამიერკავკასიის სახელისუფლო ორგანოები. ამაზე უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს, აქედან მხოლოდ ორ კონკრეტულ წყაროს დავასახელებთ. ესაა ზემოთ მითითებული 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში და რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი, რომელ-შიდაც მოთავსებული მთავრობის 1400-ზე მეტი შეტყობინების, ინფორმაციების, მოხსენებითი ბარათებისა და ა.შ. დიდი უმრავლესობა ხაზგასმას აკეთებს ანტისახელისუფლო, ანტირეფიმულ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობასა და მის შედეგებზე. პრაქტიკით დასტურდება, რომ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ახალ გადაწყვეტილებას, მუშაობა გაშალონ პერიფერიებსა და სოფლებშიც, მოჰყვა პარტიის წევრთა აქტიურ მოქმედებაზე გადაყვანაც. მისი ცალკეული წევრები გაიგზავნენ ადგილებზე გაშლილი მოძრაობის კორდინაციისა და აჯანყების ხელმძღვანელობისათვის. ანალოგიური პროცესი დასტურდება „ვანის“ სოფლებშიც, რომ სოფლების – შუამთის, მთისძირის, დღევანდელი ჭყვიშის დასხლებებში (ტობანიერის სოფლის საზოგადოებაში შემავალ სოფლებში) ისე, როგორც მუხალოუაში (გომში) პროპაგანდისტულ საქმიანობას კოორდინაციას საწყის ეტაპზე უწევდა ბათუმის ნავთობსარენების მუშა პარმენ ნადირაძე. როგორც ჩანს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, ან მათგან ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მოკლული იქნა 1905 წლის თებერვალში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით¹ დაფიქსირებულია ვანის რიგ თემსაზოგადოებებში 1902 წლის თებერვალში, ბათუმში გამართული მძლავრი გაფიცვების კვალობაზე, როგორიციც შემდეგ კი მანთაშოვის ქარხნიდან დათხოვნილი მუშების დაბრუნება და აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმა. ზემომითითებულ პარმენ ნადირაძესთან ერთად აქტიურ მუშაობას ეწევიან კონია კეკელიძე და კირილე მამთორია. 1905-1907 წლებში ეს წრე კიდევ უფრო ფართოვდება და გამოკვეთილ ფიგურებად გვევლინებიან ანთიმოზ რამიშვილი, ივანე ივანიაძე, ვარლამ, ანდრია და გერმანე ნაფეტვარიძეები, სიმონ სულაბერიძე (ტობანიერის თემსაზოგადოებიდან), ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ვიქტორ ფარცხალაძე და ვარლამ ძელაძე – ეს უკანასკნელი, შემდეგში როგორც ჩანს 1924 წლის აჯანყებისას წარმოადგენდა ვანის აღმასკომის მეორე თავმჯდომარეს და დამოწმებული აქვს აღ. მალლაკელიძეს თავის მოგონებებში „კვალდაკვალ“; ვანის თემსაზოგადოებიდან – ფილიმონ შათირიშვილი, მიხეილ უვანია, ივლიანე აბრამიძე, როგორც ჩანს ესაა სოციალისტური საქართველოს პირველი გენერლის პავლე აბრამიძის მამა.

ანალიზით ჩანს, რომ ვანის ტერიტორიაზე მოქმედ ჯგუფთა შორის მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ე.წ. მეორე ჯგუფსაც, რომელიც თავის საქმიანობას შლიდა ტობანიერის თემსაზოგადოების ჭყვიშის ე. წ. სოფელ „ციცხვების“, იგივე „წიქვაძის ფონის“ დასახლებებში. ეს სოფელი სამტრედიის მიმდებარე ტერიტორიაა და იმ დროისათვის თავისი განლაგებითა და სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვით მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა, რომელზედაც ჩვენ საუბარი გვექნება ქვემოთ.

რეალობას მოწყვეტილი არ უნდა იყოს ფიქრი იმაზე, რომ რევოლუციური პროპაგანდის თვალსაზრისით თავისი გავლენა ექნებოდა გიორგი ლასხიშვილსაც, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს,¹ საქართველოს ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ

1. მასალები დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“

დამფუძნებელს, რომლის ფესვებიც უკავშირდება ვანს. არის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტიც: 1902 წელს ქალაქ ოდესაში ქართველი სოციალ-დემოკრატი სტუდენტების მიერ დაარსებული იქნა ორგანიზაცია „ფაკელი“, რომლის წევრთა ვალდებულება იყო არდადეგების პერიოდში, საქართველოში, თავიანთ დასახლებებში გაეშალათ რევოლუციური საქმიანობა, რასაც ახორციელებდნენ კიდევაც. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო გრ. ლორთქიფანიძე სოფელ დიხაშხოდან, შემდეგში უორდანიას ხელისუფლების მინისტრი, ხოლო ოდესის უნივერსიტეტიდან რევოლუციური საქმიანობისათვის ამ ჯგუფის წევრთა გარიცხვის შემდეგ, ისინი აშკარად აღმოჩნდნენ ჩართული რევოლუციურ საქმიანობაში.

ვანის ცალკეულ დასახლებებში რევოლუციური საქმიანობით დაკავებულნი არიან: პროფესიონალი რევოლუციონერი, ვანიდან დავით ლორთქიფანიძე და იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ საგანგებოდ მოვლენილ სამტრედიელ გელეიშვილთან და შორაპნელ აფრასიონ მერკვილაძესთან ერთად ახორციელებენ ადგილობრივი მოსახლეობის შეკრებებსა და მათთან სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. ამ უკანასკნელ სამ პიროვნებაზე დამატებით დასტურს იძლევა გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ფონდში დაცული მასალაც – თანამედროვის მოგონებების სახით. ჩვენ დავით ლორთქიფანიძეზე ცოტა ქვემოთ მოკლედ გვექნება საუბარი, მაგრამ რაც შეეხება პეტრე გელეიშვილსა და აფრასიონ მერკვილაძეს მათზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

– პეტრე გელეიშვილი, ისტორიული წყაროებით დგას მესამე დასის შექმნის სათავეებთან, მისი სტატიები „ყარიბის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა გაზეთ „კვალში“, წარმოადგენდა მესამე დასელთა აქტიურ, საყრდენ ძალას, მონანილეობს მესამე დასელთა სხდომებში, სიტყვით გამოვიდა ამ დასის ლიდერის ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე. როგორც ჩანს „პ. გელეიშვილი ეკუთვნოდა 6. ჟორდანიას, ს. ქობულაძის კარლო ჩხეიძისა და ა. შ. ახალგაზრდულ ფრთას, რომლებიც გაერთიანდნენ გაზეთ „კვალის“ გარშემო და მათ საქმიანობაში შედიოდა, როგორც პოლიტიკური მუშაობა, ასევე მსმენელებს ასწავლიდნენ წერა-კითხვესაც.“²

ხოლო „შორაპნელი“ აფრასიონ მერკვილაძე – ცნობილია არა მარტო იმით, რომ იგი მასებში ეწეოდა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას, არამედ ქმნიდა რევოლუციურ წრეებს და ხელს უწყობდა „წითელი რაზმების“ ფორმირებასაც. ამ პიროვნების ამგვარ საქმიანობაზე მითითება გაკეთებული აქვს პროფესორ ილია მირცხულავასაც თავის ნაშრომში „აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წწ., „რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენს მიერ ზემომითითებულ გალაკტიონ ტაბიძის ფონდში დაცული მასალის (მოგონებების) სანდოობას.“

„ვანში“ მოძრაობაში ჩაბმული ჩანს ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილიც. დადასტურებულია ცალკეული პირების ახლო ურთიერთობანი გურიის აჯანყებულთა თავკაცებთან, რომ მათთან ერთად ისინი „საქვეყნო საქმეებს გეგმავენ“. მაგალითად: სამსონ წითელაშვილი, რომლის მოქმედებასაც ჩვენ დავუბრუნდებით, დიხაშხოელი ვასილ შალამბერიძე და ა. შ. ასე, რომ „ვანშიც“ ეს მოძრაობა ნელ-ნელა შედის ძალაში და გამოკვეთილია ვანის ცალკეული თემსაზოგადოებების სოფლებიდან მასიური მხარდაჭერის სახით. ამის დასტურია კავკასიის მთავარმართებლის სახელზე ქუთაისის გუბერნატორის მიერ გაგზავნილი იფორმაცია – „სამტრედიის რკინიგზის სადგურის მუშათა გაფიცვისა და ქუთაისის მაზრის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ“ (1905 წელი 31 იანვარი – ინფორმაცია № 423). დადგენილია ფაქტი ამ მოძრაობასა და გაფიცვაში „ვანის“ სოფლების ტობანიერისა და ჭავანის (ამ შემთხვევაში ჭავან-ჭყვიში) მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მონანილეობის თაობაზე. აღნიშნულ ინფორმაციაში დეტალურად მიდის საუბარი „უნესრიგობაზე“, რომელიც მოხდა 1905 წლის 21 იანვარს და შემდეგ, რომ ეს მოძრაობა დაიწყო სამტრედიის რკინიგზის მუშებისაგან.

„გამოვიდნენ ქუჩებში ლოზუნგებით, ერთობა და თავისუფლება. მსვლელობა გააგრძელეს სამტრედიის ორკლასიანი სასწავლებლისაკენ... საიდანაც გამოიყვანეს მოსწავლეები და მასწავლებლები და ჩართეს მსვლელობაში. ამის შემდეგ ბრძო შეხვდა კულაშის მამასახლის, რომელსაც მისცეს წინადადება შეერთებოდა გაფიცულთა რიგებს და თან ხელში დაეჭირა

1. 1902 წლიდან მითითებულ საზოგადოებაში შედიან სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ა. ჯორჯავესთან ერთად გ. ლასხიშვილიც.
2. გრიგოლ გიორგაძე — „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“, 1864-1905 წლები, გვ. 522.

დროშა. მამასახლისი არ დათანხმდა და იშიშვლა ხმალი, რის გამოც ხალხმა იგი სცემა, შემდეგ მძიმედ დაჭრეს. მითითებულ უწესრიგობაში მონაწილეობდა დაახლოებით 3 000 კაცი. რკინიგზის სამტრედის უპნის, ასევე ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრების რკინიგზის მუშები, კულაშის თემსაზოგადოების მოსახლეობის დიდი ნაწილი გარდა ებრაელებისა... სამტრედის ბაზარში მისული თემსაზოგადოებათა მოსახლეობის წარმომადგენლები: დიდი ჯიხაიშიდან, ენერგიდან, აბაშიდან, მუხალრუადან,¹ ტობანიერიდან და გურიდან, რომლებიც ამ ღონისძიებაზე სპეციალურად ჩამოვიდნენ უწესრიგობაში მონაწილეობის მისაღებად“.

იფორმაციის შიგა ტექსტებით ჩანს, რომ გაფიცვა ატარებს წინასწარგამიზნულ ხასიათს, შეფასება შეიძლება იყოს ასეთი: ისე, როგორც ტობანიერის თემსაზოგადოების, ასევე მეზობელი სოფლების მოსახლეობის ნაწილი აქ ჩასული არიან ორგანიზებულად. სწორედ, ეს მუშაობა მიჰყავდათ სოფლებში შექმნილი წრეებისა და სოციალ-დემოკრატიის აქტივისტებს და როგორც ჩანს კონსპირაციის მიზნით თავშეყრის ადგილად არჩეულია ბაზარი. ასე, რომ მასებში ორგანიზებული მუშაობა ანტისახელისუფლო განწყობის შესაქმნელად დაწყებულია „ვანის“ სოფლებშიც და ძალაშიცაა შესული.

სხვა მაგალითი: არა მარტო ამ ზონაში, არამედ „ვანის“ სოფლების ნაწილში აქტიურად მოქმედებს სამსონ წითელაშვილიც, მთისძირელი კაცი, მეფის ჯარიდან გაქცეული და 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს გურიის რევოლუციურ კომიტეტთან, ხოლო „ვანში“ მის მომხრეთა შორის არიან: „სიმონ თავაძე – შემდგომში ცნობილი მწერალი, ალექსანდრე მინაშვილი, კონია გამყრელიძე, ესტატე კოპალეშვილი, ივლიანე აბრამიძე, ალექსანდრე ზაქრაძე, იპოლიტე ჩაჩუა, ტარასი ნადირაძე, გიორგაძე და სხვები“². ეს ადამიანები კიდევ სხვა პირებთან ერთად არიან იმპერიის სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული მოქმედი „წითელი რაზმების“ აქტიური წევრებიც. ასრულებენ რევოლუციის დავალებას და ახლო ურთიერთობა აქვთ „ვანიდან“ რევოლუციისადმი ლიბერალურად განწყობილ იმ დროისათვის ცნობილ პიროვნებებთან.

„ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის 1905 წლის 7 სეტემბრის № 5107 შეტყობინება კავკასიის მეფისნაცვლისადმი, გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის თაობაზე გვამცნობს: – „25 აგვისტოს ქუთაისის მაზრის სოფელ მუხალრუასთან მოკლეს მამასახლისის თანაშემწერი იაკობ მამთორია... მკვლელობა მოხდა შემდეგ გარმოებაში მითითებულ დროს, მამთორია სახლიდან ცხენით მიდიოდა სოფლის კანცელარიისაკენ, ამ დღეს სოფლის მცხოვრები 60 კაცის რაოდენობით მუშაობდნენ გზის შეკეთებაზე, რომელთა შორისაც იმყოფებოდა შეიარაღებული, ჯარიდან გაქცეული წითელაშვილი და თავაძე (როგორც ინფორმაციიდან ჩანს ეს უკანასკნელი არის მუხალრუას მამასახლისის მკვლელი) როგორც კი მიუახლოვდა მამთორია მომუშავეთა ჯგუფს წითელაშვილმა უბრძანა მას ჩამოქვეითებულიყო ცხენიდან და ჩართულიყო გზის სამუშაოთა შესრულებაში. შეშინებულმა მამთორიამ აღასრულა ეს წინადადება. შემდეგ წითელაშვილმა მას შეაწყვეტინა სამუშაო და ჰკითხა: შენ ხარ ხომ ის კაცი, ჩემს სახლში შეიარაღებული რაზმი რომ მიიყვანე... გაიყვანა გვერდზე და იქვე დახვრიტა. ეს მოხდა 60 კაცის თვალწინ. აქვე იყო მოკლულის შვილიც და მკვლელის შეჩერება ვერავინ გაბედა.“ ამ შეტყობინებიდან პროცესებთან შეჯერებით ბევრი რამ არის საგულისხმო:

1. სადამსჯელო ექსპედიციის ჩაყენებამ ქუთაისის გუბერნიაში ჯერ კიდევ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, რომელსაც, როგორც ითქვა ამ დრომდეც და საგანგებო მდგომარეობის დროსაც ცნობილი სომეხი ჯალათი გენერალი ალიხანოვი ხელმძღვანელობდა და სახელი გაითქვა დახვრეტებითა და მოსახლეობის ანიოკებით, მოსახლეობა განაწყო შეიარაღებული დაპირისპირებისათვის. ამის გამო შეიქმნა შეიარაღებული წითელი რაზმები და უწყინარ გლეხთა მხრივ ინდივიდუალურმა საპირისპირო მოქმედებამაც კულმინაციას მიაღწია.

2. იქ, სადაც კაზაკთა სადამსჯელო რაზმები შედიოდნენ, მათ ბოროტმოქმედებას საზღვარი თითქმის არ გააჩნდა და ეს გრძელდებოდა საკმაოდ ხანგრძლივად. ამის გამოც, 1905 წლის 27 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი კვლავ მიმართავს კავკასიის მეფისნაცვალს და სთხოვს გუბერნიაში სამხედრო წესების გამოცხადებისაგან თავშეკავებას. – „თუ

1. დღევანდელი გომი.

2. შიო გიორგაძე – „ვანი და ვანელები“.

იქნება გამოცხადებული სამხედრო წესები, შეიძლება ამას მოჰყვეს ახალი სისხლისღვრები, რაც არაერთხელ აღინიშნა და შეიძლება ამან გამოიწვიოს მოსახლეობის კიდევ უფრო გაღიზიანება. ამასთან სამხედრო წესების შემოღების შემდეგ ყველაზე მეტად ზარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა და ვპედავ მოგმართოთ თხოვნით თქვენს ბრნყინვალებას, გუბერნიაში არ გამოაცხადოთ სამხედრო მდგომარეობა“.

3. ასეთი მკვლელობები იმ დროისათვის უკვე უცხო არის, რადგან საკუთარი უფლებების მოპოვებისათვის მებრძოლი, გლეხობა მოექცა ორი წესის ქვეშ. ცალკე სადამსჯელო რაზმებისაგან, ცალკე კიდევ ადგილობრივ თავადაზნაურთა და სასულიერო პირებისაგან, რომლებიც აღიანსში აღმოჩნდნენ იმპერიის სადამსჯელო კორპუსთან. ეს შეჯახება იქცა კლასობრივი დაპირისპირების უსასტიკეს მაგალითად, სადაც უკვე მსხვერპლზე ფიქრი აღარ არის. ამას ადასტურებს გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს უფროსის 1905 წლის 8 დეკემბრის № 4001 შეტყობინებაც. – „რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მემამულეთა დახვრეტები ხდება ადგილებზე, პირდაპირ ქუჩებში, მრავალრიცხოვან მოწმეთა თვალწინ“. იმავე საკითხს ეხება კავკასიის მეფისნაცვლის 1905 წლის 7 თებერვლის მიმართვა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე: „მდგომარეობა იღებს აჯანყების ხასიათს, აშკარადაა გამოხატული ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა. ხელისუფლების ჩინოვნიკების, თავადაზნაურთა და სასულიერო პირების მკვლელობები.“

საკითხთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი – როგორც ჩანს კარგად ინფორმირებულ პეტერბურგელ სტუდენტთა 1905 წლის 21 თებერვლის გამოხმაურება ზემომითითებულ საკითხზე: „დაინყო (ე.ი. საქართველოში) გლეხთა გამოსვლები აგრარული ურთიერთობების ნიადაგზე, რადგან მთელი მიწები კვლავ მემამულეთა ხელშია, რომლებიც მიწათსარგებლობისათვის უმძიმეს პირობებს უყენებენ გლეხებს... მემამულეები გლეხთა გამოსვლების წინააღმდეგ კავშირში აღმოჩნდნენ ხელისუფლებასთან და მათ სთავაზობენ თავიანთ სამსახურს აჯანყების ჩასაქრობად. ისინი კვალის მაძიებელნი უსაფრდებიან პროპაგანდისტებს, აგროვებენ მათზე მონაცემებს, ანვდიან სადამსჯელო ორგანოებს და მოითხოვენ მათგან სასწრაფო-სადამსჯელო მოქმედებას, რომელიც საშინლად დაატყდათ თავს ამაყ გურულებს, რის გამოც მოძრაობა გურიიდან გავრცელდა და ფართოდ მოიცვა სამხრეთ იმერეთის მოსახლეობაც (სამხრეთ იმერეთის მოსახლეობას განეკუთვნებიან „ვანის“ სოფლების დასახლებანიც), რომელსაც მოჰყვა თავადთა და სასულიერო პირთა მკვლელობები... ესენიც მოძრაობის შიშით თავს აფარებენ ქალაქებს“. იქვე მითითებულია ერთ შთამბეჭდავ ფაქტზეც - „ობერშპიონის თავად ნაკაშიძის“ მკვლელობის შესახებ. ეს ფაქტი თავისებური აღწერილობით დაფიქსირებულია მაზრის პოლიციის შეფის შეტყობინებაშიც, რომელიც აღნიშნავს: „მთელ მხარეში წებისმიერი საფასურის გადახდით არ მოიძებნა ხელისანი, რომელიც მოკლულის კუბოს შეჭედავდა. სასულიერო პირებიც ვერ დაითანხმიეს წესის ასაგებად“.

ალბათ მოხმობილი ციტატები განმარტებებს არ საჭიროებენ და კარგად აჩვენებენ სიტუაციათა დაძაბულობასაც, ურთიერთ-უსასტიკეს დაპირისპირებასაც და აქედან გამომდინარე მოქმედებათა უკიდურესობასაც, რაც უცვლელი თანამგზავრია კლასობრივი შეჯახებისა და იმ მოქმედებისა, რომელიც მასებს საერთოდ აკარგვინებს წინასწორობას და რომელ გზაზედაც კაცობრიობის ისტორიას ჰუმანურობის მაგალითები ახსოვს ძალიან ცოტა, ან საერთოდ არ ახსოვს.

ამდენად, „ვანი“ მისი დასახლებებით, მეტნაკლები ფორმით ჩართული აღმოჩნდა რევოლუციურ მოძრაობაში. ამისათვის მზადება დაწყებულია დასახლებებით 1902 წლიდან, ხოლო 1905-1906 წლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პარალელურად იგი აღწევს კულმინაციას. რა თქმა უნდა, არა იმ საბრძოლო ძალით, როგორი სიძლიერითაც ეს დამახასიათებელი გახდა და ბოლომდე გაჰყვა გურიის, იმერეთის ზოგიერთი დასახლებების გლეხთა მოძრაობებს, თუმცა მოქმედება აქაც ატარებს დამუშავებულ და წინასწარ გამიზნულ ხასიათს, რომლის შედეგადაც სადამსჯელო მოქმედებებიც იწვნიეს.

„ვანის“ დასახლებებში გლეხთა გამოსვლების გააქტიურებაზე იუწყებოდა მაშინდელ საქართველოში გამომავალი ზოგიერთი გაზეთიც, რომლებიც ძირითადად ეყრდნობოდნენ ადგილებიდან საკუთარ კორესპოდენტთა მიერ მიწოდებულ მასალებს. 1905 წელს გაზეთ „ივერიის“ 66-ე

ნომერში გასულია სახალხო მასწავლებლის ლადო ბზვანელის ინფორმაცია: „რიონ გაღმის კუთხეში (მხედველობაში აქვს ქუთაისის მაზრის „რიონ გაღმა“ „ვანის“ დასახლებანი). საერთო მოძრაობა აქ თანდათან იზრდება, არც- ერთი სოფელი არ რჩება უკან, ყველგან გაისმა პროტესტი დღევანდელი წესწყობილების უვარებისობის შესახებ. ყველა თხოულობს სამართლიან, ადამიანურ უფლებას და არსებული ცხოვრების პირობების შეცვლას.“ სხვათა შორის წერილების პათოსით, განწყობითა და მიმართულებების გაეცით ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი) ამჟღავნებს, რომ იგი საკმაოდ ლიბერალურადაა განწყობილი სახალხო მოძრაობისადმი და საფუძვლიანადაც უტევს კონფორმისტ ინტელიგენტებს, რომლებსაც შეუძლიათ გვერდით დაუდგნენ მოძრაობას, საქმე წინ წასწიონ, მაგრამ სძალავთ გულგრილი განწყობა: „ჩვენს საზოგადოებაში – მიუთითებს ლადო ბზვანელი – ერთ-ერთ წერილში, უფრო მეტი, ცრუ ინტელიგენტია, რომლებიც შესახედავად ვითომ სოფლის ერთგულებას ლალადებენ და მათ საქმეს ეინტერესებიან „საქმე არა გაქვთ“ გაიძახიან და თავიანთი ჯიბე-მუცელს ემსახურებიან. სოფლის ვექილებიც ხშირად ამ ვაჟბატონების წაქეზებით ხელმძღვანელობდნენ“.

მასალები ადასტურებენ, რომ არსებული რეჟიმის ცვლილებების მოთხოვნით ხალხმრავალი შეკრებები მოხდა სოფელ გადიდში, საპაიჭაოში, რომელზედაც პრაქტიკულად გადადიოდა გზა გურიის სოფელ სურებისაკენ, ხოლო ეს უკანასკნელი საკმაოდ მძლავრად იყო ჩართული გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში. ამასთან, საპაიჭაოს საშუალებით წითელაშვილის წითელრაზმელები უკავშირდენბოდნენ გურიაში ანტისამთავრობო მოქმედ რაზმებს და ჩანს ეს სოფელიც სხვებთან ერთად წარმოადგენდა სამსონ წითელაშვილის მოქმედების ზონას. დადასტურებულია ისიც, რომ ამ სოფლის მოსახლეობამ გამოხატა წინააღმდეგობა და მასიურად დაუპირისპირდნენ აქაურ, საპაიჭაოელ კულტმსახურებსაც.

დადასტურებულია ფაქტი იმაზე, რომ გლეხთა კონსპირაციულ შეკრებებს მიეცა უწყვეტი ხასიათი და ცნობილია ამ შეკრებების ადგილიც: სოფელ შუამთაში სოლომონ ძელაძის ბინა, აქვე ენრის ტყე. აბრეშუმის პარკის საშრობი ფარდული, რომელშიდაც 1905-1907 წლებში ინტენსიურად ენყობოდა რევოლუციის მომხრეთა შეკრებები. ე. ნ. იობიძეების მინდორი – სოფელ მუქედში იქცა ხანგრძლივი მიტინგების ადგილად, ივანე ლაშქარაძის სახლი ენერში, რიგი ადგილები „ვანის თემსაზოგადოების ცენტრსა და მიმდებარე დასახლებებში და ა.შ. ზოგიერთ თანამედროვეთა მოგონებებში მითითებულია პროკლამაციების შემოტანა და გავრცელება, როგორც ქუთაისიდან, ასევე ბათუმიდან და ადგილობრივი სტამბის არსებობაზეც. თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კონკრეტული მტკიცებულებანი მიუკვლეველია, მაგრამ ეს არ ადასტურებს იმას, რომ ანალოგიური რამ არ არსებობდა თუ ჩავთვლით იმასაც, რომ გუბერნიის ცენტრიდან პერიფერიულ წანილში, კონპსირაციულობის თვალსაზრისით, მარტივი ტიპის სტამბის ფუნქციონირება დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ.

ცნობილია ფაქტი იმაზეც, რომ 1905-წლის 17 ივლისს ბალდათისა და გორას საზოგადოებების გლეხობამ, რომელშიდაც მონაწილეობდა 6 000 კაცამდე, გამართა შეკრება სოფელ ზეინდარში. იმსჯელეს სხვადასხვა სოციალურ-ყოფით საკითხებზე და შემდეგ მსვლელობა მოაწვევს ბალდათი-ორპირის გზაზე, ხოლო იმავე ლადო ბზვანელის მიერ გაზეთ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით ვებულობთ: „ამას წინათ სოფელ „ვანში“ შეიკრიბნენ „ვანის“ საზოგადოების მცხოვრებნი, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. კრებას დაესწრო 3 000-მდე ქალი და კაცი. დიახ, აქაურმა მშრომელებმა, ხალხმაც აიმაღლა ხმა, გამოერკვა საღათას ძილისაგან და როგორც გარშემო მისმა დაჩაგრულმა ამხანაგებმა, ამათაც უარყვეს ძველი დახავსებული წყობილება, მოითხოვეს ახალი წყობილება. მასიური რევოლუციური ბობოქრობა ყველა სოფელსა და კუთხე-კუნძულს წვდებოდა.“ (მოგზაური, 1905 წელი).

ჩვენ უნდა ვერწმუნოთ ამ ინფორმაციებს ერთი შენიშვნით: როგორც ჩანს ეს შეკრებები, მსჯელობანი და მსვლელობები იმ ეტაპზე ატარებდა აზრთა შეჯერების და მოძრაობისათვის წინასწარი შემზადების ხასიათს და იგი იმ მომენტისათვის არ გადაზრდილა სახელისუფლო ძალებთან შეტაკებაში, როგორც ქუთაისის გუბერნიის არა ერთ სოფელში დაფიქსირდა. ალბათ, ამის გამოც ამ პროცესებმა ასახვა ვერ ჰპოვა ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის მოქმედ უანდარმერიის და პოლიციის ხელმძღვანელი მუშაკების მიერ ზემდგომ ინსტანციებში მიწოდებულ ინფორმაციებში, ანგარიშებსა და შეტყობინებებში. მაშინ, როცა არა თუ ასეთ ხალხმრავალ შეკრებებზე, არამედ ნებისმიერ მცირე პროცესებზეც კი, რომლებიც ინციდენ-

ტებთანაა დაკავშირებული, დაუყონებლივი ცნობებია მიწოდებული კავკასიის მეფისნაცვლის ან უანდარმერია-პოლიციის უმაღლეს ინსტანციებში. კიდევ ვიმეორებს: ალბათ, ამ პროცესთა ჯერჯერობით მშვიდობიანმა მსვლელობამ განაპირობა ეს, თორემ სხვა შემთხვევაში „ვანის“ სოფლებში მომხდარ ძალისმიერ დაპირისპირებაზე ნამდვილადაა წერილობითი ინფორმაციები გაგზავნილი და ამ საკითხებსაც შევეხებით. თუმცა, საგაზეთო ინფორმაციები და ადგილები-დან შეგროვილი საიდუმლო მასალები, რომ შემხედრი ზომების მისაღებად საფუძველი გახდებოდა გუბერნიის შესაბამისი სამსახურების მოქმედებისათვის, ეს რეალობაა.

ყურადღების გამახვილება შეიძლება საკმაოდ კურიოზულ მომენტზეც, საქმე იმაშია, რომ ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორი სტაროსელსკი შენიშნულია რევოლუციისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებაში. ამ სტრიქონების ავტორს წინამდებარე საკითხზე მუშაობისას ჰქონდა საშუალება გაცნობოდა დოკუმენტების კრებულებს, რომლებიც იგზავნებოდა კავკასიის მეფისნაცვლის, კავკასიის უანდარმერიისა და პოლიციის უმაღლეს ინსტანციებში, ისე როგორც კავკასიის სხვა გუბერნიებიდან ანალოგიურად 1905-1907 წლების მოვლენებზე გაგზავნილ ზოგიერთ მნიშვნელოვან შეტყობინებებს და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: როგორც გუბერნატორი სტაროსელსკი, ასევე მისი მოადგილე ყიფშიძეც ინფორმაციათა კონკრეტულ ნაწილს თავიანთ ზემდგომებს გადასცემდნენ რამდენადმე შერბილებული ფორმით, რის გამოც გუბერნიის უანდარმერიისა და პოლიციის ხელმძღვანელობისაგან თავიანთ ზემდგომებში გაგზავნილ შეტყობინებებში გამოხატულია საყვედურებიც, რომ გუბერნატორი და მისი მოადგილე ზღუდავენ მათ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაში, ხოლო რამდენიმე ინფორმაციით ადასტურებენ, რომ ოზურგეთის მაზრაში სტუმრობისას ამ პირებს გადაადგილების პროცესში თან ახლდნენ „ნითელი რაზმების“ წევრები. გასაგებია რაზეც მიდის საუბარი.

„ვანში,“ 1905-1907 წლების რევოლუციურ პროცესებთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მასალაა დაცული გალაკტიონ ტაბიდის სახლ-მუზეუმის ფონდში, რომელიც თანამედროვეთა მოგონების სახითაა შემონახული და ამ მასალის არსებულ და განვითარებულ ფაქტებთან შეჯერება იძლევა საშუალებას ითქვას – მასალა ობიექტურია, ლაკონური და გაკეთებულია პროცესებში გარკვეული კაცის ნააზრევით.

„1903 წელს მოხდა პირველი კრება ჩვენს სოფელში, იგონებს მითითებული მოგონების ავტორი¹ – ოლიფანტე კოპალეიშვილის სახლში, სამტრედიელი გელეიშვილისა და შორაპნელი აფრასიონ მერკვილაძის ხელმძღვანელობით. სოფლიდან განსაკუთრებით მხარს უჭერდა გ. კოპალეიშვილი, გიორგი ნანაძე, ცაგარეიშვილი, ესტატე გაბრიელის-ძე კოპალეიშვილი. მახსოვს ამ კრებას დავით ლორთქიფანიძეც ესწრებოდა. შემდეგი კრება გაიმართა ბალდაგაძების ტყეში², დავით ლორთქიფანიძე „ვანიდან“ იყო, იგი რევოლუციონერი იყო, ეწეოდა აგიტაციას, ინვევდა არალეგარულ კრებებს, ხშირად დასაჭირავადაც დასდევდნენ და ესტატესთან (ე.ი. ესტატე კოპალეიშვილთან) აფარებდა თავს“. ესტატეს პატივს სცემდნენ იმიტომ, რომ ახლო ურთიერთობა ჰქონდა რევოლუციონერებთან, ჯერ კიდევ 1900 წლიდან, ახლო ურთიერთობა ჰქონდა დავით ლორთქიფანიძესთან“.

მცირე კომენტარი დამომზებული მასალის ირგვლივ:

ა) ის, რომ აქ კრების მოწვევას ხელმძღვანელობდნენ სამტრედიელი გელეიშვილი და შორაპნელი მერკვილაძე, როგორც ითქვა მოწმობს იმას, რომ ისინი ამ სიტუაციაში ასრულებენ რევკომების დავალებას, როგორც სანდო, არსებულ ვითარებაში გაცნობიერებული ადამიანები გამოცდილების მქონენიც. ავტორი ერთ ადგილზე მიუთითებს, რომ შეკრება იყო ხალხმრავალი და სახლში სადაც შეკრაბა ჩატარდა პოლი (იატაკი) ჩატყდა. ხალხთა სიმრავლე ამ შემთხვევაში ადასტურებს შეკრებისადმი დიდ ინტერესსაც.

ბ) ჭყვიში, (ნიქვაძის ფონი) მოვლინებულ პირთა მიერ არჩეულია არაშემთხვევით. ეს სოფელი იმ დროისათვის მჭიდროდ დასახლებული იყო, წარმოადგენდა საკომუნიკაციო პუნქტს რიონის არტერიით და საარკინიგზო ტრანსპორტით სამტრედია-ფოთის მიმართულებით ბათუმსა და ქუთაისისაკენაც. ამასთან, ჭყვიშში განლაგებული იყო საგაჭრო ჯიხურები და ფარდულები, სადაც საქონელგაცვლას აწარმოებენ არამარტო „ვანის“ მიმდებარე სოფლების მოსახლეობა,

1. საუბარია სოფელ ჭყვიშზე.

2. შეკრების ან შეკრებათა ასეთ ადგილებში ჩატარება გამიზნულად ხდებოდა კონსპირაციის მიზნით.

არამედ ხონი-ბაღდათიდანაც. ამის გამოც აქ, მასიური სააგიტაციო (რევოლუციური) საქმი-ანობის გაშლა სიფრთხილის გათვალისწინებით უფრო შესაძლებელი ჩანს.

გ) მოგონების ავტორის მიერ ხსენებული დავით ლორთქიფანიძე რეალურად არის პროფესიონალი რევოლუციონერი, აქტიური პიროვნება. შემდეგში, სოციალისტური წყობილების დროს, ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პასუხისმგებელი პირი. „ვანში“ უდიდესი სანაცონობოსა და მეგობრობის მქონე პიროვნება. მისი ფიგურა გვხვდება 1924 წლის აჯანყებისას „ვანთან“ მიმართებაში და დამონმებული აქვს ალ. მალლაკელიძესაც თავის მოგონებებში – „კვალდაკვალ“. სადაც აღნიშნავს, რომ „დავით ლორთქიფანიძე იყო პროფესიონალი რევოლუციონერი, რის გამოც მოვლილი ჰქონდა რუსეთის ციხეები, გარეგნულად წარმოსადევი ვაჟუაცი, ჰუმანურიც და მთელი საკუთარი ქონება რევოლუციას მოახმარაო.“

შემდეგ: გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში დაცული მოგონებების ავტორი მიუთითებს 1905-1907 წლების მონაკვეთზე რევოლუციის მხარდამჭერთა დაპატიმრებებზე. რაც მოწმობს, რომ „ვანში“ და კონკრეტულად, აქ გაშლილი რევოლუციური საქმიანობა უკვე მოექცა გუბერნიის სათანადო ორგანოების ყურადღების ცენტრში და სადამსჯელო ღონისძიებებმაც აღარ დააყოვნა.

„გიორგი ნანაძე დაპატიმრეს, იყო შესანიშნავი სილამაზის კაცი. ორი კვირაც ვერ იცოცხებლა, ციხეში გარდაიცვალა. ესტატე კოპალეიშვილსაც ეძებდნენ. მათ კავშირი ჰქონდათ წითელაშვილთან“... და უაღრესად საინტერესო ფაქტი – „წითელაშვილის რაზმი იუსტინე ტაბიძესთან (ტიციან ტაბიძის მამა) იყო კავშირში. იუსტინეც ემხრობოდა რევოლუციას. იუსტინე მუშაობდა საოლქო სასამართლოში მდივნად,¹ საიდანაც იგი მამის დაუინებული თხოვნით დაბრუნდა სოფელში და მღვდლად ეკურთხა. მე არ მახსოვს, აღნიშნავს მოგონების ავტორი – მას ვინმესათვის რაიმე მიეთხოვოს ან გასამრჯელო აეღოს“. ვიდრე მოგონებების ერთ, ასევე მეტად საინტერესო ფაქტზე ვისაუბრებთ უნდა აღვნიშნო: იუსტინე ტაბიძისაგან, ფრიად კოლორიტული და განათლებული პიროვნებისაგან, თუ გნებავთ „ვანში“, ჭყვიშში მოქმედ სასულიერო პირისაგან, არაერთ მისი კოლეგისაგან განსხვავებით, რევოლუციისადმი ლიბერალური დამოკიდებულება. „მამაჩემი თბილისის სასულიერო სემინარიაში იზრდებოდა – იგონებს ტიციან ტაბიძე, მაგრამ მონაფეთა არეულობაში მონაწილეობის გამო მეექვსე კლასიდან გამოაგდეს. მთელ თავის სიცოცხლეში იგი თაყვანს სცემდა რუს სამოციანელებს – ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვს, დ. პისარევს და სიცოცხლის ბოლომდე ზეპირად ახსოვდა მთელი ნეკრასოვი². ფაქტია, ამ უკანასკნელთა მოძღვრებისა და იდეური მიმართულების გავლენის ქვეშ იმ დროს არაერთი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი იყო, ხოლო რაც შეეხება თბილისის სასულიერო სემინარიას, რომელშიც იუსტინე ტაბიძე სწავლობდა, მიუხედავად ამ სასწავლებლის პროფილისა და დანიშნულებისა, პრაქტიკულად იქცა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის აქტიურად გამოჩენილ რევოლუციონერ მოღვაწეთა ჩამოყალიბების კერად. ამას არაერთი ფაქტორი განაპირობებდა, რომლის განხილვაც ჩვენ თემასა და მიზანს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, იუსტინე ტაბიძე ჩანს, რომ ღრმად ჩაერთო სემინარიის მოსწავლეთა ანტიმპერიულ მოძრაობაში, რაც ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნულ-სოციალური ღირსების შენარჩუნებისთვის ბრძოლასაც ითვალისწინებდა, ამიტომაც „გააგდეს“ სასწავლებლიდან და იმ უაღრესად გართულებულ სიტუაციაში, რომელზედაც მითითებას აკეთებს მოგონებების ავტორი, ბატონი იუსტინესაგან რევოლუციისადმი გააზრებული, ლიბერალური დამოკიდებულება უცხოდა არ უნდა მოგვეჩენოს. უფრო მეტიც, 1905-1907 წლები უსასტიკესი პერიოდია არამარტო ქუთაისის გუბერნიის მაზრებისათვის, მათი მოსახლეობისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. სადამსჯელო ექსპედიციის თავნებობამ მიაღწია აპოგეას. ამას ცხადყოფს ქუთაისის თავადაზნაურთა საგანგებო ყრილობაზე დავით მიქელაძის გამოსვლა – „ჩვენი სამშობლო აღ-

1. აქ, ცოტა უზუსტობაა. ბნ. იუსტინე მუშაობდა საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული იურიდიული საზოგადოების მდივნად.
2. ტიციან ტაბიძე – ავტობიოგრაფიდან 1936 წელი, 15 აპრილი. წიგნში ტიციან ტაბიძე – ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბილისი, მერანი 1985 წელი, გვ.6.

მოჩნდა განსაცდელში. არაფერი მსგავსი საქართველოს არ განუცდია წარსულში. მაგრამ ახლა სულ სხვა რაღაც ხდება, ჩვენ გვსჯის არა მტერი, არამედ ის ვისაც აღებული აქვს ვალდებულება დაამშვიდოს მხარე, დაიცვას იგი „გარე შემოსევებისაგან და დაამყაროს სამოქალაქო მშვიდობა“, უმოწყალოდ ანადგურებენ და სწვავენ ქალაქებს, მოსახლეობა გარბის და თავს აფარებს ტყეებსა და მთებს, ვინც ამას ვერ ახერხებს მას ელოდება სასჯელი. მამაკაცებს საშინლად სცემენ, ქალებს ნამუსს ხდიან“.¹ განსაკუთრებით, უსასტიკესად მოქმედებენ „ხაპიორის“² კაზაკთა და პლასტუნთა პოლკები. ამავე საკითხს ეხება ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის 1905 წლის 19 დეკემბრის შეტყობინება კავკასიის მეფისნაცვლისადმი. (ხაპიორის კაზაკთა პოლკის კაზაკთა რაზმების მიერ ჩადენილი ძარცვების, ძალმომრეობისა და მკვლელობების თაობაზე და ამ პოლკის გუბერნიიდან განვევის შესახებ №6819, 1905 წლის 19 დეკემბერი). სტაროსელსკი მიმართავს მეფისნაცვალს, რომ – „ჩემს სახელზე ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისაგან მოდის საჩივრები იმ საკითხებზე, რომელიც დადასტურებულია – „უკანასკნელ ხანებში პოლკის მოქმედება სრულ უფლებას მაძლევს ვამტკიცო რომ: 1. ცდილობენ და მიზანი აქვთ მოაწყონ სისხლის ღვრა. 2. ჯარები ქუთაისის გუბერნიაში უკვე აღარ ემორჩილებიან ჯარების სარდალს. 3. კაზაკთა მიერ განხორციელებულ ძარცვებსა და ძალმომრეობაში მონაწილეობენ ოფიცრებიც. 4. როგორც ჩანს პოლკის მეთაური ახდენს პოლკის ასეთი მოქმედების წახალისებას“. „გამომდინარე აქედან კიდევ ერთხელ გთხოვთ ხაპიორის კაზაკთა პოლკის ქუთაისის გუბერნიიდან გაყვანას. თუ თქვენ არ მიიჩნევთ საჭიროდ რომ დააკმაყოფილოთ ეს შუამდგომლობა, ამ შემთხვევაში მე უძლური ვხდები აღვავეთო მოსახლოდნელი სისხლისღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს ზეობრივ და სამსახურეობრივ მოვალეობად მიმართავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან“³. ყოველგვარი კომენტარების გარეშე მდგომარეობის სირთულე გასაგებია, რასაც, როგორც ითქვა, მოჰყვა გუბერნიის მოსახლეობისაგან წინააღმდეგობის გასაწევად წითელი რაზმების ჩამოყალიბება, შეიარაღებაზე და დაპირისპირების მომზადებაზე ზრუნვა. ამ მხრივ წაბიჯები გადაიდგა. გლეხთა რაზმები საჭიროების შემთხვევაში მოქმედებენ ან უკვე მზად არიან მოქმედებისათვის. უფრო მეტიც, კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1905 წლის 3-4 ნოემბერს გაგზავნილ ინფორმაციაში ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიისა და პოლიციის შეფები იტყობინებია: „გროვდება იარაღი, ახალგაზრდები ფარულად უუფლებიან სამედიცინო-საფერშლო საქმეს, რომ აუცილებელ შემთხვევაში დახმარება გაუწიონ მეფის ძალებთან შეჯახებისას დაჭრილებს. ამ საქმეში ჩართულია მოსახლეობა“.⁴ ამ საქმეში ჩართულია „ვანიც“ და ამის კონკრეტული მაგალითი ვლინდება სოფელ ჭყვიშის მოსახლეობისა და სასულიერო პირისაგან. შემდეგი მოქმედებანი აჩვენებენ, რომ წითელრაზმელთა ჯგუფები შექმნილია „ვანის“ ცალკეულ სოფლებშიც, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

როგორც თხრობისას აღინიშნა, 1906 წლის 8 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის (ვორონცოვ-დაშვილის) მიერ გაცემული იქნა ბრძანება ქუთაისის გუბერნიაში დროებით გენერალ-გუბერნატორად აღიხანოვა-ავარსკის დანიშვნის შესახებ. ბრძანების შესავალ წანილში აღინიშნულია: „აჯანყებულთა მერ სახელმწიფო მოხელეები დათხოვნილი არიან, დაცვა განიარაღებულია და შეცვლილია თავისი (ე.ი. გლეხთა) მილიციით, შეწყვეტილია სარკინიგზზ მიმოსვლა და ა.შ. რომ ქუთაისიდან გაიწვიეს გუბერნატორი სტაროსელსკი. ამასთან გენერალ აღიხანოვს „ეძლევა მოქმედების სრული დამოუკიდებლობა და ვაძლევ შემდეგ დავალებას: სახელმწიფო ხელისუფლების სრული და დაუყოვნებლივი აღდგება... სრულად განადგურდეს ყველა რევოლუციური ორგანიზაცია. დაპატიმრებული იქნას საგაფიცვო კომიტეტები... საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნას უმკაცრესი ზომები... ჯარის

- დოკუმენტების კრებული — საქართველოს შსს საარქივო სამმართველოს მასალები. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956 წელი.
- ხაპიორის კაზაკთა პოლკი — ხაპიორი მდინარეა ცენტრალურ რუსეთში, რომლის აუზიც დასახლებული იყო კაზაკებით, აქედანაა პოლკის სახელწოდებაც. (რედ)
- დოკუმენტების კრებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956 წელი.
- ზემოთ მითითებული დოკუმენტების კრებული 1956 წლის გამოცემა.

ნაწილებმა იმოქმედონ შეუბრალებლად¹. ამ ბრძანების მოტივაცია იძლევა სრულ წარმოდგენას შექმნილი მდგომარეობისა და გასატარებელ ღონისძიებათა სისასტიკის შესახებ და ამ ბრძანების აღსრულებაში მიზეზთა და მიზანთა გამო ჩართული აღმოჩნდა ქართველ თავადაზნაურთა სოლიდური ნაწილიც. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რომელსაც 1905 წლის 11 იანვარს კვლავ მოჰყვა სტაროსელსკის მიმართვა მეფისნაცვლისადმი „რომ ფლობს ინფორმაციას არა მარტო „ხაპიორის“ კაზაკთა, არამედ „პლასტუნთა“ და სადამსჯელო რაზმებიდან ღონისძიებათა განხორციელებისას, მათ მიერ მოსახლეობისათვის სახლ-არის გადაწვის შესახებ. 1906 წლის თებერვლის ინფორმაციით მითითებულია სადამსჯელო რაზმების მიერ გურია-იმერეთის ზოგიერთი ქალაქებისა და სოფლების ჩამონათვალები და საუბარია მოსახლეობისათვის ზარალის მიყენების თაობაზე. დამოწმებულია, რომ ამ მოკლე პერიოდში (იანვარ-თებერვალი) იმერეთ-გურიის მხარეში გადაწვეს 406 ბაზარი, მაღაზია, ჯიხური და კერძო საცხოვრებელი სახლი. პროცესი შექმნა სამტრედიისა და ბალდათის საპოქაულოში შემავალ სოფლებსაც. მათ შორის „ვანსაც“. ამიტომაც უცხო არაფერი ჩანს იმაში, რომ ასეთი სადამსჯელო მოქმედებების შემდეგ შეიარაღებულ გლეხთა მხარე დაეჭირა ნებისმიერ ნორმალურად მოაზროვნე ქართველს, რომელი წოდებიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი. აქ, მთავარი სატყივარი იყო საქართველო, მისი მოსახლეობა და არა მარტო ყოფითი პირობები. ამის გამოც „1905 წელს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის (სადაც მოღვაწეობდა იუსტინე ტაბიძე) ჭყვიშის მრევლის დადგენილებით მლვდელმა იუსტინემ თანხმობა მისცა და გაატანეს 47 მანეთი, დანარჩენი ხალხმა გაატანა“ და ესტატე კოპალეშვილის და დომენტი ქაჯაის ხელმძღვანელობით ფოთიდან ჩამოიტანეს თოფები და „დაირიგა წითელრაზმელებმა, წითელაშვილმა და ერთი დარჩა გიორგი ნანაძეს“. იგივე ავტორი მიუთითებს, რომ რეაქციის წლებშიც რევოლუციური სული სოფელში არ ჩამქრალა. სოფლის ახალგაზრდობა თანაუგრძნობდა რევოლუციას.

ამ ამონარიდიდან საყურადღებოა რამდენიმე მომენტი:

1. ვანსა და მის შემოგარენში იმდენადა გამწვავებული მდგომარეობა, აუცილებელი ხდება თავდაცვაზე ზრუნვა და ჩანს გაცნობიერებულია ისიც, რომ შესაძლებელია ამას მოჰყვეს მსხვერპლიც, მაგრამ სადამსჯელო ექსპედიციის მიერ გატარებული ღონისძიებანი მოსახლეობას სხვა გზას არ უტოვებს და წინააღმდეგობის მოძრაობაში ერთვება მოსახლეობა, ახალგაზრდობა და ავტორიტეტული სასულიერო პირიც კი, რომელიც თავის დროზე სემინარიიდან წილნაყარია ეროვნული თავისუფლების იდეებს, გაცნობიერებული აქვს კლასობრივ დისკრიმინაციის სიმძვავე. ამ პროცესში იუსტინე ტაბიძის მოქმედება სცილდება ეკლესიურ მორალისტურ დოგმებს, ძალის გამოყენების ფაქტორებთან დაკავშირებით და ახლოს დგას იმ ქართველ სასულიერო პირთა მოქმედებასთან, რომლებიც უმძიმეს უამს ანაფორა გადაცმული, ხმალადმართული ხვდებოდნენ მოძალადეს.

2. ამავე პროცესში სამსონ წითელაშვილის ქმედებაც წითელ რაზმელ მეგობრებთან ერთად არ უნდა იქნას შეფასებული, როგორც ტერორისტის საქციიელი (რადგანაც მან მოკლა მუხალუას მამასახლისის მოადგილე, ხოლო უფრო გვიან „ვანის“ სოფლის საზოგადოების მამასახლისი ვამეს მაღლაკელიძე). ამ დროს ძალადობამ დაბადა ძალადობა, უპრეცენდენტო შეიძლება იყოს ისიც, რომ მრევლის გადაწყვეტილებით კოპალეშვილსა და ქაჯაის გადაეცა თანხა წითელაშვილის რაზმელებისათვის იარაღის შესაძენად, თანაც ამ საქმეში ჩარეულია სასულიერო პირი, ესეც იშვიათი მოვლენაა, რადგანაც არც ერთი სასულიერო პირი იარაღის შეძენასა და მით უმეტეს, ვინმეზე გადაცემის მომენტში არ ჩაერევა, თუ ამას არ კარნახობს ზნეობრივი ნორმა, თავისი ხალხის თანადგომის პრინციპი. თუ ეს იარაღი მიმართული არაა მოძალადისაგან ქვეყნის ღირსების, ერისა და ხალხის დასაცავად. ამიტომაც, იუსტინე ტაბიძის მოქმედება ამ შემთხვევაში, განსხვავებით არაერთი კოლეგისაგან, ზეაწეული, ღირსების მქონე და ერის ინტერესების დამცველი დიდი პიროვნების კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს.

ირკვევა ისიც, რომ წითელაშვილსა და მის რაზმელს კონია კეკელიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ არამარტო იუსტინე ტაბიძესთან, არამედ როგორც ჩანს პიროვნულად წითელაშვილი კარგად იცნობდა ტაბიძეთა ოჯახებს. ამ მხრივ საინტერესოა დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მოგონებების ერთი ფრაგმენტი, „სადაც საუბრობს, თუ, ჭაბუკობის უამს სოფელ

1. იგივე კრებული, 1956 წლის გამოცემა.

დიხაშობში მაყრად მყოფი, როგორ შეხვდა სამსონ წითელაშვილს – „ამ დროს ხალხში წითელაშვილი შევნიშნე. დიხაშობს მკვიდრ ვასილ შალამბერიძეს ახლდა. ვასილ შალამბერიძე დათიკო შევარდნაძის რაზმელი იყო, ისიც წითელაშვილთან ერთად იბრძოდა ნასაკირალში... სოფელ ზეინდრიდან მომავალი სამსონ წითელაშვილი და მისი რაზმელი სოლომონ თავაძე თურმე სურებში (სოფელი გურიაში, ესაზღვრება ყუმურს) მიდიოდნენ, გზად დიხაშობში გამოიარეს... რამდენიმე ხნის წინ მან და თავაძემ მოკლეს ვანის თემსაზოგადოების მამასახლისი ვამეხ მაღლაკელიძე... მაშინ რომ ვწერდი პოემას სამსონ წითელაშვილზე მან იცოდა. იქ, რომ მნახა ასე მითხვა... ხვალ ქალი ქმრის ოჯახში უნდა წაიყვანონ და იქ გაგრძელდება ქორწილი, შენი ნათესავები თან გაჰყვებიან. შენ ჩემთან წამოდი. ხვალ დილით აუცილებლად სურებში უნდა ვიყოთ... დათიკო შევარდნაძეს უნდა შევხვდეთ. დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. საპატარიში (ყუმურში) გავივლით ადეიშვილებთან. შენ დედულეთს მიგიყვან, გზადაგზა ჩემს ამბებსაც მოგითხრობ, თუ მართლა რამეს წერ გამოგადებაო. სამსონმა ცხენზე შემომსვა... ყაჩალებში აღმოვჩნდი და თავს არხეინად ვგრძნობდი“... ამ ლამაზ მოგონებაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ, როგორც აღინიშნა არაერთი ვანელი მონაწილეობს გურიაში გამართულ ანტი-სამთავრობო ლონისძიებაშიც და მხარდაჭერას უცხადებს აჯანყებულებს.

საინტერესოდ იკვეთება წითელრაზმელთა და მოსახლეობის სანდო ნაწილისათვის იარაღის შემოტანის ფაქტებიც. „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში, მოძიებული და დაცულია მასალა ამ საკითხზე, სადაც საუბარია, რომ ამ დონისძიებას ახორციელებდა ტობანიერის (თემსაზოგადოების) მცხოვრები ნოე დიმიტრის ძე სანიკიძე და დადასტურებულია ორი ფაქტი:

1. პირვენებაზე გაცემული ცნობა, რომელიც მომყავს უცვლელად „ჩვენ ქვემორე ამისა ხელისმომწერნი სოფელ ტობანიერის მცხოვრები ბათომის ნავთის ქარხნის მუშები ვადასტურებთ, რომ ნოე დიმიტრის ძე სანიკიძე 1890 წლიდან 1901 წლებში იყო ბათომში არსენ და სამსონ სანიკიძებთან (ორივენი ტობანიერიდან ო. კ.) ღვინის საწყობში მოჯამაგირედ, ნოერად, სადაც ეწეოდა ფიზიკურ შრომას, როგორიცაა ჭურჭლების რეცხვა, ღვინის გადაზიდვა და სხვა. 1902 წლიდან მუშაობდა სასადილოში ხომასურიძესთან – ბათომში პარახოდების საყუდთან და საზღვარგარეთ მიმავალი გემების მოსამსახურეთა საშუალებით იძენდა იარაღს და ტყვიებს, რომელსაც აწვდიდა რევოლუციონერ ორგანიზაციებს წითელრაზმების შესაიარაღებლად და გვეხმარებოდა რევოლუციურ მუშაობაში“. ცნობა დადასტურებულია ბეჭდით და ხელს აწერენ 1905 წელს ტობანიერის თემში ასისთავი კირილე მამფორია,¹ 1905 წელში სამტრედიის პარტორგანიზაციის წარმომადგენელი დიომიდე მამფორია. ხელმოწერა დადასტურებულია ვარლამ ძნელაძის მიერ. დასტურდება ფაქტი იმაზეც, რომ ნოე სანიკიძე პარალელურად ახორციელებდა ვანში მოქმედი რევოლუციური ჯგუფებისათვის ბათუმიდან პროკლამაციების გამოგზავნასაც.

2. რაც შეეხება მეორე ფაქტს: როგორც ჩანს ნ. სანიკიძის მოქმედება ცნობილი გახდა მაშინდელი შესაბამისი ორგანოებისათვის, რის შემდეგაც იგი სასჯელს იხდიდა ბაქოს ე. ნ. ბაილოვის ციხეში, სადაც ამ დროისათვის ასევე რევოლუციური საქმიანობისათვის სასჯელს იხდიდა ი. სტალინიც. ეს ჩანს 1930-იანი წლების დასაწყისში ნ. სანიკიძის მიერ სტალინისადმი მიწერილ წერილში,² რომლის შინაარსიც ეხება კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზე ვანთან დაკავშირებულ პრობლემათა მოგვარებას, მაგრამ შესავალ ნაწილში გაუღერებულია ინფორმაცია, რომლითაც იგი გადმოგვცემს თავისი ბიოგრაფიის ნაწილს და მიუთითებს, რომ 1908 წელს სასჯელს იხდიდა ბაქო-ბაილოვის ციხეში, მიუთითებს ცნობილ რევოლუციონერებზეც, რომლებიც იმავდროულად ი. სტალინთან ერთად იხდიდნენ სასჯელს და ქვეტექსტითაც ჩანს, რომ იგი ახლოს იცნობდა ამ პირებს.

რაც შეეხება ზემომოყვანილ ცნობას: როგორც ჩანს სტალინის სახელზე წერილის გაგზავნის

1. ასისთავი – ამ დროისათვის რევოლუციურ-პროპაგანდისტული საქმიანობის საუკეთესო ფორმად მიჩნეული იქნა ათისა და ასისთვის სისტემა და ამ საფუძველზე წრეების მოწყობა. ჩანს, რომ კირილე მამფორია ასეთ დანაყოფს ხელმძღვანელობდა, რაც ასევე მიანიშნებს, რომ ტობანიერის თემსაზოგადოებაში რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას მიღებული აქვს საფუძვლიანი სახე.

2. ასლი დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“

შემდეგ შესაბამისი ორგანოები დაინტერესებულან 6. სანიკიძის პიროვნებით და მითითებული ცნობით დადასტურებულია 6. სანიკიძის დამსახურებაც 1905-1907 წლების რევოლუციის წინაშე.

ვანში და კონკრეტულად, წითელრაზმელთათვის იარაღის შემოტანის სხვა ფაქტებიც დასტურდება, მაგრამ ჩანს, რომ ზოგი მათგანი პირებილიზებულია და მტკიცებულებათა სიმკირის გამო ნაკლებად ატარებს დოკუმენტის სახეს. თუმცა მოყვანილი ფაქტებითაც კარგად იკვეთება, რომ იარაღის შეძენა-შემოტანის საკითხი ჯეროვნადაა ორგანიზებული.

სადამსჯელო ექსპედიციის მოქმედება არ ასცდა ვანსა და მის სოფლებსაც. 1906 წელს გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ 1906 წლის 12 აგვისტოს „ვანში“ შემოვიდა სადამსჯელო ექსპედიცია. შეიარაღებულნი დაბანაკდნენ „ვანის“ ბაზრის მახლობლად. მოითხოვეს უწესარიგობის მეთაურების და აგიტატორების გადაცემა. გადასახადების შეგროვება. მოსახლეობამ არც აგიტატორი გასცა და გადასახადებზეც უარი უთხრეს.

– „სამაგიეროდ კაზაკებმა აჩეხს ვენახები და ყანები. დარჩნენ ერთ დღეს და გადაინაცვლეს უხუთისაკენ“. ეს ინფორმაცია დადასტურებული აქვს ისტორიკოს ივანე ხურციძესაც თავის სოფლის ისტორიაში და აღნიშნავს, რომ სადამსჯელო ასეული დადგა მდინარე კვინისწყალზე, საიდანაც აკონტროლებდა მიმდებარე სოფლებს, ხოლო ჯარის შენახვის ხარჯები, საკვები, სურსათ-სანოვაგე მოსახლეობას შეაწერესო.

უფრო ადრე, უალრესად საინტერესო მოვლენები განვითარდა სოფელ ძულუხსა და რომანეთში, რაც აშკარად ადასტურებს, რომ მოსახლეობის საფუძვლიან მლელვარებას ჰქონდა ადგილი. ამავე საკითხზე ქუთაისის გუბერნიიდან ზემდგომ ინსტანციაში მიწოდებულ შეტყუბინებაში საუბარია აჯანყებაზე. გავეცნოთ მათ: „გლეხთა მლელვარების აღსაკვეთად 22 სექტემბერს (მხედველობაშია 1905 წლის სექტემბერი) ბალდათიდან ჩაფართა რაზმი გაგზავნეს სოფელ ძულუხში. რაზმა ერთი გლეხის დაპატიმრება მოახერხა და 23 სექტემბერს დილით გაბრუნდა ბალდათისაკენ. სოფელ რომანეთის აღმართან (ეს აღმართი სოფელ ძულისიდან მდინარე ძულუხურას გავლით მიემართება რომანეთის ცენტრისაკენ. ო.კ.) პოლიციელებს წითელრაზმელები ჩაუსაფრდნენ და სროლა აუტეხეს. სროლის დროს მოკლეს ერთი კაზაკი და მძიმედ დაჭრეს მეთაური. შეშინებულმა პოლიციელებმა თავს გაქცევით უშველეს“. ეს ამონარიდი მოყვანილია საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომიდან და აქ ოფიციალურ წყაროდ გამოყენებულია საგაზეთო მასალა, მაგრამ იმავე საკითხზე არსებობს კავკასიის პოლიციის ხელმძღვანელობის სახელზე გუბერნიიდან გაგზავნილი იფიციალური ინფორმაციები, რომლითაც დასტურდება, რომ ინციდენტი სოფელ ძულუხში მოხდა 1905 წლის 22 სექტემბერს. სოფელ რომანეთში 23 სექტემბერს. გაგზავნილი ინფორმაციები ოდნავი დაგვიანებით მოხვედრილია ოფიციალურ ანგარიშებში: პირველი – 1906 წლის 16 მარტს (№5-18) და მეორე – 1905 წლის 8 დეკემბერს (№4001) და საკითხთა ინტერპრეტაციაც სოფელ ძულუხთან დაკავშირებით განსხვავებულია ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილი საგაზეთო ინფორმაციიდან. „ლია შეიარაღებული აჯანყება არ ყოფილა, ვკითხულობთ ოფიციალურ ინფორმაციაში, მაგრამ ბალდათის პრისტავის მიერ სოფელ ძულუხში გაგზავნილი კაზაკთა და სტრაჟნიკთა ჯგუფებიდან (მითითებული რაოდენობა ნარმოადგენს შეიარაღებულ ათეულს) მოკლულია ერთი კაზაკი, და ერთი სტრაჟნიკი“. მეორე ინფორმაცია გვამცნობს: ქუთაისის მაზრის ბალდათის უბნის სოფელ რომანეთში, მოხდა აჯანყებული ხალხის თავდასხმა კაზაკებზე“. ჩვენ მივუთითეთ, რომ დღევანდელი ვანის რაიონის შემადგენელი სოფლები დაწყებული ციხესულორიდან დამთავრებული საპომინაოთი შედიოდა ბალდათის საპოლიციო უბანში, მათ შორის ძულუხიცა და რომანეთიც. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს ეს ინფორმაციები დამატებით ცხადყოფს, რომ ანტისახელისუფლებო გამოსვლები და თანაც შეიარაღებული ფორმით, დადადტურებულია „ვანის“ მაღალმთან სოფლებშიც. მითითებულია იმაზეც, რომ აქ უკვე მოქმედებენ გლეხთა შეიარაღებული წითელრაზმელები, რომელთა კოორდინაციასაც ახორციელებდნენ რევოლუციური კომიტეტები, „იცავენ და ეხმარებიან ხალხს“. ასე რომ რეუიმის გამკაცრება საფუძვლიანად იწვიეს „ვანის“ სოფლების მცხოვრებლებმა და ვფიქრობთ რეუიმის გამკაცრების შედეგით უნდა აიხსნას იმ დროისათვის ამაღლების სკოლის დროებით დახურვაც, რადგანაც ამ სკოლის ზედა კლასის მოსწავლეები და შეიძლება ზოგიერთი პედაგოგიც, მიჩნეული იქნა არასანდოდ, რასაც მოჰყვა სათანადო ღონისძიების გატარებაც.

„ვანში“ განვითარებული მოვლენების ანალიზი დასკვნას იძლევა იმაზეც, რომ სწორია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებებიც, როდესაც ისინი აღნიშნავენ იმერეთის სამხრეთ დასახლებაში გლეხთა გამოსვლების გააქტიურებაზე და რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ხოლო შექმნილი საერთო მდგომარეობის მხრივ კვლავ გადავხედოთ ორ ოფიციალურ ინფორმაციას და ამის შემდეგ მიმოხილვის ამ ნაწილზე გავაკეთოთ დასკვნა:

პირველი ინფორმაცია ეკუთვნის ალიხანოვ ავარსკის, დათარიღებულია 1906 წლის თებერვლით. „დეკემბრის ბოლოს რევოლუციურმა პროპაგანდამ მხარე მიიყვანა სრულ ქაოსამდე. ქუთაისის გუბერნიის მაზრების რაიონებში დასახლებული ადგილები ფაქტიურად იმყოფებიან ცალკეულ პარტიათა განკარგულებაში. ვერც ერთი სამაზრო დაწესებულება, უანდარმერია და პოლიცია ვერ საქმიანობს, პოლიციის ცხენოსანთა დაცვა განიარაღებულია ან განადგურებულია. სოფლების კანცელარიები გადამწვარია, მაზრების საპოლიციო ჩინები (ე. ი. თანამდებობის პირები) თავის გადარჩენის მიზნით გაქცეული არიან, ან რევოლუციონერებთან მიდიან კომპრომისზე“.

მეორე ინფორმაცია, არა ალიხანოვის, მაგრამ ასევე ოფიციალური წყაროდან, ასევე ქუთაისის გუბერნიიდან: – „დამშეული თავადები გაყრილნი არიან თავიანთ სამფლობელოებიდან, რომლებმაც დაკარგეს ყოველგვარი შემოსავალი, გლეხობისაგან შურისძიების შიშით ვერ ბედავენ თავიანთ საკარმიდამო ადგილებში დაბრუნებას“.

გენერალ ალიხანოვის ინფორმაცია იდნავ გადახრილია იქეთვენ, რომ სიტუაციის რამდენადმე დამძიმებით გაამართლოს თავისი სადამსჯელო, უსასტიკესი საქმიანობა. მაგრამ მაინც რეალობის შემცველია. ხოლო მეორე ინფორმაცია ცხადყოფს როგორ გარემოში აღმოჩნდა ე.წ. გაბატონებული კლასი, რომელთა მოქმედებამაც რიგ ფაქტორებთან ერთად მშრომელი ადამიანები ცხოვრებისეული კალაპოტიდან ამოაგდო და იარაღი დააჭერნა ხელში.

თხრობის ამ ნაწილზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: მე არ ვიცი ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მართებული იქნება დადებითი სიტყვები ითქვას ყველა იმ პირზე განურჩევლად რანგისა და წოდებისა, ადამიანთა იმ ჯგუფებზე, რომელთა ძალისხმევითაც ერი გაცოცხლდა, ცნობიერება შეიცვალა და დაუპირისპირდა იმპერიულ, იერარქიულ კლასობრივ მორჩილებასა და ჩაგვრას. საფუძველი დაუდო ქართველი კაცის, მშრომელის ცნობიერების ახალ სიმაღლეზე აყვანას, ხელი შეუწყო იმ იდეური და პრაქტიკული მოქმედებებისადმი დაპირისპირებას, რომელიც ერთის მიერ მეორის მორჩილებასა და ამ ფონზე დისკრიმინაციას ნერგავდა ან ნერგავს. ადამიანები თავისუფალნი იბადებიან! ეს მოქმედება არის გაკვეთილი და გაკვეთილი ყველა თაობისათვის და სულაც არა აქვს მნიშვნელობა ამის წაკითხვაზე განაწყენდებიან თუ არა ის პატივცემული „გვამები“, რომლებსაც დროთა უკულმართობით არასაკუთარი ნიჭიერებითა და უნარით, ძალმომრეობით მიეცათ ან ეძლევათ სამუალება სხვაზე მატერიალური ზემოქმედებისა და გაბატონებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. ასეთი ადამიანების მოქმედება კუჭის საზომით განპირობდება და დიდ შემთხვევაშიც მათი „პატრიოტული ქმედებაც“ ამ პარამეტრებს ემორჩილება. ამას ისტორია ათასგზის ადასტურებს. ზოგჯერ გვავინყდება, რომ ისტორია მეორდება და უფრო სასტიკადაც, ვიდრე ეს იყო ან მოსალოდნელია.

ინდირა გოგოძე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის
თანამშრომელი, უურნალისტი

შოთა რუსთაველი – მსოფლიო რენესანსული აზროვნების გესაძირპვლე

მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი, ანტიკური ფილოსოფიის ნააზრევი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, უკვე საუკუნეების მანძილზე აღიარეს უკვდავყოფილად, ყველა დროის თანამედროვედ და, რაც ყველაზე მთავარია, მარადიული ლირებულებებით მდიდარ საუნჯედ.

„პირამიდებს დროის არ ეშინიათ, დროს ეშინია პირამიდების“ — ამ ცნობილ გამონათქვამს დავესესხები და ქართულ ლიტერატურაში კიდევ უფრო შესაფერის ადგილს მივუჩენ. მისი მთავარი ობიექტი უდავოდ „ვეფხისტყაოსანია“, რადგან მიუხედავად უკიდეგანოდ გაცივილიზებული სამყაროსა, უკვე რვა საუკუნეა მისი სიდიადე ვერანაირმა კრიტიკამ ვერ დაჩრდილა, ვერ მოისროლა ლიტერატურის ისტორიულ სანაგვეზე.

შოთა რუსთაველმა ქართული გენის ორიგინალურობას, ერთადერთობას და ღვთაებრიობას ერთად მოუყარა თავი და უმშენეოერეს პოემად გადაუშალა ცოდვით დამტმიებული სულის კაცობრიობას. ამიტომაც იყო, რომ მასში ყველა ცოცხალ სულს ხედავდა, პოემა ყველასათვის ცოცხალი ორგანიზმივით სუნთქავდა და სამყაროს თავისი იდუმალი სულისკვეთებით ასაზრდოვებდა.

და მაინც, რა არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მწირი ლექსიკონით კიდევ ერთხელ ვისაუბროთ ენამდიდარ და შეუდარებელ „ვეფხისტყაოსანზე?“ მიზეზი მისი მსოფლიოსათვის გაცნობის საკითხია. საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ბევრმა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. უშედეგოდ, რადგან პოემის თარგმნის მთავარი მიზანი – სავსებით სწორი წარმოდგენა იქონიონ რუსთაველის ნაწარმოებზე (როგორიც არის ორიგინალში) – არსად იყო სათანადო დონეზე შესრულებული (საუბარია რუსულ თარგმანზე). ამ ყველაფერს კი შემფასებელი და მშველელი სჭირდებოდა. და თანაც ისეთი, რომელიც ორივე ენის ლექსიკას (რუსულ-ქართულს) უმაღლეს დონეზე იცნობდა და ამავე დროს, პოემის ღირსეულ, სრულფასოვან რუსულ თარგმანზეც ფიქრობდა...

ადამიანი, რომელსაც 1937 წელს, ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ შალვა ნუცუბიძის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ჩაუვარდა ხელში, გახლდათ იოსებ ჯუღაშვილი. სტალინი – საბჭოეთის ბელადი, რომელსაც თარგმანი იმ დონეზე მოეწონა, რომ უკვე დაპატიმრებული ფილოსოფიის დოქტორი გაანთავისუფლა და „ვეფხისტყაოსნის“ სრულად თარგმნა „მიუსაჯა“. მას მანამდე არსებული არცერთი თარგმანი არ მოსწონდა, რადგან სურდა, რომ მსოფლიოსათვის სრულად ეჩვენებინა სახე მისი სამშობლოსი, დონე მისი ხალხისა. ეს ყველაფერი კი იქამდე არსებულ არცერთ მათგანში არ იგრძნობოდა.

სწორედ, ქვემოთ მოცემული წერილი მოგვითხრობს სრულად ამ საინტერესო „ესე ამბავის“ შესახებ... იმ ამბავისა, თუ როგორ აგვირისტებდა „გალიაში მომღერალი შაშვი“, მსოფლიო მკითხველისათვის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ დიდ ბელადთან ერთად, რომელმაც მთარგმელთან ერთად ორიოდე სტროფისა და სათაურის დაწერა თავმდაბლურად ითხოვა და მიაგნო კიდეც: „Витязь в тигровой шкуре“...

დიახ, „ვეფხისტყაოსნის“ ნათლია რუსულ ლიტერატურაში სწორედ სტალინი გახლდათ...

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დღეს ჩვენი თაობის აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან იყვირა ასეთმა კითხვამ: „რატომ არ მიყვარს „ვეფხისტყაოსანი?..“ პასუხი ამაზრზენია: „ოპის სუნი ასდის“... „დრომოქმული და მოძველებულია“... არადა მასში ხომ ქვეყნიერების მარადიული ლირებულებებია თავმოყრილი – სიყვარული, მეგობრობა, ღირსება, პატრიოტიზმი, სამართლიანობა, ერთგულება, თანასწორობა, ტოლერანტობა.. მაშ, რა დაგვრჩა? აქაც საკითხავია – რა არის მიზეზი იმისა, რომ თაობა ვერ ითვისებს ამ შედევრს? პედაგოგს, ქალბატონ ქეთევან ძაგნიძეს დავერწმუნები და ვიტყვი, რომ პრობლემა შეიძლება პედაგოგშია, რადგან მან, ალპათ, ვერ შესძლო ის, რომ მოსწავლეს ეს პოემა მოძველებულად არ ჩაეთვალა და, უდავოა, რომ აქ უდიდესი შრომაა საჭირო განსაკუთრებულ მიდგომასთან ერთად.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ დღეს მსოფლიოში წინასწარგამიზნულად, არადადებითი ტენდენციით მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასება, რაც ყველაზე მეტად მოზარდებზე აისახება. ჩემი აზრით, ყოველივე ამას მართული პროცესის სახე აქვს მიღებული და მასში ჩართულია მედია საშუალებებიც. მიუხედავად მისი უზარმაზარი დადებითი მხარეებისა, თავის როლს თამაშობს ნებისმიერი ასაკის საზოგადოების კომპიუტერიზაციაც, რამაც წიგნის კითხვას, მისი საშუალებით განათლების დონის ამაღლება-გაძლიერებას, მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა საფუძვლიან გაცნობას, რამდენადმე მოწყვიტა ჯერ კიდევ ცხოვრების გზაზე ახლად ფეხშემდგარი ახალგაზრდობა.

დღევანდელი ეპოქა, მისი მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით, რადიკალურად განსხვავდება ქვეყნიერების მიერ განვლილ საუკუნეთა იმ უამთასვლისაგან, რომელმაც ქართველი ერის ჩამოყალიბების ფუნდამენტს ჩაუყარა საფუძველი. ქორონიკონი, რომელმაც აღზარდა დავითი, თამარი, ქეთევანი, გიორგი ბრნენვალე, დემეტრე თავდადებული და ა.შ... მეხუთე საუკუნეში მოღვაწე მაიუმის ეპისკოპოსი დიონისე არეპაგელი. იგივე პეტრე იბერი, რომელიც ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის წყალობით დადგინდა, რომ ეროვნებით ქართველი იყო და არა ბერძენი... აი, პლეადა უზარმაზარი განზომილების ქართველებისა... დაუსრულებელი ნუსხა გენიებისა-ხერხემალნი ჭეშმარიტი ქართული სულის აღმზევებლებისა. პერიოდი პეტრე იბერიდან შოთა რუსთაველის ჩათვლით, გვაძლევს საფუძველს თამამად ვთქვათ: ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ხელშესახები მაგალითები მსოფლიოს წინაშე ჩვენი წინაპრების ღვაწლის დანახვისა, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, ყოველივე ეს უამრავ განზომილებებთან ერთად, უტყუარი მტკუცებულებაა ჩვენი ერის გონის სიდიადისა და არა ისე, როგორც ეს მავანთ და მავანთ სურთ დახატონ... სწორედ, ამიტომაც სჭირდება უკვდავ ქართულ ღირებულებებს, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად განსაკუთრებული მიდგომა, შესწავლაც და მასშტაბური პროპაგანდირებაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქართული სამყაროს ფარგლებს გარეთაც.

ბევრი რომ არ გაგვიგრძელდეს, ერთ პატარა, მაგრამ საყურადღებო და ყველაფრისმთქმელ წერილს მოვიყვან თავდებად, რომელსაც ომგამოვლილი სკოლის დირექტორი ყველა მასწავლებელს აცნობდა, ვისაც სამსახურში იღებდა:

„ძვირფასო მასწავლებელო!

მე საკონცენტრაციო ბანაკი გამოვიარე და ისეთი რამ ვნახე, რაც ადამიანის თვალს არ უნდა ენახა.

- ვნახე, როგორ აგებდნენ უნიჭიერესი ინჟინრები გაზის კამერებს.
- ვნახე, როგორ წამლავდნენ კვალიფიციური ექიმები ბავშვებს.
- ვნახე, დახელოვნებული მედდები როგორ ხოცავდნენ ახალშობილებს.
- ვნახე, როგორ ხვერტდნენ და წვავდნენ უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულები ქალებსა და ბავშვებს.

ამიტომაც, მე არ ვენდობი მხოლოდ წიგნიერებას და გთხოვთ: დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

თქვენმა ძალისხმევამ სწავლული ურჩეულები, ნაკითხი ფსიქოპათები და ჭკვიანი მანიაკები არ უნდა წარმოშვას.

კითხვა, წერა და არითმეტიკა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როცა ბავშვებს ეხმარება ადამიანებად ჩამოყალიბებაში“...

სრული სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ ქართველებს, ამ საკითხის გადასაწყვეტად უფალმა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მოგვმადლა...

განძი წებისმიერი საუკუნისა...

ახლა კი, გთავაზობთ ზემოხსენებულ სტატიას — „გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია?“ (ავტორი ნანა გონჯილაშვილი), რომელიც გადმოპეჭდილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს უურნალიდან „საარქივო მოამბე“, №10, 2011. რედაქტორი ნინო ყიფშიძე, (საარქივო უფლებები დაცულია და შეთანხმებულია რედაქტორთან 11.03.2016 წ).

ნანა გონილაშვილი

„გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია?“

XX საუკუნის დასაწყისიდან რუსულ ლიტერატურაში გაჩნდა ცნობები შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე. პირველი რუსული წიგნი, რომელშიც მოხსენებულია რუსთაველი და მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანის ნაწყვეტები, გახლავთ რუსი მწერლისა და მეცნიერის ევგენი ბოლხოვიტინოვის, ნაშრომი – „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“ („საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“, პეტერბურგი 1802). აქ „ვეფხისტყაოსნი“ არის სტორა და ოსიანის ქმნილებათა გვერდით დასახელდა. ეს იყო პირველი შემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისა არა მხოლოდ რუსულ ენაზე, არამედ საერთოდ. ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი პოემის პოპულარიზაციას ევროპულ წრეებში. წიგნის გამოცემას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დაიბეჭდა რეცენზიები გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ითარგმნა გერმანულად (1804 წელი), ხოლო ორი ტაები, ქართული ტექსტი ფრანგული ტრანსკრიფით, დაიბეჭდა პარიზში (1810 წელი). აღსანიშნავია, რომ ე. ბოლხოვიტინოვის მიერ პოემისათვის სახელდებული სათაური – „Барсова кожа“ („ვეფხვის ტყავი“) – პოემის შემდგომ თარგმანებს დიდხანს გაჰყვა.

შემდგომში არერთგზის გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების პოეტური, აგრეთვე პროზაული თარგმანები.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი რუს მკითხველებს პირველად გააცნო ნიკო ჩუბინაშვილმა (1790-1847) წერილში – „ვეფხისტყაოსანი“. ქართული პოემა, შეთხზული შოთა რუსთაველის მიერ.

1833 წელს უურნალ „ტელესკოპში“ (№5) დაიბეჭდა პოლონელი მოღვანის კონსტანტინე რდულტოვსკის წერილი „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“ (რუსულ ენაზე ნათარგმნი პ. დუბრივსკის მიერ). პოემის სათაურია – „Покрытий леопардовой кожей“. მოყვანილია რამდენიმე სტროფის სიტყვასიტყვითი თარგმანი და პოემის მოკლე შინაარსი, ახლავს მოყვანილი მეტაფორების განმარტებაც.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, დავით ჩუბინაშვილის (1814-1891), წერილი „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (1802) – ლექსთნყობის საკითხებზე მსჯელობისას პოემის პირველი სტროფის რუსული თარგმანია მოყვანილი. შემდგომ დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა პოემის ცალკეული სტროფების პროზაული თარგმანი და მონანილეობა მიიღო პოეტური თარგმანის მომზადებაში, რომელიც განახორციელა რუსმა მწერალმა იპოლიტე ბარტლინსკიმ. ეს თარგმანი (142 სტროფი) პირველად 1845 წელს უურნალ „ილუსტრაციაში“ (№6, №7) დაიბეჭდა. თარგმანში პოემის სათაურია – „Тариел, Барсова кожа“. დ. ჩუბინაშვილმა ეს თარგმანი ქართული ქრესტომათის მეორე წიგნში შეიტანა (გამოიცა 1846 წელს), შესავალი წერილი ნარუმდლვარა და აღნიშნა, რომ ამ ნაწყვეტის თარგმანში თავად მონანილეობდა.

1846 წელს გაზეთ „Кавказ“-ში დაიბეჭდა ივანე ევლახოვის (1825-1888) მიერ შესრულებული პოემის ახალი რუსული თარგმანი, რომელიც თეთრ ლექსად იყო შესრულებული. ი. ევლახოვი უცხო მოყმის ნახვის ამბის თარგმანში სქოლიოში შენიშნავს, რომ რუსულად შეცდომით თარგმნიდნენ პოემის სათაურს – „Барсова кожа“. მისი აზრით, სათაური შემდეგნაირად უნდა ითარგმნოს – „Герой покрытий (одетый) барсовой кожей“.

1849 წელს გაზეთ „Кавказ“-ში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანის ნაწყვეტი, რომელიც ა. აბაშიძეს ეკუთვნოდა. პოემის ნაწყვეტების თარგმნა სცადა რუსმა მწერალმა ვ. სოლოგუბმაც.

რუსმა მწერალმა და უურნალისტმა, გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორმა ევგენი სტალინსკიმ, 1888 წელს წიგნში – „ვეფხისტყაოსანი“, შოთა რუსთაველის ქართული პოემა შეიტანა თავისი ნარკვევი – „შოთა რუსთაველი“ ქართველი სახალხო პოეტი“. აქვე დაიბეჭდა პოემის ქართული ტექსტისა და თარგმანების ნაწყვეტები რუსულ (ი. ბარდეტინსკის, ე. სტალინსკის), სომხურ (ს.ბასტამიანისა), გერმანულ (ა. ლაისტისა) და ფრანგულ (ა. ბორენისა) ენებზე.

1888 წელს გამოქვეყნდა იონა მეუნარგიას მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი (თავისუფალი გარდათქმა), რომელიც გ. ქართველიშვილის ხარჯით წიგნად დაიბეჭდა თბილისში. ი. მეუნარგიას პოემის მოკლე შინაარსი თავდაპირველად ქართულად დაუწერია, შემდეგ უთარგმნია რუსულად. ი. მეუნარგიამ თავისი თარგმანი 1888 წელს თბილისში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე III -სა და მის მეუღლეს მიართვა. აღნიშნული თარგმანი განმეორებით 1890 წელს დაიბეჭდა. იგი 4 დაუსათაურებელი თავისაგან შედგება და მასში რამდენიმე სტროფი თუ ტაეპი გალექსილია.

ნიკო მარმა (1864-1934) პეტერბურგში 1910 წელს გამოაქვეყნა წიგნი – „Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой коже“ Шоты из Рустава. Грузинский текст, русский перевод и пояснения с этиодом „Культ женщины и рыцарство в поэме.“ („შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასკვნითი სტროფები. ქართული ტექსტი, რუსული თარგმანი და განმარტებანი ნარკვევით „ქალის კულტი და რაინდობა პოემაში“). წიგნში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ეპილოგის ნიკო მარის მიერ შესრულებული რუსული პროზაული თარგმანი, ერთვის ვრცელი კომენტარები.

„ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ნაწყვეტების თარგმანი რამდენჯერმე გამოიცა (1916, 1918, 1919, 1927 წლებში) თბილისში სერგი შარტის შესრულებით. ცნობილმა რუსმა პოეტმა ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ (1903-1958) „ვეფხისტყაოსანი“ ახალგაზრდებისათვის რუსულ ენაზე დამუშავა (1937). იგი არაერთხელ გამოიცა. ეს იყო პირველი ცდა ახალგაზრდა მკითხველისათვის რუსთაველის თარგმნისა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე ეკუთვნის მწერალ კონტანტინე ბალმონტს (1867-1942) თარგმანი – „Носящий барсову шкуру,“ 1933 წელს დაბეჭდა პარიზში კ. ბალმონტის ხარჯით. კ. ბალმონტმა გამოცემის ერთი წიგნი წარწერით სტალინს, როგორც ქართველს, უსახსოვრა.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე გადატანის არცერთ ცდას კ. ბალმონტამდე ქართული საზოგადოების ასეთი ყურადღება არ მიუჰცევია. 1914 წლის 10 აპრილს თბილისში პირველად ჩამოსულ კ. ბალმონტს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ქართულ თეატრში. პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: „როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ, რუსები, მაშინ ჩვენ, შთამომავლობას, ანდერძად დაგვიბარეს: არ დავივინყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყოფლად ვიაროთ ერთი გზით. მას შემდეგ მთელმა საუკუნემ განვლო და ეს წმინდა ანდერძი, ჩვენი ცდისა და მზადყოფნის მიუხედავად, ჩვენს მიმართ სისრულეში ჯერაც არ არის მოყვანილი. არ სრულდება იმიტომ, რომ განსხვავებულად ესმით მისი აზრი. ერთი მხარე ფიქრობს, რომ სიყვარულის, ძმობისა და ერთობისათვის საჭიროა გული, მეორე კი ფიქრობს — მხოლოდ ძალა. ლირსების დაუფასებლობა იმ ხალხისათვის, რომელსაც მრავალი ათეული საუკუნე თავისუფლად, კულტურულად და დამოუკიდებლად უცხოვრია, მეტად გულსატკენია... მაგრამ ნუ მოვიგონებთ წარსულს. მადლობა ღმერთს, ახლა მომრავლდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც გვპირდებიან გაზაფხულს, რომლებიც ეკლებს კი არა, ყვავილებს მოგვიტანს. ერთ მათგანს ვხედავთ დღეს ჩვენს შორის — უაღრესად სიმპათიურ ინტელიგენტსა და გამოჩენილ პოეტს კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონტს. მივესალმოთ, ბატონებო, მას, როგორც გაზაფხულის პირველ მერცხალს, ჩვენი გულითადი მრავალუამიერით.“¹

თავდაპირველად ქართველები კ. ბალმონტის თარგმანის კრიტიკას ერიდებოდნენ. იოსებ არიმათელი (იმედაშვილი) წერილში – „შოთა რუსთაველი და კონსტანტინე ბალმონტი“ (1915), ორი თვალსაზრისით წარმოაჩენს კ. ბალმონტის თარგმანის მნიშვნელობას – რუსეთის საზოგადოება გაეცნობა დამოუკიდებლობის ხანაში პატარა საქართველო, თუ რა „ბუმბერაზ“ შვილებს ზრდიდა და იმავდროულად გარუსება-გადაგვარების გზაზე შემდგარი ქართველობა შეიცნობს „რა განძი გვქონია, რა ზნეობის, რა გონებისა თუ სიყვარულის სახარება და მშობლიურ ლიტერატურას უფრო თავგამოდებით დაეწაფება.“²

1. ა. წერეთელი, „Речь на банкете в честь поэта К. Д. Бальмонта.“ წიგნი-ა. წერეთელი, თხ. ტ. XV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1961.

2. ი. არიმათელი (იმედაშვილი) წერილში — „შოთა რუსთაველი და კონსტანტინე ბალმონტი“, ურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №41, გვ. 6-8.

1936 წელს მოსკოვში „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის გამოცემა სტალინის სახელს უკავშირდება. სწორედ, სტალინის მითითებით თარგმანში ჩაურთავთ ე. წ. „ინდო-ხა-ტაელთა ამბავი“, რომელიც საგანგებოდ ათარგმნინეს ე. ტარლოვსკაიას. სტალინი ამ თარგმანით კი კავშირის არ იყო. კ. ბალმონტის თარგმანის მოსკოვური გამოცემის სარედაქციო წინასიტყვაობაში ნათქვამია: „თარგმანი დაზარალებულია მთელი რიგი ისეთი ნაკლოვანებებით, რომლებიც ხელს შეუშლის რუს მკითხველს, სავსებით სწორი წარმოდგენა იქონიოს რუსთაველის ნანარმოებზე ორიგინალში. ამ შემთხვევაში წარუმატებლობის მთავარ წყაროდ უნდა ჩაითვალოს შინაგანი რითმები, რომლებიც ლექსის მუსიკალობასთან მიმართებით არ იძლევა ეფექტს და რომლებმაც ორიგინალის უფრო ზუსტ ასახვას ხელი შეუშალა. ამ შინაგანი რითმების დადევნების გზაზე მთარგმნელი პატარა ნაკუნებად ჩეხს რუსთაველის ფართო უძერადობის ფრაზებს, რომლებმაც ტაეპის შიგნით დაყოვნება და გაჩერება არ იციან, რის შედეგადაც იჩეხება, სახეს იცვლის და ფერმკრთალდება პოეტის აზრი“ (გვერდი 19-20)¹. აქვე აღნიშნულია ამ თარგმანის გამოცემის მიზეზიც: „ბალმონტის თარგმანს, რომელსაც ჩვენ არ ვთვლით შესაბამისად იმ მოთხოვნებისა, რომლებიც შესაძლებელი იყო ამ გენიალური პოემის მთარგმნელისათვის წაგვეყენებინა, ჩვენ განვდით იმდენად, რამდენადაც იგი ერთადერთ თარგმანს წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 19) წინასიტყვაობაში, როგორც ჩანს, რედაქციას სტალინის შეხედულება გაუთვალისწინებია.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების მკვლევარი ლ. ანდლულაძე აღნიშნავს: „მართალია, ბალმონტის თარგმანში რუსთაველი ვერ გამოჩნდა, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე ფიგურა, მაგრამ აქ პირველად გამოჩნდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები თავისი ვნებებითა და განცდებით. პირველად დაფიქრდა რუსი მკითხველი „ვეფხისტყაოსაზე“, როგორც პოეტური ხელოვნების შედევრზე“ (გვ.42)²

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავთან დაკავშირებით რუსულ ენაზე სამი სრული პოეტური თარგმანი შესრულდა. მათგან პირველი თარგმანი „Витязь в тигровой шкуре“ – გიორგი ცაგარელს (1893-1955) ეკუთვნის. იგი გამოიცა 1937 წელს მოსკოვში ვლ. ელსნერის რედაქციით. თარგმანს ერთვის გ. ცაგარელის შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე თარგმნის საკითხებზე. მასში განსაკუთრებით ეთმობა ყურადღება კ. ბალმონტის თარგმანს, რომელიც ავტორის შენიშვნით, რუსული თარგმანის პროზაული პწკარედიდან და უორდროპისეული ინგლისური პროზაული თარგმანიდანაა შესრულებული. გ. ცაგარელის შეხედულებით კ. ბალმონტის თარგმანი სრულ წარმოადგენას ვერ იძლევა რუსთაველის პოემაზე. მთარგმნელი აღნიშნავს საკუთარი ნაშრომის ღირსებას – იგი ორიგინალიდანაა შესრულებული.

პოემის რუსული თარგმანების ნაწყვეტები გამოაქვეყნეს ვ. დერჟავინმა, პ. ანტაკოლსკიმ, ს. კლიჩკოვმა.

1934 წელს პარიზში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანით დაინტერესდა პ. პეტრენკო (1908-1936) და პოემის თარგმნას შეუდგა. თარგმანის ნაწყვეტები პერიოდულად იბეჭდებოდა. 1935 წლის 5 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში პ. პეტრენკომ წაიკითხა საკუთარი თარგმანის ნაწყვეტები და წარმოუდგენელი წარმატება ხვდა წილად. როგორც თავად ამბობდა, ეს მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე იყო. პ. პეტრენკო ფიქრობდა, ორ თვეში დაესრულებინა პოემის თარგმნა და შემდგომ გამოეცა. 1936 წლის მაისში იგი ტრაგიკულად დაიღუპა და მხოლოდ 1938 წელს გამოქვეყნდა პ. პეტრენკოს მიერ რუსულ ენაზე ამეტყველებული „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი – „Витязь в тигровой шкуре“, რომელიც შესრულებულია კ. ჭიჭინაძის მონანილებითა და რედაქტორობით, პასუხისმგებელი რედაქტორი გახდათ ი. ორბელი. კ. ჭიჭინაძის აზრით, „მთარგმნელმა მხატვრულ გაფორმებაში შესძლო რუსთაველის არა მხოლოდ აზრების, მეტაფორებისა და სახეების, არამედ მისი შემოქმედების ჭეშმარიტი სულის, მუღერი სტროფების მაღალი პათოსის გადმოცემა, რომელიც მთელ პოემაშია დაღვრილი“ (გვ. 4)³

1. „ვეფხისტყაოსანი“ - კ. დ. ბალმონტის თარგმანი ქართულიდან, გამომცემლობა აკადემია. მოსკოვი-ლენინგრადი, 1937.

2. ლ. ანდლულაძის - „ბალმონტი და საქართველო“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1972.

3. კ.ჭიჭინაძე - „რუსთაველი პ. პეტრენკოს თარგმანში“ (რუსულ ენაზე) გაზეთი „Литературная газета“, 1937, 10 ივნისი გვ. 4.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მეოთხე სრული პოეტური თარგმანი შეასრულა შალვა ნუცუბიძემ. აღნიშნული თარგმანი – „Витязь в тигровой шкуре“ 1941 წელს გამოიცა მოსკოვში სერგეი გოროდეცის რედაქციით. საინტერესოა ამ თარგმანის ისტორია, რომლის შესახებ თავად მთარგმნელი მოგვითხრობს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორისადმი წარდგენილ წერილში, თარიღით – 5. XI. 68¹.

ალექსანდრე ბარამიძემ სპეციალური ნარკვევი („ვეფხისტყაოსნის“ ერთი რუსული თარგმანის ისტორიიდან“, „ნარკვევები“, ტ. V, თბ. 1971), უძლვნა ნუცუბიძისეული თარგმანის ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს და განიხილა მთარგმნელის აღნიშნული წერილი. აღ. ბარამიძე გადმოგვცემს შალვა ნუცუბიძის წერილის შექმნის ამბავსაც. როგორც ირკვევა, 1968 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექციის შალვა ნუცუბიძემ გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის პირველი გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარი, რომელიც პირადად სტალინმა რედაქტორის თვალით წაიკითხა და რომელსაც „ბელადის“ მიერ საკუთარი ხელით შესრულებული ჩასწორებანი შემოენახა (შემდგომ პოემის სასიგნალო ეგზემპლარი ი. სტალინის გორის მუზეუმს გადაეცა). შ. ნუცუბიძემ დირექციის პოემის ერთადერთი სასიგნალო ეგზემპლარის ლიტერატურის ინსტიტუტისთვის გადაცემის მიზეზიც აუხსნა-მოხუცებულობისა და ხშირი ავადმყოფობის გამო უნდოდა, საიმედოდ დაებინავებინა მისთვის ძვირფასი სამახსოვრო წიგნი. მეცნიერს სურდა შეესწავლათ იგი, ამავე სახით გამოეცათ, შემდგომ კი რომელიმე მუზეუმისათვის გადაეცათ.

აღ. ბარამიძე გადმოგვცემს, რომ მან შ. ნუცუბიძეს სთხოვა, მოკლედ აღენერა თარგმანზე მუშაობის ისტორია, რათა წერილობითი საბუთი ჰქონიდათ. შ. ნუცუბიძემ რამდენიმე დღეში ინსტიტუტში ოფიციალური განცხადების ფორმით მიიტანა თავისი ჩანაწერი.²

შ. ნუცუბიძე წერილში აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმანს იგი 1937 წელს შეუდგა, თარგმანს წარმატებით ასრულებდა და ნაწყვეტებს თავისუფალ აუდიტორიებში უკითხავდა მსურველებს. თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში (ე. კერძევაძე, მერაბ გოდერძიშვილი, „ამბავი რუსთაველისა“, უურნ. „ახალგაზრდა უურნალისტი“, N5, 1968, გვ. 3) იგი თარგმანის დაწყებას 1936 წლით ათარიღებს. აღ. ბარამიძეს 1936 წელი მიაჩნია სარწმუნოდ, რადგან სწორედ ამ წელს პირადად მას მოუსმენია უნივერსიტეტში შ. ნუცუბიძის მიერ წაკითხული თარგმანის ნაწყვეტები.

შ. ნუცუბიძე თავის ინტერვიუში აღნიშნავს, რომ იმთავითვე გული წყდებოდა, რუსულ ენაზე პოემის ლირსეული თარგმანი რომ არ არსებობდა. ნარკვევში – „ქართველი პოეტები და მეცნიერები რუსთაველის პოემის ახალი თარგმანების შესახებ“ – გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ნააზრევთა შორის შ. ნუცუბიძის

შეხედულებაცაა წარმოჩენილი. მისი აზრით, გ. ცაგარელის თარგმანს კ. ბალმონტის, პ. პეტრენკოს და სხვათა რუსული თარგმანების წინაშე აქვს ის უპირატესობა, რომ შესრულებულია აზრის სრული წარმოდგენისა და რუსთაველური ლექსის უღერადობის საფუძველზე. მეცნიერი დასძენს: „რასაკვირველია, გარითმული ლექსით თარგმნა გ. ცაგარელს რთულ მდგომარეობაში აყენებს: მას ტექსტიდან დაშორება ან მისი მოთხოვნილების შესაბამისად გადაკეთება უხდება.“ (გვ. 5) 3 შ. ნუცუბიძე პოემის რუსული თარგმანებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პ. პეტრენკოს თარგმანს: „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანებიდან პ. პეტრენკოს თარგმანი, რომელსაც სსრკ აკადემიის გამომცემლობა აქვეყნებს, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. თარგმანი რუსთაველის შემოქმედების დიდად მცოდნე ქართველი პოეტის – კ. ჭიჭინაძის, რედაქციით გამოდის. მან პეტრენკოსთან ერთად პოემის ყოველი ტაეპი დახვეწა. პეტრენკოს თარგმანში პოემა არაჩვეულებრივი მუსიკალობით უღ-

1. საქართველოს შსს არქევი, (III), ფურცელი №8, აღნერა №14, საქმე №209, შალვა ნუცუბიძის ხელნაწერი. ფურცელი 6/11. შემდგომში ციტატებს მოვიხმობთ ამავე ხელნაწერიდან.
2. წერილი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“, „რუსთაველის თარგმნა არის შენი გადარჩენის პირობა“, „პირველი იანვარი, 1993 წ, გვ. 13
3. ვ. გაფრინდაშვილი - „ქართველი პოეტები და მეცნიერები რუსთაველის პოემის ახალი თარგმანების შესახებ“ (რუსულ ენაზე), უურნალი „Книжные новости“, მოსკოვი 1937, 15 აპრილი, №7, გვ. 5-6

ერს... პოემა ორიგინალის სრულ ილუზიას ქმნის. უმდიდრესი ლექსიკა, ლექსის ფრთიანობა რუსთაველის პოემის ახალ თარგმანს მეტად ფასეულს ხდის... (იქვე, გვ. 5-6). პ. პეტრენკოს თარგმანის ასეთი შეფასების მიუხედავად, ნუცუბიძე მაინც ფიქრობდა, რომ უკეთესი, ღირ-სეული თარგმანის შესრულება შეიძლებოდა, ამიტომაც თავადაც მოსინჯა ძალა და პოემის ზოგიერთი ნაწყვეტი თარგმნა.

წერილის დასაწყისში შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ მისთვის სირთულეს წარმოადგენს მოვლენების ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოცემა. ეს არცაა გასაკვირი, თხრობა ხომ 27 წლის შემდეგ ხდება. თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ ეს არაა მთავარი მიზეზი. მეცნიერი აქვე შეინშნავს, რომ თარგმნის ისტორია მეტად „ბუნდოვან პირობებში მიმდინარეობდა“. „ბუნდოვანი პირობები“ კი შ. ნუცუბიძისათვის უფრო ადრე დაიწყო. იგი როგორც თავად მოგვითხრობს, მოულოდნელად დაპატიმრეს და რამდენიმე დღეში მოსკოვში, ლუბიანკაზე, აღმოჩნდა „ჩასახლებული“. წერილში შ. ნუცუბიძე დაპატიმრების მიზეზებზე არ საუბრობს, თუმცა ზემოაღნიშნულ ინტერვიუში იგი ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ ცნობებს გვაწვდის და ბრალდებასაც გვიმხელს: „დავიწყე პირველი თავების თარგმნა, საქმე აეწყო და კარგადაც მიდიოდა, მაგრამ

ცნობილი ანდაზისა არ იყოს: „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო“, მალე დამაპატიმრეს ავადხსენებული ბ... პირადი მოსაზრებებით, მრავალ „გამოურკვევ საკითხთა გასარკვევად“. როგორც ჩანს ეს ავადხსენებული ბ... ლავრენტი ბერია, ინტერვიუშიც კი, მასზე გვარის მხოლოდ პირველი ასოთია მინიშნება (წერილი 1968 წელსაა დაწერილი და შესაბამისად, ამ პერიოდში ბერია „ავადსახსენებელია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძის აღნიშნულ წერილს თანადროულობის კონიუნქტურული დაღი ამჩნევია), „გამოურკვეველი საკითხები“ კი ბერიასათვის (და კიდევ სხვებისათვის...) ღრმადმოაზროვნე შ. ნუცუბიძის პირვენებას უკავ-შირდებოდა, როგორც ეს სხვა მნიშვნელოვანი, მაგრამ მათთვის საშიში, ქართველი თუ სხვა ეროვნების ღირსეული წარმომადგენლების შემთხვევებში ხდებოდა.

აღ. ბარამიძის ნარკვევში არაფერია ნათქვამი შ. ნუცუბიძის დაპატიმრების შესახებ, თუმცა იგი მის ინტერვიუს იცნობს და იმოწმებს კიდეც. აღ. ბარამიძის წერილს დაწერის თარიღი არ აქვს. მისი „ნარკვევების“ V ტომი, სადაც ეს წერილია მოთავსებული, 1971 წელსაა გამოცემული. ჩანს, რომ ამ პერიოდშიც ერიდებოდნენ ამ თემაზე საუბარს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია „УГВ НКВД СССР“-ის (საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის) მე-4 განყოფილების მიერ 1938 წლის 29.XI-ს შედგენილი კარტოთეკა,¹ რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე, დაბადებული 1888 წელს, ქუთაისის გუბერნიის სოფელ ფარცხანაყანებში, ამჟამად მცხოვრები ქ. თბილისში, პეროვსკაიას 6, პროფესია და სპეციალობა – მეცნიერთანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი, საქმიანობა – სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, ნარსული – სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი, სოციალური მდგომარეობა – მოსამსახურე, პარტიულობა – უპარტიო, ნაციონალობა – ქართველი, მოქალაქეობა – საბჭოთა, დაპატიმრებულია 31 VIII, 1938 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით – 58-10, 58-11, „НКВД СССР“-ის დეპეშის მოთხოვნის თანახმად, 1938 წლის 1.XII სპეციალური ბადრაგის თანხლებით „ეტაპირებულია“ საქმესთან ერთად სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტში – ქ. მოსკოვი, აქვე აღნიშნულია, რომ შ. ნუცუბიძე „НКВД СССР“-ის ბრძანების (№26/8/44901) საფუძველზე გათავისუფლებულია პატიმრობიდან და საქმე დახურულია.

იმ პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსის 58.10 მუხლის თანახმად, შ. ნუცუბიძეს ბრალი ედება შპიონაჟში. ეს მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მკაცრი იზოლაციის ქვეშ არანაკლებ სამი წლის ვადით. აქვე აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპიონაჟმა გამოიწვია, ან შესძლო სახელმწიფო ინტერესებისათვის განსაკუთრებულად მძიმე შედეგები გამოეწვია, სასჯელი – დახვრეტა. მუხლი – 58.11-ის მიხედვით, ფილოსოფიის დოქტორს, უნი-

1. საქართველოს შსს არქივი, II, ფ. №8, აღნერა №14, საქმე №209, ფურც 12

ვერსიტეტის პროფესორს წაყენებული აქვს ბრალდება – მშრომელი ხალხისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ აქტიური ქმედება თუ აქტიური ბრძოლა, რომელიც გამოვლენილია (ამ შემთხვევაში) კონტრევოლუციური მთავრობების საპასუხისმგებლო ან განსაკუთრებულ საიდუმლო თანამდებობებზე სამოქალაქო ომის პერიოდში. სტალინის ეპოქაში ასეთი ბრალდებით მრავალი უდანაშაულო ადამიანი იყო დაპატიმრებული და გასამართლებული.

შ. ნუცუბიძის დაკავებასთან დაკავშირებით თავად „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ინტერვიუში მოწოდებულ ინფორმაციას ავსებს მისივე წერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ დაპატიმრებისას მას ჩამოართვეს „ვეფხისტყაოსანი“, თარგმნის ნაწყვეტები და პოემის ტექსტთან დაკავშირებული „განმარტებითი ხასიათის ნაშრომები“. შ. ნუცუბიძის მოგონების მიხედვით, დიდი დრო არ იყო გასული, რომ მის „ახალ მასპინძლებს“ და მასაც, „მათ მოულოდნელ სტუმარს“, თითქმის დაავიწყდათ პოემის თარგმანის ნაწყვეტების შემცველი და დიდი „სულისკვეთებით“ გაუდენთილი ნაშრომები. „ყოველ შემთხვევაში მათი გახსენებით თავს არავინ იწუხებდა და არც მე მაწუხებენ“ (ფურც 7) – დასძენს მთარგმნელი პატიმარი. როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, შ. ნუცუბიძის შრომა არ დავიწყებიათ, სხვებს შეიძლება არ ახსოვდათ, მაგრამ სტალინი ფხიზლად იყო და „ვეფხისტყაოსნის“ ლირსეულ, სრულფასოვან რუსულ თარგმანზე გამუდმებით ფიქრობდა (კ. ბალმონტის თარგმანით იგი არ იყო კმაყოფილი). რასაკვირველია, „ათასი თვალისა და ათასი ყურის“ მქონე სტალინმა იცოდა შ. ნუცუბიძის დაპატიმრებისა და მისი თარგმნილი ნაწყვეტების შესახებ. წერილში ეს აღნიშნული არაა, ინტერვიუში კი შ. ნუცუბიძე გარკვევით ამბობს, რომ „რამდენიმე თვის შემდეგ ი. ბ. სტალინი დაინტერესდა ჩემი დაპატიმრების გამომწვევი მიზეზებით და კიდევ უფრო იმით, რომ გაეგო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ამბავი“. ცდამაც არ დააყოვნა.

შ. ნუცუბიძე იხსენებს, რომ ერთ დღეს გამოძახებისას ჰკითხეს, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის სურვილი თუ ჰქონდა. მეცნიერის პასუხი ამგვარი გახლდათ: „– თქვენ ეს რატომ გაწუხებთ? რა იცით ამის შესახებ?“ შ. ნუცუბიძემ მაშინ არც კი იცოდა, როგორ იყო დაინტერესებული სტალინი მისი ნაშრომით და ამდენად იმ პერიოდისათვის მისი ერთობ გულუბრყვილო შეკითხვა სავსებით გულუნრფელად უღერდა. ამ შეკითხვას მკაფიო პასუხი გასცეს, რომ ყველაფერი იცოდნენ თარგმანთან დაკავშირებით და აუდიტორიებში მისი საჯარო კითხვის შესახებაც.

შ. ნუცუბიძეს საპატიმროში აცნობეს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის დასრულების საშუალებას აძლევდნენ. ეს შეთავაზება უფრო სწორად, „ამ ფრაზის რედაქცია“ მეცნიერს დიდად არ მოეწონა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, „სხვა გზა არ იყო, თანხმობა განვაცხადე“. პატიმარი მთარგმნელისათვის სიტუაცია უმაღვე შეიცვალა, მეორე დღესვე მის კამერაში „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემა გაჩნდა და თქვენ წარმოიდგინეთ, „სადილი არესტანტების სასადილოდან კი არა, თანამშრომელთა სასადილოდან“ მიუტანეს, რამაც შ. ნუცუბიძეც გააკვირვა (ამ ფაქტის აღნიშვნა ამას მონმობს). მთარგმნელისათვის „ახალი ცხოვრება დაიწყო“. ტყვე ნუცუბიძე გულმოდგინედ მუშაობდა თარგმანზე და მთელი კვირის მანძილზე შესრულებული მისი ნაკვეთები ყოველ შაბათ დღეს მიჰქონდათ, თავად არ იცოდა – სად, მხოლოდ შემდგომ გაიგო, რომ სტალინი კითხულობდა მის თარგმანებს.

შ. ნუცუბიძის ინტერვიუში კვლავაც საინტერესო ფაქტები ფიქსირდება. მთარგმნელი სტალინთან გამოიძახეს კრემლში, „მის ბინაზე“, ეს უკვე დიდი პატივი გახლდათ, საკნიდან პირდაპირ კრემლში, თანაც მთავარსარდალთან. ამგვარი კეთილგანწყობა შ. ნუცუბიძის ბრწყინვალე თარგმანების დამსახურება იყო. ასეთ დამოკიდებულებას სტალინის ღიმილით ნათქვამი ფრაზაც ამოწმებდა: „როგორ არის თქვენი და რუსთაველის ამბავი?“. დიდი იუმორის გრძნობამ, აქაც არ უღალატა შ. ნუცუბიძეს და სტალინს მოსწრებული პასუხი ღიმილითვე გასცა: „– როგორაა და აგერ რვა თვეა პატიმრობაში ვიმყოფებით ორივე“. სტალინმა მთარგმნელს ჰკითხა, მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები თუ ჰქონდა, მისი შემდგომი პატიმრობის ამბის „გარკვევას“ დაპირდა და „იქვე მდგომ ბ... მიუბრუნდა: – ხელი შეუწყვეთ, დაეხმარეთ, ეს საჭიროა, ძალიან საჭიროა...“. ბერია, შ. ნუცუბიძის საქმეში (ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივ ამბავსა და მოვლენაში) პირდაპირ იყო ჩართული და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესის უშუალო თვალყურმადევარი გახლდათ. მისთვის, მხოლოდ სტალინის მითითება იყო საჭირო და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

შ. ნუცუბიძის წერილი კიდევ ერთ, მეტად საინტერესო ეპიზოდს გვაწვდის. პატიმარ-მთარგ-

მნელს ერთ დღეს ქობულოვმა ასეთი ამბავი მოუტანა, თურმე სტალინს ერთი თავისი „დიდი თანამშრომლისთვის“ უკითხავს, თუ იცოდა, შაშვი რა ფრინველი იყო. „დიდი თანამშრომელი“ (ალბათ, ბერია), როგორც ჩანს, ვერ ჩასწვდა სტალინის მეტაფორული შეკითხვის დედააზრს, პირდაპირ გაიგო მისი ნათქვამი და მარტივი პასუხი გასცა, რომ მათს მხარეში ბევრი შაშვი იყო, ხშირად ენახა და მოესმინა კიდეც. სტალინი „დიდი თანამშრომლის“ მიუხვედრელობამ ვერ შეაჩერა, მობაასეს არ მოეშვა და ჰკითხა: „გალიაში მომლერალი შაშვი თუ მოგისმენია?“ (ფურც. 8). ამგვარმა კითხვამ დააბნია მოპასუხე, კვლავაც ვერ ამოიცნო სტალინის მინიშნება. ბელადმა უფრო დააკონკრეტა სათქმელი და განაგრძო: „— არც კამერაში მომლერალი მგოსანი არსებობს? თუ მართლაც გსურს მიიღო რუსთაველის პოემის თარგმანი — გაუშვი ის გალიოდან, რომელშიც შენ ამლერებ“. (იქვე)

აღნიშნული დიალოგიდან ჩანს, რომ ამ „დიდ თანამშრომელს“ თითქოს არ უნდოდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანის შესრულება-დასრულება და არც გალიაში „დატყვევებული“ და „კამერაში მომლერალი მგოსნის“ გაშვება, თითქოს, მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული ტყვე-მთარგმნელის ბედი. ბერიასათვის სტალინის სიტყვა იყო გადამწყვეტი და ბელადის ეს შეფარვით ნათქვამი ერთგვარი სანქცია გახლდათ. აյ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. როგორც ჩანს, სტალინმა შ. ნუცუბიძეს გამოსაცდელი დრო მისცა, როგორ გაართმევდა იგი თავს თარგმანს, ამაზე იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლე დამოკიდებული.

ამდენად, შ. ნუცუბიძეს ბენვის ხიდზე უნდა გაევლო. კარგ კაცს კი, როგორც ილია ჭავჭავაძე თავის პერსონაჟს, ოთარაანთ ქვრივს ათქმევინებს, „ადულებულ კუპრის ზღვაზედ“ გადებული ბენვის ხიდი არ ჩაუწყდება, „მადლი მხრებში შეუჯდება და გაატარებს“. მართლაც, ნუცუბიძისეული თარგმანების საგულდაგულო წაკითხვის შემდეგ ბელადისათვის პატიმარი ნუცუბიძე „მომლერალ შაშვად“, მგოსნად იქცა, რომელიც თავისუფლებაში უფრო ლალად და ტურფად იგალობებდა. და როდესაც ნუცუბიძისათვის, „განთავისუფლების იმედი თანდათან ქრებოდა“, სწორედ მაშინ ქობულოვმა სტალინის განკარგულება აცნობა მისი გათავისუფლების შესახებ, მხოლოდ ერთი პირობით-პოემის თარგმნა გარკვეულ ვადაში უნდა დაესრულებინა, ციხეში იქნებოდა ეს, თუ ციხის გარეთ, „მოლაპარაკებაზე“ იყო დამოკიდებული. ძნელი აღმოჩნდა შ. ნუცუბიძისათვის ამ პირობაზე პასუხის გაცემა. იმ პერიოდისათვის მას „ვეფხისტყაოსანი“ სანა-ახევროდ ჰქონდა თარგმნილი, „მაინც გაბედა“ და მისი დასრულებისათვის წელიწადნახევრის ვადა დაასახელა. ქობულოვს თურმე გაუკვირდა პატიმრის პასუხი, რადგან იგი მთარგმნელს „თავისუფლებას უზღუდავდა“. ამ მოლაპარაკების შემდეგ ქობულოვმა ნუცუბიძე გაათავისუფლა და თავისებური, მაგრამ უდავო ჭეშმარიტება რჩევა-დარიგების სახით მიაწოდა: „გახსოვდეს, რომ რუსთაველის თარგმნა იყო და არის შენი გადარჩენის პირობა“ იქვე). ეს სიტყვები ადასტურებენ ზემოაღნიშნულ აზრს, რომ შ. ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანის წყალობით ერთხელ უკვე გადაურჩა სიკვდილს (თარგმანი იყო გადარჩენის პირობა) და თარგმანის დასრულებაც შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს (თარგმანი არის გადარჩენის პირობა).

საპატიმროდან გათავისუფლებული შ. ნუცუბიძე სოკოლნიკში დაასახლეს. თუმცა, მისთვის საცხოვრებლად მიჩენილი ადგილი, ციხესა და საგიუსს შორის, შემოქმედებითი საქმიანობისათვის და ფსიქოლოგიურადაც მეტად მძიმე იყო. ამაზე მეტყველებს შ. ნუცუბიძის ექსპრომტი, რომლითაც მან მასთან სანახავად მისულ კონსტანტინე გამსახურდიას მიმართა:

იქით ციხე და აქეთ საგიუს
აპა რით მართობს მე ეს სოფელი,
ვდგევარ მათ შორის შეუპოვარი,
ვხარხარებ, როგორც მეფისტოფელი.

რამდენად დიდი ტრაგიზმის, ტკივილის, მწუხარების, მაგრამ ამასთანავე სულიერი შემართების, შეუპოვრობის გამომხატველია ეს სტრიქონები. მთარგმნელი გაათავისუფლეს, უფრო სწორად, თავისუფლების ილუზია შეუქმნეს, მაგრამ მაინც დამთრგუნველი სივრცით შემოზღუდეს, რათა მუდმივად „საგანგებო მეთვალყურეების“ გარემოში ეგრძნო თავი და მუდმივად ხსომებოდა თავისი „გადარჩენის პირობა“. შ. ნუცუბიძე იმასაც აღნიშნავს, რომ იმ გარემოში თარგმანი სასურველი ტემპით ვერ მიდიოდა და „საგანგებო მეთვალყურეები ხანდისხან კეთილი სურვილითაც აჩქარებდნენ“.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, როგორც შ. ნუცუბიძის წერილიდან ვიგებთ, მან 1939 წლის პირველი მაისის მოახლოვებისკენ დაასრულა. პოემის სრული თარგმანი სტალინს გაუგზავნა, რომელმაც, როგორც შემდგომში გაირკვა, დიდი ყურადღებით წაიკითხა ტექსტი. შ. ნუცუბიძეს ამის შემდგომ თარგმანი აღარ უნახავს, ვიდრე სტალინმა სტამბურად აწყობილი ტექსტის საბოლოო კორექტურა არ დაიწყო.

თავის ინტერვიუში შ. ნუცუბიძე ამბობს, რომ იგი მეორედ გამოიძახეს კრემლში, სადაც „სხვა ქართველი ამხანაგბიც იყვნენ მინვეულნი“. სტალინმა ყველას გასაგონად თქვა: „До сих пор я знал хороший перевод Петренко, но это не только перевод, а наилучшее литературное произведение“. („აქამდე მე ვიცნობდი პეტრენკოს კარგ თარგმანს, მაგრამ ეს არა მარტო თარგმანია, არამედ საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები). ბელადის ეს სიტყვები უკვე დიდი აღიარება იყო და მთარგმნელისთვის – ერთგვარი ხელშეუხებლობის გარანტი. აღნიშნული შეხვედრისას სტალინმა შ. ნუცუბიძეს ორი ტაეპის საკუთარი თარგმანი შესთავაზა (ამ შემთხვევაში იგი არ ეთანხმებოდა მთარგმნელის სტრიქონებს) და თუ მასაც მოეწონებოდა, საჩუქრად მიეღო. ეს გახლდათ ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდიდან 1413-ე (1414-ე)¹

სტროფის (ნუცუბიძის თარგმანში 1416-ე სტროფის) პირველი ორი ტაეპი:

„ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.

რა ნახნეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.“

სტალინისეული თარგმანი –

Вдруг коней вперед рванули, засвистели плети мигом,

Кони врезались, весь город, огласился воем, визгом.

შ. ნუცუბიძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს: „ძლიერ გამახარა მისმა დიდმა ყურადღებამ და გულისხმიერებამ, და, რა თქმა უნდა, მივიღე მისი საჩუქარი, მითუმეტეს, რომ მისი ეს სტრიქონები უფრო ზუსტი და პოეტური იყო, ვიდრე ჩემი...“. შესაძლოა ასეც იყო, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ამ

თარგმანის ავტორი, ვინ იყო, განა დიდი ბელადის პოეტურ სიტყვას ვინმე დაიწუნებდა? ამ ტაეპების ნუცუბიძისეული თარგმანი არ შემორჩენილა და, ამდენად, შედარების საშუალება არ გვეძლევა. ყოველ შემთხვევაში, მთარგმნელს ის მოეწონა და საკუთარს ამჯობინა. შ. ნუცუბიძე აქვე დასძენს, რომ: „სტალინი ძლიერ პოეტური ბუნების ადამიანი იყო და, რაც უფრო გასაოცარია, პოეტურობა ერწყმოდა მძლავრ და ნათელ აზროვნებას“. ჩვენი მხრივ, უნდა დავგინოთ, რომ „ვარდს გაეფურჩენა კოკორის ავტორმა“, სტალინმა, ამ ტაეპთა თარგმანში თავისი პოეტური ნიჭი კვლავაც გამოავლინა და ამჯერად, საკუთარ „ხელოვნებაში“, ოსტატობაში დარწმუნებულმა, რუსთაველის თარგმანაც „გაბედა“.

შ. ნუცუბიძის წერილში, მისი ინტერვიუსაგან განსხვავებით, აღნიშნული ამბები (კრემლში მისი მეორედ მისვლა და სტალინის მიერ საკუთარი თარგმანის შეთავაზება) სხვაგვარადაა გადმოცემული. შ. ნუცუბიძის თქმით, როდესაც ის ლუბიანკაზე გამოჩენდა, მას „მასპინძელმა“ – ბერიამ რუსულ ენაზე ცისფერი ფანქრით დაწერილი სტალინის წერილი გადასცა. ეს დოკუმენტი ბერიასადმი იყო მიწერილი. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ ამ ადრესატს (ბერიას სტალინმა წერილის მისთვის ჩვენება დაავალა. აი ეს წერილიც: „До последнего времени я считал, что лучший перевод Руставели на русский язык – это перевод Петренко. Ознакомившись с переводом Нуцубидзе я считаю, что он не только лучше Петренко, но само по себе выдающееся литературное явление. Мне не порнавилось только одно место из перевода Нуцубидзе, 14-16. Я предлагаю моё исправление этого места. Хорошее надо заменит лучшим“ („უკანასკნელ დრომდე მე ვფიქრობდი, რომ რუსულ ენაზე რუსთაველის თარგმანი – ეს პეტრენკოს თარგმანი იყო. ნუცუბიძის თარგმანის გაცნობის შემდეგ მე ვთვლი, რომ იგი არა მარტო უკეთესია პეტრენკოზე, არამედ თავისთავად ღირსშესანიშნავ ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს. ნუცუბიძის თარგმანიდან მე მხოლოდ ერთი ადგილი არ მომენტა, 14-16. მე ამ ადგილის ჩემს შესწორებას ვთავაზობ. კარგი საუკეთესოთი უნდა შეიცვალოს“) (ფურც.10).

1შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, რედ. ა. შანიძე, ა. ბარამიძე, I, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1966, შემდგომში ტექსტს ამავე რედაქციიდან დავიმოწმებთ

წერილიდან ცხადად ჩანს, რომ სტალინს საკუთარი თარგმანი საუკეთესოდ მიაჩნდა. ბელადი, როგორც თავისი მრავალმხრივი „მოღვაწეობის ყოველ სფეროში, ამ ასპარეზზეც საუკეთესოდ თვლიდა თავს. შ. ნუცუბიძემ ეს დოკუმენტი სტალინის ნებართვით გადაწერა, სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

შ. ნუცუბიძის წერილი სტალინთან გაგზავნილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის შემდგომ ისტორიასაც მოგვითხრობს. როგორც უკვე ავლნიშნეთ, პატიმრობაში მყოფი შ. ნუცუბიძის მიერ მთელი კვირის მანძილზე შესრულებული თარგმანის ნაწყვეტები სტალინთან მიჰქონდათ. ამდენად, სტალინი თარგმანზე მუშაობის პროცესში იყო ჩართული და მას ყოველი სიტყვა გაზომილ-აწონილი ჰქონდა. თავად მთარგმნელი წერილში ამბობს, რომ საბოლოოდ დასრულებული თარგმანი „სტალინის მიერ კორექტირებულ თუ რედაქტირებულ ტექსტს იძლევა“ (ფურც.9).

პოემის ნუცუბიძისეული თარგმანი 1940 წლის 22 ნოემბერს სტამბას ასაწყობად გადაეცა და უსწრაფესად, ერთი თვის შემდეგ, გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარი მზად იყო. გამოცემისათვის საბოლოო დასტურის მისაღებად ეგზემპლარი სტალინს (დაბადების დღეზე) 21 დეკემბერს მიართვეს. შ. ნუცუბიძე ამ პერიოდის შესახებ აღნიშნავს, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს, „მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო და საბჭოთა კავშირის საზღვრებთან იგრძნობოდა დენთის სუნი“. მიუხედავად ამისა, სტალინმა საგულდაგულოდ შეამონმა გამოცემა. შ. ნუცუბიძის თარგმანს იგი კარგად იცნობდა, ამიტომ გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარის ტექსტს ხელი არ ახლო, გაფორმება კი შეამონმა. მან სატიტულო ფურცლის ტექსტი საკუთარი ხელით ჩაასწორა. კერძოდ, სადაც აღნიშნული იყო – „Перевод Шалвы Нуцубидзе“, თავისი ხელით ჩაწერა – „Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе“. აქ ხაზგასმულია სიტყვა ს გრუმა თარგმანში პოემის სახელწოდება „Витязь в тигровой шкуре“, ამასთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძე თავის წერილში აღნიშნავს, რომ „ერთი უდიდესი სარედაქციო საქმე სტალინისა არის დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი სათაურის შესანიშნავი გაფორმება, რასაც ხშირად მის წინამორბედთა ხელში მანიშნევი ხასიათი ჰქონდა, ამ მხრივ დახვეწილი ხასიათი მისცა „ვეფხისტყაოსნის სახელწოდებას უცხო ენებზედაც“ (ფურც.10-11). როგორც ჩანს, სტალინს პოემის სათაურზეც უმუშავია, მანამდე არსებული რუსული თარგმანების სახელწოდებისათვის („Барсова кожа“, „Покрытий леопардовской кожей“, „Тарнел Барсова кожа“, „Герой покрытий (одетый) барсовой кожей“, „Носящий барсову шкуру“) „დახვეწილი ხასიათი“ მიუცია. სტალინს მიზანშეწონილად მიუჩნევია, რომ აღნიშნათ თხზულების უანრიც და სათაურის ქვეშ დაუწერია – „Поэма в стихах“, რათა მკითხველს თხზულებაზე იმთავითვე სრული წარმოდგენა შექმნოდა. სტალინსვე ხაზების მეშვეობით მიუნიშნებია და განუსაზღვრავს შრიფტების შენაცვლების აუცილებლობა (განსხვავებულია პოემის ავტორის, პოემის სახელწოდებისა და უანრის აღმნიშვნელი შრიფტის ზომები), ტექსტის აბზაცებად დალაგებაც მისი ნახელავია. ფაქტობრივად, სტალინმა სატიტულო ფურცლის ტექსტი თავიდან შეადგინა, მთელი ეს ტექსტი თავისი ხელით გადაიტანა ყდაზე, რომელზეც წარწერა საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული.

სასიგნალო ეგზემპლარის სატიტულო გვერდის ჩასწორების შემდეგ, სტალინმა გამოცემაში ჩართულ ილუსტრაციებსაც მიხედა. გამოცემის სატიტულო ფურცლის გვერდით განთავსებული ზიჩის სურათი – ავთანდილი უცქერს ტარიელსა და ასმათის შეყრას გამოქვაბულში – სტალინს ამ ადგილისათვის შეუფერებლად მიუჩნევია, რადგან პოემის არს, მთავარ იდეას იგი არ გამოხატვდა; ამიტომაც ლურჯი ფანქრით არშიაზე მიუწერია: „Не подходит“ („არ შეეფერება“). მართლაც, სტალინის ეს კორექტივი პირველ გამოცემაში გაითვალისწინეს, აღნიშნული სურათი ტექსტის შესაბამის ადგილას მოათავსეს (თავში – „ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასვლა“), ხოლო ფრონტისპისი ზიჩისავე სხვა სურათით – ნესტანისა და ტარიელის შეყრა ქაჯეთის ციხეში – დაამშვენეს. გამომცემლებს გაუთვალისწინებიათ სტალინის კიდევ ერთ შენიშვნა-სურვილი, კერძოდ, ზიჩის სურათის არშიაზე – „ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“ – მისი მინაწერი: „А где иллюстрация расправы с преследователями?“ („სად არის მდევრებთან გასწორების ილუსტრაცია?“) და ამავე თავის ბოლოს დაურთეს ზიჩისავე ილუსტრაცია, როგორ უსწორდება დადევნებულ მდევრებს ამხედრებული ტარიელი თავისი მათრახით. ჩანს, სტალინს მოსწონდა ზიჩის ილუსტრაციები, რადგან გამოცემა უმეტესწილად უნგრელი მხატვრის

ნამუშევრებითა დასურათებული (პირველ გამოცემაში ზიჩის სხვა სურათებიც ჩაურთავთ). ამას გარდა, პოემის სასიგნალო გამოცემა გაფორმებული იყო ს. ქობულაძისა და ო. თოიძის ილუსტრაციებით. სტალინმა აქაც შეიტანა ცვლილება, მან ჯვარედინად გადახაზა ს. ქობულაძის სურათი – „შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა“ (გამოქვაბულში). ეს სურათი შემდგომი მავე ამბის ამსახველი ზიჩისეული ნამუშევრით ჩაანაცვლეს.

საინტერესოა სტალინის კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც მან ო. თოიძის სურათის – „სამი ძმადნაფიცი გმირი ქაჯეთის ციხესთან“ – არშიაზე მიაწერა: „Здесь не видно тигровой шкуры“ („აქ არ ჩანს ვეფხვის ტყავი“), განმარტების შემდეგ თავადვე გადახაზა, რადგან სურათზე, თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ ჩანდა ტარიელის აბჯარზე მოსხმული ვეფხვის ტყავი.

როგორც ჩანს, სტალინს (ასევე ო. თოიძეს) მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ქაჯეთის ციხის აღებისას ტარიელი ვეფხისტყაოსანი რაინდი აღარაა, არც ტექსტის მიხედვით და არც იდეურად. ჩვენი აზრით,¹ ტარიელის ვეფხისტყაოსნობა დასრულდა მაშინ, როდესაც მას ავთანდილმა ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი ნესტანის წერილი და რიდის ნაკვეთი მიუტანა, როცა ტარიელის სულში იმედი ჩაისახა, ერთადერთი გზა სიცოცხლისაკენ – ნესტანისაკენ.

ტარიელის ვეფხისტყაოსნობის დასასრული, პოემის მიხედვით, ემთხვევა გმირთა მიერ დევთა საჭურჭლიდან ამოღებული საბრძოლო ჯაჭვ-მუზარადით აღკაზმვას:

თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდან (1370);

თქვეს: „ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა,

ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა“ (1371).

ამდენად, ო. თოიძის სურათზე აბჯარასხმული ტარიელის ვეფხვის ტყავით შემოსვა და ამ მიმართებით სტალინის შენიშვნაც, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია.

აღნიშნულ გამოცემაში სტალინმა უცვლელად დატოვა ო. თოიძის ილუსტრაციები – „ტარიელისა და ვეფხის შებმა“, „ვაჭრად გადაცმული ავთანდილი გულანშაროში“ და ს. ქობულაძის ნახატი – „ნესტანი წერილს ქაჯეთის ციხეში“.

პოემის ერთადერთი სასიგნალო ეგზემპლარი (1940 წ.) სტალინმა თავისი ხელით გაკეთებული შესწორებებით შ. ნუცუბიძეს აჩუქა. წიგნი დაშლილ ბუდეშია ჩასმული, აქვს წარწერა: „Шота Руставели. „Витязь в тигровой шкуре“. შ. Нუცუბიძის ხელით მინაწერი გვამცნობს: „С автографом Сталина. Если погибну, прошу передать Музею писателей Грузии в Тбилиси. Москва, 21.VII. 41. III. Нуцубидзе“. ამ ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, რომ შ. ნუცუბიძე 53 წლის ასაკში უკვე სიკვდილზე ფიქრობდა. მან კარგად იცოდა, რომ დაზღვეული არაფრისაგან არ იყო. სტალინის მოწონებულ და მისგან „ხელდასხმულ“ თარგმანსაც შესაძლოა, შემდგომში ვერ გადაერჩინა, ან ჯანმრთელობას ეღალატა. ყოველ შემთხვევაში იგი სიცოცხლეშივე ზრუნავდა პოემის სასიგნალო ეგზემპლარზე, რომელიც მისთვის, როგორც ჩანს, ძალზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო.

1941 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული რუსული თარგმანი, რომელშიც გათვალისწინებული იყო სტალინის ყველა შენიშვნა-შესწორება. წიგნის გარეკანი მომწვანო-თამბაქოსფერი ხავერდოვანი ქსოვილია, ორნამენტებითა შემოსაზღვრული, შუაგულში შავ ფონზე რუსთაველის პორტრეტია მოთავსებული, რომლის ზედა და ქვედა მხარეს სტალინის შედგენილი ტექსტი (Шотა Руставели, Витязь в тигровой шкуре, Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе, Поэма в стихах) იკითხება. წიგნის რედაქტორია პოეტი სერგეი გოროდეცკი. თარგმანს წინ უძღვის წერილი გამომცემლობისაგან და მთარგმნელის წინასიტყვაობა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემობა, რომ სტალინმა სახელმწიფო-სალიტერატურო გამომცემლობის („გოსიზდატის“) დირექტორ პ. ჩაგინს მისწერა: „Я требую, чтобы мое имя не упоминалось в предисловии к „Витязю“ („многотомке, романе Шота Руставели, „Витязь в тигровой шкуре“, напечатанной в 1940 году“)“ (ფურც. 10) შ. ნუცუბიძის აზრით ეს სტალინის მოკრძალების და კეთილშობილი პოზიციის მაჩვენებელი იყო. ამიტომ, გაითვალისწინა რა სტალინის ეს მოთხოვნა, შ. ნუცუბიძემ წინასიტყვაობის ბოლოს მადლობა გადაუხადა, მხოლოდ ს. გოროდეცკის, ს. ქავთარაძესა და ნ. ტიხონოვს, როგორც მისი თარგმანის რედაქტორებს. მართალია, შ. ნუცუ-

ბიძემ შეასრულა სტალინის მოთხოვნა, მისი სახელი რედაქტორთა რიგებში არ დაასახელა, მაგრამ ბელადმა უცდომელად იცოდა, რომ შ. ნუცუბიძის თარგმანის გამოცემასთან დაკავშირებით მის სახელს ისტორია თავის ფურცლებზე აუცილებლად ჩაწერდა, რაც აღსრულდა კიდეც.

შ. ნუცუბიძე წერილის დასასრულს საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების (გაგრძელებების ინდო-ხატაელთა, ხვარაზმელთა ამბების) საკითხთან დაკავშირებით სტალინის პოზიციის შესახებ. წერილის ეს ადგილი ბუნდოვანია, თითქოს აზრი წყდება, მაგრამ მაინც შესაძლებელია გარკვეული შეხედულების გამოკვეთა. აღნიშნულია, რომ „სტალინი მხარს უჭერს ხატაელთა ბრძოლის ორივე ეტაპს და ხვარაზმელთა ეპიზოდს. ამით საბოლოოდ გამორკვეულია-რას უჭერს მხარს რუსთაველის პოემის აღნაგობაში და საზოგადოდ, როგორია მისი პრეტენზიები, რითაც საბოლოოდ გამორკვეულია „ვ. ტ.“. ფორმის საკითხი“ (იქვე). შ. ნუცუბიძე თვლის, რომ აღნიშნულ ეპიზოდთა პოემიდან მოწყვეტა, მათ წინააღმდეგ წასვლა(სეთი შეხედულების მქონე მეცნიერები მრავლად იყვნენ და დღესაც არიან), „აშეარა ანტისტალინური ნაბიჯები“ იყო. მთარგმნელი წერილშივე დასძენს, რომ მუშაობდა ხვარაზმელთა ეპიზოდის რუსულ თარგმანზე.

პოემის შედგენილობასთან დაკავშირებით სტალინის პოზიცია მანამდეც იყო ფიქსირებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ სტალინის მითითებით კ. ბალმონტის თარგმანში ჩაურთავთ ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც ე. ტარლოვსკაიას ათარგმნინეს. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ირკვევა, რომ სტალინს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამოცემასთან დაკავშირებით თითქმის ყველა მიმართულებით გამოუმუდრავნებია თავისი ნიჭის მრავალმხრივობა და აღუბეჭდავს თავისი კვალი, ეს სათაურის თარგმნა იქნება, სატიტულო გვერდის გაფორმება(შრიფტის ზომის ჩათვლით), ილუსტრაციების შერჩევა და მათი ადგილის განსაზღვრა, თუ თავად თარგმანში საკუთარი „საუკეთესო“ ორი ტაეპის ჩართვა. გასაკვირი ისაა, რომ თავისი ნახატი, მაგალითად, რუსთაველის პორტრეტი, არ შეუტანია ამ გამოცემაში. სტალინის მხატვრობის ნიჭთან დაკავშირებით, რუსი საბჭოთა პოეტი-დემიან ბედნი, იხსენებს: „სტალინი თავის ახალგაზრდობაში, ავლენდა რა დღეს ჩვენთვის ყველასათვის ცნობილ სიყვარულს ხელოვნებისადმი, ლიტერატურისა და მხატვრობისადმი, თავად ცდილობდა ხატვას და როგორც ამას მოწმობს ერთ-ერთი დაბეჭდილი მოგონება სტალინზე, კარგად ხატავდა. კარგი პორტრეტები გამოდიოდა. და ვისი პორტრეტი დახატა პირველად სტალინმა? რუსთაველის პორტრეტი!“¹¹ საგულისხმოა, რომ ამავე წერილში დ. ბედნი საუბრობს სტალინის მჭერმეტყველურ ოსტატობასა და „უსაზღვრო თვალსაწიერზე“ და ყოველივე ამას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ „სტალინურ სტილს უწოდებს“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სიტყვა რუსთაველის საიუბილეო დღეებშია წარმოთქმული, სტალინის რუსთაველთან დამოკიდებულებას ეხება და ამ გადასახედიდან ბელადის „უსაზღვრო თვალსაწიერს“ წარმოაჩენს, რაოდენ საგულისხმოა დ. ბედნის შემდეგი სიტყვები: „ასეთი სტილი – „სტალინური სტილი“ – შეიძლება გამოჭედილიყო მთელი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ისეთი გამაოგნებელი მცოდნისაგან, როგორსაც, როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, წარმოადგენს ამხანაგი სტალინი. რუსული, ქართული, უკრაინული და ჩვენი სხვა ხალხის კლასიკა სტალინისათვის ცნობილია, როგორც სხვა არავისათვის. მხოლოდ მას ერთს შესაძლოა მიცემული ჰქონოდა – აგრეთვე კლასიკური-მწერლებისა და ლიტერატურის განსაზღვრა“ (იქვე). იმ ეპოქაში ეს იყო არა მხოლოდ დემიან ბედნის, არამედ მთელი საბჭოების ადამიანების „უსაზღვრო თვალსაწიერი“ ამხანაგი სტალინის შესახებ. ამდენად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის გამოცემის რედაქტორ-კორექტორობა, მისი პოეტური სიტყვის, შედგენილობის, გაფორმების და ნებისმიერი სხვა დეტალის განსაზღვრა(ისევე როგორც ყველა უანრის, მათ შორის „კლასიკურის, მწერლებისა და ლიტერატურის განსაზღვრა“) მხოლოდ და მხოლოდ მას ერთს, „სტალინური სტილის“ მქონე სტალინს თუ ხელეწიფებოდა.

ნარკვევის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ შ. ნუცუბიძე წერილში იმ პერიოდის ამბების ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოცემას რთულ საქმედ მიიჩნევს. მას შემდეგ ხომ 27 წელია

1. დ. ბედნი, „ყველაზე ძვირფასი მოგონება“, გაზ. „ვარა Востока“, 1937, №299, 29 დეკემბერი, გვ.2.

გასული, თავად მთხოვბელი კი უკვე 80 წლისაა, საბედისწერო სწეულებით შეცყრობილი. აღნიშნული გარემოება ხელანწერსაც ემჩნევა. იგი მოზრდილი ასოებითაა გამოყვანილი, ნაწერი ფერმკრთალია, ერთგან აზრი წყდება, ზოგან სიტყვაა გამოტოვებული, ხანდახან – ასოები, ორთოგრაფიული შეცდომებიც ვლინდება. შ. ნუცუბიძის წერილისა და ინტერვიუს შედარების შედეგად შეინიშნება უზუსტობები-თარიღების აღრევა, მოვლენების განსხვავებული ვერსიებით წარმოდგენა, მაგრამ ეს არსებითად ამბის მნიშვნელობასა და მნიშვნელოვნებას არ ცვლის, რასაც ავტორი თავადვე აღნიშნავს – საქმის ისტორიული არსება მაინც გადმოცემულად მიმართია, თუნდაც დაახლოვებით“ (ფურც.6)

„ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული სრული პოეტური თარგმანის ისტორია დასრულებულია. თუმცა, ჩნდება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა-რატომ იყო სტალინი აგრერიგად დაინტერესებული ამ თარგმანის შესრულებით?

შ. ნუცუბიძე თავის წერილში აღნიშნავს, რომ „სტალინს აზრადაც არ მოსდიოდა „ვეფხისტყაოსნის“ კორექტირება ანუ რედაქტორობა“. მთარგმნელი ამ გარემოების თავისებურ ახსნას გვთავაზობს: „...მისი (სტალინის – ნ.გ.) მდგომარეობა და სიტუაცია, რომელშიც იგი ისტორიამ რუსთაველის პოემას დაუკავშირა,

უნებლიერ ქმნიდა რაღაც გარკვეულობის შეტანას ამ ვითარებაში. მეორეს მხრივ, სტალინს თავისი აზრიც უნდა ჰქონებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე“ (ფურც.9). შ. ნუცუბიძე ამ ორი გარემოების დამადასტურებ-ლად ორ დოკუმენტს მოიხმობს – პერიას მიერ მისთვის სტალინის წერილის გადაცემას(სადაც ნუცუბიძისეული თარგმანის მნიშვნელობაა წარმოჩენილი) და სტალინის „გოსიზდატის“ დირექტორისადმი განკუთვნილ ზემოთნახესენებ წერილს. აღნიშნული მონაკვეთიდან საყურადღებოა თარგმანის გამოცემის მომზადებაში სტალინის მონაწილეობის შ. ნუცუბიძისეული ახსნა და ერთ-ერთი მიზეზის დასახელება, კერძოდ, „მისი (სტალინის – ნ.გ.) მდგომარეობა და სიტუაცია“

აქვე უნდა გავიხსენოთ შ. ნუცუბიძის წერილში მოხმობილი სტალინის სიტყვები პოემის თარგმნასთან დაკავშირებით: „იქვე მდგომ ბ... მიუბრუნდა-ხელი შეუწყვეთ შ. ნუცუბიძეს-ნ.გ.), დაეხმარეთ, ეს საჭიროა, ძალიან საჭიროა...“. როგორც ჩანს, სტალინისათვის პოემის ახალი, სრულყოფილი თარგმანისა და ყოველმხრივ შემკული გამოცემის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანი და „საჭირო“ იყო. თუ რატომ იყო საჭირო, ყოველივე ამის ასახსნელად იმ პერიოდის ისტორიული ვითარების და მოვლენების კანონზომიერი განვითარების გათვალისწინებაა აუცილებელი.¹

XX ს-ის 20-იან წლებში იოსებ ჯუღაშვილს დიდი და საკმაოდ საშიში ოპოზიცია ჰყავდა. მის პოლიტიკურ კურსს ეწინააღმდეგებოდა მთელი ინტელიგენცია, ასევე ემიგრაცია. მოწინააღმდეგები მრავლად იყვნენ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში, სსრკ უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, დიპლომატიურ კორპუსსა და სამხედრო უწყებაში. სტალინისათვის ყველაზე საშიში რევოლუციონერთა პირველი თაობის, ძველ ბოლშევიკთა, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული ხელმძღვანელობის დაპირისპირება იყო. საზღვარგარეთ და თავად რუსეთში ფიქრობდნენ, რომ სტალინი ბარბაროსი, ველური ხალხის შვილი იყო. ამდენად, 30-იანი წლების დამდეგისათვის სტალინის პირველკაცობას და ხელისუფლების დაკარგვას რეალური საფრთხე დაემუქრა. სტალინმა პოზიციის გასამყარებლად მიმართა რეპრესიებს (1934 წლიდან 1938 წლამდე), რომლებიც ყველა სოციალურ ფენას შეეხო, უმთავრესად – ინტელიგენციას, აგრეთვე – თავად კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს, ხელისუფლების ორგანოებს საკავშირო მასშტაბით; არ დაინდო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიც.

ვ. გურული ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ ჯუღაშვილს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, აუცილებლად სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ იგი დიდი და სახელმისამართის დამატერიალური კულტურის მემკვიდრე ერის შვილი იყო“ (გვ.87). სტალინს თავისი

1. საკითხის შესახებ იხ. ვ. გურულის ნაშრომი — „ჯვარცმული და ჯვარცმელები“, გამომც. „უნივერსალი“, თბ 2006, ციტატებს ამავე წიგნიდან ვიმოწმებთ.

უძველესი ქვეყნის ისტორია და კულტურა დასჭირდა. მან მიზნად დაისახა და ამ მიზნის მისაღწევად გადამწყვეტი მოქმედება დაიწყო. ისიც გაითვალისწინა, რომ ამ გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი დამაჯერებელი და საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ყოფილიყო. სტალინი „საჭირო, ძალიან საჭირო“ საქმის თადარიგს დიდი ოსტატობითა და გულმოდგინებით შეუდგა. ამ დიდ გზაზე ბელადის მიერ განხორციელებული პირველი პოლიტიკური ღონისძიება 1934 წელს სსრკ მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის ჩატარება იყო, რომელსაც თავად სტალინი დაესწო. ქართული ლიტერატურის შესახებ ყრილობაზე მოხსენება ცნობილმა ბოლშევიკმა, მალაქია ტოროშელიძემ წაიკითხა. მოხსენების თავდაპირველი ვარიანტი, რომელიც უმეტესწილად ქართული პროლეტარული მწერლობის უახლეს ნაწარმოებებს შეეხებოდა და ნაკლებ იყო წარმოჩენილი ძველი და ახალი მწერლობა, სტალინმა დაიწუნა. ყრილობაზე წაკითხული ვარიანტი კი, როგორც ვ. გურული აღნიშნავს, იმსებ სტალინის კარნახითაა დაწერილი, ყველა დასკვნა იმსებ სტალინს ეკუთვნის“ (გვ.89).

მ. ტოროშელიძის მოხსენება, რომლის დიდი ნაწილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებას ეთმობოდა, 1934 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მოსკოვში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვას და მასში სტალინის თვალსაზრისის წარმოჩენას გარკვეული მიზანი ჰქონდა. სტალინის მხრიდან – ეს იყო ფილიპე მახარაძის (რომელიც 20-იან წლებიდან სტალინს ღიად დაუპირისპირდა) ილიასეული შეფასებების წინააღმდეგ გამოსვლა, ამავდროულად – ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისათვის აღნიშვნისათვის მოსამზადებელი ნაბიჯი. ყრილობაზე თვალშისაცემი იყო ერთი რამ: ქართულმა ლიტერატურამ თავისი სიდიდით დაჩრდილა ყველა დანარჩენი. ესეც სტალინის ჩაფიქრებული და კარგად გათვლილი გეგმის ნაწილი იყო.

სტალინის ინიციატივით 1937 წელს მოსკოვში ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა, რაც ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ქართული კულტურის ისტორიაში, სტალინისათვის – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ქართული ხელოვნების ყველა დარგი (მწერლობა, თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია და სხვა) მთელი სისრულით და ცხოველმყოფელობით წარმოჩინდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. დეკადამ კიდევ ერთხელ ცხადყო ქართული კულტურის სიდიდე და ყველასათვის თვალნათელი გახდა მისი უნიკალურობა.

1937 წელს აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი. ქართულ და საკავშირო ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მწერალთა, კრიტიკოსთა, ისტორიკოსთა, პუბლიცისტთა მრავალრიცხოვანი წერილები, გაიმართა საღამოები (მოსკოვსა და ლენინგრადშიც), მოენცო გამოფენები, გამოიცა ილიას თხზულებათა ხუთომეული და ცალკეული კრებულები. რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა მისი „რჩეული“ და „ლექსები და პოემები“. ილიას პოეტური შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ღვაწლის დემონსტრირებით სტალინი კვლავაც თავისი ხალხის კულტურის და ყოვლისმომცველი, მასშტაბური აზროვნების ნიმუშს საქვეყნოდ წარმოაჩენდა.

1937 წელს მთელი სსრკ-ს მასშტაბით აღინიშნა „საბჭოთა კულტურის დიადი დღესასწაული“ – „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე, რომლის სამზადისი 1934 წლიდან დაიწყო. ამავე წლებში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები კ. ბალმონტისა (1935, 1936, 1937), გ. ცაგარელისა (1937), ნ. ზაბოლოვკისა (1937) და სხვა. გაიმართა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთველისადმი მიძღვნილი პლენუმი, მოენცო სადღესასწაულო საღამოები, გამოფენები. საიუბილეო დღეებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან კულტურის მრავალი მოღვაწე ჩამოვიდა. რუსთაველისა და მისი მსოფლიო შედევრის შესახებ ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერების, მწერლებისა და ზოგადად, კულტურის მოღვაწების წერილები და ნაშრომები გამოქვეყნდა ადგილობრივ და საკავშირო, პრესაში, პოეტებმა ლექსები უძღვნეს რუსთაველს. მთელი სისრულით წარმოჩინდა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, პოემა აღიარეს როგორც „პირველი წიგნი ადამიანის სულსა და ხასიათზე“, „ადამიანის ახალი იდეალებისათვის ბრძოლის პოემა, ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულისათვის ბრძოლის პოემა“, შოთა რუსთაველი „იტალიის ადრინდელი ჰუმანიზმის პოეტებზე“ საუკუნეზე მეტი ხნით წინმსწრებ პოეტად დასახელდა.

1941 წელს გამოქვეყნდა შ. ნუცუბიძის მიერ შესრულებული სრული პოეტური თარგმანი,

რითაც დაგვირგვინდა სტალინისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მიზანი – მთელმა მსოფლიომ დაინახა და დარწმუნდა, რომ დიდი ბელადი უდიდესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის შვილი იყო.

შ.ნუცუბიძის წერილმა და ინტერვიუმ შემოგვინახა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის უაღრესად საინტერესო ისტორია აღსავსე ტრაგიკულობით, უჩვეულო და „ბუნდოვანი“ ამბებით. საპჭოელის ქვეყნის სათავეში მყოფი ბელადის „მრავალმხრივი“ ხასიათით, „ძალმოსილებით“, საკვირველი ქმედებებითა და გარკვეული მიზანსწრაფვით.

და მთელ ამ ისტორიას ვეფხის ტყავი აკრავს თავისი ფერადოვანი, შავ-ყვითელი გამით, ნათელი დღისა და წყვდიადი ღამის, სიხარულისა და მწუხარების, ბედისა და უბედობის, სიყვარულით ტანჯვისა და უსაზღვრო ბედნიერების სიმბოლო, და როგორც რუსთაველის პოემის დასასრულსაა აღნიშნული, აქაც – „დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა. გარდახდეს, გავლეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!“, ან ქართული ზღაპრის დასაწყისის დარად – „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“. მთარგმნელი პოეტის – შალვა ნუცუბიძის ენა, გული, ხელოვანება, გონება და ღვთის შეწევნა („ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება, ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება...“) „ხელიხელ საგოგმანები“ მარგალიტის – „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს ახალ სულს უდგამს და „ქართულად ნათარგმანებს“ ახალი ძალისხმევით ათარგმანებს.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი შ. ნუცუბიძისათვის, რუსთაველის სიტყვები რომ მოვიხმოთ, „სიცოცხლის საიმედო ნიშანი“ აღმოჩნდა. სიყვარულის, ჰუმანიზმის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების საგალობელმა საბედისნერო განაჩენისაგან იხსნა ტყვე პოეტი და თავად უკვდავყო.

სტატიაში „ვეფხისტყაოსნის“ სასიგნალო ეგზემპლარი, რომელიც სტალინის ხელითაა ჩასწორებული, ქართულ სინამდვილეში პირველად იბეჭდება.

აპაკი თევზაპე

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

ვანის საყოფაცხოვრებო პოეზია

(კაფიები, შაირები, გალექსეპანი...)

ეს სტატია ვახტანგ ლორთქიფანიძის კაფიების მიმოხილვით მინდა დავიწყო. მისი ორლესული სიტყვა-თქმანი, გონებამახვილობანი, მართლაც რომ, იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ის, ხომ იუმორის შესაშური ნიჭით დაჯილდოებული კაცი იყო. ყველა, ვისზედაც ექსპრომტები აქვს დანერილი, მეტნაკლებად ცნობილი ადამიანები არიან, რომლებთანაც თბილი, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ის არავის დასკინის, დილის გრილი ნიავივით ეალერსება, ეფერება საძმოსა და სამეგობროს. ვანის რაიკომის ყოფილ მდივანზე, ბატონ შიო გიორგაძეზე დაწერილი მისი კაფიების ერთი ნაწილი დაიბეჭდა „მატიანეს“ მე-4 ნომერში. ახლა ვახტანგის სხვა ექსპრომტები მინდა გაგაცნოთ, რომლებიც ზემოთ ხსენებულ პიროვნების სახელს უკავშირდება.

მე კარგად მახსოვს გარდაქმნის წლები, როგორი პოლიტიკური აუიოტაჟი იყო ატეხილი. დამერწმუნებით – რაც წლების განმავლობაში ხასიათი, შრომითი ჩვევები, ცხოვრებისეული შეხედულებანი, ინტერესები ჩამოუყალიბდა ადამიანს, ყოვლად შეუძლებელია ერთ დღეში, ერთ თვეში, თუნდაც ერთ წელში შეიცვალოს. თანაც, თუ ამისი განხორციელების მწყობრი პროგრამა არ არსებობს (გორბაჩიოვისულ ფანტაზიებზე საუბარი).

სწორედ, ამ ურთულეს პრობლემას ეხმიანება ვ. ლორთქიფანიძის ლექსი-ექსპრომტი, რომელიც ბატონ შიოს მიუძღვნა:

„გადაგვივლია სიცოცხლის შუაგზა,
რაში გვჭირდება ყალბი პათოსი...
არ ვართ მე და შენ, არ ვართ მე და შენ
ამშენებლები ან იყალთოსი.
და რადგან ისევ და რადგან მაინც,
უნდა ამაღლდეს სულისკვეთება,
გარდაქმნა? – არა, გარდაქმნა რაა...
გვიშველის მხოლოდ გადაკეთება.“

ბატონი შიო თავის მხრივ ხშირად აგულიანებდა, კიდეც აქეზებდა: „რას შვრები, ვაჟკაც, რაიმე ახალი ექსპრომტი არ დაგიწერია?“ მას ოდნავადაც არ სწყინდა უმცროსი მეგობრის შეხუმრებანი.

ერთ-ერთი აქტივის კრებაზე მოხსენებით გამოდიოდა ბატონი შიო. ძალიან გაუგრძელდა სიტყვა, რასაც მოჰყვა ვ. ლორთქიფანიძის მიერ რამდენიმე კაფიის შექმნა:

ხალხი მოქანცა ჭარბსიტყვაობამ,
სმენას არ გაპყრობს მგონი არავინ,
რევოლუცია ერთ დღეში მოხდა,
თქვენს მოხსენებას არ აქვს საზღვარი.

მეორე ექსპრომტი:

დიდებულმა მოხსენებამ, სული სევდით დაამძიმა,

ნაწილს ცრემლი მოჰყვარა და უფრო მეტი დააძინა.

მესამე ექსპრომტი:

ზოგიერთს სკამზე რომ სძინავს, დამნაშავეა მდივანი,

რატომ არა დგას დარბაზში წამოსაწოლად დივანი?!

მეოთხე ექსპრომტი:

თქვენი სიტყვა ცეცხლოვანი სიამაყის გრძნობას ბადებს,

არ შეშინდე, მიდი, დასცხე „ორჯუკებს და ყალთაბანდებს“.

(ბატონი შიო ურჯუკების მაგივრად საუბარში სიტყვა „ორჯუკებს“ იყენებდა – ა.თ.)

სიცოცხლის ბოლო წლებში, პატივცემულმა შიომ, ბევრის მნახველმა და მომსწრემ, მშვენიერი წიგნი „ვანი და ვანელები“ გამოსცა. ამ წიგნის გამოსვლამდე დაიბეჭდა მისი ბროშურა „კონფერენციიდან კონფერენციამდე.“ ბროშურის გამოსვლას სულცხონებული ვახტანგი ასე გამოეხმაურა:

ცეცხლივით დაუდეგარი, მოუსვენარი კაცია,
რაიკომიდან წასვლის წინ დაწერა დისერტაცია.

ვის არ ახსოვს ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი გერმანე მაღლაკელიძე. კაცი წარმოსადეგი და რაინდული სულის, მუხლჩაუხრელი, ძლიერი ხელმძღვანელი. როგორ შეიძლებოდა ასეთ გამორჩეულ ადამიანს ვახტანგ ლორთქიფანიძის კალამი არ შეხებოდა. ბოლო ჟამს, პენსიაში გასვლის შემდეგ, გერმანე მცენარეთა დაცვის ინსპექტორად მუშაობდა. მისმა ახალგაზრდობამაც ჩაიარა „ვით გაზაფხულის შფოთიანმა მდინარემ“. თავის დროზე სუსტი სქესის წარმომადგენლებს გარკვეულ „ხარჯს“ უხდიდა. ლოყები სულ უდაულაუებდა, ფხიზელი იყო თუ შეზარხოშებული ვერ გაარჩევდით.

„უხარია გერმანეს – სახე რომ აქვს წითელი,
ვეღარავინ ვერ ატყობს – მთვრალია თუ ფხიზელი“ – წერდა ვახტანგი.

აქვე მოგვყავს მისდამი მიძლვნილი ეს ბრწყინვალე ექსპრომტი-კაფია:

გერმანე მაღლაკელიძეს (მცენარეთა დაცვის ინსპექტორს)

თავაწყვეტილი „კეშობდი“, ახლა დაგცვივდა ნალები,

„ნაგანმა“ თავი დახარა და ოხრად დაგრჩა ქალები,

მოხუცდი, ვეღარ უყივი დედალ ხოხობს და როჭოებს,

დრო დადგა – მუსრი გაავლო მინდვრის პეპლებს და ხოჭოებს!

ან განსვენებულ ავთანდილ ლორთქიფანიძეს (ნერუს) პირადად ვიცნობდი. კეთილაღნაგი, ტკბილად მოუბარი, ხალისიანი კაცი იყო, რაიონის ნამდვილი კოლორიტი, იუმორის კარგი გრძნობა გააჩნდა. ერთ-ერთ საფეხბურთო მატჩიზე, ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავახარლალ ნერუს მსგავსად, თეთრ შარვალ-პიჯაკში გამოწყობილი მისულა, თავზე თეთრი ცილინდრით. ფეხბურთის გულშემატკიცვრებს ეს, რომ დაუნახავთ აუტეხიათ ყვირილი: „ნერუ გვეწვია, ნერუ“. მას შემდეგ შემორჩა მეტსახელად „ნერუ“. ძალიან თბილი და მეგობართა მოყვარული გახლდათ. ვახტანგ ლორთქიფანიძესთან დიდი სიახლოე აკავშირებდა, ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი. ნერუ მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე იყო რაიონში, ვახტანგი კი ნადირობის დიდი ტრფიალი. ერთხელაც, მეზობლის ღორის ნერუსთვის ღვინით სავსე ქვევრი მოუხდია და ღვინო სულ წაუხდენია. უკეთ, ალბათ, ვერავინ გადმოგვცემს მის იმუამინდელ გუნება-განწყობილებას, როგორც ამას ვახტანგ ლორთქიფანიძე ახერხებს:

ავთანდილ ლორთქიფანიძეს

ნერუ შემომხვდა ოხრავდა, ეტყობა დარდი მოხვავდა,

ჭურში რაც ღვინო ებადა, მეზობლის ღორმა მოხადა,

ღვინომ, ლექსმა და შაქარმა სულ ჩაუარა ოხრადა.

ყოველ ლექსს, როგორც ყოველ ადამიანს, თავისი ისტორია აქვს. ვანის რაიონის ყოფილი მეორე მდივანი, ბატონი ჯენერ კაპატაძე, იგონებს: საბერძნეთის ქალაქ ნიკეასა და ქუთაისს შორის დაძმობილებას, დამეგობრობას ეყრებოდა საფუძველი. ჩამოსული იყვნენ საბერძნეთიდან ქალაქის მერი და მისი მოადგილები. გულთბილად შეხვდნენ ქუთაისში. სტუმრები ეწვივნენ ვანს. მოულოდნელად გადაწყდა (და როგორც ჩანს მათი სურვილიც იყო) გაცნობოდნენ რომელიმე გლეხის ოჯახს. ცხადია, იმ დროს იშვიათად თუ ვინმეს უჭირდა და თითქმის ნებისმიერი გლეხის ოჯახს შეეძლო 10-15 კაცისათვის ემასპინძლა, მაგრამ მოვერიდეთ რომელიმე ოჯახის ასე სახელდახელოდ შენუხებას და პატარა ეშმაკობას მივმართეთ – ჩემი ოჯახი გლეხის ოჯახად უნდა გაგვეცნო, ხოლო ოჯახის უფროსად ჩემი ბიძაშვილი – იროდიონ კაპატაძე. საპატიო სტუმრებისთვის სუფრა მეორე სართულზე გაიშალა. ქვედა სართულზე: მე, ომარ კაპანაძე, რაულ შველიძე, ბუჭუნა (სიმონ) ჩიჯავაძე, ვახტანგ ლორთქიფანიძე და სხვები მოვკალათდით. თამადობა ბუჭუნა ჩიჯავაძეს მივანდეთ – თავად ჩიჯავაძეთა საგვარეულო შტოს ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს. ბუჭუნა (სიმონი) მშვენივრად უძღვებოდა სუფრას, მაგრამ მხარდაჭერა მაინც სთხოვა შინაგან საქმეთა ვანის რაიონული განყოფილების უფროსს რაულ შველიძეს. რაული, როგორც მოადგილე, ყველას აძალებდა ღვინოს. არ მოეშვა ვახტანგ ლორთქიფანიძეს, სადღეგრძელო ბოლომდე უნდა შესვაო. ვახტანგმა დაცალა სასმი-

სი, მერე ფიქრებში ჩაიძირა და დაიბადა კიდევ ცინცხალი ექსპრომტი, რომლითაც თითქოსდა ჯავრი იყარა რაულზე.

„საჩინოს დიდ თავად ჩივჯავაძეს“

ტახტის აზნაურ ვ. ლორთქიფანიძის საჩივარი, გლეხი რ. შველიძის მიმართ“

მე აზნაური ძირძველი, გულნატკენი ვარ ამადა,
ბედმა რა მწარედ დაგვცინა, გლეხი რომ გაგვითავადდა,
სკამი იშოვა, გასუქდა, გაძლა და გაგვითამამდა,
დღექით ყანწს უნდა გვივსებდეს – სუფრის თავს გვიზის თამადად.

რაულ შველიძე და ვახტანგ ლორთქიფანიძე, სამწუხაროდ, ორივენი, ნაადრევად წავიდნენ ამ ქვეყნიდან, მაგრამ იმხელა ადამიანური გულის სითბო, სიკეთე, სიყვარული დაგვიტოვეს, კარგა ხანს გვეყოფა საგზლად ცხოვრების ურთულეს გზაზე.

კიდევ ერთი სულნათელი პიროვნება მინდა გავიხსენო, რომელსაც ვ. ლორთქიფანიძის იუ-მორის ნაპერნკალი დასცემია. ვინ არ იცნობდა ელგუჯა კერძევაძეს, ვერცხლისწყალივით მოძრავ, მუდამ შემართებულ, ხალისიან კაცს, გამოჩენილ კომკავშირულ და საბჭოთა მუშაქს (იყო საქართველოს კომკავშირის ვანის რაიკომის პირველი მდივანი, სახალხო კონტროლის თავმჯდომარე და ა. შ.) ვახტანგ ლორთქიფანიძის მისადმი მიძღვნილ სტრიქონებს ზამთრისპირულ სუსხთან ერთად, გაზაფხულის მზის მცხუნვარებაც ახლავს. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ვახტანგი ამცირებდეს მის დამსახურებას ქვეყნისა და რაიონის წინაშე, ის მას საუკეთესო მე-გობრად მიაჩნდა, რომელსაც ხალასი იმერული იუმორით ეფერებოდა. გავეცნოთ ელგუჯაზე შექმნილ მის ტკბილ-მწარე ექსპრომტებს:

კარიერის დიად გზაზე, მისთვის წადგი ორი ბიჯი,
ტრიბუნის და ორატორის თავიდანვე დაგყვა ნიჭი,
საშაიეს „უბედური“ – გახდი „ალექსანდროვიჩი!“

ბარაქალა შენს კაცობას,
მოგვიძლვნია ქება-ტაში...
შენ ხარ საშა კერძევაძე,
მხოლოდ მინიატურაში.

ელგუჯა დაბალი ტანის კაცი იყო, მაგრამ სახიერი და ენაწყლიანი. ბევრ სხვა ექსპრომტში ვახტანგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მის თავმდაბლობას, მოკლედ, რომ ვთქვათ „მაზოლზე“ აჭერს ფეხს. ბატონი ელგუჯა უმტკივნეულოდ აღიქვამდა მის მეგობრულ ხუმრობებს, რადგან იცოდა მისი ბაჯალლო გულის ამბავი.

იყო ერთი პერიოდი, გორა-ზეინდარში რამოდენიმე ოჯახმა ძმრისგან, კვანარახისგან და სხვადასხვა მინარევებისგან ფალსიფიცირებული ჩურჩხელების დამზადება დაიწყო. სოჭის ბაზარზე ჩაჰერნდათ სარეალიზაციოდ ჩურჩხელები. იქ, რადგან ხალხი მოინამლა ამ ჩურჩხელებით, ლაბორატორიული შემოწმება ჩაუტარებიათ. ამ ფაქტის გამო დიდი აურზაური ატყდა, რაიონულმა ხელმძღვანელობამ ბატონ შიოს, როგორც ვანის ადმინისტრაციული ორგანოების კურატორს, დაავალა სათანადო ზომების მიღება. სწორედ, ამ მოვლენას ასახავს „გორა-ზეინდრელების“ ლექსი „ელგუჯას“ (კერძევაძეს), თვით ბატონი ელგუჯა გორა-ზეინდრის მკვიდრი იყო.

გვჯეროდა შენი ბალლობის, შენი კაცობაც ვინამეთ,
შაქრისგან ღვინის კეთება მამაშენისგან ვისწავლეთ.
გვახსოვს ფილიპეს შავ ძროხას დააწვენდი და ლეჭავდი,
და ასე სიმწრით ნაზარდმა ძლივს მოგვიწიე ბეჭამდი.
დრო დადგა უნდა მოგვხედო, შენი ხმა ახლა გვჭირდება,
თორემ მოგვადგა შიო და პირწმინდად აყრას გვპირდება.
იცოდე – ვერას დაგვაკლებს, ვერ დაგვიდუმებს ურჩ ხელებს,
გესალმებით და მოგიძლვნით ძმრისგან ნაკეთებ ჩურჩხელებს.

როცა პატივცემული ელგუჯა კომკავშირის რაიკომიდან სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ გადაიყვანეს – ვახტანგმაც არ დააყოვნა და ცინცხალი კაფია მიუძღვნა.

ლიმილის გარეშე შეუძლებელია წაიკითხოთ ექსპრომტი: „ნაწყვეტი კისლოვოდსკიდან გამოგზავნილ ელგუჯას წერილიდან“. (იმუამად ის კისლოვოდსკი ისვენებდა – ა. თ.)

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, არ მოტყვილდებით რამეში,
კურორტზე საქმეს რა დალევს ამ უნაპირო ლამეში.
ვეღარ აღვავეცე ბედშავმა რუსი ქალების თარეში,
ლამის გულ გასკდეს, ან სისხლი ჩამექცეს ტვინის არეში.

ჭყვიშში, ბუმბერაზი პოეტების გალაკტიონისა და ტიციანის მუზების საუფლოში, გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო სალამოზე დაინერა ვ. ლორთქიფანიძის ლექსი-ექსპრომტი, მიძღვნილი ნოე ლორთქიფინაძისადმი, რომელიც ამ დროს პენსიონერი, პარტიული კომისიის თავმჯდომარე იყო. როგორც ლექსის შინაარსიდან ვგებულობთ, სწორედ, მათ ჰქონდათ დავალებული სტუმრებისათვის პურ-მარილის საკითხის მოგვარება. სანამ სტუმრებთან ერთად მაგიდას მიუსხდებოდნენ, მანამ გვარიანად დანაყრებულან და რამდენიმე ჭიქა ღვინოც გადაუკრავთ.

მათდამი მიძღვნილი ეს სატირულ-იუმორისტული ექსპრომტი სწორუპოვარი გალაკტიონის სიტყვებით იწყება, გაგრძელებაც ფრიად საინტერესოა:

ზეიმს „...უდიდესს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,“
ოქტომბრის ნიავს ჭყვიშის ფშანში ნაზად დაბერილს,
ნოე პიპინიჩს-გოჭის ხორცით ულვაშგაქონილს
და კერძევაძეს ყველა ცოდვით მუცელგაბერილს,
ვუქებ პურმარილს განა ერთხელ, არა, მეათედ...
და მაინც მიკვირს ამ მგლებს ცხვარი როგორ მიანდეთ?

მარად დაუვინყარ ვ. ლორთქიფანიძეს პარტიის ვანის რაიკომში მომუშავე ქალბატონებიც არ გამორჩენია ყურადღების არეალიდან. მრავალი გახდა მისი მუზის შთაგონების წყარო. ეს უსპეტაკესი სულის მქონე, თავანკარა წყაროს წყალივით წმინდა გულის კაცი, ქვენა გრძნობებს არასოდეს დაპირებია. ქალბატონებისადმი მიძღვნილი მშვენიერი ექსპრომტები მეტად ფილიგრანული და შთამბეჭდავია. მაგალითისთვის მოვიტან ქალბატონ მანანა მესხისადმი მიძღვნილ ექსპრომტებს (ქალბატონი მანანა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობდა, შემდეგ გ.კვანტალიანმა ვანის ლვინის ქარხნების დირექტორად გადაიყვანა, შემდგომ იდეოლოგიის განყოფილების გამგის მოადგილედ დანიშნა, ბოლოს პარტიის რაიკომის საერთო განყოფილებას განაგებდა. თვალმწყაზარ ქალბატონს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ გათხოვებაზე რატომდაც არ ფიქრობდა, თუმცა შემდეგ ბატონ ლევან ტყეშელაშვილთან ერთად (შემდეგში ვანის პოლიციის უფროსი) დიდებული ქართული ოჯახი შექმნა. დამერწმუნებით – ძალზედ კარგად ულერს მასზე დაწერილი ვახტანგის ეს ექსპრომტიც:

ლექს გწერთ – იქნებ გაგვიმართლოს, იქნებ წარბი გაგვიმართო,
ბაგე გახსნა და ლიმილით გულის კარი გაგვინათო.
თორემ სევდა მოგვეძალა და ეულებს დარდი გვათოვს,
ჩვენ კი – მაგრამ შენ არ სწუხარ სარვამარტოდ რომ ხარ მარტო?!

აქვე მინდა გაგაცნოთ ქალბატონ მანანასადმი და ქალბატონ მერი ბაზიარისადმი მიძღვნილი კაფია:

სარვამარტო მანანას და მერის

თქვენზე არც მარტი მოქმედებს, არც ზამთრის ყინვა, ნამქერი,
რამ გაგიცივათ გულები, რა სისხლი გიდგათ ამფერი?!

მანანას

გაფურჩქნულხარ ვარდივით ნაირფერად ვარდებთან,
გიყურებთ და გულები საგულედან ვარდება,
ვინ მოგიძლვა ვარდები, ვინ გყავს გულის მურაზი?...
გადაგვრიეს ეჭვებმა მე და თეიმურაზი.

ბატონი თეიმურაზ ადეიშვილი (ამუამად ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი იყო. (ცნობისათვის)

კაფიის საუკეთესო ნიმუშია ექსპრომტი მიძღვნილი ქალბატონ მერი ბაზიარისადმი (მერი

რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობდა, რატომლაც ისიც აგვიანებდა გათხოვებას), რომელიც შემდეგში ჩემი საუკეთესო მეგობრის იური ავალიანის მეუღლე გახდა.

ჩენი მერი ბაზიარი, იასავით ნაზი არი,

ჭყინტობის დრო გაუვიდა, ახლა კაი ბაზე არი.

არ შეიძლება მკითხველმა განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოს ვანის რაიკომის პარტიული სექტორის გამგისადმი ელიკო ფანცულაიასადმი მიძღვნილ ექსპრომტს. ქალბატონი ელიკო, „ქართული პატიოსნებით“ სავსე ქალბატონი გახლდათ, ცალუღელა ხარივით რომ სიცოცხლის ბოლომდე მარტო ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. ფრიად ღვთისნიერი ადამიანი, ყველას მზრუნველობდა და ხელს უმართავდა. მისი ეს თვისება, უალრესად თბილი შინაგანი ბუნება, კარგად აქვს დანახული განსვენებულ ვახტანგს: აი, რა დიდებულად გვიხატავს მის სახე-ხასიათს ამ პატარა ექსპრომტში:

გული გაქვს, მაგრამ რა გული, ბაჯაღლო ოქროს სადარი?

ყველას ბებია შენ რომ ხარ, შენი ბებიკო სად არი?!

ვის არ ახსოვს ყაზახეთში ყამირი მიწების ათვისებაზე ამტყდარი აჟიოტაჟი, ის ჰეროიკული შემართება. ქალბატონებიც ვერ ფარავდნენ ყამირელთა გმირობით გამოწვეულ აღფრთოვანებას, მათ შორის პატივცემული ელიკოც. საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს მისადმი მიძღვნილი ვახტანგის ეს კაფია:

ყამირის მიწას ქარიანს შეჰვალადებ და შეჰვალობ

სხვისი ყამირი რას გარგებს – შენსას მიჰედე შე, ქალო!

ექსპრომტის გარეშე არც მეორე არაჩვეულებრივი ქალბატონი, ვანის პარტიის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე (ადრე კომკავშირისა და კულტურის სფეროში მუშაობდა) არეთა შალამბერიძე დაუტოვებია ექსპრომტების გამორჩეულ ოსტატს. მან დიდებული აკროსტიქი („აკროსტიქი – ისეთი ლექსია, რომლის ტაეპები იწყება, ან თავდება ასოებით, რომლებიც აღნიშნავს ამ ლექსის ავტორს, ან ადრესატს, ან საგანს. განსაკუთრებით მიღებული იყო ბერძნულ-ბიზანტიურ და ქართულ პოეზიაში. აკროსტიქი მდიდრად არის წარმოდგენილი ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლებში (იამბიკოში, პროზაულ ჰიმნებში, „ა. ჭილაია, რ. ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“, თბ. უნ. გამომც, თბ. 1984 წ, გვ. 24).

მშვენიერ აკროსტიქებს წერდნენ: არჩილი, ბესიკი, დ. გურამიშვილი. არსებობს ცალმხრივი და ორმხრივი აკროსტიქი (ლექსის ორივე მხარეს იშიფრება რაიმე).

ქალბატონ არეთასადმი მიძღვნილი ვ. ლორთქიფანიძის ექსპრომტი დიდებული აკროსტიქია მშვენიერი ნიმუშია:

ზოგჯერ სიტყვითა ტკბილითა, ზოგჯერ სიტყვითა მწარეთა...

მისი ბადალი ვერ ვნახეთ, ქვეყანა მოვიარეთა.

სიბერემ ვერა დააკლო, შუქი მოსტაცა მთვარეთა,

თუ გაგვითხოვდა – რაღა ვქნათ, დავრჩებით მგლოვიარეთა

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვანის რაიკომის პარტკაბინეტში იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირი ტარდებოდა, რომელსაც დარგის მდივანი ბატონი შ. გიორგაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ თათბირზე გამოვიდა სიტყვით გაზით „განთიადის“ რედაქტორის მოადგილე მ. თვალაბეიშვილი „გაზითის როლი სამეურნეო ამოცანების გადაჭრის საქმეში.“ ექსტაზში შესული მომხსენებელი სიამაყით აღნიშნავდა: ამა და ამ ფერმაში ამდენითა და ამდენითა მომატებული წველადობაო. რა თქმა უნდა, კონკრეტულ ციფრებსაც ასახელებდა. უსმინა, უსმინა პატივცემულმა ვახტანგ ლორთქიფანიძემ და რაიკომის მდივანს ფარულად ასეთი ექსპრომტი მისწერა:

მურადი შენი სიტყვიდან დასკვნა გამოდის ასეთი –

ძროხამ რომ ბევრი ინველოს უნდა უკითხო გაზითი.

სხდომა კინალამ ჩაიშალა ისეთი გამოხმაურება მოჰყვა ამ ერთსტროფიან კაფიას.

გალექსების საყურადღებო ნიმუშია ლექსი-ექსპრომტი „სარვამარტო“, მიძღვნილი რაიკომში მომუშავე ქალბატონებისადმი, რომელიც მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორითაა გაჯერებული:

სიყმანვილე გამიფრინდა, გამიფრინდა ალარ მოვა,

საქოჩირეზე თმა არ შემრჩა, საფეთქელზე დამათოვა.

მაგრამ გული რა გულია, რომ სიბერეს შეერიოს,
ლამაზ ქალზე დარდს და ნაღველს აგრერიგად შეელიოს.
თუ დაგვეწყო სულისაგან ხორცის გაყრის ღალადისი,
ხორცი ჭენება, სული რჩება, გრძნობა რჩება მარადისი.
მაგრამ მენდეთ, სანამ დროა, წრთელი გულით მირჩევია –
სული ღმერთებს მიანდეთ და ხორცის მიხედეთ გირჩევნიათ.

1978 ნლის 8 მარტი

არც ავტორმთქმელ აკაკი თევზაძისა (მთისძირი) და ზედავანელი ხალხური მთქმელის რომან ახობაძის – კულტურის ცენტრის ვეტერანი მუშავის, ურთიერთგალექსპანი ხვდება ყურს ურიგოდ. რომანი ოთხი ქალიშვილის მამაა, ბევრი მცდელობის მიუხედავად ვერა და ვერ „შექმნა“ ბიჭი. რისთვისაც აკაკი თევზაძემ გამოაჯავრა: ბიჭის ქმნად გენეტიკური კოდი ვერ დაგიდგენიაო. აქვე გთავაზობთ მის ლექსს:

თუ გინდა რომ აგისრულოს სურვილები და ნდომანი ღმერთის ყოველ თვეში მიართვი შესანირავი, რომანი. მუხლები გადაიტყავე, მიიღე რჩევა პოეტის, ბიჭის გაჩენას სჭირდება, კარგად შემდგარი პროექტი. რა ვუყოთ – ბედი არ გწყალობს, შორს კაცი აღარ ეძიო, მეზობელი ხომ გივარგა – იქნება შემოგენიოს.

მოპაექრეს შესაშური პასუხი მიაგო რომანმა:

არ დაიჯერებ, რომ ლექსი ჩემია – არა სხვისა, შენ თუ გყავს გოგო-ბიჭები, მითხარი – რის მაქნისა?.. თავი რომ მოგაქვს ბიჭებით, პირზე ღიმილი გფენია, ნეტავი გამაგებინა მეზობლისა თუ შენია. ბიჭის კეთება ასე თქვეს – თურმე ხერხდება დილაზე, სანთლებს ავანთებ, ვიღოცებ, ტყუპ ბიჭს, გაჯახებ ჯინაზე. სამი შვილი გყავს, მე – ოთხი, ფაფხურობ, ვერც რას აკეთებ, შეგაკლდა „ტყვია-წამალი?“ – ქარხანა ხომ არ დაკეტე?!

ყველას კარგად მოეხსენება, რომ არჩევნები ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა. წინასაარჩევნო კამპანიის ციებ-ცხელება ვის არ აღელვებს. სხვადასხვა პარტიებს შორის კონკურენტული, ჯანსაღი ბრძოლა ქვეყნის სადაცების ხელში ჩასაგდებად ბუნებრივი და მისასალმებელია. ამომრჩევლების მოსყიდვა, ბიულეტენების გაყალბება რომ დაუშვებელია – ესეც ცხადზე ცხადია. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არჩევნების გამყალბებლებიც მკაცრად ისჯებიან.

მმართველი პარტია ყოველთვის ცდილობს არ დათმოს თავისი პოზიციები. „ნაციონალების“ მაგალითზე ვიტყოდი ამას, ცხრა წლის განმავლობაში მათ პარპაშს, ხალხის ურყევმა ძალამ და ნებამ დაუსვა წერტილი. რა თქმა უნდა, ასეთ დღეში აღმოჩნდებიან სახელმწიფო სათავეში მოსული სხვა პარტიებიც, რომლებიც ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისთვის არ იზრუნებენ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებში ვდებულობდი მონაწილეობას. კონსერვატორების პარტიამ (ხელმძღვანელი კობა დავითაშვილი) წარმადგინა დეპუტატობის კანდიდატად. გამარჯვების დიდი შანსი მქონდა, სამი სოფლიდან (მთისძირი, ჭყვიში, შუამთა) ვიყრიდი კენჭს, მაგრამ „ნაციონალები“ მე გამამარჯვებინებდნენ, მე დამითმობდნენ ასპარეზს? სწორედ, ეს ვითარება არაჩეულებრივად ასახა ავტორმთქმელმა როსტომ კიკაბიძემ (მთისძირი) ჩემდამი მოძღვნილ ლექსში, რომელიც გაღექსების გვარიან ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. არც მისი ჭკვიანური რჩევა-დარიგებანია მისაყურისძირებელი.

ძლიერნი ამა ქვეყნისა, ცუდად მართავენ ქვეყანას?

ხომ შესძლეს სიღარიბიდან ხალხი რომ გამოეყვანათ?

გირჩევ არ გადაიკიდო ნაციონალთა ბანაკი,

თორემ ვერც ღმერთი გიშველის, ვერც შვილი და ამხანაგი...

ჭკუა-გონება ხომ უჭრით? – არიან სხვებზე ნაკლები?!

საქმესაც ბევრს აკეთებენ, მაგრამ ბევრი ჰყავთ „ნაგლებიც“. სხვა პარტიიდან კენჭს იყრი? – რატომ შეგიჩნდა ეშმაკი?! შენ მართლა თავდადებული, ანდა მგონიხარ მე შმაგი. ნამეტანს ნუ იქაჩები, ნუ შესძარ მთა და ბარია, „მაგარი“ მიშას გუნდელნი მართლა „მაგრები“ არიან, თუ კარგად არ შეისწავლე მათი თამაშის წესები, აღარ აგცდება საკანი, არც ცუდი რამ ექსცესები. პირიდან თაფლი გდიოდეს – ეგ ყია ნუ გიყარსაო, დაჯექ და წერე ლექსები, ნუღარ დაეძებ შარსაო. მოვა დიდება, შენს სახეს დრო გამოძერწავს ქანდაკად, თუ არ დაცხრები – გვერდებში სარს გაგიყრიან განდაგან. ხმა მომეცითო – კარდაკარ აგიტაციას ეწევი, ერთი ხმის ნაცვლად ასს ყრიან – შენ მაგათ რას დაეწევი? მშრალზე დაგსვამენ, გუნდრუკი უკმიე კონსერვატორებს, ხომ ნახე ტელევიზით – კობა რარიგად დატორეს?! „ვინაც მოითმენს – მოიგებს“, შეგონებაა ჭკვიანის, „მაგრებს“ შენ ჩირად უღირხარ, თავს აღარ მისცე ზიანი. საკრებულოში, ძამიკო, ამაოდ ეძებ არენას, მაგათი შიშით, ალბათ, ხმას ვერ მოგცემს ცოლი მარინაც. გირჩევ – წაბრძანდე სახლშია, ხელში აიღე ნამგალი, და გაუმაგრე ცოლს მხარი, არ თქვას – „შრომაში ჩამკალი!“ ჩასჭრი, ჩააქურდულე გალმა-გამოლმა ყანები, დიდი აკაკის სეხნიავ, შენს სახელს ვეთაყვანები. გროშიც რომ აღარ გიჭყავის ჯიბეში – არის მართალი? კაცს პური ვერ გიყიდია და ვერც საშარვლე ფართალი. მაგრამ, ო, მაინც არ შედრკე, არ წაიხდინო გულია, წიგნები ბეჭდე, გაყიდე – მალე გიხილავთ ფულიანს. შენზე საძრახი, აუგი, აღარ სმენოდეს ჩემს ყურებს, ნურც ამ მთავრობის იქნები – ნურც სხვისი ხელის შემყურე.

გალექსება, რომ ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, ამაზე ნათლად მეტყველებს ვ. ლორთქიფანიძის ლექსი მიძღვნილი ან განსვენებულ თ. სულაქველიძისადმი.

ბატონ ვახტანგსა და ბატონ თენგიზ სულაქველიძეს ერთმანეთთან ნათესაობა და დიდი მე-გობრობა აკავშირებდათ. ექსპრომტების დიდოსტატის ადრესატი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შსს ვანის რაიმილიციის განყოფილებაში, ჯერ ბავშვთა ოთახის გამგედ, ხოლო შემდგომ საპასპორტო მაგიდის გამგედ. ის ერთი დინჯი, გონიერი, შრომისმოყვარე, მუხლჩაუხრელი კაცი იყო, ამასთანავე კარგი მევენახეც, რასაც დიდებულად გადმოგვცემს ენამახვილი ვ. ლორთქიფანიძე მასზე სახელდახელოდ შექმნილ ლექსში:

ვენახის მოვლის გაქვს ალერგია,
ვერ ეგუები შაბს და ხომიცინს,
მაგრამ იმაში ნაღდი კაცი ხარ –
ქართული ღვინის ფასი რომ იცი.
ვსვათ, რა შეგვრჩება?... რომ გვიხმობს ღმერთი,
არ დაგვიტირონ იქნებ ბიჭებმა,
არც გოგონებმა დაღვარონ ცრემლი,
ცოლებიც ხათრით დაილრიჯება.
მე ამ ცხოვრების დედა ვატირე,
ყინულივით რომ ხელში გვადნება...
ვუცქიროთ ზეცას ჭიქის ფსკერიდან,
ვერ იბოგინოს ჩვენთან დარდებმა.

მაინც რა კარგად ულერს ეს ერთი სტროფი კაფია, რომლის ობიექტიც ისევ თენგიზია, მილიციის ვეტერანი მუშაკი:

ბრიყვი გოჯილას აშენებს, ხუროთმოძღვარი – სასახლეს,
არ ვიცი ამ კაცს რა ჰქვია, თან რომ გადაჰყვა საძალლეთს!

ახლა გვინდა ორიოდე სიტყვა გაშაირებაზეც ვთქვათ:

გაშაირება ფშავში კაფიობასთანაა გაიგივებული. „შაპირ“ არაბული სიტყვაა და ლექსის ნიშნავს, მოშაირე – მელექსეს. „მოშაირე არ ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“... (შოთა რუსთაველი) ე. ი. მელექსე არ ჰქვია მას, ვინც ვრცელ პოეტურ ნაწარმოებს ვერ შექმნის.

გაშაირების დროს მოშაირეთა (მელექსეთა) ექსპრომტებით ურთიერთშესიტყვება მეტად დახვეწილი, ლაკონური ფორმით ხდება, ხალხურ საკრავთა (ფანდური, გუდასტვირი) გამოყენებით. „იყო ნაკვეთი შაირი, როგორც ნასროლი ისარი...“ (გალაკტიონი). მართლაც ისარივით უნდა იყოს ბაგეს მოსხლეტილი შაირი.

იმერეთში ეს პროცესი ფანდურზე სრულდებოდა. ძალზედ საინტერესოდ იკითხება ავტორმთქმელ გიგლა ოჩხიკიძის (ტობანიერი) „ქალ-ვაჟის გაშაირება ფანდურზე“

ვაჟი:
გოგოვ, რატო მებუტები,
კოხტავ და თვალმაისავ,
წელს თუ ვეღარ წაგიყვანე,
ხომ წაგიყვან გაისად?!

ქალი:
ცოლად თუკი წამოგყვები
გაგიხეთქავ გულსაო,
ავ ძმას, დედას გაგილახავ,
ცხვირს მოვამტვრევ მულსაო.

ვაჟი:
ქალო, ასე ნუ იქცევი,
ნუ გაქვს ენა გრძელიო –
უსათუოდ გაგშორდები,
თუ ვერ გაგიძელიო.

ქალი:
თუ ბიჭი ხარ მომიტაცე,
გამიყენე გზასაო,
და თუ კარგად არ მაცხოვრებ –
ქე გავყვები სხვასაო.

(გაგრძელება იქნება)

სტატია გადმობეჭდილია გაზეთიდან „საერთო გაზეთი“. 30 მარტი, 2016 წ. რედაქტორი ვ. ხარჩილავა. შეთანხმებულია რედაქციასთან და ავტორთან. 2016 წ. 20 აპრილი.

კობა არაბული

მწერალი

ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის პედისტერა გადაჯაჭვულია
ვის სურს ერთული სახელმწიფო კონდელად აქციოს?

ტაძართა წვა და ნგრევა ერის სულიერი და ზნეობრივი კოლაფსის მაუწყებელია:

თუ არ შეასახელე სული, არ იარსებებს არც მატერია. ყოველი მტერი ერისთვის ზნეობრივი ნიადაგის გამოცლას ცდილობდა. უმორალოდ დარჩენილი რასა კვდება, იღუპება იმპერია...

მეომართა ლაშქარი, მხედართა კასტა ვერ იბრძოლებს უმორალოდ!

ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა გადაჯაჭვულია! ინგრევა ტაძარი, იღუპება ერი!

ტაძარში ვგულისხმობ ზნეობას, ადამიანთა ლირსების დასაბამიერ მორალს.

დასაბამითგანვე ქართველი რასის მოდგმას ათასი ჯურის ვერაგი მტერი ჰყავდა, დაწყებული სემიტურ-ქამიტური ტომებიდან, დამთავრებული მონღოლურ-ხაზაროიდული ბარბაროსებით...

მაგრამ ყველა მომხვდური არ გვიწვავდა ტაძრებს. მაგალითად, მონღოლები! მეტსაც გეტყვით: მონღოლები აფასებდნენ ქართველთა ლირსებას და რაინდობას.

უამთა აღმწერელის ისტორიიდან ვიგებთ, რომ მონღოლებს სძულთ მამათმავალი და მოლოიდი (ჩუმად კაცის მკვლელი) სპარსელი და ყაენი მათი მოწყვეტისკენ მოუწოდებს ნოინებს, მაგრამ მათ არ სძულთ პირდაპირი და რაინდი ქართველი! ისინი გაოგნებული და აღტაცებული არიან ცოტნე დადიანის ქცევით, მისი ლირსებით.

მონღოლმაც იცის, რომ მამათმავლობა დასაძრახი უზნეობაა. მონღოლმა იცის, რომ ტაძრის წვავერა და რელიაგიათა დევნა უზნეობაა და ეს კაცობრიობის ყველაზე დიდი ბარბაროსი ინდობს ადამიანთა რწმენას და არ ეხება ტაძრებს.

ტაძარი არ დაწვა აღა-მაჰმად-ხანმაც კი, მისმა სისხლისმსმელმა ურდომ სვეტიცხოველს გვერდი აუარა, დაინდო...

ესენი კი ტაძრებს წვავენ, ცეცხლს უკიდებენ შიგნიდან.

პირდაპირ ეკრანიდან წვავენ ტაძრებს

ვინმე მაია ასათიანი...

ვინმე ინგა გრიგოლია...

ვინმე ჩერგოლეიშვილი...

ვინმე ვაჭარაძე...

და ათასი ვინმე მათი „მოდე-მოწილე“, ქადაგი როგორც იტყვის და თვით ქართველთა პრეზიდენტი პირდაპირ პრეზიდენტის სასახლიდან და სატელევიზიო შოუებიდან უკიდებენ ცეცხლს ერის სულს და ზნეობას!

პარლამენტის ტრიბუნიდან წვავენ ტაძარს ნაცები — ბოკერიები და მისთანები...

რესპუბლიკულები, ბერძენიშვილ-ხიდაშელები და მისთანები...

ლიბერასტ-დემოკრატები: ალასანია- ბეტრიაშვილები და მისთანები!

ათასი ჯურის „ჰომისექსუალი“ — ლგბტ-თა, არასამთავრობოთა გარყვნილი ჯოგები, პარტიათა ურიცხვი ნახირი ხრავს და თელავს ერის სულიერ ქსოვილს... „ბარამბოს“...

მოკლედ, ტაძრებს წვავს და ანგრევს ადამიანთა უზნეობა, ერს შიგნიდან ჭამს, როგორც მოლოხი...

ამათ ქვეყანა ბორდელად გვიქციეს, წმინდა ბარძიმები დაგვიქციეს!

კიდევ განვმარტავ: ტელევიზიებმა შექმნეს ერის ზომბირების, „ბაქტერიოზული ძალადობის“ ქსელი, შეერწყნენ ერთმანეთს არასამთავრობოები: ანტიზნეობრივი ლიბერასტი „ქრომოსომული“ წარმონაქმნები, ჰიბრიდული ჩანასახები ქართველი „სხვა პლანეტიდან“ ერის საშოში, უცხო ზნეობრივი სივრციდან...

ასევე: როგორც ფეოდალები ხლეჩდნენ და ანგრევდნენ, ლალატობდნენ და ყიდდნენ (ვაჭრობდნენ შვილების სისხლით), ასევე ამ ფეოდალმა პარტიებმა დაშალეს და გათიშეს ქვეყანა ნაწილ-ნაწილ, ერთ საკუთარი თავის მოსისხლედ აქციეს, ოჯახების ერთიანი (წმიდა) სხეული დაანაწევრეს და ერთი დედ-მამის შვილი და-ძმა დააპირისპირეს. ყველა ოჯახს სულში ჰომოსექსუალს და პედერასტს უნერგავენ...

მააა ასათიანის შოუს შევესწარი „რუსთავი 2-ზე“ – ეს „ფეხზე მდგარი ჯოჯოხეთი“, ეშმაკი რომ ჰყავს შესახლებული გაფარჩხულ სხეულში. როგორ დასჩხავის საზოგადოებას, როგორ უტიფრად უღერდა ბრჭყალებს პირდაპირ თვალებში ქართველ ქალებსა და კაცებს სინდისი და ლირსება რომ ქენჯნით. მე მიკვირს, რომ როგორ მოითმინა (ან რატომ მოითმინა) ამათი ყურება ნუკრი მჭედლიშვილმა (ხრიდოლის ოსტატმა), რომ არ ადგა და არ მოისროლა პიედესტალიდან ეს უტიფარი დედაკაცი და პედერასტი ვაჭარაძე!...

მე ვწერდი ჩემს წინა ესეებში ერისთვის სახითათო ზონებზე, რომლებიც ანგრევენ ერის ცნობიერებას და მის ეთნოკულტურას, მის ფსიქომოდელს და ხიფათს უქმნიან სახელმწიფოს არსებობას...

ვერ აშენდება, ვერ გაიხარებს ეს ქვეყანა, ანუ ქართველთა სამშობლო ამათი მუდმივი დისტრუქციით, აგრესით და იმ „ტოქსიკური შხამით,“ რომელსაც საოცარი ენერგიით გამოყოფენ ერთი ციდა მორიელის ხელა მაქციები: ნაცვლიშვილები, ვინმე ეკა გიგაურები, ხოშტარიები, კვესიტაძეები, თაქთაქიშვილები (და სხვები და სხვები) ვირუსის გამავრცელებელი ბუნკერები და ა.შ.

მოდი, ვნახოთ, რამდენი პარტიაა ამერიკაში, რომლის ერთი შტატის ნახევარიც არ არის ჩვენი ქვეყანა – შეიძლება ასეთი რამ.

– ამდენი ძირგამომთხრელი არასამთავრობო, რომლებიც პოლიტიკურ პოლიპებად იქცნენ და სუნთქვის საშუალებას არ აძლევენ ქვეყანას (ხელისუფლებას), როდემდე შეიძლება მათი არსებობა და მოთმენა?

ეს „ფურუნულები“ უნდა ამოვარდნენ სახელმწიფო სივრციდან!

ვინ მიღებს გადაწყვეტილებას, ვინ იქნება გმირი, რომ დეკრეტით შეაჩეროს ამდენი პარტიის, ამდენი არასამთავრობოს, ამდენი ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი ტელევიზიის არსებობა და ფუნქციონირება და დეკრეტით (ან კანონით) განსაზღვროს მათი რიცხვი...

გვეშინია, ვერ გავპედავთ!

მაშინ დავმარცხდებით და არ გვექნება ქვეყანა, ერის ღრევა და ნიჰილიზმის პროცესი სწრაფად მიდის...

ვიტყვი იმასაც, რომ ახალი ფაშიზმის და ნეობოლშევიზმის, ანუ სრულიად უცნობი ნეოლიბ-ერალიზმის ძალადობით ერთ გვეღუპება!

ე.ი. თუ ერთ დათრგუნავს უზნეოთა ნადიმებს, საჯარო სექსისა და პედერასტიის „ბომონ-დებს“, თუ ხელისუფლება ჭკუას არ მოუხმობს და არ მოუხმობს ერს მხარში დასადგომად.

თუ ეკლესია არ გამოაცხადებს საყოველთაო პროტესტს ამ მასონური, ნეოლიბერალური, ჰომოსექსუალთა „დინასტიების“ ასალაგმად, თუ არ ჩააჩუმებენ ამ ანტიქრისტიანულ, კაცომოულე ტელევიზიებს, აღმოვჩნდებით უსახელმწიფო ბუნკერში, რომელსაც ყველანაირ ნაგავს აყრიან თავზე!...

ახლა ადამიანები კითხულობენ, რატომ იწვის ტაძარი? ჩვენი უზნეობა წვავს ტაძრებს, ქალაქი გომორის ცოდვებში რომ ჩავახრჩოთ, იმიტომ წვავს და ამას არ იკმარებს უფალი... შეიძლება ყანა და ბალაზიც არ მოვიდეს ჩვენს მიწაზე!

რა წვავს ტაძრებს და ქალაქებს, ისინი შემთხვევით და უმიზეზოდ არ იწვიან, როცა შემოკრება ამდენ მეძავს და ჰომოსექსუალს და პრეზიდენტი მდიდარი სექსის საჯარო გაკვეთილებს ჩაუტარებს ერს...

ხოლო საზოგადოება თუ გადაყლაპავს ამას ძილში აბივით, ის ქვეყანა ვერ იქცევა სახელმწიფოდ...

როცა უფალმა გომორში მართალი კაცი ვერ ნახა, ლოტს ქალაქიდან გასვლა უბრძანა და ქალაქი გოგირდის ცეცხლით დაწვა...

ტაძრებს და ქალაქებს წვავს ადამიანთა უზნეობა – ან ჩვენ უნდა გავიდეთ უკვე სოდ-

ომადქცეული ქალაქიდან და ესენი დარჩენენ, ან ესენი უნდა გავიყვანოთ და ერი უფალთან დარჩეს!....

იბერთა ქვეყანაში სხვანაირად არაფერი გამოგვივა!

ეს არის ყოფნა- არყოფნის დღე! ერი წყვეტს და უფალი სჯის! თუ ერი აღასრულებს უფლის ნიშანს – გადარჩება!

ჩვენ უნდა გავჭრათ გოირდიასის კვანძი, რომ უფალმა არ დაგვსაჯოს...

ახლა რეზიუმეს სახით ვიტყვი შემდეგს:

ჩვენ ვიცით, თუ რა მიზეზით დაიქცა რომის იმპერია, რამ გამოიწვია ბიბლიური სოდომისა და გომორის დაწვა თუ პომპეუსის დაღუპვა... თეოლოგთა აზრით, უზნეობამ განსაზღვრა მათი ასეთი ბედისწერა.

მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის უფრო საყურადღებოა, რამ დააქცია თითქმის გაბრწყინებული ქართველთა სახელმწიფო ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ეპოქაში.

ჟამთააღმწერელის აზრით, ეს გამოიწვია სამეფო კარის დაცემამ და უზნეობამ, თვით გიორგი-ლაშას ავხორცობამ და რუსუდანის „ისეთობამ“, როგორიც იყო.

ჟამთააღმწერელი მონღლოლების მოვლენას ღვთის ნებად თვლის ქართველთა დასასჯელად, რომელიც ასცდნენ დავით აღმაშენებლის ზნეთ და საქმეთ. ქართველმა ერმა და სამეფო კარმა დაკარგა რწმენა და ჩაეფლო სოდომის ჭაობში...

მწიგნობარნი მიიჩნევენ და მეც ვიზიარებ, დავით აღმაშენებელი რომ ყოფილიყო, მონღლოლები დაიმსხვრეოდნენ საქართველოს საზღვრებთან ისევე, როგორც თურქმენთა (400 000-იანი ურდო) დაიმსხვრა დიდგორზე და კიდევ ერთხელ გადარჩებოდა მსოფლიო (ევროპა).

საქართველომ არაერთხელ შეაჩერა ევროპისკენ მიმართული ურდოები. მას ქონდა უფლის-მიერი ისტორიული მისია და ასრულებდა ამ მისიას.

ქართველ ერს ახლაც აქვს თავისი განსაკუთრებული მისია, რომლის განხორციელებას უნდა მოხმარდეს მთელი ქვეყნის და თითოეული ჩვენგანის ეროვნული ენერგია.

შალვა შარაშენიძე

ისტორიის მაგისტრი

სამედიცინო დარგის განვითარების ტენდენციები „ვანის“ რაიონის სოფლების მიხედვით

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ვანის სოფლებში ისე, როგორც მთლიანად საქართველოში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის განმაპირობებელი მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორები გახდათ:

1. მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობა, დარგისა და საერთოდ განვითარების მიმართ ქართული ფეოდალური სამყაროს ინდიფერენტიზმი და მეფის რუსეთის იმპერიის კოლონიებისადმი დამოკიდებულება.

2. არსებული საზოგადოებრივ ფორმაციისა და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

3. უაღრესად სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც განვითარების გამორჩეული, შემაფერხებელი ფაქტორი.

4. სამედიცინო სფეროში სათანადო განათლების მქონე პროფესიონალი კადრების უკიდურესი სიმცირე.

5. უაღრესად არასაკმარისი სამედიცინო დაწესებულებები, მათი ნორმატიული ფორმით არარსებობა, მოსახლეობის აღნიშნულ დაწესებულებებთან წვდომის სირთულე, აღჭურვილობის საგანგაშო მდგომარეობა, დაავადებათა წინასწარი პროფილაქტიკის თითქმის არარსებობა სიტუაციას ართულებდა და უმნირეს სამედიცინო მომსახურეობის პირობებში დაავადებულთა რიცხვს ზრდიდა. იმდროისათვის დასავლეთ საქართველოში დამახასიათებელი, მკვეთრად დაჭაობებული რელიეფის მქონე საკარმიდამო საცხოვრისი, რომელშიდაც გამონაკლისა არც ვანის ტერიტორია წარმოადგენდა და მოსახლეობის ჰიგიენური პირობებისა და კვების რაციონის ენერგეტიკული ღირებულებების დაბალი დონე.

საქართველოში სამედიცინო საქმის გაუმართაობაზე თავის დროზე მიუთითებდა გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი¹ თავის მოგზაურობაში იგი, როგორც პროფესიონალი ექიმი ნათლად წარმოადგენს საქართველოში არსებული მკურნალობის ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილების, სამედიცინო სფეროს განვითარების უაღრესად დაბალ დონეს.

სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს შეიცავს, (უფრო მოგვიანებით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ), კავკასიის მთავარმართებლის პავლე ციციანოვის (ციციშვილი) რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილი მიმართვაც, რომელშიც საუბარია ამ პერიოდში გავრცელებულ საშიშ დაავადებზე, მკურნალობის მარტივი მეთოდებიდან გამომდინარე არსებულ მსხვერპლზე და მოითხოვს როგორმე გამოაგზავნონ 3-4 პროფესიონალი ექიმი და 10-12 პროვიზორი, რომ თავდაპირველი დახმარება მაინც გაუწიონ ხალხს.

გარემოებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, როგორი მდგომარეობა იქნებოდა პერიფერიებში და იმრეთის სამეცნიერო, რომელიც 1810 წლიდან რუსეთის იმპერიამ შეიერთა. რასაკვირველია თუ უფრო რთული არა ანალოგიური სიტუაცია მაინც იქნებოდა „ვანის“ თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალ სოფლებშიც. ამ ფაქტს ამტკიცებს 1887 წლის გაზეთ „მწყემში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია: საპრასიაში, ძულუხში, რომანეთში, (როგორც ჩანს ანალოგიურად სხვა სოფლებში) მცხოვრები „მკითხავები“, ექიმბაშები გასინჯავდნენ რა ავადმყოფს, ხშირად დაასკვნიდნენ იგი ჭლექიანია (ტუბერკულოზი) და მისი სახლში დატოვება არ შეიძლება, ავადმყოფს განარიდებდნენ სოფელს. ექიმბაშები დღეში ერთ მანეთს აძლევდნენ ავადმყოფის მოვლისათვის, მოუვლელობის გამო ავადმყოფი კვდებოდა, ავადმყოფის ტანსაცმელი, ქვეშაგები ექიმბაშეს რჩებოდა.²

1900-იანი წლებიდან „ვანიდან“, რამდენიმე ადამიანმა იმპერიის დიდ ქალაქებში შესძლო

1. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი – მოგზაურობა საქართველოში. თბილისი 1962 წ.

2. გაზეთი „მწყემში“ 1887 წელი.

სათანადო სამედიცინო განათლების მიღება, მაგრამ ვანში სამედიცინო ბაზის არარსებობის გამო იძულებული გახდა გუბერნიის ცენტრებში, ან ისევ რუსეთის წამყვან ქალაქებში დასაქმებულიყო.

შესაბამისი დაცული მასალების ანალიზით ჩანს, რომ უბრალო სამედიცინო ცნობის მისაღებად „ვანის“ მცხოვრები იძულებული იყო მიემართა მაზრის ცენტრში არსებული შესაბამისი დაწესებულებისათვის.

ცხადია, როგორ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ავადმყოფი და მისი ოჯახი, მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოების დაბალი ფენის ეკონომიკურ მგომარეობას, კომუნიკაციის და გადაადგილების სიძნელეს და არასათანადო დონის მქონე სამედიცინო მომსახურეობას. როგორც ითქვა, სირთულეს ქმნიდა „ვანის“ სოფლებში დაავადებების ტიფისა და ციების (მალარიის) დიზენტერიის გავრცელება, რომელზეც თავის მხრივ, გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო, დაჭაობებულ ტერიტორიებთან სიახლოვე, საბინაო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და კვების რაციონის დაბალი დონე. ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე შედეგები შემაშფოთებელი იყო ლეტალობის (სიკვდილიანობის) თვალსაზრისით.

XX საუკუნის საწყისამდე იდენტურია მდგომარეობა სამკურნალწამლო საშუალებებით მომარაგება-უზრუნველყოფის მხრივაც. „ამ პერიოდისათვის „ვანში“ ფუნქციონირებდა ერთი სააფთიაქო დაწესებულება. უნდა ვირწმუნოთ, რომ მასში დასაქმებულ ფარმაცევტს ექნებოდა შესაძლებლობა უმნიშვნელო დაავადებებთან დაკავშირებით თავისი პროფესიული ხედვის საფუძველზე, ექიმის დასკვნის გარეშეც ავადმყოფზე გაეცა სამკურნალო საშუალებანი“.¹ ამავე აფთიაქის მფლობელს მოგვიანებით მოუწვევია და ყოველ კვირადღეს ჩამოდიოდა სამტრედიელი ექიმი ჩხერენელი, აფთიაქის მეპატრონე გახლდათ ვინმე აბრამიძე, რომელსაც იგი შეძლებისადაგვარად აგურით აუგია და კრამიტის ფილებით გადაუხურია. XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში „აფთიაქი“ თავისი „სკლადით“ გაუიჯარებიათ ვინმე სიმონ ივანეს ძე ბაქრაძეზე, 66 მანეთად წელიწადში. საიჯარო ჩამონათვალით ირკვევა, რომ აფთიაქს გააჩნდა წამლების დასამზადებლად საჭირო ხელსაწყოები და აპარატურა.

„XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში აფთიაქი მეპატრონისაგან შეუძენია „ვანის“ სოფლის საზოგადოებას. წინასწარი ბეს სახით გადაუხდიათ 3 333 მანეთი, თანხა კი მეპატრონეს მიუღია ვანში მცხოვრები თავად რაფიელ ანტონის ძე ჩიჯავაძისა და იაგორ კონსტანტინეს ძე მესხისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ ვანის საზოგადოების დეპუტატებს.²

1916 წელს აფთიაქის გამოსყიდვა 12 000 მანეთად მოუხდენიათ მთლიანად, ამ პერიოდისათვის, საკუთრივ, „ვანს“ ემსახურებოდა პროფესიულ დონესთან მიახლოებული სოფელ ვანის აფთიაქი, ამაღლების ბაზართან და ტობანიერში იასონ ლეუჯავას მიერ 1903 წელს გახსნილ აფთიაქთან ერთად.

1912 წელს ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ „ვანში“ სამუშაოდ თავისი სურვილით მოვიდა ქუთაისელი ექიმი ვიქტორ როინიშვილი, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა რაიონში სამედიცინო სამკურნალო საქმის დაფუძნებასა და სრულყოფაში, როგორც ექიმმა და გარკვეული დროის მანძილზე სამედიცინო საკითხთა ხელმძღვანელმა.

ამდენად, განხილული პერიოდისათვის „ვანის“ ტერიტორიულ სივრცეში არ დასტურდება არცერთი მაღალორგანიზებული სამედიცინო სამკურნალო დაწესებულება, თუ არ ჩავთვლით ზემოთ მითითებულ აფთიაქებს და XX საუკუნის საწყისში (1909 წელს) გახსნილ ამაღლების საფერმლო პუნქტს, რომელსაც ერთი ფერმალი (დღევანდელი მედდა) ემსახურებოდა და მომსახურეობას უწევდა დასახლებებს ციხესულორიდან სალომინაოს ჩათვლით.

საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დარგის განვითარების დინამიკა შემდეგნაირად წარმოგვიდგება, ამ მხრივ საჭიროდ მივიჩნევთ თითოეული დოკუმენტის სათანადოდ განხილვას.

ნიშანდობლივია სსრ (საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის) რევკომის ჯანმრთელობის

1. ომარ კაპანაძე – ვანი ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან.

2. ომარ კაპანაძე – ვანი ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან.

განყოფილების მოხსენება, რომელიც თარიღდება 1922 წლის 6 აპრილით.¹ სადაც მითითებულია „ახალი გარემოებით გამოწვეული პირობების გამო მაზრის (საუბარია ქუთაისის მაზრაზე, რომელშიდაც ვანის სოფლები, თემსაზოგადოებები შედიოდა, ამიტომ აქაც და შემდეგშიც როდესაც საუბარი იქნება მაზრაზე, მასში მოვიაზრებთ ვანის თემსაზოგადოებებსაც 1930 წლამდე, ე.ი. ვანის რაიონის შექმნამდე შ.შ) საექიმო პუნქტების რიცხვი შემცირებულ იქნეს. დღეს არსებულთა შორის აუცილებლად უნდა დარჩეს: ფარცხანაყანები, ნეალტუბო, დიდი ჯიხაიში, ლანირი, გორდი, დაფნარი, რომლის გადაწევა უფრო საშუალო ადგილას არის შესაძლებელი. ვანი-ზეინდარი, სვირი, ბალდათი და ხრესილი, ეს პუნქტები ხალხში დიდი ხნიდანვე არსებობდნენ და მისთვის პირველმოთხოვნილებად გადაიქცა და ისეთი რაიონის ცენტრებშია მოთავსებული, რომელიც ხალხით მჭიდროდ არის დასახლებული და ამის გარდა მსურველს საექიმო დახმარების მიღება ამ პუნქტიდან უფრო უადვილდება. შესაძლებელია რომელიმე ამ პუნქტის შენახვა საზოგადოებამ იკისროს, რისთვისაც უნდა მოხდეს ხალხის ყრილობა და მასთან მოლაპარაკება. დახურუება კინაველეთი, კულაში, გუბი, მათხოვი, ცხეუნკური, ოფურჩეთი, საყულია და სიმონეთი, ამათი საზოგადოებიდან შენახვის იმედი არ არის, გარდა ტობანიერის, პატრიკეთისა და კინაველეთისა.“

ზემოთ მითითებული ციტატით „ახალი გარემოებით გამოწვეულ პირობებში“ იგულისხმება პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობილების ცვლა 1921 წელს. აქედან, მიუხედავად, ფორმაციათა ცვლილებების გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, არსებული ხელისუფლება, ზემოთ განხილული დოკუმენტის არსიდან გამომდინარე, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, ცდილობს პერიფერიულ ერთეულებში „ვანსა“ და ზეინდარში არსებული საექიმო პუნქტების შენარჩუნებას, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ასევე შესაძლებელს ხდის თემთა საზოგადოებამ თავად იკისროს საექიმო პუნქტის შენახვა, რაც შექმნილ ვითარებაში სამედიცინო პუნქტთა შენარჩუნების მართებულ საშუალებად უნდა ჩაითვალოს. (შ.შ)

ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება² კერძო სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის შესახებ:

1. ნებადართულ იქნეს კერძო სამკურნალო დაწესებულებათა (საავადმყოფო, ამბულატორია, სანატორიუმი და სხვა) გახსნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებათა ნებართვით და მათივე კონტროლის ქვეშ.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალოს გამოსცეს ინსტრუქცია კერძო სამკურნალო დაწესებულებების გახსნის წესისა და მათი კონტროლის შესახებ.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

განხილულიდან გამომდინარე ჩანს, რომ სახელმწიფო ყოველმხრივ ცდილობდა სამედიცინო ქსელის განვითარების ხელშეწყობას. კერძო სამედიცინო დაწესებულებების შექმნის შესაძლებლობით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილების ნებართვითა და ინსტრუქციით შესაძლებელი გახდა ახალი, კერძო, სამედიცინო დაწესებულებების შექმნა, რომელსაც შესაბამისი ქმედითუნარიანობის დაცვის მიზნით ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად. კონტროლს გაუწევდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

1923 წლის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი ქუთაისის რევოლუციური კომიტეტის მოხსენებიდან გამომდინარე, ჩანს, ვანში არსებობდა ერთი საავადმყოფო 6 საწოლით და ერთი ექიმით.³ აქვე დაცული ცნობით „მუშამოსამსახურეთათვის და უღარიბესი მცხოვრებთათვის, როგორც მეცნიერება, ასევე მედიკამენტები უფასო გახლდათ“.⁴

ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების ნახევარი წილის (იანვარ-ივლისი) საან-

1 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296.

2 ქუთაისის ცენტრალური არქივი — ფონდი 296. 1. 104

3 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296.1. 257

4 იქვე ფონდი №296.1.257

გარიში ინფორმაციიდან ნათლად ჩანს შემდეგი: აქ აღნიშნულია, რომ საექიმო დახმარების მხრივ, როგორც მაზრის ქალაქები, ასევე მაზრაც შედარებით მთლიანად აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნებს, რაც მიუთითებს, რომ 1922 წელს მაზრის საექიმო პუნქტების მაზრის თემების ხარჯზე დროებითმა გადაყვანამ იქონია გავლენა პუნქტების არსებობაზე და მათ სისტემურ და მწყობრ საქმიანობაზე. ასევე გამოკვეთილად უნდა იქნას მიჩნეული ამ უაღრესად აუცილებელი სფეროს მაქსიმალურად შენარჩუნების მცდელობაც. თუმცა, მთელ რიგ თემებში ჯერ კიდევ არსებულა მოუწესრიგებელი პუნქტები. დახურულ პუნქტთა შორის ჩამონათვალში მოხვედრილია **უ ხ უ თ ი ს ა და დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს** სამედიცინო პუნქტები. საბუთში დაცული ფორმულირების შინაარსიდან ჩანს, რომ ეს პუნქტები არსებობდა, ან გახსნეს მენშევიკური ხელისუფლების დროს. სიახლეა და აღსანიშნავია დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე და მათი ოჯახის წევრებზე, როგორც ქალაქში, ასევე მაზრაში (მის თემსაზოგადოებებში შ.შ.) ყოველგვარი საექიმო მომსახურეობის უფასოდ განხორციელება, დადასტურებულია, რომ ამასთან ერთად მოქმედებაშია ჩართული სამედიცინო დაზღვევაც.

ამავე დოკუმენტში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობა „მადნეული წყლების“ შესახებ, სა-დაც აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში მყოფი **დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა და ჭ ო კ ი ა ნ ი ს** აბანოები 1922 წლის ხელშეკრულების თანახმად გაცემული იყო მოიჯარებზე, საიდანაც დასტურდება, რომ საკურორტო მეურნეობა სამედიცინო სტრუქ-ტურის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.¹ ამასთან მაზრაში არსებული მინერალური წყლების, კურორტების, იჯარით გაცემა განპირობებული გამხდარა არსებული სამეურნეო ფორმით ფუნქციონირებისას ზარალის მოტანით, ხოლო იჯარის სახით გაცემის შემდეგ წმინდა მოგებას სოლიდური თანხებისათვის მიუღწევია. ამასთან, აღნიშნული შემოსავლის $\frac{1}{4}$ ნაწილით სარგებლობდნენ თანამშრომლები და მაზრის უდარიბესი მაცხოვრებლები. ეს ცნობები დაცულია ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მოღვაწეობის 1924 წლის ანგარიშში,² ხოლო 1925 წელს სამედიცინო სფეროს განვითარების მიზნიდან გამომდინარე მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში კურორტთა უკეთ ჩართვის მიზნით სახელმწიფომ განახორციელა „ვანში“ არსებული კურორტების სულორისა და ჭოკიანის წყლების პირველი მეცნიერული ანალიზი.³

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ფონდში არსებულ საარქივო დოკუმენტში დაცულია ცნობები ვანის თემის საექიმო პუნქტის შესახებ, საიდანაც ვგებულობთ:

... „1925 წლის მაისის „31“ შევიკრიბეთ ჩვენ ზედაციხესულორის უბნის კომისია არჩეულნი უნის კრების მიერ დადგენილებისა, რომლებსაც დაგვავალეს განერა ვანის თემის აღმასკომის შენობის შესაძენად და საექიმო პუნქტის პერსონალის ჯამაგირის გადახდისა, მისი განაწილება ჩვენი უნის მაცხოვრებლებზედ, მათი მდგომარეობის მიხედვით კომისიას დავესწარით შემდეგნი: ერმილე ლორთქიფანიძე, იაკინთე კორძაძე, რაჟდენ გიორგაძე, ფილიმონ თოდრია, გიორგი ბურკაძე, მთავარი კომისიის წევრი – ა. ბურკაძე, ბ. ბოლქვაძე.

აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია სოფლის მთლიანი მოსახლეობის სახელი და გვარები და გადახდისუნარისანობის თვალსაზრისით დაყოფილია 5 კატეგორიად (პირველი კატეგორია გადასახადი – 7 მანეთი, მეორე კატეგორია 5 მანეთი, მესამე კატეგორია 3 მანეთი, მეოთხე კატეგორია 2 მანეთი, მეხუთე კატეგორია 1 მანეთი) ზოგიერთს ბოლო კატეგორიაში გადახდილი აქვს 50 კაპიკი. აქ აღნიშნული 199 პირისაგან შემდგარი სიიდან აკრებილია 448 მანეთი.

განხილული ოქმის თანახმად „ვანის“ საექიმო პუნქტის მედპერსონალს ჯამაგირს უხდის თემსაზოგადოება ზედა ციხესულორის მოსახლეობის სახით.

სამედიცინო მომსახურეობისას მოქალაქისა და შესაბამისი დაწესებულების კანონით გან-

1. ქუთაისის ცენტრალური არქივი ფონდი 296.1.1163

2. ქუთაისის ცენტრალური არქივი ფონდი 296.1. 257

3. ანალიზი განხორციელებული იქნა კუპციის მიერ. მასალები დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევით ცენტრში“.

საზღვრულ ურთიერთობებზე მიუთითებს 1927 წლით დათარილებული საარქივო მასალა.¹ განხილვით ჩანს, რომ სოციალურად დაუცველი პირი, რომელიც იმყოფებოდა სამკურნალო დაწესებულებაში, ვალდებული იყო დაეწერა განცხადება ქუთაისის მაზრის აღმასკომისადმი მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაზეც მოწმობას გასცემდა შესაბამისი უფლების მქონე ორგანო. ვანის მაგალითზე ქუთაისის მაზრის ვანის თემის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელშიც შეფასდებოდა მოცემული პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებოდა გადაწყვეტილება სამედიცინო-სამკურნალო ხარჯებისგან განთავისუფლების შესახებ, მოვიყვანთ შესაბამისს დოკუმენტს: ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1927 წლის 2 ნოემბრის სხდომის №29 ოქმიდან ჩანს, რომ სხდომამ განიხილა ამაღლების თემის სოფელ ბზვანში მცხოვრები იასონ ბესარიონის ძე გიორგაძის, ღარიბი გლეხის, ქუთაისის საავადმყოფოსადმი 45 მანეთით დავალიანების საკითხი და დაადგინა, რომ მას ეპატიოს აღნიშნული დავალიანება. ცნობა გამაგრებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი რაიონის მილიციის უფროსის მიერ მოკვლეული საბუთით, რომ პიროვნება ცხოვრობდა ღარიბად და სამედიცინო მკურნალობის გადახდის საშუალება არ გააჩნდა.

ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების დაცვის და სანიტარული განათლების საქმიანობაში ჩატარებული მუშაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ 1927 წლის მონაცემებით მაზრაში არსებობდა კბილის შვიდი ამბულატორიაც,² მათ შორის ერთ-ერთი ვანში, რაც უდაოდ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

1928 წელს კიდევ უფრო დახვეწილ იქნა სააფთიაქო კანონმდებლობა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ეკონომიკური საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ 1928 წლის 20 აპრილს მოისმინა ჯანსახკომის³ მომხსენებლის ს. ჯაფარიძის მოხსენება „სამაზრო, საქალაქო აღმასკომიებისათვის აფთიაქების გადაცემის წესის, პირობებისა და ცენტრალიზებული მომარაგების აპარატის მოწყობის შესახებ.“

ეკონომიკური საბჭოს 1928 წლის მარტის დადგენილებით სამაზრო აღმასკომისათვის გადაცემული აფთიაქების დაუბრკოლებელი მომარაგების მიზნით საჭიროდ იქნა მიჩნეული, სახელმწიფო სააქციო საზოგადოების „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახმედვაჭრობის“⁴ მოწყობა, რომელშიაც მეპაიედ უსათუოდ უნდა შესულიყო ყველა სამაზრო საქალაქო აღმასკომი. დაგენილ იქნა მათზე აფთიაქების გადაცემის წესიც. სამაზრო აღმასკომის მეშვეობით დადგენილება სისრულეში მოჰყავდათ მაზრაში შემავალ, თემსაზოგადოებების სამოქმედო ტერიტორიებზე, მათ შორის ვანის შესაბამის თემსაზოგადოებებშიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

1. მითითებული არქივი ფონდი 296.1. 896. ფონდი იგივე, გვ 326 -330.

2. დღევანდელი სტომატოლოგიური სამსახური (რედ)

3. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. (რედ)

4. სახელმწიფო სამედიცინო ვაჭრობა (რედ)

გურამ პელთაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

თამაშთა თეორია

მათემატიკის დარჩი, რომელიც ყველას გვაჰირდება ცხოვრებაში

ყოველი ჩვენგანი მუდმივად ვიმყოფებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათგან ზოგიერთი უმნიშვნელოა და მათზე ნაკლებად ვფიქრობთ, რადგან ვიყენებთ გამოცდილებას, ზოგიერთი კი – განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მნიშვნელობისაა, მათზე ბევრს ვფიქრობთ, მაგრამ შედეგით ხშირად უკმაყოფილონი ვრჩებით. რა არის გადაწყვეტილების მიღება? გადაწყვეტილების მიღება ნიშანვას, რომ ადამიანს მიზნის მისაღწევად აქვს შესაძლებლობების რამდენიმე ვარიანტი (ქმედების, სტრატეგიის, კანდიდატის, ალტერნატივის) არჩევისა და მისი ამოცანაა მათგან აირჩიოს ერთი (ან რამდენიმე), მისთვის ან საზოგადოებისათვის ყველაზე მისაღები, ყველაზე საუკეთესო. ყოველი ასეთი პრობლემის შესწავლა და გადაწყვეტა ბოლო რამდენიმე ათეული წელია, მეცნიერული კვლევის ობიექტი გახდა.

ამჟამად, გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანები შეისწავლება ორი მიდგომით – ნორმატიულით და დესკრიფიულით. პირველ შემთხვევაში ამოცანის აღწერისათვის და კვლევისათვის ვიყენებთ მათემატიკურ მოდელირებას. ნორმატიული ანუ მათემატიკური მიდგომა გულისხმობს ამოცანის შინაარსობრივი აზრის მათემატიკური მოდელის აგებას და ანალიზს ორი მიზნისათვის: არსებული რეალობის უკეთესი გაგებისათვის და მოქმედების რაციონალური კურსის შემუშავებისათვის. იგი გვეხმარება შევაფასოთ პრობლემური სიტუაცია, გავითვალისწინოთ რესურსები და შეზღუდვები, მოვახდინოთ განსხვავებული ვარიანტების ანალიზი. დესკრიფიული მიდგომა კი გულისხმობს ამოცანის ხარისხობრივ აღწერას და შესწავლას, რაც გადაწყვეტილებათა მიღებისათვის გვაძლევს პრაქტიკულ გამოცდილებას.

პრაქტიკული საჭიროების თვალსაზრისით დღეისათვის ყველაზე აქტუალური თემებია ყოველგვარი კონფლიქტის, კრიზისისა და კომპერაციული ურთიერთობების კვლევა, მათი განვითარების ანალიზი, პროგნოზირება და მართვის პრობლემები. ამაზე მიუთითებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განვითარებული ან მოსალოდნელი კონფლიქტები, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში არასტაბილურ გარემოს ქმნის. ამიტომ, ყოველი ქმედება მიმართული უნდა იყოს ისეთი მექანიზმებისა და საშუალებების გამომუშავებისაკენ, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდება წინასწარ განვისაზღვროთ პოტენციური კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების განვითარება, შევიმუშაოთ მათი ეფექტურად გადაწყვეტის რეკომენდაციები.

ზოგადად, გადაწყვეტილებათა მიღების მათემატიკური თეორია განვითარებას იწყებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-სა და ინგლისში. პრაქტიკული საჭიროების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია დასახელებული თემების შესწავლა, რაც შესაძლებელი გახდა ამ თეორიის უმნიშვნელოვანესი დარგის, თამაშთა მათემატიკური თეორიის ან მოკლედ თამაშთა თეორიის ჩამოყალიბებით.

ამრიგად, აღნიშნული ტიპის სიტუაციების კვლევის საკმაოდ ეფექტურ საშუალებად, მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებაში მიჩნეულია მათი მოდელირება თამაშებით, რაც გულისხმობს მოცემულ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად ამ სიტუაციის მატემატიკურ მოდელირებას თამაშთა თეორიის გამოყენებით. გარდა აღნიშნული სიტუაციებისა ყოველი ადამიანის შეგნებული ცხოვრება ხილული და უხილავი მათემატიკური ამოცანებითაა „მოქსოვილი“ – სისტემატურად გვინდეს გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა უმრავლესობა მათემატურ გათვლებს და პროგნოზირებას ეყრდნობა. ამიტომ ამ ყოველივეს საფუძველი თამაშთა თეორიაა. გადაწყვეტილება მივიღე, ჩემი ძვირფასი რაიონის მკითხველებისათვის გამეცნო მათემატიკური მეცნიერების მეტად საჭირო აღნიშნული დარგი, რადგან მის შესახებ ქართულ ენაზე ლიტერატურის ნაკლებობა გაგვაჩნია.

თამაშთა თეორია, უფრო სრულად – თამაშთა მათემატიკური თეორია, თანამედროვე მათემატიკის დარგია. ის მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების თეორიაა, რომელიც შეისწავლის ოპტიმალური (რაციონალური) გადაწყვეტილების მიღების ამოცანებს ცალკეულ ინდივიდთა და მათ ჯგუფებს შორის, ქვეყნებს შორის – კონფლიქტის, ინტერესთა დაპირისპირების (ასევე საომარი მოქმედებების), შეჯიბრების, გაურკვევლობის, რისკის, კოოპერაციის, კოლექტიური არჩევის და იერარქიული დამოკიდებულების პირობებში. იგი არის მათემატიკის ერთადერთი სფერო, რომლის დახმარებით შესაძლებელია განხორციელდეს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მათემატიკური ანალიზი, რაციონალური ქმედების რეკომენდაციების შემუშავებისათვის ჩამოთვლილ პირობებში. ამ პირობების განსაკუთრებულობა განისაზღვრება მათი პრაქტიკული საჭიროებით საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში. ასევე იმ სირთულით, რომელიც გვხვდება გადაწყვეტილების მიღებისას. თამაშთა თეორიას მათემატიკის სხვა დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან ერთადერთია, რომლის საგანია სოციალურ მოვლენებთან დაკავშირებით განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანთა და კოლექტივების ჭკვიანური ქმედებების არჩევის გზების მოძებნა. უფრო მეტიც, ასეთი ქმედებები ყველა ფორმით წარმოაჩენს ადამიანთა მთელი სოციალური ყოფის შინაარსს და ამდენად, თამაშთა თეორიას აქვს მრავალმხრივი გამოყენება ცხოვრების ყველა სფეროში.

თამაშთა თეორია თავიდანვე შეისწავლიდა ადამიანთა და მხარეების ქცევის ახსნას და პროგნოზირებას კონფლიქტურ და ეკონომიკურ სიტუაციებში. შემდეგ გამოყენების არე გაფართოვდა და შესაძლებელი გახდა მისი გამოყენება მოვლენათა ძალიან ფართო ანალიზისათვის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ტექნიკის, ეკოლოგიისა და ტექნოლოგიური პროცესების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ორგანიზაციული სისტემების მართვის სფეროებში. თამაშთა თეორიის დახმარებით ცდილობენ გამოიმუშაონ ქცევის მიზანშეწონილი ხაზი მრავალი სისტემისათვის, რომლებიც ენინაალმდეგებიან სხვა სისტემებს. მაგალითად, თამაშთა თეორია შეიძლება გამოვიყენოთ კავშირგამბულობისა და სატრანსპორტო ამოცანებში, მედიცინის ტექნოლოგიებში, ნავთობმოპოვებაში, ჰაერსანინაალმდეგო თავდაცვაში, განიარაღების ამოცანებში, საომარ ამოცანებში და სხვა.

გარდა ამისა, დღეისათვის თამაშთა თეორია გამოიყენება ცხოველთა ქცევის შესწავლისათვის. ცხოველთა ქცევის აღწერისათვის თამაშთა თეორიის ანალიზი პირველად გამოიყენა ინგლისელმა მათემატიკოსმა, ბიოლოგმა და გენეტიკოსმა რონალდ ფიშერმა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ჩარლზ დარვინმაც კი გამოიყენა თამაშთა თეორიის იდეები, ოლონდ ფორმალური დასაბუთების გარეშე. არც რ. ფიშერს გამოუყენებია ცნება „თამაშთა თეორია“, მაგრამ მისი ნაშრომი შესრულებული იყო თამაშთა თეორიის ჩარჩოში. ინგლისელმა ბიოლოგმა და გენეტიკოსმა ჯონ მეინარდ სმიტმა 1982 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „ევოლუცია და თამაშთა თეორია“ და თამაშთა თეორიის გამოყენებით საფუძველი ჩაუყარა ევოლუციურ თამაშთა თეორიას. სპეციალისტები ცდილობდნენ, თამაშთა თეორია გამოიყენონ ეთნიკური და ეტალონური ქცევის თეორიის დამუშავებისათვის. სხვათა შორის, სწორედ ქცევის ასახსნელად თამაშთა თეორიის არგუმენტები პირველად ჩამოყალიბდა გამოჩენილი ბერძენი მოაზროვნის, პლატონის მიერ (ძვ.წ. 427-347 წლებში).

ამრიგად, თამაშთა თეორია სწავლობს სიტუაციებს, რომლებშიც მონაწილეობენ ადამიანები, კოლექტივები, ცხოველები, ბუნების სხვა ობიექტები და ავტომატები. ყველა მათგანს მოთამაშები ეწოდება. მოთამაშე უპრალოდ, ტერმინია, რომელიც მოსახერხებელია მკაფიოდ აღწერილი წესებით შესასწავლი სიტუაციის სალონურ თამაშებთან ანალოგიისათვის. კონფლიქტში იგულისხმება ადამიანთა, მათი ჯგუფებისა და მხარეთა ურთიერთობებზე რაიმე მოვლენის, სიტუაციის ან საგნის მიმართ ყოველგვარი ტიპის უთანხმოება, აზრთა განსხვავებულობა. ჩვეულებრივ, კონფლიქტში იგულისხმება ადამიანთა შორის საყოფაცხოვრებო უთანხმოებები, სხვადასხვა სახის ინტერესთა დაპირისპირებები და საქმეთა გარჩევა. კონფლიქტურ სიტუაციაში კი გულისხმობენ ისეთ ვითარებას, რომელსაც მივყავართ კონფლიქტთან საყოფაცხოვრებო მნიშვნელობით, თუმცა, ეს ყოველთვის არა აუცილებელი. მაგალითად, მას შემდეგ, რაც სტუდენტი აიღებს საგამოცდო ბილეთს, იწყება კონფლიქტური სიტუაცია მასსა და

პედაგოგს შორის იმიტომ, რომ მათი მიზნები ამ მომენტიდან უკვე განსხვავებულია. მაგრამ ეს არ მიდის კონფლიქტამდე. თამაშთა თეორიაში კონფლიქტი ეწოდება ისეთ მოვლენას, რომლის შესახებ შეიძლება ითქვას, ვინ და როგორ მონაწილეობს ამ მოვლენაში, რა შედეგებით შეიძლება დამთავრდეს ის და ვინ არის დაინტერესებული ამ შედეგებით. აქ სიტყვა – კონფლიქტი გამოიყენება უფრო ფართო მნიშვნელობით და მოიცავს სოციალური წინააღმდეგობის ნებისმიერ ფორმას ანტაგონისტურსა და არაანტაგონისტურს, ღიასა და ფარულს, მწვავესა და შერბილებულს, არსებითსა და არაარსებითს, აზრთა განსხვავებულობას, კოოპერაციას. კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას ცალკეულ ინდივიდებს შორის, მოპაექრე მხარეებს შორის, ქვეყნებს შორის, ეკონომიკურ მოწინააღმდეგებს შორის, პოლიტიკურ პარტიებს შორის. ბუნებასთან ურთიერთობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კონფლიქტი, თუ ბუნებას ჩავთვლით მის ერთ-ერთ მონაწილედ. ასეთ კონფლიქტს ვუწოდებთ თამაშს ან ბრძოლას ბუნების წინააღმდეგ. თამაშთა თეორიაში კონფლიქტური სიტუაცია ნიშნავს ყოველ ისეთ სიტუაციას-მოვლენას, რომელში მონაწილე მხარეები ისწრაფვიან განსაზღვრული მიზნისაკენ და აქვთ რამდენიმე არჩევანის შესაძლებლობა. ამასთან, თითოეული მხარის არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, რა არჩევანს გააკეთებს მოწინააღმდეგებები. მაშასადამე, თითოეული მოთამაშისათვის მიზნის მიღწევის ხარისხი დამოკიდებულია ყველა მონაწილის არჩევანზე. ვინაიდან კონფლიქტურ სიტუაციაში მონაწილეს არა აქვს საკმარისი ინფორმაცია იმაზე, რა ჩაიფიქრა მოწინააღმდეგებემ, ამიტომ თამაშთა თეორიის მეთოდებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება მიიღება განუზღვრელობის პირობებში.

გარდა ჩამოთვლილისა, თამაშთა თეორიისა და მისი ამოცანის შესახებ არსებობს სხვადასხვა განსაზღვრება. მაგალითად, „თამაშთა თეორია არის მართვის თეორიის ნაწილი, რომელიც იყვლევს კონფლიქტის პირობებში (მხარეთა შეჯახების პირობებში, როდესაც თითოეული მხარე მიისწრაფვის საკუთარი ინტერესების შესაბამისად ზემოქმედება მოახდინოს კონფლიქტის განვითარებაზე) ოპტიმალური მართვის არსებობის და პოვნის ამოცანებს“, „თამაშთა თეორია არის არათანამხვედრი ინტერესების მქონე ადამიანთა რაციონალური ქცევის თეორია“, „თამაშთა თეორია – ესაა მეცნიერება სტრატეგიულ აზროვნებაზე“. თამაშთა თეორიაში ტერმინები – „თამაში“ და „კონფლიქტი“, სინონიმებია და ეს თეორია საშუალებას იძლევა მოხდეს მომავალი თამაშის პროცესისა და მისი შესაძლო შედეგების მოდელირება რეალურად დაწყებამდე და კიდევ, მომავალი თამაშის მოდელირების შედეგებზე დაყრდნობით მივიღოთ გადაწყვეტილება, ამ კონფლიქტში მონაწილეობა რამდენად არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ან უსაფრთხო ჩვენთვის.

დღეისათვის თამაშთა თეორია არის ეკონომიკურ და პოლიტიკურ თეორიათა ძირითადი სტანდარტული ინსტრუმენტი, რომელიც გვეხმარება რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების გაანალიზებაში ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველა დარგში: საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკაში, შრომის ეკონომიკაში, დარგობრივი ბაზრების თეორიაში, საერთაშორისო ეკონომიკაში, მიკროეკონომიკაში და მაკროეკონომიკაში; არჩევნებში, კოალიციების ფორმირებებში, პარტიების გავლენის დადგენაში, საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში და სხვა. ამის გამო, თამაშთა თეორია წარმოადგენს დემოკრატიის მათემატიკურ აპარატს. ამდენად, ერთი მხრივ, თამაშთა თეორია მათემატიკური დარგია, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. მეორე მხრივ, ის ეკონომიკური თეორიის მოდელების აგებისათვის საჭირო მათემატიკური ინსტრუმენტების ერთობლიობაა, რომელსაც დასავლეთში, ამავე დროს, „მათემატიკური ეკონომიკის“ ნაწილად თვლიან. ეს ძირითადად განპირობებულია ორი გარემოებით. პირველი – კონფლიქტური სიტუაციები. კონფლიქტები და კოოპერაცია ადამიანთა ინტერესების განსხვავებული დარგებიდან, ყველაზე მეტად მიეკუთვნება ეკონომიკას და მეორე – ამით მარტივდება კვლევების დაფინანსება თამაშთა თეორიაში.

ყოველივე ეს დასტურდება ნობელის რამდენიმე პრემიით, რომლებიც დაკავშირებულია თამაშთა თეორიისა და ინფორმაციული ეკონომიკის დარგებში ჩატარებულ გამოკვლევებთან. ამ ფაქტმა გამოიწვია თამაშთა თეორიის განსაკუთრებული აღიარება. ეს მოხდა ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამ პერიოდში თამაშთა თეორიის ჩვიდმეტ გამოჩენილ მეცნიერს მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში. პირველს ეს პრემია მიენიჭა 1994 წელს ჯონ ნეშს (აშშ).

1928-2015 წლის 13 მაისს დაიღუპა მეუღლესთან ერთად ავტოავარიაში). მის გარდა აღნიშნული პრემია მიიღო აშშ-ის ცამეტმა მეცნიერმა, ერთი — გერმანელმა, ერთი — შოტლანდიელმა და ერთი ებრაელმა — რ. აუმანმა. მათი შრომები ძირითადად შეეხება ეკონომიკის, პოლიტიკის და კონფლიქტების გადაწყვეტის პრობლემებს.

კონფლიქტების მოწესრიგებისათვის მნიშვნელოვანია, კერძოდ, რ. აუმანის მიერ დამტკიცებული თეორემა, რომლის თანახმად კონფლიქტის მხარეებს შეურიგებელი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი ექნებათ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დიდი შანსი, თუ ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაამყარებენ ერთმანეთთან მუდმივ ურთიერთობას. ეს დებულება ერთნაირად ხორციელდება უთანხმოებაში მყოფ მეზობლებზე, ყოფილ ცოლ-ქმარზე და ა. შ.

კონფლიქტების გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდიდან თამაშთა თეორიის მეთოდების განსაკუთრებულობა ისაა, რომ საკუთარი მიზნების უზრუნველსაყოფად მხოლოდ ის ითვალისწინებს კონფლიქტურ სიტუაციაში მონაწილე ყველა მხარის ქცევის ალტერნატიული სტრატეგიების ანალიზს და შეფასებებს. ეს მნიშვნელოვანად აუმჯობესებს შედეგების ადეკვატურობას და საიმედოობას. ამასთან, კეთდება კონფლიქტში მონაწილე მხარეთა არა მხოლოდ ქცევის ალტერნატიული სტრატეგიების ანალიზი და შეფასებები, აგრეთვე ამ სტრატეგიების გამოყენებით წარმოქმნილი სიტუაციების ანალიზი და შეფასებები. ეს კონფლიქტების და კრიზისების სცენართა შესაძლო ვარიანტების განვითარების ფორმირებისა და ალბათური სცენარის განსაზღვრის საშუალებასაც იძლევა.

ამრიგად, თამაშთა თეორია, როგორც სამეცნიერო დარგი და ამავე დროს მრავალი სამეცნიერო მიმართულების ერთობლიობა (თეორიების თეორია), არის ურთიერთობათა მათემატიკური თეორია – სწავლობს ურთიერთქმედებებს ადამიანებსა და მხარეებს შორის, რომლებიც ხელმძღვანელობენ არათანმთხვევი (ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო) მოტივებით. მისი საშუალებით მათემატიკურად აღინიშნება ურთიერთობაში მონაწილეთა გრძნობები და ემოციები, სიამოვნება და წუხილი, ანუ ყოველივე ის, რაც ურთიერთობებს შეიძლება ახლდეს თან. თამაშთა თეორია ტრადიციულ თამაშებთან და ჩამოთვლილ მიზანმიმართულ ქმედებებთან ერთად შეისწავლის ისეთ სერიოზულ ურთიერთობებს, როგორებიცაა საპაზრო კონკურენცია, გამალებული შეიარაღება, გარემომცველი გარემოს დაბინძურება, ბუნებასთან ურთიერთობა და სხვა. ყოველ ასეთ სერიოზულ ურთიერთობას თამაში ეწოდება, ვინაიდან მათში, როგორც თამაშში, შედეგი დამოკიდებულია ყველა მონაწილის სტრატეგიებზე (გადაწყვეტილებებზე).

მიღებულია, რომ თამაშთა თეორიაში **თამაში** ვუწოდოთ კონფლიქტის გამომსახველ მოდელს, თუ მასში მოცემულია კონფლიქტის ყველა მახასიათებელი: 1. კონფლიქტში მონაწილე მხარეები, რომელთაც მოთამაშები ეწოდება; 2. იმ ვარიანტების (ალტერნატივების, სტრატეგიების) სიმრავლე, საიდანაც მოთამაშეს შეუძლია არჩევანი გააკეთოს, ასეთ სიმრავლეს ეწოდება მოთამაშის სტრატეგიათა სიმრავლე, ხოლო ამ სიმრავლის ყოველ ელემენტს – მოთამაშის სტრატეგია. თამაშში ყველა მოთამაშის მიერ სტრატეგიის არჩევით მიღება შედეგი, რომელსაც ეწოდება სიტუაცია მოცემულ თამაშში; 3. ყოველ სიტუაციაში მოთამაშის ინტერესი იზომება რიცხვით ან სხვა ბუნების ელემენტით, რომელსაც ეწოდება მოთამაშის მოგება შესაბამის სიტუაციაში. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მოთამაშისათვის მოდელში ცნობილი უნდა იყოს მისი მოგების ფუნქცია, რომელიც ყოველ სიტუაციას შეუსაბამებს მოგებას. ასეთ ფუნქციას ეწოდება მოთამაშის მოგების ფუნქცია.

ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე ორი მხარის კონფლიქტის შემთხვევაში, თამაშთა თეორიის მეთოდებიდან პირველი და ყველაზე კარგად დამუშავებული ანტაგონისტური თამაშების თეორია გამოიყენება. მას ფართოდ იყენებენ ორი მხარის სამხედრო კონფლიქტში საბრძოლო მოქმედებათა მოდელირებისათვის, ანალიზისა და პროგნოზირებისათვის შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. კონფლიქტებსა და კრიზისებში მრავალ შემთხვევაში მონაწილეობს ორზე მეტი მხარე, რომელთაგან ზოგიერთი არაა ამ პროცესის აქტიური მონაწილე, მაგრამ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე (ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მშვიდობისდამცველი მხარე, კონფლიქტში მონაწილის მხარდამჭერი მხარე და სხვა); 2. სამხედრო კონფლიქტში მონაწილე

ორი მხარის (ორი მოთამაშის) ინტერესებს არა აქვს აბსოლუტურად ანტაგონისტური ხასიათი ანუ კონფლიქტი არის მრავალკრიტერიუმიანი პროცესი (ზოგიერთი კრიტერიუმი გულისხმობს მოპირდაპირე მხარის გარკვეული მდგომარეობის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებასაც). ამის გამო, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში უფრო ეფექტური ინსტრუმენტია რამდენიმე მოთამაშის სტრატეგიული (არაკოპერატიული, არაკოალიციური) თამაში, ორი მოთამაშის კონფლიქტის შემთხვევაში კი სტრატეგიული თამაშის კერძო მოდელი – ბიმატრიცული თამაში.

თამაშთა თეორიის საშუალებით კონფლიქტის მოდელირების ძირითადი განსაკუთრებულობაა მოდელის ანალიზის საფუძველზე ამერიკელი მათემატიკოსის, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ ნეშის წონასწორობის (წონასწორული, სტაბილური, მდგრადი) სიტუაციის პოვნა. ნეშის წონასწორული სიტუაცია ერთადერთი მდგრადი და საიმედო სიტუაციაა კოლექტიურ ქმედებაზე შეთანხმებისათვის. ასეთი სიტუაცია ხასიათდება შემდეგი თვისებებით: რომელიმე მხარის მიერ მოცემულ სიტუაციაში თავისი სტრატეგიის ცალმხრივი შეცვლით მისი მდგომარეობა არ უნდა გაუმჯობესდეს. ეს არის ნეშის წონასწორობის პრინციპი და ნიშნავს შემდეგს: არცერთ მონაწილეს არ შეუძლია გაზარდოს საკუთარი მოგება, თუ რაციონალურად მოქმედი დანარჩენი მოთამაშები სწორად გათვლიან თავიანთ სტრატეგიებს. ამ პრინციპის არსი ჯონ ნეშმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ნებისმიერ სიტუაციაში წარმატება განპირობებულია ურთიერთინტერესების გათვალისწინებით“.

ჯ. ნეშის წონასწორობის პრინციპიდან გამომდინარე არაკოალიციურ თამაშებში არსებობს სხვადასხვა წონასწორული სიტუაციები. ოპტიმალურობის ეს პრინციპი და პარეტოს ოპტიმალურობის პრინციპი, რომელთაგან პირველი სტრატეგიული პრინციპია, ხოლო მეორე – კომპრომისული, წარმოადგენენ ოპტიმალურობის ძირითად პრინციპებს ყველა დარგში.

ამრიგად, თამაშთა თეორია განიხილავს დამოუკიდებელ მექნიზმს, რომლებსაც მივყავართ „კარგი წონასწორობისაკენ“, რათა რაციონალურად გადავწყვიტოთ კოლექტიური ურთიერთობების ამოცანები. „კარგი წონასწორობის“ მაგალითია, ვთქვათ, სიტუაცია აშშ-ის პოლიციაში, სადაც მისი წარმომადგენელი არავითარ შემთხვევაში არ აიღებს ქრთამს, რადგან ამით ავტომატურად გახდება „თეთრი ყვავი“ თავის კოლეგებში. სხვა სახელმწიფოში (უფრო კორუმპირებულში) კი პირიქით, პოლიციელი, რომელიც არ იღებს ქრთამს, არ შეეფერება თავის სამსახურს. ეს კი „ცუდი წონასწორობაა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თამაშთა თეორია მკაცრი სტრატეგიული აზროვნებაა. ესაა ხელოვნება, რომლითაც შეიძლება გამოვიცნოთ ურთიერთობის პროცესში მეტოქის შემდეგი სვლა. ამ თეორიის ძირითადი ნაწილი არ ეწინაარმდეგება ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიბრძნეს და გონივრულ აზრს. ამიტომ, მისი შესწავლით შესაძლებელია სამყაროს მოწყობისა და ადამიანთა ურთიერთობების შესახებ ახალი თვალსაზრისის ფორმირება. მიჩნეულია, რომ ამ დარგის ცოდნა ადამიანს გახდის უფრო წარმატებულს ბიზნესსა და ცხოვრებაში შესაფერის გარემო პირობებში.

თანამედროვე პირობებში მრავლად გვხვდება ისეთი სიტუაციები, რომლებშიც გამოცდილი ხელმძღვანელიც კი ვერ შესძლებს მეცნიერული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებლად ობიექტურად შეარჩიოს შესაძლო მისაღებ გადაწყვეტილებათა განსხვავებული ვარიანტებიდან უპირატესი და აირჩიოს მათგან ოპტიმალური. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია დაისვას კითხვები: რამდენად წარმატებულია ადამიანები და განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირები გადაწყვეტილებების მიღებაში? ესაჭიროებათ მათ სპეციალური დახმარება, კერძოდ მეცნიერული ანალიზი? პასუხის ნიშნად მივუთითებთ ერთ ცნობილ ფაქტს, რომელიც ემყარება 1984 წელს ჰოლანდიელი მეცნიერების მიერ მათემატიკური მეთოდებით შესწავლილ საგარეო პოლიტიკურ 235 გადაწყვეტილებას, რომლებიც მიღებული იქნა ნიდერლანდების მთავრობის მიერ 1900-1955 წლებში. მეცნიერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიღებული გადაწყვეტილებებიდან უმრავლესი მიღებული იყო გამარტივებული მიდგომით, რამაც გამოიწვია საჭირო ფაქტორებიდან ნაწილთა გამორიცხვა, გაურკვევლობის არ გათვალისწინება და ა.შ. დადგინდა რომ ხელმძღვანელები ისწრაფვოდნენ მკვეთრად გაემარტივებინათ რთული სიტუაციები და მიეღონ გადაწყვეტილებები მარტივი წესებით. სწორედ იმ წლებში ჰქონდა ადგილი ქვეყანაში არსებით წარუმატებლობებს საგარეო პოლიტიკაში.

ჰოლანდიელმა მეცნიერმა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მიღებული შედეგები მოახსენეს საერთაშორისო კონფერენციაზე და აღნიშნეს, რომ მსგავსი გამოკვლევები სხვა ქვეყნებშიც მოგვცემდა ანალოგიურ შედეგებს. ზოგიერთი ქვეყნის ცხოვრებაში ცნობილია შემთხვევები, როცა სახელმწიფო გადაწყვეტილებები აღმოჩნდება წარუმატებელი და ისინი მალე იცვლება იმ ქვეყნის მთავრობის მიერ.

ამიტომ, დღეს როცა მთელი მსოფლიო შემობრუნდა მეცნიერებისაკენ, ძირითადად, ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრში დადგა საზოგადოების რაციონალური ქცევის, მართვის, ორგანიზაციისა და ურთიერთობების რაციონალიზაციისათვის, კონფლიქტურ და კრიტიკულ სიტუაციებში და საერთოდ, ყოველი არჩევანის გაკეთებისათვის გონივრული გადაწყვეტილებების მისაღწევად. სწორედ ამიტომაა ყველა სფეროში ქვეყნის წარმატებები დამოკიდებული იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ თამაშთა თეორია, როგორც მათემატიკის დარგი მოიცავს თავისი განვითარების მცირე პერიოდს, მას საფუძველი შორეულ წარსულში ჩაეყარა. საინტერესოა მისი განვითარების ისტორია და ამიტომ მოკლედ შევეხოთ მას.

1654 წლის 29 ივნისს ფრანგი მათემატიკოსების, ბლეზ პასკალისა და პიერ ფერმას შორის პირადი მიმოწერისა და მსჯელობის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სალონურ აზარტულ თამაშებს, ერთდროულად წარმოიშვა ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მათემატიკური დისციპლინა. მათგან პირველია უფრო ცნობილი – ალბათობის თორია, ხოლო მეორე – თამაშთა თეორია. ალბათობის თეორია XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და დაიწყო მისი სწავლება და გამოყენება პრაქტიკაში.

რაც შეეხება თამაშთა თეორიას, მის მათემატიკურ დარგად ჩამოყალიბებას უფრო დიდი დრო დასჭირდა. ის განვითარებას იწყებს XX საუკუნეში. მისი პრინციპები თანამედროვე სახით გენიალურ სტატიაში „Theory of Parlor Games“ („სტრატეგიული თამაშების თეორიისადმი“) პირველად ჩამოაყალიბა ბერლინის უნივერსიტეტის პრივად-დოცენტმა იანოშ ფონ ნეიმანმა 1928 წელს. პრაქტიკულად თამაშთა თეორია მოკავშირებმა გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომის დროს სტრატეგიული, საპარტიო თავდაცვის, ლოგისტიკური ოპერაციების დაგეგმვისათვის. ამ პერიოდიდან ფონ მეიმანი მოღვაწეობდა აშშ-ი და გახდა ჯონ ფონ ნეიმანი (1903-1957). მან ეკონომისტ ისკარ მორგენშტერნთან (1902-1977) ერთად 1944 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური წიგნი „თამაშთა თეორია და ეკონომიკური ქცევა“, რომელიც რუსულ ენაზე ითარგმალენინგრადში 1970 წელს 6. ვორობიოვის ხელმძღვანელობით. 1950-1951 წლებში ჯონ ნეშის გამოქვეყნებული სტატიებით საფუძველი ჩაეყარა წონასწორობის მათემატიკურ თეორიას. ამ თეორიამ განაპირობა ძირებული ცვლილებები ცოდნის ყველა დარგში. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან თამაშთა თეორია გაფორმდა, როგორც დამოუკიდებელი მათემატიკური დარგი. 80-იანი წლებიდან კი კომპიუტერების განვითარებამ შესაძლებელი გახდა მისი გამოყენება პრაქტიკაში, პირველ ეტაპზე – ეკონომიკაში, ბიზნესში, სამხედრო საქმეში, შემდეგში კი – ყველა სხვა დარგში.

თუმცა თამაშთა თეორიის ჩამოყალიბებამდე მათემატიკოსები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მას, სწავლობდნენ აზარტული, კარტის და კამათლებით თამაშების ისეთ ხერხებს, რომლებითაც შესაძლებელი იყო წარმატების მიღწევა. მათგან ერთ-ერთი პირველი იყო იტალიელი მათემატიკოსი ჯეროლამო კარდანო, რომელმაც 1526 წელს გააკეთა კამათლებით თამაშის მათემატიკური ანალიზი. შემდეგი იყო არისტოკრატი ვალდეგრავი (მათემატიკაში ცნობილია „ვალდეგრავის პრობლემით“) რომელმაც 1712 წელს დაამუშავა ოპტიმალური სტრატეგია თამაშისათვის „გამსვლელი ტუზი“. შვეიცარიელმა მათმატიკოსმა დანიელ ბერნულიმ 1732 წელს გაანალიზა „სანკტ-პეტერბურგის თამაში“. ფრანგმა მათმატიკოსმა პიერ ლაპლასმა 1814 წელს შეისწავლა ოპტიმალურობის პრინციპი. 1912 წელს გერმანელმა მათემატიკოსმა ერნსტ ცერმელომ თამაშთა თეორია გამოიყენა ჭადრაკის თამაშში და ის გამოაქვეყნა ნაშრომში „სიმრავლეთა თეორიის გამოყენება ჭადრაკის თამაშში“. მატრიცული თამაშების სისტემატური შესწავლა დაიწყო XX საუკუნის გამოჩენილმა ფრანგმა მათემატიკოსმა ემილ ბორელმა. მან 1921 წელს დაამტკიცა ოპტიმალური შერეული სტრატეგიების არსებობა მცირე განზომილების მატრიცული თამაშებისათვის.

თამაშთა თეორიის მოდელები და პრინციპები დემოკრატიული ხასიათისაა და ამიტომ

ენინაალმდეგებოდა იგი კომუნისტურ იდეოლოგიას. აქედან გამომდინარე, მის განვითარებას ძალიან დიდი წინაალმდეგობა შეხვდა პირველად საბჭოთა კავშირში და შემდეგ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. ამ წინაალმდეგობის დაძლევა შესძლო გამოჩენილმა ლენინგრადელმა მათემატიკოსმა ნ. ნ. ვორობილვა (1925-1995 წწ), რომელმაც ჩამოაყალიბა თამაშთა თორიის ძლიერი სამეცნიერო საბჭოთა სკოლა და რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელობით გაიარა ამ სტრიქონების ავტორმა მისი სკოლა – ჯერ იყო საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტი. ის თავიდან მუშაობდა მათემატიკურ ლოგიკაში, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ მუშაობდა ალგებრაში, რიცხვთა თეორიაში, ალბათობის თეორიაში, შემდეგ კი თამაშთა თეორიაში. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მათემატიკის სხვა დარგებში მისმა სამამა წიგნმა „Числа Фибоначчи“, „Признаки делимости“ და „Теория рядов“. თამაშთა თეორიაში მისი პირველი სტატია – „მართვადი პროცესები და თამაშთა თეორია“ გამოქვეყნდა 1955 წელს. ამავე წლიდან დაიწყო თამაშთა თეორიის სწავლება ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკა-მექანიკის ფაკულტეტზე. 1959 წელს უურნალში „Успехи математических наук“ გამოაქვეყნა „სასრული არაკულალიციური თამაშები“. 1961 წელს ამ დარგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ჩამოაყალიბა თამაშთა თეორიისა და ოპერაციათა კვლევის აღმორატორია, რომლის მუშაობა შემდეგ გაგრძელდა იმავე აკადემიის სხვა ინსტიტუტებში: ცენტრალური ეკონომიკა-მათემატიკის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში და აქედან — სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ინსტიტუტში. 1990 წლიდან ის ფუნქციონირებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკა-მათემატიკის ინსტიტუტში. 6. ვორობილვა პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში მოახერხა ჩინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში თამაშთა თეორიის განვითარება. დღეს მისი მოსახლეობი აგრძელებენ მუშაობას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ან უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებში და მათ გარეთაც. თუმცა საბჭოური ზეგავლენა მაინც შეინიშნება ზოგიერთ მათგანში. თამაშთა თეორიის სკოლა წარმატებით აგრძელებს მუშაობას სანკტ-პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ 6. ვორობილვი პროფესიონალიზმთან ერთად გამოირჩეოდა დემოკრატიული პრინციპების დაცვით, რაც მას ძალიან ძვირი უჯდებოდა. თავის თანაურსელსა და მეგობარს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ გ. მარჩუქს ორჯერ განუცხადა უარი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შესვლაზე იმის სანაცვლოდ, რომ გამხდარიყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მართალია ეს დოკუმენტალურად ვერ განხორციელდა, მაგრამ მას მაინც აკადემიკოსის რანგში მოიხსენიებდნენ.

კმაყოფილებით ვიგონებ ნიკოლაი ვორობილვის სტუმრობას ვანის რაიონში, რომელიც განხორციელდა ორჯერ – 1986 და 1990 წლებში. ის დაწვრილებით გაეცნო ვანის ისტორიულ ადგილებს, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმს, კურორტებს – ამაღლებას და სულორს, ჩემს სოფელს ზედავანს და მერეს. ჩვენგან დამოუკიდებლად თავის მეუღლესთან ერთად მოიარა გადიდი, სადაც გურამ თოდეული გაუწევია მათთვის დაუვინწყარი მასპინძლობა საკუთარ ოჯახში. განსაკუთრებით მოსაგონარი იყო მისთვის კურორტი ამაღლება, სადაც 1990 წელს, მის 65-ე წლისთავთან და ჩემი სადოქტორო დისერტაციის დამთავრებასთან დაკავშირებით, ჩავატარეთ საკავშირო სკოლა-სიმპოზიუმი თამაშთა თეორიაში. მოწვეული გვყავდა როგორც მისი სკოლის წარმომადგენლები ლენინგრადიდან, ასევე მეცნიერები მოსკოვიდან, კიევიდან, გორკიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, თბილისიდან. როგორც ჩანდა, რაიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით კურორტის დირექტორმა, ბაზონმა ლაშა ბუბაშვილმა ყველაფერი გაგვიკეთა იმისათვის, რომ ერთი კვირა ყველა სტუმარს ადგილზე შესანიშნავად მოესვენა და მოელხინა, საირმეში ექსკურსიაც მოგვიწყო, ყველაფერი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. 6. ვორობილვს მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, მაგრამ ამბობდა, რომ ასეთი ბუნებრივი სილამაზე და ხალხის კეთილი დამოკიდებულება არსად არ ენახა. ვანს სულ იხსენებდა ჩემთვის გამოგზავნილ წერილში დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში, რომელიც სამწუხაროდ ხანმოკლე აღმოჩნდა – 70 წელიც ვერ შეასრულა და ჩვენ ერთმანეთს იმ უკანასკნელი წარმატებული ღონისძიების შემდეგ არ შევხედრივართ.

ქრისტინე მებაღია

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

საარტივო საქმის ვითარება საქართველოში
1937-1939 წლებში

„არქივი“ ლათინური სიტყვაა. პირველად გვხვდება ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში და ნიშნავს ადგილს, სადაც ინახება სახელმწიფო აქტები. ეტიმოლოგიურად უკავშირდება ბერძნულ „არხეიონს“, რაც თავდაპირველად ნიშნავდა ადგილს, სადაც იმყოფებოდა ხელისუფლება, ხოლო შემდგომში ადგილს, სადაც ინახებოდა ოფიციალური დოკუმენტები.

არქივების წარმოშობა უკავშირდება წერილობითი დოკუმენტების გაჩენას და მათი შენახვა-დაცვის აუცილებლობას.

ძველ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ხელნაწერებს ინახავდნენ და იცავდნენ მათი შემქმნელები, საერო და სასულიერო ხელისუფალნი – სამეფო კარი და რელიგიური ცენტრები. ყოველი ხელისუფლება თავისთავად გულისხმობს საშინაო და საგარეო ურთიერთობაში გარკვეულ იურიდიულ ნორმებს და მათ ამსახველ დოკუმენტებს, საკანონმდებლო აქტებს, შემოსავალ-გასავლის დავთრებს, ხელშეკრულებებს, სიგელებს, დიპლომატიურ წერილებს და ა. შ.

საქართველოს უძველესი პერიოდის არქივების შესახებ პირდაპირი და ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ არაპირდაპირი ცნობებით დასტურდება, რომ VI საუკუნეში არსებობდა სამეფო არქივი – საჭურჭლე, რომელიც განძთსაცავის გარდა, ასრულებდა საბუთ-საცავის დანიშნულებასაც. იყო, ასევე საეკლესიო და კერძო არქივები.

არქივი თანამედროვე კაცობრიობის კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ქვეყანაში მას, როგორც წინაპართა ცოდნა-გამოცდილების საუნჯეს, როგორც ერის დოკუმენტურ მეხსიერებას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ძვირფასი საგანძურია, სადაც ისტორიული დოკუმენტების სახით ინახება საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ადამიანთა ცოდნა და გამოცდილება. თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში არქივი და საარქივო საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგად არის მიჩნეული.

„მატიანე განარჩევს კეთილსა და პოროტსა, მატიანე ამაღლებს კეთილის ქმნელებასა და ჰერობს უკეთურთ ქმნელებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა, მატიანე განამხნობს და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად, მატიანე აცნობს ნათესავთ შთამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ ჰყოფს მოყვასისა მიმართ“, წერდა ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი.

საქართველოში თანამედროვე არქივებს საფუძველი ჩაეყარა 1920 წლის 23 აპრილს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული კანონით რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ.

1921 წლის 1 ივლისს, უკვე გასაბჭოებული საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“, რომლის მიხედვით, თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში იმართებოდა საქართველოს სსრ საარქივო დარგი.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მასალები, რომლებიც ქუთაისის, იმერეთის რეგიონის ცხოვრების ამსახველ დოკუმენტებს ინახავს. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ წერილებზე, რომლებიც 1937-1939 წლებში საქართველოში საარქივო საქმის მძიმე ვითარებას ასახავს. გვინდა ქრონოლოგიურად გავყვეთ მათ და გაგაცნოთ ოქმი, რომელიც გახლდა საფუძველი აღნიშნულ წლებში საარქივო საქმის განვითარებაზე და მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე ზრუნვისა.

როგორც ირკვევა, საქ. სსრ. ცაკისა და სახკომისაბჭოს 1936 წლის 17 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე უნდა მომზდარიყო საარქივო მასალებისა და დოკუმენტების წესრიგში მოყვანა და დაცვა, მაგრამ თუ, ქუთაისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის, რაიონში საარქივო მასალების მდგომარეობის შესახებ, 7 ივლისი 1938 წელი, ოქმი №40, შინაარსით ვიმსჯელებთ,

საარქივო საქმის მოწესრიგებაზე ზრუნვა „ქუთაისის რაიონის სასოფლო და საქალაქო დაწესებულება-ორგანიზაციებში არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, (წყალტუბოს და რიონის სას. საბჭო, განათლების განყოფილება, მიწგანი, საქვაჭრობა და სხვა) დღემდე არაა ჩამოყალიბებული ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო არქივი და არაა უზრუნველყოფილი საქალაქო არქივი სტრელაჟებით და ხანძრის საწინააღმდეგო მასალებითა და საშუალებებით“.

პერიოდულად ხდებოდა შესაბამისი ორგანოების მიერ გამოტანილი დადგენილებების გადამოწმება, რომლის შედეგებსაც წერილობით ანვდიდნენ საქვეუწყებო ორგანოებს ვითარების გამოსწორების მოთხოვნით.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აპრილი 1938 წელი

ყველა რაიალმასკომისა და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეებს

როგორც საარქივო სამმართველოს ჩატარებული შემოწმებიდან გამოირკვა, ზოგიერთი რაიალმასკომები და ქალაქის საბჭოები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას საარქივო საქმეს და ამის გამო საქ. სსრ. ცაკ-ის და სახკომისაბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესრულება-მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად.

ზოგიერთ რაიალმასკომებს, მაგ: თელავის, ლუქსემბურგის,¹ წულუკიძის, ვანის და სხვა, დღემდე არ გამოუყვიათ რაიარქივებისთვის შესაფერისი ბინა, საარქივო მასალების მისაღებად და შესანახად. გურჯაანის, ქუთაისის, ლუქსემბურგის, ასპინძის, ჩხარის,² და სხვა, დღემდე არ მოუწესრიგებიათ რაიალმასკომების საუნივერსიტეტო არქივები და საუნივერსიტეტო არქივებისთვის არ გამოუყვიათ და მოუწყვიათ შესაფერისი ბინები.

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლმეურნეობებში საარქივო მასალები და დოკუმენტები მოუწესრიგებელია.

საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია რა აღნიშნული მდგომარეობა არანორმალურად, წინადადებას გაძლიერება რაიალმასკომებისა და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეების პ/პასუხისმგებელი, საქართველოს სსრ. ცაკისა და სახკომისაბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე გაატაროთ შემდეგი:

1. არაუგვიანეს 15 მაისისა გამოჰყავით და მოაწყვეთ შესაფერისი ბინები რაიარქივისა და რაიალმასკომის /საქალაქო საბჭოს/, საუნივერსიტეტისათვის და უზრუნველყოფით რაიარქივი და საუნივერსიტეტი შემოწმებული და კვალიფიციური მუშაკებით.

2. ა/წ პირველ აგვისტომდე უზრუნველყოფით რაიალმასკომის (საქალაქო საბჭოს), სასოფლო საბჭოების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, კოლმეურნეობების და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების საუნივერსიტეტო არქივების წესრიგში მოყვანა საარქივო წესების მიხედვით და ა/წ პირველ აგვისტომდე უზრუნველყოფით მათი ჩაბარება რაიარქივებში, საარქივო სამმართველოს მითითების მიხედვით.

3. შეწყვეტილ იქნეს რაიარქივების გამგების დანიშვნა და შეცვლა საარქივო სამმართველოსთან შეთანხმების გარეშე. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგაგონებთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა საარქივო საქმის თავის სიმაღლეზე დაყენების შესახებ ეკისრება რაიალმასკომებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს.

4. ა/წ 5 მაისამდე აცნობეთ საქართველოს ცაკის საინსტრუქციო-საინფორმაციო ჯგუფს თქვენს მიერ მიღებული ღონისძიებები აღნიშნულის შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ ცაკის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი: ვ. ბუჯიაშვილი

1. ლუქსემბურგი – დღევანდელი ბოლნისი (რედ)

2. ჩხარი – დღევანდელი თერვოლის მუნიციპალიტეტი (რედ)

**ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს
ასლი საქ. კ. გ. /ბ/ საქალაქო კომიტეტს
27 ოქტომბერი 1938 წელი**

როგორც გამორკვევიდან ჩანს, ქუთაისის საქალაქო არქივი იმყოფება ძლიერ ცუდ პი-რობებში. ბინის უქონლობის გამო ვერ ხერხდება მუშაობის გაშლა და ამრიგად ვერ სრულდება საქართველოს ცაკის სახკომისაბჭოს 27/12-36 წლის დადგენილება. არქივი ყოველგვარ საშუ-ალებას მოკლებულია, რომ მიიღოს ორგანიზაცია დაწესებულებიდან საუწყებო არქივებიდან დიდი სტალინური ეპოქის სოციალისტური მშენებლობის უაღრესად ძვირფასი დოკუმენტები-მასალები.

ის მასალები, რომლებიც ამჟამად დაგროვილია საქალაქო არქივში და რომელიც უდრის 189 000 ერთეულ საქმეს, იმყოფება ყოველგვარი განადგურების საშიშროების ქვეშ. ვინაიდან არქივის მოსაზღვრე ორი ოთახი უჭირავს სამრეცხაოს, საიდანაც ყოველდღე მოსალოდნელია სანძარი.

მოგახსენებთ რა ყოველივე ამას და მოგეხსენებათ რა დიდი სტალინური ეპოქის სოციალისტური მშენებლობის საარქივო დოკუმენტ- მასალების მნიშვნელობა, ცენტრ-საარქივო სამ-მართველო გთხოვთ გაუქმდებული იქნას საქალაქო არქივის გვერდით მდებარე სამრეცხაო და ოთახები /2/ კი გადაეცეს ქალაქის არქივს.

დაბეჭითებით გთხოვთ ჩვენი შუამდგომლობის შესრულებას.

საქ. ცენტრალური საარქივო სამმართველოს მმართველი: გაბისონია

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. უორულიანის, 1938 წლის 5 მარტის მომართვაში, რომელსაც, როგორც ტექსტშია აღნიშ-ნული, საქართველოს კომიტეტის მდივნის ამხ. მარსიას რეზოლუცია ადევს, ითხოვს დახმარე-ბის განევას და ინფორმირებას შედეგების შესახებ.

როგორც მომდევნო წლების ოქმებში ვკითხულობთ ისევ აქტუალურია საარქივო საქმის მოწესრიგების საკითხი.

რაიონში საარქივო მასალების მდგომარეობის მოწესრიგების

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 7 ივლისის ოქმი №40

დადგენილების შესრულების შედეგების შესახებ

/მაღლაფერიძე-გოგსაძე/

ოქმი №14/9 27 აპრილი 1939 წელი

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის ოქმი №40 დადგენილებით რაიონის წარმოე-ბა-დანესებულებების ხელმძღვანელებს დავალებული ჰქონდათ მოწესრიგებინათ მათ გან-კარგულებაში არსებული ყველა საარქივო მასალები და დოკუმენტები, უზრუნველეყო მათი დაცვა სპეციალური ოთახებით ან შეკვებით და ასეთი ჩაბარება პოლიტიკურად მომზადე-ბულ, საიმედო თანამშრომლებზე ბრძანებით. ქალაქის საბჭოს განყოფილებების გამგეებს და წარმოება-დანესებულებათა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მათი პასუხისმგებლობით სისტემატიურად შეემოწმებია ქვემდებარე დანესებულება-ორგანიზაციების საარქივო მა-სალების მოწესრიგების საქმეში სას. საბჭოებს უნდა მოწესრიგებიათ საარქივო მასალების მდგომარეობა და ასეთი ჩაბარებიათ 1933 წლის მასალების ჩათვლით საქალაქო არქივზე. გამორკვევით დადასტურდა, რომ მიუხედავად იმისა, საქმაო დრომ განვლო მოეწესრიგებიათ საარქივო მასალების მდგომარეობა-ადგილი აქვს მთელ რიგ უმსგავსოებას, მაგ. სახბანკის თანამშრომელმა ნიუარაძემ ბაზარზე გაყიდა საარქივო მასალა, რაც ასეთი ჩამორთმეული იქნა. აბრეშუმის კომბინატის საარქივო მასალები აღმოჩნდა საკოლმეურნეო ბაზარზე პა-ტრიკეტის საკოლმეურნეო სავაჭროში, რაზედაც შედგენილი იქნა აქტი და ჩამორთვა, რაც ასეთი ინახება საქალაქო არქივში. სახბანკის ქუთაისის განყოფილების 31 მარტს არ იყო

ბრძანებით გამოყოფილი საარქივო საქმეზე თანამშრომლები. ასეთივე მდგომარეობაა საფინანსო განყოფილებაში, წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტში, საბინაო სამმართველოში, ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტში და სხვა. განათლების განყოფილებაში სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში საარქივო მასალები. საარქივო მასალები უბრალოდ არის დაყრილი ჩერდაკზე. მართალია ბრძანებით გამოყოფილია თანამშრომელი -ძოძუშვილი, მაგრამ შედეგი არაფერია. ასეთივე მდგომარეობაში მასწავლებელთა პროფესიონის რაიკომში და ფეხსაცმელების ფაბრიკაში. მაღლაკის, ქვიტირის სას. საბჭოებში, საყულის კოლმეურნეობა „კომუნის“ სახ. კოლ-ბაში არ არის დალაგებული წლების მიხედვით საარქივო მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არც-ერთ წარმოება-დაწესებულებას არ აქვს საქალაქო არქივში ჩაბარებული საარქივო მასალები და მთელი წლების საარქივო მასალები ინახება ადგილზე, რაც ყოვლად დაუშვებელია, რის გამოც პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს რაიონში /ქალაქად/ არსებულ ყველა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებს მათი პ/მგებლობით 1939 წლის 10 მაისამდე საარქივო მასალების შესანახად გამოყოს სპეციალური მშრალი და სინათლიანი ბინები ან შკაფები, რომლებიც უნდა იკეტებოდეს.

2. დაევალოს მათვე სადაც ჯერ კიდევ გამოყოფილი არ არის ბრძანებით პოლიტიკურად შემოწმებული პირები, გამოყონ ასეთი და ჩაბარონ საარქივო მასალები აქტით. აქტი და ბრძანების ასლი გადაუგზავნონ საქალაქო არქივს.

3. დაევალოს რაიონის /ქალაქის/ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებს და წარმოების ხელმძღვანელებს მოაწესრიგონ საარქივო წესების მიხედვით /შეკერონ, დანომრონ, დაასათაურონ, აღწერონ/ მათ განკარგულებაში არსებული ყველა საარქივო მასალები. ვადაგასული საარქივო მასალები ინვენტარული აღწერილობის თანდართვით ჩაბარონ საქალაქო არქივს 1939 წლის 1 ივნისამდე. /ვადა შენახვის არის სოფლად არსებული დაწესებულებებისათვის 3 წელი, ქალაქად 5 წელი. ქალაქის საბჭოს განყოფილებები აბარაბენ ქალაქის საბჭოს საუწყებო არქივს./

4. დაევალოს მიწგანს, მტს-ის და რაიკავშირის ხელმძღვანელებს მათი პირადი პ/მგებლობით მიიღონ ზომები და მოაწესრიგონ საარქივო მასალები 1939 წლის 1 ივლისამდე ქვემდებარე დაწესებულება-ორგანიზაციებში და გაუწიონ სისტემატიური კონტროლი.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სახბანების თანამშრომელი ნიუარაძე, რომელმაც გაყიდა საარქივო მასალები ბაზარზე და ამრიგად ხელი შეუწყო საარქივო მასალების განიავებას, მიცემულია პასუხისმგებაში.

6. გაფრთხილებულ იქნას აბრეშუმის კომბინატის დირექტორი, რათა დააწესოს მტკიცე კონტროლი საარქივო მასალების მოვლა-დაცვისათვის, ხოლო საარქივო მასალების განიავებისათვის დამნაშავე მისცეს პ/გებაში.

7. დაევალოს ამხანაგ გოქსაძეს /საქალაქო არქივის გამგე/, საარქივო მასალების განიავების შემთხვევაში დამნაშავე პირი სასწრაფოდ გადასცეს პროკურატურას, პ/გებაში მისაცემად.

8. დაევალოს ამხანაგ კობალაძეს /განგანის გამგე/ და გიორგაძეს /ფინგანის გამგე/, მიიღონ ყოველგვარი ზომები, იმის შესახებ, რომ მესამე მუხლში მოცემული ვადა, არქივის წესრიგში მოყვანის შესახებ ზუსტად დაიცონ.

9. დაევალოს ამხანაგ გოგსაძეს /არქივის გამგე/ დაუგზავნოს ინსტრუქციები წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს და გაუწიონ სათანადო დახმარება არქივის წესრიგში მოყვანის მხრივ.

10. დაევალოს სას. საბჭოს თ-რეებს დაუკავშირდნენ საქალაქო არქივის გამგეს ყოველგვარი გაუგებარ საკითხების გასარკვევად და ზუსტად შეასრულონ არქივის დაცვის წესები(ფურცელი 374-376).

საარქივო საქმის უმძიმეს ვითარებაზე, აღნიშნულ წლებში, მიუთითებს ამავე საქმეში დაცული კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ასევე გვინდა სრული სახით შემოგთავაზოთ:

სას.ს.რ ცენტრალური საარქივო სამმართველო

22 მარტი 1939 წელი

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავ-რეს პირადად

რაიონულ /საქალაქო/ არქივს და დაწესებულებების შემოწმებიდან გამოირკვა და რაიონულ /საქალაქო/ არქივის გამგეობის თათბირზე დადასტურდა, რომ:

1. რაიონულ /საქალაქო/ არქივების შენობები ზოგიერთ რაიონებში ცუდია და ვერ უზრუნველყოფენ დიდი ლენინ-სტალინის ეპოქის სახელმწიფო საარქივო დოკუმენტების შენახვა-დაცვას.

2. ზოგიერთ დაწესებულებებში შენახული საარქივო მასალები ინახება ბნელ და ნესტიან სარდაფებში, ჩაყრილია ყუთებში, საწყობებში, შეკაფის თავებზე და სხვა და ასეთი დამოკიდებულებით სახელმწიფო საარქივო დოკუმენტებს მოელის განადგურება.

3. ზოგიერთ დაწესებულებებში საარქივო მასალები არავის არ აბარია, ყრია უმელთვალყურეოდ და ნადგურდება.

4. რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულება-ორგანიზაციებში და წარმოებებში, ზოგიერთი დაწესებულებათა ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობით საარქივო მასალები ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული საარქივო წესების მიხედვით.

5. ზოგიერთ სარაიონო და საქალაქო საბჭოებს არ შეუმოწმებიათ საარქივო მასალების მოწესრიგების და დაცვის შესახებ მიღებული დადგენილების შესრულება და დამნაშავეთა მიმართ არ მიუღიათ სათანადო ზომები.

6. ზოგიერთ რაიონულ და საქალაქო საბჭოებს არ შეხებიათ რაიარქივის გეგმის მუშაობა, არ იცნობენ მისი მუშაობის წლიურ გეგმებს და ანგარიშებს გეგმის შესრულების შესახებ და ამის შედეგად ზოგიერთ რაიონულ /საქალაქო/ არქივების გამგეები და მათი მუშაკები სამუშაო დღეს ფლანგავენ. სახელმწიფოს არ აძლევენ საჭირო პროდუქციას, მიცემულ თანხებს არარაციონალურად იყენებენ და სხვა.

ზემოაღნიშნული დეფექტების აღმოფხვრისა, ს.ს.ს.რ დააკისრა სასკომსაბჭოს 1936 წლის 27 დეკემბრის დადგენილების რეალიზაციისა და საარქივო საქმეში მავნებლობის შედეგების დაჩქარებით ლიკვიდაციის მიზნით გთხოვთ:

1. 1939 წლის 1 აპრილამდე შეამოწმეთ რაიონულ /საქალაქო/ არქივების ბინები. უვარგისობის შემთხვევაში შეცვალოთ უკეთესებით და 1939 წლის 1 ივლისამდე მოაწყოთ კულტურულად, ისე, რომ გარანტირებულ იქნეს სახელმწიფო დოკუმენტების უვნებლად შენახვა.

2. დაავალეთ რაიონში /ქალაქში/ არსებულ ყველა დაწესებულება ორგანიზაციანარმოებებს, მათი ხელმძღვანელობის პირადი პასუხისმგებლობით 1939 წლის 1 მაისამდე საარქივო მასალების შესანახად გამოყონ სპეციალური მშრალი და სინათლიანი ბინები ან შეკაფები, რომლებიც მუშაობის შემდეგ უნდა დაიკეთოს.

3. დაავალოთ მათვე 1939 წლის 1 მაისამდე ბრძანებით ან დადგენილებით გამოყონ კვალიფიციური და პოლიტიკურად შემოწმებული პირები და ჩააბარონ საარქივო მასალები მათ აქტის ქვეშ. მუშაკის გამოყოფის ბრძანების ან დადგენილების ასლი და საარქივო მასალების აქტი უნდა გადაეგზავნოს საარქივო ორგანოს კუთვნილებისამებრ.

4. დაავალოთ რაიონის /ქალაქის/ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებს და წარმოებებს, ხელმძღვანელების პ/მგებლობით მოაწესრიგონ საარქივო წესების მიხედვით /შეკერონ, დანომრონ, დაასათაურონ, აღნერონ/ მათ განკარგულებაში არსებული ყველა საარქივო მასალები 1939 წლის 1 ივნისამდე და საარქივო წესების გათვალისწინებული წლების ჩააბარონ საარქივო ორგანიზაციებს.

5. დაავალოთ რაიონის /ქალაქი/ მასშტაბით მომუშავე დაწესებულება-ორგანიზაციებს, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, მიიღონ ზომები და მოაწესრიგონ საარქივო მასალები 1939 წლის 1 ივნისამდე, თავის სისტემის /ქვემდებარე/ დაწესებულება-ორგანიზაცია-წარმოებებში და ამ დავალების შესრულების ანგარიში ყოველი თვის ბოლოს.

6. კატეგორიულად აკრძალეთ საარქივო მასალების განადგურება და ასეთის შემთხვევის დროს დამნაშავები მიეცით პასუხისმგებელი.

7. თქვენი დადგენილების შესრულების შემოწმება მოახდინოთ სისტემატურად მოცემულ ვადებში და შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღეთ დამნაშავეთა მიმართ გადამჭრელი ზომები.

8. შეამოწმეთ რაიონულ /საქალაქო/ არქივის მუშაობა, განიხილეთ მისი გეგემები და ამ გეგების შესრულების უზრუნველსაყოფად დაავალეთ რაიონულ/საქალაქო/ არქივზე მიმაგრებულ პრეზიდიუმის წევრს, სისტემატიურად დახმარების და კონტროლის გაწევა. ამასთან გთხოვთ არ იქნეს გათავისუფლებული რაიონულ /საქალაქო/ არქივის გამგე ცენტრარქივთან შეთანხმების გარეშე.

რაიონული სარგებლობს აღმასკომის ბეჭდით და შტამპით.

ცენტრარქივი დარწმუნებულია, რომ რაიონული /საქალაქო/ საბჭოები და მისი აღმასრულებელი კომიტეტები მიიღებენ საჭირო ზომებს, გაშლიან ურთიერთშორის სოცემური და ამით უზრუნველყოფენ დიდი ლენინ-სტალინის ეპოქის სოციალიზმის მშენებლობის ძვირფასს საარქივო მასალების მოწესრიგებას და დაცვას განადგურებისაგან.

თქვენს მიერ მიღებული დადგენილების ასლი გთხოვთ გადმოგზავნოთ 1939 წლის 5 აპრილამდე.

საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველოს მმართველის მოადგილე: ტ. შარიქაძე.

1937-1939 წლებში საარქივო საქმე, როგორც ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, მძიმე მდგომარეობაში იყო. მიუხედავად მთავრობის მონდომებისა, ჩვენს ხელთ არსებული თითქმის 3 წლის დოკუმენტაციის მიხედვით სიტუაცია არ შეცვლილა. ოქმებში იგივე მოთხოვნები, იგივე პრობლემები, იგივე პრიორიტეტები იკვეთება, რაც წინა წლებში იყო აქტუალური, შენობების გამოყოფა, დოკუმენტაციის მოწესრიგება, საცავის მოწყობა, არქივის შევსება და ა. შ.

დღეისათვის საარქივო სივრცეში მსგავსი სახის პრობლემები არ არსებობს. მოწესრიგდა საცავები, გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, მთელ რიგ რაიონებში იგება ახალი შენობები. საარქივო საქმე დღეისათვის ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან სფეროს წარმოადგენს.

ეროვნული არქივი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ და კულტურულ ინტერესებს და როგორც წინაპრების დოკუმენტური მემკვიდრეობა, ხელისუფლების აუცილებელი ატრიბუტია.

2004 წლიდან საარქივო დაწესებულება წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 12 მარტის №71 ბრძანების საფუძველზე კი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი.

დღეისათვის მის უფლებამოსილებაშია საქართველოში საარქივო საქმის მართვა, საქმისწარმოების სრულყოფა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებაზე ზრუნვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქუთაისის ცენტრალური არქივი
ფონდი №142, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი,
საქმე №738, ფურცელი 42-55.
საქმე №784, ფურცელი 374-378ა.
2. <http://archives.gov.ge>

მარან განაცხადის

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

ზოგი რამ ვანელ ახვლედიანთა წარმომავლობის შესახებ

დღეისათვის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იციან ვანის სიძველისა და მისი ისტორიის შესახებ, რომ აქ ანტიკურ ხანაში გადიოდა დიდი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც შორეული ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით (მდინარე მტკვარი-სურამის უღელტეხილით, მდინარე ყვირილა-რიონით) აღწევდა შავ ზღვამდე, ძველი ქალაქი ფაზისისამდე (დღევანდელი ფოთი) და შემდეგ უკავშირდებოდა შავი ზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის დიდ სავაჭრო-სახმელეთო ცენტრებს. გზის ასეთმა სტრატეგიულობამ ხელი შეუწყო დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის | ათასწლეულისათვის ჩამოყალიბებულიყო ძლიერი საქალაქო ტიპის მმართველობა, რაც ვანის ნაქალაქარის სახელითაა ცნობილი.

XVII საუკუნის ბოლოს ლეჩეუმიდან გადმოხვეწილი სამი კომლი ახვლედიანების გვარისა და სახლდენები იქ, სადაც დღეს არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. დროთა განმავლობაში გამრავლდენები და მთლიანად მოიცვეს ეს ტერიტორია. მინის, თუ სხვა სახის სამეურნეო სამუშაოებისას ახვლედიანები პოულობდენები ოქროს ნივთები. საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს ახვლედიანთა ვანში დასახლების ისტორია და ფაქტები მათი ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოსვლის შესახებ. არსებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით შევეცდები გაგაცნოთ ეს ცნობები.

„ლეჩეუმს ბუდობდა ოდითგან ძველი და სახელოვანი გვარი ახვლედიანთა. ვიეთნი გლეხნი და ვიეთნი აზნაურნი და ვიეთნი თავადნი. თავად ახვლედიანთ ეპყრათ ლეჩეუმს ზოგიშის ციხე“.

XVII საუკუნის ჭყონდიდელ-ცაგარელის ერთ განჩინებაში ნახსენებია თავადი ახვლედიანი, ვითარცა ბატონი ლეჩეუმისა.

„იმერთ მეფეთა დაცვაში სამსახური მოუდიოდათ ლეჩეუმელ ახვლედიანთ. ადრევე გადასულან ახვლედიანნი ოდიშს და იმერეთს“.

XVII საუკუნის შუა ხანებში იმერთა მეფემ ალექსანდრემ, სოფელი ცხუკურეში და ხვირიშის ციხე უბოძა ახვლედიანთ.

ამავე XVII საუკუნიდან „ახულედიანთა ერთი შტო თავად ბაგრატიონ – მუხრან ბატონის აზნაურთა შორის გამოჩნდა შიდა ქართლში. შემდეგში სამუხრანოელ აზნაურ ახვლედიანთ, კუართისას საუფლოისა და მირონისა და სუეტისა ღმრთივამალლებულისა და წმინდისა დედაქალაქისა მცხეთისა სამსახური მოუდიოდათ.“

ქართული სიგელ-გუჯარი არ განასხვავებს გვარის სახელს ახვლედიანს და ახულედიანს.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, გლეხნი ახვლედიანნი – კომლზე კაცად და აზნაურნი და თავადნი – ქუდზე კაცად გამოდიოდნენ ქართველთა ლაშქარში: მთავარ დადიანთა და თავად წერეთელთა და თავად ბაგრატიონ-მუხრანბატონთა დროშების ქვეშ.

ამჟამად ახვლედიანნი ცხოვრობენ: ლეჩეუმში, ქვემო რაჭაში, ოდიშში, გურიაში, იმერეთში, აჭარაში, სამცხეში, თორში, ქართლში, კახეთში და ქიშიყში. განსაკუთრებით მრავლად არიან: ცაგერის, წყალტუბოს, გალის, მარტვილის, ოზურგეთის მხარეში.

საქართველოში ახვლედიანთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი ოთხი ათას ხუთასს აჭარბებს.

ვანში კი ახვლედიანები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVII საუკუნის ბოლოს ლეჩეუმიდან მოვიდნენ, კერძოდ, სოფელ დეხვირიდან, რომელიც შუა ლეჩეუმში მდებარეობს. მას ექვსი სოფელი აკრავს: მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ლესინდი, ლეშეკედა და წილამიერი. ამ სოფელებს ყველას სადეხვირო ენოდება. დეხვირში ახლაც არის ძველი ნაციხარი, ნასაყრდალი და ნასახლარი დადიანისა. დეხვირი მთელ სადეხვიროს დაჰყურებს. დადიანის ციხე-სასახლიდან, რომ ბუკს დასცემდნენ, მისი ხმა ყველა სოფელში გაისმოდა, მთელი სოფელი შეიკრიბებოდა.

სადეხვიროში და ლეჩეუმის სხვა სოფელში, რამდენიმე ათეული კომლი ახვლედიანი ცხოვ-

რობდა. ზოგი თავადი იყო, ზოგი აზნაური და ზოგიც გლეხი. ძველთაგან შემორჩა ცნობები თუ რად იყო ეს გვარი გაყოფილი სამ წოდებად. თავდაპირველად ახვლედიანის გვარის კაცი არც თავადი ყოფილა და არც გლეხი. სოფელ აღვში თურმე ერთი მოსახლე მამუკა ახვლედიანი ცხოვრობდა. ის შეძლებულ აზნაურად ითვლებოდა. ციხეც ჰქონია, რომლის ნანგრევი ახლაც ჩანს აღვის ძირში. მამუკას აღვის ჭალაში მიწა-წყალი უხვად ჰქონოდა და თვით ტუბულნარიც მას ეკუთვნოდა.

მამუკას ორი შვილი დარჩა – დავითი და ტარიელი. დავითი მღვდლად ეკურთხა, ოჯახში დარჩენილი ტარიელი კარგი გარეგნობის ყმანვილი იყო. სამეგრელოს მთავარს ემსახურებოდა და დადიანს ერთგულებისათვის დიდად მოსწონდა. ნათქვამია: მეტისმეტ სიყვარულს ზოგჯერ მეტისმეტი მძულვარება მოჰყვება. ასე მოუვიდა ტარიელსაც.

პეტრე-პავლობის წირვიდან შინ დაბრუნებულმა ძმებმა ნასადილევს ჩვეულებისამებრ ნაიძინეს. როცა გამოეღვიძათ, თქვეს: ტუბულნარში წავიდეთ, ჩვენი სათიბი ვნახოთო, ცელით როდის შევიდეთო. ასეც მოიქცნენ. ტუბულნარში მისულებმა ნახეს, რომ სათიბში დადიანის ნახირი იდგა და ერთ ბულულსაც ვერ აიღებდნენ. მწყემსები აქეთ-იქით მიიმალნენ. გაჯავრებულმა ტარიელმა ერთ ჭრელ ძროხას თავი ხმლით გააგდებინა. ტარიელს ეგონა, რომ დადიანი მწყემსებს დასჯიდა, მაგრამ საქმე პირიქით, ტარიელის საუბედუროდ დატრიალდა. ეს ამ-ბავი მურის სასახლეში მყოფ დადიანს იმ დღესვე აცნობეს. განრისხებული მთავარი დავითს, როგორც მღვდელს, ვერ შეეხო, ტარიელი კი მურის ციხეში დაატყვევა და ზედ ხაჯალური დაადო. დადიანი ციხეში ხანდახან შედიოდა, ტყვეებს ელაპარაკებოდა, ვინც უნდოდა ათავისუფლებდა, ტარიელს კი ზედაც არ უყურებდა, რაზეც მას გული მოდიოდა.

კვირა დღე იყო. დადიანი დედოფალთან ერთად ციხეში შევიდა, მაგრამ ტარიელს არც ახლა შეხედა. ტარიელმა ველარ მოითმინა და გასასვლელად გამზადებულ მთავარს მიაძახა: დადიანო, კარგად მოიწონე თავი მაგ შენს ბრანძ ცოლთან ჩემი აქ დაბმითო!.. დადიანი გაჯავრდა, ციხიდან მურის სასახლეში ჩავიდა თუ არა, მდივანბეგს ბრანძება დააწერინა. ტარიელს მან აზნაურობა ახადა და სამეგრელოდან გადასახლება გადაუწყვიტა. თავის მეგობარს, ხვანჭკარელ როსტომ ყიფიანს ყმად უწყალობა. ტარიელი ხვანჭკარაში ყიფიანის ოჯახში მიიყვანეს, მან არ იცოდა რისთვის იყო იქ მისული. ყიფიანმა წერილი წაიკითხა და არ ესიამოვნა, რადგან ტარიელს კარგად იცნობდა. მან თქვა: რა უცნაური კაცია დადიანი, ტარიელს ჩემი ყმობა არ შეჰქიბრისო. ისიც გაიგო როსტომმა, რომ ტარიელმა არ იცოდა რისთვის იყო ის მასთან მოყვანილი. არც გაუმულავნა, მხოლოდ ეს უთხრა: შენ და დადიანს უკანასკნელი მოგსვლიათ, ჩემთან გამოუგზავნიხარ. ცოტა ხანს აქ დარჩები და მერე შეგარიგებთო. მანამდე კი ჩემს მამულს მიხედეო და სახლთუხუცესობა ჩააბარა. ტარიელი ყიფიანის ქონების მართვას შეუდგა.

ყიფიანს ეგონა დადიანი ახვლედიანს შეირიგებდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ტარიელი ყიფიანის ოჯახს შეეთვისა. ცოლი შეირთო და ორი ვაჟი შეეძინა. მისი და როსტომ ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ, ტარიელის ქვრივი – ობლები დადიანის საბუთის ძალით ყიფიანის შვილების ყმებად დარჩნენ. ერთი მათგანი როსტომის შვილებმა სოფელ ტალაში დაასახელეს. მისი შთამომავლობა ახლაც იქ ცხოვრობს. ყიფიანის შვილებმა თავიანთი და სპათაგორელ გელოვანს მიათხოვეს. ტარიელის მეორე ვაჟი დას მზითვად გაატანეს.

მისი ერთ-ერთი შთამომავლი, სპათაგორელი შვილიშვილი, სხვებზე კარგი ვაჟკაცი გამოსულა. სახელად გოტე ერქვა. გოტეს მამა-პაპის ამბავი გამოუკითხავს. გელოვანის ყმობიდან გათავისუფლება მოუნდომებია. დადიანისთვის უთხოვია: აზნაურად თუ არა ყმად მაინც მიმიღო. გოტეს დადიანის მოურავი ხოსია ყურაშვილი დახმარებია და დადიანს იგი დეხვირის მეციხოვნედ დაუნიშნავს.

გავიდა ხანი. ქართლ-კახეთიდან შემოსული თათრის ჯარი დეხვირის ციხესაც მოსდგომია. დადიანი იმ დროს იქ იყო. გოთემ ის ღამით გააპარა და მურში დააბინავა. მურის ციხე დიდი სიმაგრე იყო. ყველაზე უფრო ქართველებს იმის იმედი ჰქონდათ. ტყვია-წამალსაც ციხეში ამზადებდნენ. გოტე დღისით სხვა მეციხოვნებთან ომობდა, ტყვია-წამალი შემოელეოდათ თუ არა, ლასხანის ღელით მურში ჩავიდოდა, დადიანს ომის ამბავს მოახსენებდა და იმავე ღამეს უკანვე ჩუმად დაპრუნდებოდა, თან ტყვია-წამალსაც მოიტანდა.

დადიანს გაგონილი ჰქონდა გოტეს ბაბუას თავგადასავალი და როცა გოტე მურში ჩავიდა,

დადიანმა მას ერთგულებისათვის ტახტის აზნაურობა უბოძა. გოტემ მადლიერების ნიშნად დადიანს მუხლზე აკოცა და მოახსენა: ამ დიდ წყალობას ვერ მივიღებ, მე აზნაური ვიყო, ჩემი ძმები და ბიძაშვილები გლეხები, ჩემს ლირსებას ეს არ დამშვენდება. დადიანმა ტარიელის შთამომავლობა მაშინვე გაააზნაურა. სიხარულით ცად აფრენილი გოტე მურიდან დეხვირს ბრუნდებოდა. გზაში შემოათენდა, მტერმა დაინახა, ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა. მამა-სისხლად ნაშოვნი ლირსების საბუთი იქ დაიკარგა. დეხვირის ციხის მეომრებმა მტერი პირველ დღეს როგორც იყო მოიგერიეს, მეორე დღეს ტყვია-წამალი აღარ ჰქონდათ, დატოვეს ციხე და ლამით მურში გაიპარნენ. თათრებს მოწინააღმდეგები აღარ ჰყავდათ და დეხვირის ციხეში შევიდნენ. ამის შემდეგ თათრები მურისკენ წამოვიდნენ, მურის ციხის მცველებმა მათ ზარბა-ზნები დაუშინეს და სანახევროდ გაწყვიტეს, სხვებმა პირი იპრუნეს და გაიქცნენ.

გოტეს მცირენლოვანი შვილი დარჩა. როცა გაიზარდა, ბევრი ეცადა, რომ მამის დაწყებული საქმე დაესრულებინა, მაგრამ ის დადიანი ცოცხალი აღარ იყო და გოტეს შვილი ისევ ყმად დარჩა.

დავითის ერთი შვილიშვილი, დადიანის ქალს მოსწონებია და ცოლად გაჰყოლია. დადიანს ის აზნაური ახვლედიანი გაუთავადებია. ეს ახვლედიანი ცაგერს ცხოვრობდა, ზოგიში, აჭარ-ალპანა და დღნორისაც მას ეკუთვნოდა.

როგორც ვხედავთ, ახვლედიანის გვარი სამ წოდებად ყოფილა დაყოფილი. დავითის შთამომავლობიდან მომდინარეობდნენ თავადი და აზნაური ახვლედიანები, ტარიელის შთამომავლობიდან კი გლეხი ახვლედიანები.

ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში არ მოიპოვება ზუსტი ცნობა, თუ რომელ შტოს ეკუთვნის XVII საუკუნეში სოფელ საჩინოში მოსული გიორგი ახვლედიანი. თუ ზეპირ-სიტყვიერებაში შემორჩენილ ცნობებს დავეყყრდნობთ, ახვლედიანები მოსვლის დღიდან აზნაურებად იწოდებიან ჩიჯავაძეების მიერ.


ახვლედიანთა გვარის გენეოლოგია ამ ნაშრომს თან ერთვის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის და ეთნოგრაფიის ნარკევევიდან
თბილისი, 1997 წელი


აღველი, ბეგლარი ახვლედიანის საარქივო ჩანაწერებიდან

პირველი, ვინც ჩამოვიდა სოფელ საჩინოში და დასახლებულ იქნა ჩიჯავაძეების მიერ გორა-ზე (რომელსაც შემდეგში ეწოდა „ახვლედიანების გორა“) იყო ახვლედიანი. გიორგის ჰყავდა ხუთი შვილი, ესენი იყვნენ: რამაზი, დავითი, ხოსია, ბუჭუ და ბეჟანი.


რამაზის შთამომავლობა




დავითის შთამომავლობა




ბეჟანის შთამომავლობა



ხოსია შთამომავლობა



ბუჭუას შთამომავლობა



პირანანის მიზანის და მიზანის განვითარების მიზანი

იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს – ადამიანმა მთელი შეგნებული ცხოვრება, ნიჭი, ერუდიცია, შესაძლებლობა შენი ქვეყნის, ერის ისტორიის კვლევა-ძიებას, საფუძვლიან შესწავლას, სამზეოზე გამოტანას მოახმარო, ბოლომდე უშურველად დაიხარჯო მშობელი ხალხის სამსახურში.

ასეთი პიროვნება გახლდათ ფართო დიაპაზონის მქონე ინტელექტუალი, თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი ქართველი, ნიჭიერი მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას გზის ღირსეული გამგრძელებელი, გამორჩეული ვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ბატონი ამირან ნიკოლეიშვილი. ჩვენი უახლოესი მეგობარი, მშობლიურ რაიონზე უსაზღვროდ შეყვარებული, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, ამავე ცენტრის უურნალ „მატიანეს“ რედკოლეგიის წევრი და აქტიური თანამშრომელი. ამ უურნალში დაიბეჭდა მისი ღრმად მეცნიერული გამოკვლევა „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, რომელიც უკვე ცალკე მონოგრაფიად იძებება ვანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ძალისხმევით, რომელიც მისი ერთ-ერთი ბოლო მნიშვნელოვანი ნაშრომია და თავის სიტყვას ამბობს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში. როგორც ითქვა ქართველთა და ევროპელ მეცნიერთა კვლევებზე დაყრდნობით საფუძვლიანად არის შესწავლილი და გაანალიზებული, პროტოიბერთა (კოლხთა), ჩვენი ძველთაძველი წინაპრების როლი მსოფლიო ცივილიზაციის შექმნაში, სადაც დამაჯერებლად არის გადმოცემული პროტოიბერთა (კოლხთა) განსაკუთრებული წვლილის შესახებ, მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც ათასწლეულებს ითვლის.

ბატონი ამირან ნიკოლეიშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც. ნაყოფიერ სამეცნიერო-პუბლიცისტურ მოღვაწეობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ის ავტორია 250-მდე პუბლიკაციის, რომელთაგან 14 ცალკე წიგნადაა გამოცემული ქართულ და რუსულ ენებზე.

რაოდენ დასანანია, რომ ასე ნაადრევად შეწყდა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ამირან ნიკოლეიშვილის გულისცემა და ბოლომდე ვერ შესძლო მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ ის, რაც დაგვიტოვა რუდუნებით ნაშრომ-ნაღვანი, გვწამს ქართული ისტორიოგრაფიის უძვირფასესი შენაძენია.

უფალმა განუსვენოს მის სულს საუკუნო სასუფეველში.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“.

„კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ რედაქცია

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“ –

მადლობას უხდის:

- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- კვლევის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექციას „კვლევის ცენტრის“ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.
- გულწრფელი მადლობა ბიზნესმენისა და მეცნატს, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგის წევრს, **ბატონ ზაურ თათვიძეს**, წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.
- მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თემურ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ურა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ქრისტინე მექველია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

ოლეგ ალავიძე – ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ზაურ თათვიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბეჟან წაჟაძე – რედაქტორ-გამომცემელი.

პასუხისმგებელი მდივანები: აკაკი თევზაძე, თამილა მუვანაძე

კორექტორები: **ბელა ცაბაძე**, მაცაცო როხვაძე, ინდირა გოგოძე

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54